ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

8

1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

326
გამოცემის ოცდამეექვსე წელი

8

აგვისტო
1984
თბილისი
სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პოეზია და პროზა

3. კოლაუ ნადირაძე — ქართული ფრესკის მშვენება. ლექსი
4. მიხეილ ქვლეფიძე — ლექსები
5. დავით ჯაფარიშვილი — მიკროკირურგიული ნოველა. მოთხრობა
20. ფრიდონ ხალვაში — ლექსები
22. ნოდარ ადეიშვილი — ლექსები
25. თეიმურაზ ლანჩავა — მოთხრობები
37. ტაბე მეფურიშვილი — ლექსები
39. ნოდარ ხვედელიძე — ლექსები
41. მიხო მორჩილაძე — ცხენი ქალაქში. მოთხრობა
51. ზაურ მოლაშვილი — ლექსები
54. რაულ ჩილაჩავა — ლექსები
56. შარლოტა კვანტალიანი — ლექსები
57. რევაზ კაციი — სამშობლო. ლექსი
58. ავთანდილ ყურაშვილი — ცთომილთა დღესასწაული. რომანი. დასაწყისი
86. ტარიელ ხარხელაური — ლექსები
87. ნოდარ კუშავა — ლექსები
88. ილია გეგეიაშვილი — ლექსები
89. ჯემალ დავლიანიძე — შემოქმედენები. რომანი. გაგრძელება

ახალი თარგმანები

106. სტანისლავ ლეცი — დაუვარცხნელი აზრები. დასასრული. თარგმნა **გურამ გოგიაშვილმა**

წერილები

119. გიორგი გაბეჩილაძე — გზა სინთეტიზმისაკენ
130. გურამ ბენაშვილი — „დრო ხდავს ახალ გზისკენ გადახარეს...“ დასასრული
143. გიგლა სარიშვილი — წიგნი სიგრძნისა და სათნოებისა
149. პარმენ გუჯაბიძე — წიგნი დიდი მოაზროვნის შესახებ

ხელოვნება

154. ირინე მერაბიშვილი — მზატვრული კადრების ალზრდის კერა

საერთაშორისო ცხოვრება

157. გიორგი მეფუაშვილი — დემოკრატი გერმანელი მწერლები და ახალგაზრდობა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თენგო გეჭიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
ფოთა ნიშნიანიძე
გურამ უანჯოიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხეიძეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი ფერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჯოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

ქართული ფრესკის მშვენება

მოველ და კრძალვით გიცქერი ახლა,
ცისფერ ნიავით დარხეულ ლერწამს...
ვიღაც ყვავილებს ფანტავს შენს მაღლა,
ვიღაც შენს მაღლა ვარსკვლავებს
ძერწავს!

მიმიღე წუთით! ო, მე ხომ მარტო
მშვენებას ღვთიურს ვაქცევ ოცნებად!
ჯვარს მაცვი! მზად ვარ! მკლავებს
ვშლი ფართოდ!
მსურს გული დადნეს შენს წინ
ლოცვებად!

ათასი წელი ქცეულა ფერფლად,
რაც ეს მშვენება ზეცამ გაღირსა...
მსურს, მეც შემიცნო შესაწირ
მსხვერპლად,
კერპთსამსხვერპლოზე წარმართ
ტაძრისა!

დაცხრეს, და შეწყდეს დინება
ცრემლთა,
ფარულ იარებს გულში რომ კურნავს!
ო, ყოველივე ბრწყინვალებს შენთან,
რაც კი სიცოცხლის სიტურფით
ბრუნავს!

აქ, რად მოვსულვარ? რისთვის?
ან, ვინ ვარ —
ვიღაც მელექსე, ეამსგადამცდარი?!
შორს არის შენგან ენებათა გრგვინვა,
მიწიერ ყოფნის მზე და ავდარი!!

არ გსურს იხილო სიკვდილის წამი,
არც წუთისოფლის ვაების სიღრმე!..
იხილო ტრფობით ვინ იწვის ღამით
და თმობს სიცოცხლეს ტყვიით ან
დანით,
ან ფეხს რად იცდენს უფსკრულთან
ვინმე?

შორს დარჩა შენგან საზღვარი ყველა,
მშვენებას ციურს როს დამსგავსე!
ვინ იყო შენთვის გაჭრილი ველად?
ან განდეგილად, სიწმინდით სავსე?

ვინ ვარ? რა ვიცი! მაგრამ მე შენს წინ
უძლური გავხდი, მუხლი წამიქცა!
დღეს, შენს ტერფებთან ეს გული
დავწვი
და ნეტარების მეხი დამეცა!

ვინ ვარ? არავინ! ან ვინ გაიგებს
რაოდენ დარტყმას გაუძლებს
გრდემლი?!
რად გსურს იცოდე წესს ვინ ამიგებს,
თვალთ რად დამდინდა უტკბესი
ცრემლი?!

დარჩეს ეს ლექსი კურთხევად იმის,
ზვარაკად, თუნდაც, წამით რომ გწამდე,
რომ საგალობელ დიდებად ივლის
მშვენება შენი მიწიდან ცამდე!

გშორდები, გტოვებ, გტოვებ კვლავ
მარტოდ
მშვენებას ღვთიურს, ქცეულს
ოცნებად!
ჩემს სუნთქვას, სულსაც მხოლოდ
შენ განდობ,
მსურს გულიც დადნეს შენს წინ
ლოცვებად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

●

თუ ასრულდა, რასაც ვნატრობ,
(რასაც მართლა შევძლებ!),
თუ საწუთრომ
ჩემი საქმის დამთავრება მადროვა, —
ნუ დაწერენ ჩემზე შრომებს,
გამოკვლევებს, ლექსებს,
დაე, დავრჩე
„სქოლიოში მოხსენებულ ავტორად“!

„ჰიპეგის“ სიმღერა

(ციკლიდან „უცხოთის ცის ქვეშ“)

რამდენი ვართ — დიდ ქალაქში
თავმოყრილი ვცხოვრობთ,
და თუმცაღა საერთო გვაქვს
სურვილი და საქმე,
მაინც გვინდა საკუთარი
გავიჩინოთ სორო,
დანარჩენებს გამოვეყოთ
და ვიცხოვროთ ცალკე.

მაგრამ ამგვარ „გამოყოფას“
მნიშვნელობა არ აქვს, —
ერთი ბედი გველოდება
სამოლოო ჯამში
და... მეტროში
ყოველ დილით
ესკალატორს
ჩააქვს
ხორცსაკეპი
მანქანიდან
გამოსული
ფ ა რ შ ი!

მაგალითები

ისტორია სავსეა, როგორც მარგალიტებით,
„სანიმუშო“, „ლამაზი“, „კარგი“, მაგალითებით:
იმან — ამას, ამან — იმას,
იმან — ეს და ამან — ის...
ძმამ ძმა მოჰკლა და მავანი
მტერი გახდა მავანის.
ამას — რაღაც დაამრალეს, უფლებები აჰყარეს,
იმას — შანთი გაუყარეს და თვალები დათხარეს;
ერთმა, თურმე, იმოდენა იშრომა და იღვაწა,
რომ „შემთხვევით“, „უნებლიედ“ შემოაკვდა ვიღაცა:
მოიშორა თავიდან და (რაკი გზა გაიხიდა)
იმ ვიღაცის კარ-მიდამო სხვა ვიღაცას მიჰყიდა;
მიჰყიდა და ამის შემდეგ, —
მედროვემ და თაღლითმა, —
მუშტარი რომ დაიგულა, მამულიც კი გაჰყიდა!
რა დრო იყო, ღმერთო ჩემო, არ ცხრებოდა მაცდური,
ცუდ საქმეებს ხმარდებოდა ნიჭი არაკაცური.
მაგალითი ბევრი არი,
ცოდვა-ბრალიც დიდია...
მე რომ ვწუხვარ ამის გამო,
შენ რომ სწუხარ ამის გამო, —
ესეც მ ა გ ა ლ ი თ ი ა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ჯავახიშვილი

მიკროქირურგიული ნოველა

მიუტევებლად უმეცარი აღმოჩნდა მედიცინაში ვაჟა მენაბდე. თუმც, როგორც ფილოლოგს, ამ მხრივ მას ბევრი არც არაფერი მოეთხოვებოდა, მაგრამ რაღაც, თუნდაც სულ უმარტივესი ცოდნა ყველასათვის სავალდებულოა; გადაუდებელი პირველი დახმარების გაწევა ლამის ბავშვმაც უნდა შეძლოს, ის კი ამ საქმეშიც უსუსური იყო; ღმერთი თუ უშველიდა და დაიფარავდა იმ უბედურს, ვინც მხოლოდ მისი თანდასწრებით გახდებოდა ცუდად, თორემ ვაჟა თავადაც მისახედი და მოსაბრუნებელი იქნებოდა იმ დროს. ეტყობა, ნერვები არ ჰქონდა მთლად რიგზე. როცა ვინმეს სანახავად მივიდოდა საავადმყოფოში, რაც ავადმყოფს სტკიოდა, უეჭველად იგივე უნდა ასტკივნოდა მასაც. არადა, როგორ გინდა იცხოვრო კაცმა ისე, რომ საავადმყოფოში მნახველადაც არასდროს მიხვიდე?! ჰოდა, სულ რაღაც სტკიოდა საღ-სალამათ ვაჟა მენაბდეს, განუწყვეტლივ იტანჯებოდა ვიღაც სხვასთან ერთად ისიც...

ასე გაიარა მისი ცხოვრების თითქმის ხუთმა ათეულმა წელმა.

და აი, ერთხელ, ასეთი არასახარბიელო და სუსტი ნერვების პატრონმა, მოულოდნელად მიკროქირურგიის კლინიკაში ამოჰყო თავი.

●

არამცთუ ამ კლინიკის, ასეთი სახელწოდების მქონე ცალკე სამედიცინო დარგის არსებობაც კი არ გაეგონა ვაჟას, ვიდრე მისმა ერთმა მეგობარმა და კოლეგამ, ზეზვა რაინაულმა—მარტოხელა თუშმა, ქანგიან ლურსმანს ფეხი არ დაებიჯა უცაბედად და მერე, სრული უყურადღებობის გამო, ეს უბრალო შემთხვევა განგრენამდე არ მიიყვანა. იწვა ახლა საბრალო თუში ზემოხსენებული კლინიკის ექვსადგილიან პალატაში და ყრუდ გმინავდა. მისი მდგომარეობა მეტად რთული იყო: მაღალი სიცხე, მწვავე ტკივილები და, როგორც პროფესორმა განმარტა, ინტოქსიკაციის, ანუ მთელი ორგანიზმის მოწამვლის რეალური საშიშროება ემუქრებოდა. ცოლი ზეზვას არ ჰყავდა და შვილი, არც და ან ძმა, ალვანში მცხოვრებ შორეულ ნათესავთაგან კი მისთვის აბა ვინ მოიცლიდა და, ამიტომაც, უახლოესმა მეგობრებმა გადაწყვიტეს რიგრიგობით დადგომოდნენ ავადმყოფს თავზე. ბარემ კი შეადრკო ამ გადაწყვეტილებამ ვაჟა მენაბდე, მაგრამ უხმოდ გაიმაგრა გული. სხვა რა გზა ჰქონდა?! არცთუ იშვიათად იქმნება ხოლმე ცხოვრებაში ვითარება, როდესაც უკან დახევა თავსლაფდაუსხმელად ყოვლად შეუძლებელია, და ეს სწორედ ასეთ შემთხვევათაგანი იყო.

უახლოესი მეგობარი ზეზვა რაინაულს სამად სამი ჰყავდა, ისე რომ მორიგეობა ყოველ მათგანს კვირაში ორჯერ უწევდა.

ძალიან გაუჭირდა პირველ ხანებში ვაჟას. ჯერ იყო და, მარცხენა ფეხი წამოსტკივდა, რაკიღა შეიტყო, რომ ზეზვას მარცხენა ფეხის გულში შერჭობოდა ის თარსი ლურსმანი; მერე მარჯვენა ასტივდა, რადგანაც ზეზვას პალატაში ამ უკანასკნელის გარდა, ყვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლას მარჯვენა ფეხი ჰქონდა შეხვეული; მალე ხელებმაც შეაწუხა თანდათან: ცალკე თითებმა, ცალკე მაჯამ, ცალკე იდაყვებმა... მერე და მერე დამორჩილდა და შეეგუა ბედს.

გავიდა მცირე ხანი და ვაჟა თითქმის ვეღარ გრძნობდა საავადყოფოს დახუთულ ჰაერში არეული წამლების, ოფლისა და ათასი სხვა საეჭვო რამის მძაფრ და მოტკბო, გულისამრევ სუნს: აღარც სისხლითა და ჩირქით გაჟღენთილი ნახვევების დანახვაზე მისდიოდა გული წამდაუწუმ. ყველაფერს შეეჩვიეო, დაასკვნა და ისე გათამამდა, რომ ერთხელ გაიფიქრა კიდეც: ვინ იცის, ექიმობასაც კი შევძლებდი, თავის დროზე რომ განმეზრახაო. მაგრამ ამ ნაადრევ კადნიერებას წინ თურმე კიდევ არა ერთი მოულოდნელი და მძიმე გამოცდა ელოდა. გამოცდა კი არა, დარტყმა, უფრო სწორედ.

●

რა ძნელი ყოფილა ვიწრო დერეფანში ცალფეხა ან ცალხელა ავადმყოფებთან პირისპირ შეხვედრა! კედელზე აკრული ვაჟა ფეხაკრეფით უვლიდა მათ გვერდს და ზეზვას პალატისკენ კრიჭაშეკრული მიიჩქაროდა.

ერთნი, საბრალონი, ჯერ კიდევ კარგად ვერ ხმარობდნენ ყავარჯნებს და, შიშისგან თვალებდაპყეტილნი, ყოველ ნაბიჯს რის ვაივაკლახით ადგამდნენ; მეორენი ჯანმრთელი ხელით თოთო ბავშვსავით სათუთად იხუტებდნენ გულში დაშავებულ ხელს ან მკლავს და, ტკივილისგან ბეჭებში მოხრილნი, დერეფნებში უთავბოლო ბოლთასა სცემდნენ; ზოგს ნატკენ თითზე, დაცვის მიზნით, ხაჭოსა თუ არაყნისათვის განკუთვნილი ფერადი პოლიეთილენის ჭიქა წამოეცვა და ტკივილის გასაყუჩებლად ხელი თავსმაღლა ისე აეწია, როგორც კრებაზე, კენჭის ყრისა თუ არჩევნების დროს. ამის დამწახავ ვაჟას სხვა დროს იქნებ გასცინებოდა კი დეც, მაგრამ აქ ჯერჯერობით გაღიმების თავიც არ ჰქონდა. ის კი არა და, თმა ყალუზე დაუდგა, როდესაც მიხვდა, რომ სწორედ ამ დერეფნის ბოლოში, საოპერაციო ოთახის მქრქალმინებიანი კარის მიღმა, გადაუდებელ შემთხვევებში, ექიმები ავადყოფებს კი დეურებს აჭრიდნენ. ნეტავ რას უშვრებიან მერე ამ ნაკუწებს?! — გაუელვა თავში საშინელმა კითხვამ. ამპუტაცია! რა შემზარავად ქღერდა მისთვის ეს უცხო სიტყვა.

მაგრამ აი, გავიდა კიდევ სამიოდე დღე და ვაჟამ იგრძნო, რომ აშკარად მომაგრებულიყო. ყოველ შემთხვევაში, საოპერაციო ოთახის სიახლოვეს ძარღვებში სისხლი აღარ ეყინებოდა და აღარც თმა ეწეწებოდა თვითნებურად თავზე.

ზეზვას ფეხი კი, მიუხედავად ყველაფრისა, საშინელი შესახედი იყო. მოშავო-ლურჯი, კანშემოჭკნარი თითები და თითქმის მუხლამდე აღწეული მუქი სიწითლე, გამოუცდელი თვალისთვისაც კი კარგს არაფერს მოასწავებდა. რანაირად არ ცდილობდა ვაჟა არაფერი დაენახა გადახვევების დროს, მაგრამ თითქოს განგებ, ეს ლურჯ-წითელი საშინელება უეჭველად უნდა მოხვედროდა თვალში.

ზეზვას ფეხის ბედი კარგა დიდხანს იდო სასწორზე. კლინიკის გამგე, პროფესორი გრიგოლ ნაცვალაძე შეუპოვრად ებრძოდა მომძლავრებულ სენს და ერთ საღამოს ვაჟას გამოუტყდა: იშვიათად ძლიერი ორგანიზმი აქვს ამ თუშ კაცს და ამის იმედითღა ვიკავებ თავს, თორემ სხვას აქამდე უეჭველად მოვკვეთდი ფეხსო. ამავე თემაზე ღამის მორიგე ექიმებთან უნებურად გამბრძოლა საუბრებმა კიდევ უფრო გამობრძმედა ვაჟა, ხოლო როდესაც ზეზვას ფეხის მდგომარეობა უცებ და მოულოდნელად გაუმჯობესდა, სიხარულმა იგი იმედით აავსო და ხელმეორედ გათამამმა. ისიც კი შეძლო, რომ აქაური ექთანების მიმართ სათანადო ყურადღება გამოეჩინა, რასაც ისინი თავიდანვე იმსახურებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალს ახარებდა ამ ცქრიალა და ყოჩაღი გოგონების უანგარო გულმოდგინება. განურჩეველი სინაზითა და სიყვარულით უვლიდნენ ისინი ავადმყოფებს, მუდამ კოპწიები და მოღიმარნი, დერეფნებში დაუზარებლად დანავარდობდნენ. ზეინაბი, სვეტა, ვერა, მადონა... ყოველ დილა იცვლებოდა ეს სახელები, ალერსიანი დამოკიდებულება ავადმყოფებისადმი კი უცვლელად რჩებოდა. სწორედ რომ მათზე იყო ზედგამოჭრილი ძველი, დღეს უკვე დავიწყებას მიცემული სახელწოდება — მოწყალების და. არადა, რა კარგად ეტყრს! მაგრამ სიტყვას ვიღა ჩივის, როცა თვით ეს ცნებაც აღარ ახსოვთ ბევრგან. ყველა საავადმყოფოს რომ ასეთი პერსონალი ჰყავდეს, მაშინ ხომ ავად გახდომაც არ იქნებოდა ასე ცუდიო, ფიქრობდა გულგამთბარი ვაჟა, როდესაც აქაური ექთნების გამუდმებულ ფუსფუსსა და საქმიანობას უნებურად ადევნებდა თვალს. მართლაც გადამწყვეტი ყოფილა პიროვნების როლი კოლექტივის ჩამოყალიბებაშიო, ასკვნიდა ბოლოს, რადგანაც მისთვის სრულიად ნათელი იყო, რომ ყოველივე ეს სიკეთე კლინიკის პროფესორის მაღალადამიანური ზნეობიდან მომდინარეობდა. მას აშკარად საგანგებოდ ჰყავდა შერჩეული ხალხი და ისეთი ატმოსფერო ჰქონდა შექმნილი კლინიკაში, რომ იქ შემთხვევით მოხვედრილი უბეული და უსინდისო ადამიანი დიდხანს ვერ გაძლებდა. მისი სამართლიანი სიმკაცრე, ყოველგვარი უზნეობისადმი სრული შეუწყნარებლობა და მუდმივი პირუთვნელობა, როგორც ჩანს, დიდად მოქმედი მაგალითი იყო კლინიკის თითოეული მუშაკისათვის. პროფესორი ვაჟას ხნის კაცი იყო, მაგრამ დღენიადაგ დაფიქრებული და საქმიანი გამომეტყველება სახეზე მას თითქოს ასაკს უმატებდა. ამ მხრივ არც იმ გარემოებას ჩაევლო, ეტყობა, უკვალოდ, რომ მისთვის არ არსებობდა განსხვავება დღესა და ღამეს შორის, ისევე, როგორც არ არსებობდა განსხვავება პატრონიან თუ უპატრონო ავადმყოფებს შორის.

ყოველივე ამაში ვაჟა ერთხელ და სამუდამოდ იყო მტკიცედ დარწმუნებული და ამჯერად მისი ფიქრი კვლავ ცქრიალა ექთანებს დასტრიალებდა. იგი ისე გაუშინაურდა ამ მშვენიერ გოგონებს, რომ მალე უკვე სახელებით მიმართავდა მათ და გულუხვად უმასპინძლდებოდა ხოლმე აქვე, საავადმყოფოს მაღაზიაში ვითომდაც ზეზვა-სთვის ნაყიდი შოკოლადის ფილებით, თუმც იცოდა, რომ მას ტკბილეული არ ეშმეოდა. გოგონები ზედმეტი მაწვა-გრეხის გარეშე იღებდნენ ამ მცირე საჩუქრებს და მადლობის ნიშნად თვალისმომჭრელ ღიმილს არ იშურებდნენ. გოგონა გოგონაა, ექთანია თუ ტელევიზიის დიქტორი, შოკოლადი ყველას უყვარსო, ფიქრობდა ვაჟა და თავის ამ ქცევაში ცუდს, მაინცდამაინც ვერაფერს ხედავდა.

●

პირველი მძიმე და მოულოდნელი დარტყმა ვაჟას დერეფნის ერთ-ერთ კედელზე დაკიდებულმა ფოტოსტენდმა მიაყენა. ეს სტენდი მას აქ მოსვლის დღიდანვე ჯიუტად ეჩხირებოდა თვალში, საგანგებოდ თუ ეკიდა ასე, მაგრამ სად ეცალა, ყურადღებას არ აქცევდა და, ამიტომ, ვერც ხედავდა თურმე.

იმ დღეს ზეზვა ისე შეაწუხა ფეხმა, რომ მორიგე ექიმის მოყვანა მოითხოვა. ექიმი მოუცლელი აღმოჩნდა და მის მოლოდინში ვაჟამ უნებურად სტენდს შეაჯერო თვალი. „შემთხვევები ჩვენი პრაქტიკიდან“ — მსხვილი, თეთრი ასოებით ეწერა სტენდზე, ფერადი ფოტოები, სამწუხაროდ, მაღალტექნიკურ დონეზე იყო შესრულებული: მტევანწაგლეჯილი მკლავი და იქვე, ცალკე, ეს წაგლეჯილი მტევანი... რა-

ალექსეი ჯაფარიძეული
მიკროქირურგიული ნოველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღაც ბასრი იარაღითა თუ ხელსაწყოთი ირიბად წაკვეთილი წვიე... ძარღვებზეღა ჩამოკიდებული წაწყვეტილი ტერფი... მერე — ეს ყველაფერი — უკვე აღდგენილი და მიკერებულ-მოკერებული... სხვა ვაჟას აღარაფერი ახსოვს: სამანიპულაციო ოთახში, იატაკზე გაშხლართული მოვიდა გონზე. მის თავთან, შპრიცი ხელში, ექთანი მადონა ჩაცუცქულიყო და თავისი ციფერი, საცრისოდენა თვალებით შეშფოთებული დასცქეროდა გულწასულს. როცა ვაჟამ თვალი გაახილა, მან შვებით ამოისუნთქა და მართლაც ღვთისმშობელივით გაუნათდა სახე. ასეთი ღიმილისთვის კი ღირს სიცოცხლეო, გაიფიქრა ვაჟამ და წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, მადონა წაეხმარა. სირცხვილით კინაღამ დაიწვა. ექთანს არც ეს გამოჰპარვია: ცნობისმოყვარე ავადმყოფები პატარა ბავშვებსავით ალერსიანად დაიფრინა ოთახიდან, მერე კვლავ ვაჟას მოუბრუნდა და გული გაუკეთა: უშმელი იქნებოდით, ალბათ სიგარეტიე ბევრი მოსწიეთ და ეს იმიტომ დაგემართათო. ვაჟა სიამოვნებით ჩაეღაღუჭა ამ ტყუილ დიაგნოზს და — რა სასაცილოა ადამიანი! — დერეფანში გასულს, მის სისწორეში უკვე ეჭვიც კი არ ეპარებოდა.

შემდგომ დღეებში ვაჟას ხშირად უწევდა ამ საშინელი სტენდის დანახვა და ბოლოს და ბოლოს მასაც შეეჩვია. ისევე, როგორც ადრე, უყურებდა ხოლმე და ვერ ხედავდა, ან, უფრო ზუსტად, ხედავდა, მაგრამ აღიქვამდა, როგორც ინტერიერის ჩვეულებრივ დეტალს. ასევე ეჩვევიან ალბათ ექიმებიც ამ წაგლეჯილი კიდურების ცქერასა და ჭრა-კერვას, თორემ სხვანაირად ხომ ქირურგობა შეუძლებელი იქნებოდაო, ფიქრობდა ვაჟა.

როცა ეს სტადიაც განვლილ იქნა, რომელსაც ხუმრობით „სტენდის სტადია“ უწოდა, ვაჟამ უკვე ხუმრობის გარეშე გაიფიქრა, ისღა დამრჩენია, თვით საოპერაციოშიც შევაღწიო და სინამდვილეში ვნახო ეს ყველაფერიო. ისე ყოჩაღად გრძნობდა თავს, არც კი გააჟრჟოლა ამ გაფიქრებისგან. პროგრესი მართლაც საოცარი იყო.

ერთი თვის თავზე კლინიკის ყველაზე მყრალი და უფმური კარისკაცი — გეურქაც კი, ვაჟას, როგორც ძველ ნაცნობსა და თანამშრომელს, ისე მოწიწებით ექცეოდა. ასევე პირადად და ახლოს გაიცნო მან ყველა ექიმი, ექთანი, სანიტარი თუ დამლაგებელი, მაგრამ ავადმყოფებთან დაახლოებას კი შეგნებულად არიდებდა თავს.

ავადმყოფების შემადგენლობა, ცხადია, მუდმივი არ იყო და თითქმის განუწყვეტლივ იცვლებოდა: ვიღაც ეწერებოდა, ვიღაც ახალი უმალ იკავებდა მის ადგილს, ვიღაც კი, ზოგჯერ ძალიან უცბათ და საეჭვოდ ქრებოდა, და ასეთ შემთხვევაში არავინ ცდილობდა მაინცდამაინც ამბის დაზუსტებას...

ავადმყოფები ორ-ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ: მოსიარულეებად და მწოლიარეებად. პირველნი დიდი მოუსვენრობით გამოირჩეოდნენ და დღედაღამ დერეფნებში დაბორიალებდნენ; ვინ სიგარეტის სამათხოვროდ გამოსულიყო, ვინ — ტელეფონით სალაპარაკოდ, ზოგიც — თითქოს უმიზნოდ, სინამდვილეში კი — ტკივილების გასაყუჩებლად...

ვაჟასაც ხშირად უწევდა დერეფანში გავლა-გამოვლა; კვლავ ფეხაკრეფით დადიოდა, კატასავით უხმოდ, კვლავ ფრთხილობდა ვინმეს არ შეჯახებოდა, არ წამოსდებოდა უცაბედად სქლად შეხვეულ ხელსა თუ ფეხზე. განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოსახვევებში იჩენდა ხოლმე, მაგრამ ვერც ამან უშველა, და ერთ დილას, როდესაც კვლავ მორიგე ექიმის დასაძახებლად მიიჩქაროდა, სწორედ მოსახვევსგაცდენილმა იწვნია კიდევ ერთი და, ჯერჯერობით, უმძიმესი დარტყმა.

●

ეს ის დრო იყო, ექიმები აუდიტორიაში რომ იყრიან თავს და დილის

ტრადიციულ ხუთ-ათწუთიან კონფერენციას ატარებენ.

გულმოდგინედ მოპრიალებული ლინოლეუმი თვალისმომჭრელად ბზინავდა. თეთრად და ცისფრად ქათქათებდა მთელი კლინიკა. კონფერენციას, ჩვეულებრივ, დილის შემოვლა მოსდევდა და მსს მოლოდინში ავადმყოფებიც და სამედიცინო პერსონალიც, როგორც ქარიშხლის წინ, ისე განაბულიყვნენ.

რბილი და ჩუმი ნაბიჯებით გასცდა ვაჟა მოსახვევს, შეუხვია და... არა, არავის შეჯახებია, არც არავისთვის უტაკენინებია რამე. პირიქით, თვითონ მას ეტკინა გული. რაღაცამ უჩხვლიტა ისე მწარედ, როგორც არასდროს და, ეს ხომ არ არის ინფარქტო, შეშინდა კიდეც.

შუბლთეთრა, ახალგაზრდა ქალი მონიკელებულ, გორგოლებიან სავარძელს უკანიდან ამოსდგომოდა და ნელ-ნელა, მძიმე-მძიმედ მოაგორებდა. სავარძელში გოგონა იჯდა. ცამეტიოდე წლისა იქნებოდა. ღია წაბლისფერი, თითქოსდა ოქროსწყალგადავლებული გრუზა თმა და თავის დედასავით დიდი და ლამაზი შუბლი ჰქონდა. დანარჩენი ნაკვთებიც უთუოდ დახვეწილი და ნატიფი ექნებოდა, მაგრამ ვაჟამ უცებ მხოლოდ თვალებიღა გაარჩია, დიდრონი, ზურმუხტისფერი, სულისშემძვრელი წუხილითა და ნაღველით სავსე. მერეღა შეამჩნია, რომ წელზე მოხვეული ფოჩებიანი მოსასხამის ქვემოდან, რომელიც მუხლისთავებს უფარავდა, გოგონას ლამაზად ჩამოქნილი, მაღალწვივიანი, ცალი ფეხი მოუჩანდა.

რაღაც ჩაუწყდა ვაჟას გულში ხელმეორედ, მერე ტკივილმა მთელ ტანში დაშნასავით გაუარა და მისმა ბასრმა წვეტმა თირკმლამდე უწია... წამსვე აარიდა თვალი საბრალო გოგონას, ვითომც არაფერი დამინახავსო, მაგრამ მისთვის უკვე ცხადი იყო, რომ ეს ფანდი ვერ უშველიდა რომ ეს მოწამებრივად დატანჯული უმანკო სახე სიცოცხლის ბოლომდე მოსვენებას აღარ მისცემდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ლაღი და ლამაზი ცხოვრების ღირსი იყო, ალბათ, ეს პატარა, თითქოსდა ზღაპრიდან გადმოსული ფერია, ბედმა კი რა არგუნა! როგორ უნდა შერიგებოდა ადამიანი ასეთ სისასტიკეს?!

იმ დღის შემდეგ ვაჟა დათრგუნულ გამოდიოდა ხოლმე დერეფანში, შიშობდა, კვლავ არ გადაჰყროდა ცალფეხა ფერიას, რისთვისაც ხშირად გზასაც იმრუდებდა, მაგრამ განგება თითქოს დასცინოდა მის სისუსტეს და როცა ეგონა, გადარჩენილი ვარო, გოგონა თავის სავარძლიანად მოჩვენებასავით ჩნდებოდა უცებ მის წინაშე. შეეკუმშებოდა ვაჟას გული და დიდხანს დარჩებოდა ასე, მერე კი მდუღარესავით დაუვლიდა რაღაც ტანში, კეფიდან ქუსლებამდე...

ზეზვას ფეხის ბედი კვლავ ბუნდოვანი იყო. ავადმყოფობა რაღაც მეტისმეტად გაჭიანურდა და მკურნალობაც, შესაბამისად, რთულად მიმდინარეობდა. ერთ დღეს სურათი კვლავ მკვეთრად გაუარესდა და ზეზვა ინტენსიური თერაპიის პალატაში გადაიყვანეს, სადაც იგი, უცხოური მონიტორებისა და სხვა ათასნაირი ხელსაწყოების ალაყაში მოქცეული, მარტოდმარტო იწვა. და თუმც პროფესორის ხშირი ვიზიტების, ექთნების გამუდმებული ყურადღებისა და მეგობრების უწყვეტი მორიგეობის წყალობით, მის ყოფნას მარტობა არც ეთქმოდა, ის მაინც მძიმედ განიცდიდა ამ ცალოლებას და დღენიადაგ უგუნებოდ იყო.

ლოდინი და ავადმყოფობასთან ბრძოლა გრძელდებოდა.

უჯდა მეგობარს სასთუმალთან ვაჟა მენაბდე და ფხიზლად დარაჯობდა მის შფოთიან ძილს. ავადმყოფს ეგრეთ წოდებული „წვეთოვანი" ედგა ვენაში. წვეთ-წვეთად, მისხალ-მისხალ შედიოდა ორგანიზმში სათანადო წამ-

---

ზაზით ჯავახიშვილი
მიკროქირურგიული ნოველა

ლების „კოქტეილი“ და ასევე ელნელა, მდორედ მიიზლაზნებოდა დროც. მიუხედავად ყველაფრისა, ვაჟა, თავისადა გასაოცრად, ხუმრობას მაინც ვერ ელეოდა. „სტენდის სტადია“, „კოქტეილი“ და კიდევ სხვა მსგავსი გამოთქმა პირადად მას ეკუთვნოდა და, როგორც თვითონ კვლავ ხუმრობით ამტკიცებდა, „ლინიკური იუმორის“ მარგალიტებად გამოდგებოდა. არც ის იყო დასამალი, რომ ამ ბოლო დროს მას გული რატომღაც გამუდმებით გარეთ მიუწევდა, გარეთ, სადაც უკვე ნამდვილი გაზაფხული დამდგარიყო და კვლავ მძლავრობდა.

●

ინტენსიური თერაპიის პალატის ფანჯრიდან ყვავილების სათბური მოჩანდა — დიდი, გადაბარული ნაკვეთის შუაში მდგარი, მინით გადახურული გრძელი შენობა. ნაკვეთს გარშემო რკინის მაღალი მესერი ეკვლო. სათბურის გასწვრივ, მიწაზე გამწკრივებულ ხის ხონჩებზე, ათასნაირი ჯიშის ყვავილთა ჯარი განლაგებულიყო. ზოგი უკვე გაშლილიყო და თვალს იტაცებდა, ზოგიც გასაშლელად გამზადებულიყო. მიწის ბელტებს შორის შაშვები დახტოდნენ და თავდავიწყებით ნადირობდნენ ჭია-ღუაზე. მოხუცი მებაღე დილიდან დაღამებამდე გაუჩერებლად დაფუსფუსებდა ნაკვეთში, რწყავდა, ბარავდა, თესავდა, რგავდა... შესაშური იყო მისი დაუღალავი შრომისმოყვარეობა, მისი ფილოსოფიური სიდინჯე და სიდარბაისლე, მისი ნაოჭებით დაღარული სახის კანის ჯანმრთელი ფერი, რომელსაც ძალიან უხდებოდა მეფდამ კოხტად დავარცხნილი თმის ვერცხლისებური ელვარება. რაღაც ბიბლიური სიმშვიდე და სიდიადეც კი იგრძნობოდა ამ კეთილშობილი მოხუცის სახეში, მიხვრა-მოხვრაში, მთელ მის არსებაში. უყურებდა ხოლმე მას ვაჟა და უნებურად შენატროდა. თუკი სიბერე უწერია ადამიანს, მხოლოდ ასეთი ღირს, თორემ სიძაბუნეს, გაუთავებელ ტკივილებს და ტანჯვა-წვალებს, რა თქმა უნდა, სიკვდილი სჯობსო, ფიქრობდა. მაგრამ, ამავე დროს გრძნობდა, რომ ეს მაინც მხოლოდ და მხოლოდ სიტყვები იყო, გულში კი, ღრმად, სულ სხვა აზრი უტრიალებდა: სიკვდილი ჯერ შორსაა, მის მოსვლამდე კიდევ ბევრი წყალი მოასწრებს ჩავლასო. და ამაში უცნაური არაფერი იყო.

უცნაური იყო ხე, რომელსაც ვაჟა ამ დროს უნებურად მიშტერებოდა. ეს ხე თურმე იქვე, სათბურის კართან მდგარა, მაგრამ ვაჟა მას პირველად ხედავდა. ალბათ იმიტომ, რომ სულ ახლახან აყვავებულიყო და თავს ისე იწონებდა, თითქოს მნახველს ეკეკლუცებაო. ტოტები იასამნისფერი წვრილი ყვავილებით ჭქონდა მთლიანად დაფარული, ფოთლებისთვის ადგილიც კი არ დარჩენილიყო.

როგორც კი დრო იხელთა, ვაჟამ რკინის მესერს მიაშურა. მის შეკითხვას, თუ რა ხე იყო ეს, მოხუცმა მებაღემ, მუშაობის შეუწყვეტლად, ერთობ საინტერესო პასუხი გასცა:

— მე, ყმაწვილო, ბენედიქტე მქვია, ამ ხეს კი — იუდას ხე.

ვაჟას შერცხვა თავისი უტაქტობის: ხის სახელი იკითხა და კაცისა კი — არა. მერე „ყმაწვილზე“ გაეღიმა გულდაწყვეტილს, რადგან ასეთი მიმართვა ნამდვილად აღარ შეეფერებოდა. მაინც თავი დაიმშვიდა, ყველაფერი შედარებითიაო, და თუმც კი ატყობდა, რომ მოხუცს ხელს უშლიდა, ვერაფრით შეიკავა თავი შეკითხვისგან:

— რატომ ჰქვია ასე, ხომ ვერ მეტყვით, ბატონო ბენედიქტე?

მისი მოულოდნელი ზრდილობით აშკარად გაკვირვებულმა მოხუცმა წამით შეწყვიტა ფუსფუსი, ერთხანს უხმოდ დააცქერდა ვაჟას და მერეღა უპასუხა:

— ამ ხეზე ჩამოუხრჩვია თავი იუდას, თავად ბატონო! ასე გამიგონია მე. — მერე მუშაობა განაგრძო და მოგვიანებით დააყოლა, — ალალად რომ ეც-

ხოვრა იმ წყეულს, ყმაწვილო, ასეთი ცუდი სახელი ხარ ერგებოდა ამ მშვენიერ ხეს?! — და მის ლამაზ სახეს გულწრფელი სინანულის ჩრდილმა გადაუარა.

პალატაში დაბრუნებულმა ვაჟამ ეს ამბავი ზეზვას უამბო. რა დიდი საამბობი ეს იყო, მაგრამ, როგორც უკვე გამოცდილმა მომვლელმა, იცოდა: რაც გარეთ ხდება, ავადმყოფს ყველაფერი ინტერესებს. მართლაც, ამ უმნიშვნელო ამბავმა ზეზვა ოდნავ გაახალისა, ალუბლის წვენიც კი ითხოვა, რაზეც აქამდე ჯიუტად აცხადებდა უარს.

ინტენსიური თერაპიის პალატაში, სამედიცინო ხელსაწყოთა სიმრავლის გამო, მეორე საწოლისთვის ადგილი არ იყო და ვაჟას ერთ დანჯღრეულ, ჭრაჭუნა სკამზე გაუნძრევლად ჩამოსკუპებულს უხდებოდა ხოლმე ძილი. თუმც რა ძილი, ასე ერქვა, თორემ ის რა ძილი იყო?! მაგრამ ღამის მორიგეობის სიძნელე ამით არ ამოიწურებოდა. მთავარი სხვა იყო.

დგებოდა ღამე და ვაჟასათვის უჩვეულო ათასნაირი ბგერით ივსებოდა საავადმყოფოს მძიმე ჰაერი.

●

ავადმყოფთა ყრუ და გაბმულ კვნესას, ახლად ნაოპერაციევთა გმინვასა და ზოგჯერ ყვირილსაც, საწოლის ზამბარების გაუთავებელ, ხრინწიან ჭრიალსა და „სასწრაფო დახმარების“ სირენების გამაღიზიანებელ ზმუილს, როგორც ღამის განმავლობაში ორ-სამჯერ მაინც გაისმოდა მიმღები განყოფილების მხრიდან, ბოლოს და ბოლოს შეეჩვია სმენა, როგორც თვალი — კლინიკის წარმატებათა ამსახველ, შემზარავ ფოტოსტენდს. მაგრამ იყო კიდევ ერთი, ჩუმზე ჩუმი, ძლივგასაგონი ხმა, რომელსაც, ვერა და ვერ შეეგუა ვაჟა. ეს მინოტონური, გულის გამაწვრილებელი ხმა — თითქოს ვიღაც განზრახ ზედ შენს ყურთან მაჯის საათს ქოქავსო — გთენებამდე წამითაც არ წყდებოდა. გაგიჟება შეიძლებოდა. ძლივს მიხვდა ვაჟა, ვინც გამოსცემდა ამ ხმას: სადღაც, ძალიან ახლოს, ხის უხილავი ჭია გულმოდგინედ და მადიანად ხრავდა თავის საკბილო ავეჯს. ზეზვას ფეხს ხომ არ ხრავს ეს ოხერიო, უნებურად გაუელვა ვაჟას და მერე ვეღარა და ვეღარ მოიშორა თავიდან ეს სულელური ფიქრი. რითი აღარ ირწმუნებდა თავს, ან კი რა დარწმუნება უნდოდა, რომ ზეზვას ფეხი ხისა არა ჰქონდა, ეს ჭია კი, ხის გარდა, სხვას არაფერსა ხრავს. არა და არა! კვიმატი ფიქრი საზიზღარ ჯღიბასავით ჩაბღაუჭებოდა მის გონებას და არ ეშვებოდა. ვაჟას გაახსენდა, რომ თვით ეს ჭია არასდროს ენახა, მისი ნამოქმედარი კი — საგულდაგულოდ გაბრული ძველი ავეჯი — ძალიან ხშირად: შიგნიდან უკვე მტვრადქცეულს, სანამ სულ არ დაშლილა, ზედაპირზე ნემსის ნახჩვლეტებივით პაწაწინა სოროების გარდა, არაფერი ანჩია ხოლმე. უსაქმობის გამო ვაჟამ ისიც გაიხსენა, როგორ მოჰკრა ერთხელ შემთხვევით თვალი ფრთოსანი ჭიაჭველისმაგვარ პეპელას, რომელიც მის ძველ საწერ მაგიდაზე ნემსის ნაჩხვლეტისოდენა ერთ-ერთ სოროსთან დფრინდა, ერთხანს ადგილზე წაიცეკვა, მერე, მართლაც ნამდვილ ბალერინასავით ფრთები მოხდენილად მაღლა აიკეცა და, როგორც ზღაპრული ჯინი თავის ბოთლში, იმ ერთი ბეწო ნასვრეტში ისე დაუჯერებლად ჩაიწურა და ჩაეტია. რა სასწაულია ბუნება! რას არ ნახავს ხანდახან კაცი!

ხრავდა და ხრავდა ჭია თავის ხეს, წვეთავდა ზეზვას „წვეთოვანი“ და გადიოდა ასე სიცოცხლის კიდევ ერთი, არცთუ ისე გრძელი და არცთუ ისე მოკლე მონაკვეთი — დიდი საავადმყოფოს ეს ძნელი ღამე.

ხდებოდა ხოლმე ისეც, რომ მიმღები განყოფილების ჭიშკართან ზედიზედ, თითქმის განუწყვეტლივ გაისმო-

დავით ჯავახიშვილი
მიკროკირურგიული ნოველა

და სირენის შემზარავი ზმეული. მოჰყავდათ და მოჰყავდათ დაჭრილი, დაშავებული, თავგაჩეხილი ან სახედამწვარი ადამიანები. კვნესით, ტირილით, წყევლა-კრულვითა და ქვის იატაკზე დაღვრილი სისხლის მოშავო გუბეებით ეგებებოდა მიმღები განყოფილება კარებში შეუმჩნევლად შემოპარული გაზაფხულის მშვენიერ დილას. ახლად მიღებულ, ჯერ კიდევ გამოუცდელ სანიტარს გულწრფელად უკვირდა: ნუთუ ეს ხალხი მთელი ღამე ფათერაკს ეძებს, ნუთუ შეიძლება კაცს ეძინოს და ხიფათს მაინც ვერ გადაურჩესო. მრავლისმნახველი მოხუცი სანიტრის გაოცებას კი, პირიქით, იშვიათად გამორეული წყნარი ღამე უფრო იწვევდა, როდესაც გავიდოდა ხოლმე სამოთხი საათი და სირენის ხმა კი არ ისმოდა. ვაპ! — თავის მხრივ ფიქრობდა მრავლისმნახველი მოხუცი, — სად არის ამდენ ხანს ეს ხალხი, დღეს რა ემართებათ, რომ არა ჩანანო, — და ამოდ აფათურებდა ხელს ერთ დროს თეთრი ხალათის ჯიბეში: სირენის ხმა თუკი არ გაისმებოდა, რკინის მანეთიანებს რაღა აუჩხრიალებდა შიგ?!.

იყო ერთხელ მიკროქირურგიის კლინიკაში შეძლებისდაგვარად „მხიარული“ ღამეც. ზეზვას რაღაც ძლიერი გამაყუჩებელი გაუკეთეს და მშვიდად ეძინა. ვაჟაც ძლივს მოხერხებულად მოკალათდა თავის ჭრაჭუნა სკამზე და ის იყო ჩასთვლიმა კიდეც, რომ გარედან უჩვეულო ხმები მოესმა და უნებურად ცქვიტა ყურები. დერეფანში ჩქარი ნაბიჯით მიდი-მოდიოდა ხალხი, ხმამაღლა, დაურიდებლად ლაპარაკობდნენ... ეჭვგარეშე იყო, რაღაც ხდებოდა და, რაღა თქმა უნდა, კარგი — არაფერი.

ვაჟა ფრთხილად წამოდგა, ზეზვას დახედა და ფეხაკრეფით გავიდა პალატიდან.

შემოსასვლელ კართან, შუა დერეფანში, პირდაპირ იატაკზე იდგა საკაცე. საკაცეზე ფერდაკარგული, გამხდარი კაცი იწვა. ეტყობოდა, უგონოდ იყო, ან იეზნებ მოკვდა კიდეც. თავი უკან ჰქონდა და გადაგდებული, თითქოს არც სუნთქავდა და თვალებდახუჭული გაუნძრევლად იწვა. ტანზე ჭუჭყიანი ზეწარი ეფარა, მუხლებს ქვემოთ — მოლად სისხლით გაღენთილი, იატაკზე კი უკვე შედედებული სისხლის კარგა მოზრდილი მუქი გუბე დამდგარიყო. ზეწრის ზემოდან ბანჯგვლიანი, ჩაკარდნილი მკერდი და მოსვირინგებული წვრილი მკლავები მოუჩანდა.

საკაცის თავთან წვეთოვანი სისტემის შტატივი იდგა და გამქვირვალე, ელასტიკურ მილში უკვე წვეთავდა მაცოცხლებელი სითხე.

მორიგე ექიმი მერაბ ჯაიანი ავადმყოფის თავთან ჩაცუცქულიყო, მაჯას უსინჯავდა და დროდადრო სხვადასხვა სასწრაფო დავალებით ექთანს ზევითქვევით არბენინებდა.

სოსპერაციო უკვე გაემზადებინათ, იქაურობა გაჩახჩახებული იყო.

მეორე მხრიდან საკაცეს მილიციელი ედგა და ყოველივე ამას ზემოდან გულგრილად დასცქეროდა.

ვაჟასთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

დაჭრილი ნელ-ნელა მოდიოდა გონზე. ჯერ თვალები გაახილა და ხალხით სავსე დერეფანს გაკვირვებული მზერა მოაგლო. მერე სახე ოდნავ დაუმშვიდდა, ალბათ ყველაფერი გაახსენდა, და გამშრალი ტუჩები ენით მოილოკა.

— ვინ არის? — თავი ვერ შეიკავა და მილიციელს შეეკითხა ვაჟა, თუმც დარწმუნებული იყო, პასუხს ვერ მიიღებდა.

მართლაც, მილიციელს ზედაც არ შეუხედავს მისთვის, ისე შეაქცია ზურგი, მის მაგივრად ერთ-ერთმა სანიტარმა გასცა პასუხი:

— ცნობილი ქურდია, რამკიანი! კაპრონა ჰქვია! — მერე ჩურჩულით დაიყოლა: — პაბეგს აკეთებდა.

ექიმის ბრძანებით სისხლის გადასასხმელად მზადებას შეუდგნენ.

— რომელი ჯგუფი აღმოაჩნდა? —

ჰკითხა მერაბ ჯაიანმა მორიგე ლაბორანტს.

— მეორე — უპასუხა გოგონამ და მუქი სისხლით სავსე ბოთლი შტატივის ერთ-ერთ ბუდეში ჩაყირავა.

— მაგას ქურდის სისხლი უნდა გადაეხსნა, — იხუმრა ვიღაცამ დერეფანში გამოფენილ ავადმყოფთაგან.

კაპრონამ თავი წამოსწია, იდაყვებს დაეყრდნო და ოხუნჯს თვალები დაუბრიალა.

— ნუ ინძრევი! დაწექი! — უბრძანა ექიმმა.

— გამიშვით... — ჩახლეჩილი ხმით წამოიძახა დაჭრილმა და წამსვე გონება დაკარგა, მოწყვეტით დავარდა, თავმა ბრაგუნი გაიღო საკაცეზე.

ახლოა მოფიქრეს და ბალიში ამოუდეს თავქვეშ. ნელ-ნელა ისევ გონს მოვიდა და ისევ იდაყვებზე წამოიწია.

— დაწექი, არ გესმის, აკცო?! მოკვდები! — დასძახა მილიციელმა.

— მოვკვდები, თორემ შენც დარდს არ გადაყვე! — დამცინავად უპასუხა კაპრონამ და სიძულვილით სავსე თვალებით ამოხედა, — ისე კი, ხო იცი, ჩემი ცოდო შენზე და შენ შვილებზე იქნება! შვილები გყავამს? — და კვლავ გული წაუვიდა, კვლავ მოწყვეტით დაუვარდა თავი ბალიშზე.

მილიციელს სახე მოეღრუბლა, საკაცეს ზურგი შეაქცია და ხმადაბლა ჩაიბურდღუნა:

— აბა, რო გარბოდი, რა გეგონა, შე უბედურო?!

ერთ-ერთმა სანიტარმა ექთანს მიმართა:

— დროზე ქენით, დაო! ხო ხედავთ, საკაცეს ველოდებით, რამდენ ხანს უნდა გაგვაჩერეთ?!

გაწიწმატებულმა ექთანმა რაღაც მკვახეს თქმა დააპირა, მაგრამ ამასობაში კვლავ გონზე მოსულმა კაპრონამ დაასწრო და წამოიყვირა:

— ოტკა მაიტათ, ოტკა!

— შენ ხომ არ გაგიჟდი, რა დროს არაყია?! — გაუწყრა ექიმი, — შენ თუ სიცოცხლე მოგებეზრებია, რაღას მაწვალებ, დალოცვილო?!

— ოტკა, მალე! — განაგრძობდა ყვირილს კისერზე ძარღვებდაბერილი კაპრონა და მუცელზე ისვამდა თავის წვრილსა და ბანჯგვლიან ხელებს, — ხალხი არა ხართ?! აღარ შემიძლია, კაცო!...

— „უტკას“ თხოულობს, „უტკას“! — მიხვდა ერთი-ერთი ავადმყოფი.

მოხუცმა მომგლელმა ქალმა სწრაფად მოარბენინა მწვანე მინის გამჭვირვალე ჭურჭელი, რომელიც მართლაც ძალიან წაადგება იხვს.

— ეს არა! — იუარა დაჭრილმა, — ბრტყელი რო, ის მომიტანე!

უკმაყოფილო სანიტრებმა უხეშად აიტაცეს საკაცე ჰაერში, ექთანმა „წვეთოვანის“ შტატივი ტელევიზორის ანტენასავით თან გაიყოლია და ეს უჩვეულო პროცესია, ცხვირზე თითებზჭერილი მილიციელის თანხლებით, თვალისმომჭრელად გაჩახჩახებულ საოპერაციოსკენ ლამის სირბილით გაეშურა. მილიციელმა შიგ შეყოლაც დაიპირა, მაგრამ არ შეუშვეს და კართან ქვის სვეტივით უძრავად აიტუზა.

მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო ვაჟამ ექთან მადონასაგან, რომ კაპრონასთვის მარცხენა ფეხი მოეკვეთა მუხლსზემოთ მერაბ ჯაიანს. სხვა გზა არ ჰქონია.

პირველი, რაც კაპრონას ნარკოზისეული ძილიდან გამოღვიძებისთანვე უკითხავს, ოპერატორის გვარი ყოფილა; ფეხი ვინ მომაჭრა, მე იმას თავი უნდა მოვაჭრაო, დაუჩემებია.

დიდხანს აღარ მოასვენა, რატომღაც, ვაჟა ამ ხელმოცარული, ან უფრო სწორედ — ფეხმოცარული, ქურდის ბედმა, ვიდრე არ წარმოიდგინა, რა ტრიუმფით დაუბრუნდებოდა მშობლიურ ციხეს გაქცევის მცდელობის შარავანდედით მოსილი კაპრონა, როგორ აიწევდა მისი ავტორიტეტი ბოროტმოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედთა შორის და რამდენნაირ სარგებლობას გამორჩებოდა იგი ამ თავის უიღბლობას.

●

ასე იყო თუ ისე, მიიწურებოდა ხოლმე ღამე და კვლავ დგებოდა დილა. უეცრად და მკვეთრად კლებულობდა უბედური შემთხვევების რიცხვი და თითქოს თავიდან, სულ თავიდან იწყებოდა ქვეყნად სიცოცხლე. ამოდიოდა მზე და კვლავ რწმენითა და იმედით ივსებოდა ადამიანის დაცლილი გული. ყველაფერი თავის ჩვეულ და ღრმა კალაპოტში ექცეოდა ისევ. ზუსტად დროზე მოდიოდა ხოლმე ვაჟას შემცვლელი. გადაბარებდა მას ვაჟა მორიგეობას და ბრუნდებოდა შინ. ცოლშვილი ჯერ კიდევ ტკბილად მძინარე ხვდებოდა, სამზარეულოს მაგიდაზე კი ელოდა ცხელი ყავით სავსე თერმოსი. მერე გამოუძინებლად გაჩბოდა სამსახურში, სადაც ნახევარ დღეს თვლემაში ატარებდა, მეორე ნახევარს კი — ამა თუ იმ ამბის მოყოლაში მიკოჭილირურგიული კლინიკის ცხოვრებიდან. თანამშრომლები დიდი გულისყურით ისმენდნენ მის ნაამბობს, გულწრფელად თანაუგრძობდნენ მათთვის სრულიად უცნობ ავადმყოფებს, და ეს, ვაჟასთვის, რაღაც დამატებითი ძალისა და რწმენის წყარო იყო. კაპრონიც კი ყველამ ერთხმად შეიბრალა, ხოლო ცალფეხა ფერიას უკუღმართმა ბედმა ხომ ბევრი აიცრემლა. ბოლოს სთხოვეს ვაჟას, ასეთ გულისმომკვლელ ამბებს ნუღარ გვიამბობო, ჩვენც ხალხნი ვართ, ცოდონი ვართ ჩვენცო. არ გაძნელებია ვაჟას ამ თხოვნის შესრულება და ამ დროის ხარჯზე ნელ-ნელა შეუდგა თავის ჩამორჩენილი საქმის ნაწილობრივ გამოსწორებას.

ზეზვას ფეხის მდგომარეობა კი, ამასობაში, კვლავ გაუარესდა.

●

ერთ დილას იგი საშინელ გუნებაზე დახვდა ვაჟას, ტკივილები განახლებოდა და გამწვავებოდა.

არც პროფესორს უვარგოდა სახე დილის შემოვლის დროს. ჩვეულებრივ, ამ მშვიდ და აუღელვებელ სახეზე კაცი ვერაფერს გარკვეულს ვერ წაიკითხავდა, რაც, უთუოდ, საჭიროებით ნაკარნახევი პროფესიული ჩვევის შედეგი იყო; მაგრამ ამჯერად, ზეზვას გალურჯებული და თითქმის მოლად გამხდარი თითების დანახვისას, პროფესორს შუბლი ოდნავ შეეჭმუხნა და ზედ მკრთალმა ჩრდილმაც გადაურბინა. ვაჟა ხავსს ჩაებღაუჭა, ალბათ, მეჩვენაო, მაგრამ გული უტყუარად უკარნახებდა, რომ ასე არ იყო, და როგორც გამორკვა, სამწუხაროდ, არა ცდებოდა. პალატიდან გასვლისას პროფესორმა თითქოს თვალით ანიშნა, გამომყევიო, და თუმცა ვაჟა არც ამაში იყო მოდგილი დარწმუნებული, მაინც გაჰყვა და კიდევ ერთხელ სწორი აღმოჩნდა.

— დიახ! — ეჭვი დაუმოწმა პროფესორმა. — ძმიმე მდგომარეობაა! მეტი ცდა აღარ შეიძლება! ოპერაცია გარდუვალია და რაც მალე იქნება, უკეთესია!

— ალბათ უნდა ვუთხრათ, არა, ბატონო გრიგოლ?! — გული შეეკუმშა ვაჟას. — მასწავლეთ, როგორ იქცევით ასეთ შემთხვევებში.

— თქვენ ნუ ღელავთ! — დაამშვიდა პროფესორმა, — მე თვითონ ვეტყვი. ეს ჩემი საქმეა! — შემოვლა განაგრძო.

გულდამძიმებული შებრუნდა ვაჟა პალატაში. ზეზვამ გამომცდელი მზერა შეაგება და არ მოაცილა.

— რა თქვა პროფესორმა? — ტყვიასავით დაახალა კითხვა.

— არაფერი, — იცრუა ვაჟამ და თვითვე გაუკვირდა, — კიდევ შემოვლო.

ყველაფერი გასაგებიაო, თავი დაუქნია ზეზვამ, მერე ტკივილისგან სახე

დაელრიჯა, პირი კედლისკენ ქნა და დიდხანს აღარ გადმობრუნებულა.

შუადღისას პროფესორი მართლაც შემობრუნდა. სახე კვლავ სრულიად მშვიდი ჰქონდა, ოღონდ რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება ბეჭედივით აჩნდა ზედ. საწოლზე ჩამოუჯდა ზეზვას და კიდევ ერთხელ სთხოვა ფეხის ჩვენება. დიდხანს ათვალიერა დაკვირვებით ყოველი მხრიდან, ხელითაც მოსინჯა რამდენჯერმე და მერე მოულოდნელად გაიღიმა. ასეთი უადგილო ღიმილი მხოლოდ მისგან იყო მისაღები და ალბათ რაღაც ფარული მიზანს ემსახურებოდა.

— ცუდი ფეხია! — თქვა მან მტკიცე ხმით და ზეზვას თვალი თვალში გაუყარა.

— უნდა მომაჭრათ? — ნაწვალევად გაუღიმა ზეზვამ.

— ჰო! — თავი დაუქნია აშკარად კმაყოფილმა პროფესორმა და დაუნდობლად გაუმეორა: — ცუდი ფეხია!

— ნება თქვენია! — კვლავ მწარედ გაიღიმა ზეზვამ და ვაჟას საწყლად გადახედა.

ვაჟამ მხრები აიჩეჩა მხოლოდ, რას იზამო, და თვალი აარიდა, სხვა ვეღარაფერი მოახერხა. არ იყო ადვილი თვალის გასწორება იმ კაცისთვის, რომლის ფეხსაც ის-ის იყო, სასიკვდილო განაჩენი გამოეცხადა. და თუმც იგი ვაჟაკაცურად შეხვდა ამ განაჩენს, ღიმილითაც კი, მაგრამ მის ნამდვილ გულისტკივილს ვერაფერი ვერ ფარავდა. ამაო იყო პროფესორის შეგონებანი, რომ იგი ჯერ ახალგაზრდაა და მისი ძლიერი კუნთოვანი სისტემა მალე შეეგუება და არ აგრძნობინებს მას ამ დანაკლისს; რომ თანამედროვე საპროთეზო ტექნიკა სრულყოფილია და გასაოცარ შედეგებს აღწევს...

ზეზვა უხმოდ იწვა და ნაღვლიანი ღიმილით თავის მწარე ფიქრებს მისცემოდა; ვინ იცის, ცხვარში გატარებულ თავის ბედნიერ ბავშვობასა და მთათუშეთის თავბრუდამხვევ საცალფეხო ბილიკებს იგონებდა... ჰმ! საცალფეხო! ტყუილად ხომ არ მოუგონიათ ეს სიტყვა?! ზოგ ჯანმრთელ კაცსაც ... იმ ქარაფების გავლა, თორემ ხეიბრისთვის ხომ ის მხარე სამუდამოდ დაკარგულია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორი მხნედ და საქმიანად წამოდგა ზეზვა და ექთანს, ალბათ განზრახა, ხმამაღლა უბრძანა:

— მაშ ასე! მერაბს დამიძახეთ!

პალატაში მერაბ ჯაიანი შემოვიდა და პროფესორს მორკალებულად გვერდით ამოუდგა.

— ხვალისთვის გადაწყვიტეთ, — პროფესორმა, სამხედრო ყაიდაზე, მოკლედ განუმარტა მას შექმნილი ვითარება, — დილიდან შევუდგებით! მე და თქვენ! გასაგებია?!

პასუხად მერაბ ჯაიანმა მხოლოდ თავი დაუხარა.

●

ოპერაციამ კარგად ჩაიარა. სულ რაღაც ნახევარ საათს თუ ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა, რის მერეც მშვიდად მძინარე ზეზვა კვლავ თავის პალატაში გამოაგორეს. მალე გამოიღვიძა კიდევაც და ვაჟას ჰკითხა, რაღას უცდიან, რატომ ოპერაციას არ იწყებენო. როცა ვაჟამ ამცნო, რომ ყველაფერმა უკვე ჩაიარა, არ დაუჯერა, ფეხის თითები მტკივა და შენ კი მატყუებო, და კვლავ დაიძინა. შუადღისას, ხელმეორედ გაღვიძებული, ის უკვე სავსებით საღად აზროვნებდა და მხიარულ გუნებაზეც კი იყო. ტკივილი სრულიად აღარ აწუხებდა და შვება იმდენად დიდი იყო, რომ დაკარგულ ფეხს აღარც კი დარღობდა.

შინ წასვლამდე პროფესორმა ზეზვა კიდევ ორჯერ მოინახულა და მისი მდგომარეობით მეტად კმაყოფილი დარჩა.

შემდგომშიც არაფერი გართულებულა, და წაეწყო ერთმანეთს გამოჯანმრთელების ერთფეროვანი, მაგრამ თავისებურად სასიამოვნო დღეები. ზეზვა

დავით ჯაფარიძეული

მიკროკინოგადაღული ნოველა

ერთთავად კარგ გუნებაზე ხედებოდა ვაჟას, ცალფეზობა აღარ აშინებდა და თავის არასახარბიელო მომავალს მაინც იმედის თვალით გასცქეროდა.

●

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, დადგა ვაჟას მორიგეობის უკანასკნელი ჯერიც. ხვალიდან ზეზვას ფეზზე წამოყენებას უპირებდნენ, რაც ერთხელ უკვე სცადეს, და რადგანაც, როგორც თვითონ ხუმრობდა, ყავარჯნების ხმარებაში არაჩვეულებრივი ნიჭი გამოავლინა, ამიტომ მუდმივ მოვლა-პატრონობას იგი აღარ საჭიროებდა.

მხიარულად გაატარეს ის დღე ზეზვამ და ვაჟამ. იმდენად, რამდენადაც ეს დასაშვებია დატანჯული ავადმყოფებით სავსე კლინიკაში.

ექთანად ერთ-ერთი საუკეთესო გოგონა, ზეინაბი მორიგეობდა; გულთბილი, დაუზარელი, ხალისიანი, ისეთი, როგორიც უნდა იყოს ყველა, ვინც ავადმყოფ ადამიანს მკურნალობს და ემსახურება. მისი ერთი ღიმილიანი შემოცქრიალება პალატაში ბევრ წამალს სჯობდა და ეს ყველამ კარგად იცოდა, პროფესორმაც, ავადმყოფებმაც და... თვითონაც ზეინაბმაც. ამიტომ, თუ დამჯდარს ვერ ნახავდა კაცი, სულ დერეფაწში დაქროდა წინ და უკან, ხან შარიცით ხელში, ხან წამლების დიდი კოლოფით, ხანაც ისე, უარაფროდ, თავისი განუყრელი, მკურნალი ღიმილის ამარა სულ მარტო.

●

იმ დღეს, დილიდანვე, კარგი პირი უჩანდა.

გამოკეთებულმა ზეზვამ კვლავ გაიხსენა თავისი საყვარელი პოეტური სტრიქონი ლექსიდან, რომლის ავტორიც მათი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ ჰყავდათ.

„რა კარგი დღე ხარ! ნუ დაღამდები!“

ეს სტრიქონი ზეზვას ძალიან უყვარდა და ხშირად იმეორებდა ხოლმე მეგობრულ სუფრაზე, ღვინის ჭიქით ხელში. ახლა უღვინოდაც გახსენებოდა და ეს კარგად ენიშნა ვაჟას.

„რა კარგი დღე ხარ! ნუ დაღამდები!“ — სრულიად უადგილოდ, შუა საუბარში იტყოდა ზეზვა და მშვიდი, კმაყოფილი ღიმილი მოეფინებოდა აწ უკვე გარდასულ ტკივილებისგან დაღლილ სახეზე.

მაინც დაღამდა.

მაგრამ ეს ღამეც მეტად უჩვეულო გამოდგა. თითქოს ყველამ იცოდა, რომ ეს იყო ვაჟას მორიგეობის უკანასკნელი ღამე და საზეიმო სიჩუმით აღნიშნავდა ამ სასიხარულო ამბავს: აღარავინ კვნესოდა, აღარც ზამბარების გაუთავებელი ჭრიალი ისმოდა, წითელი ჯვრის მანქანის სირენამაც ერთადერთხელ დაიზუზუნა საღამო ხანს მიმღები განყოფილების მხრიდან და მერე კი დილამდე გაყუჩდა. და რაც ყველაზე მეტად საკვირველი იყო, ხის უხილავი ჭიაც აღარ ხრავდა ავეჯს. ნუთუ სულ შეჭამა?! — ფიქრობდა გაოცებული ვაჟა, — თუ მართლა ზეზვას ფეხსა ხრავდა ის ოხერი?!...

ამ ფიქრებმა და ირგვლივ გამეფებულმა არაბუნებრივმა სიჩუმემ, ბოლოს და ბოლოს ვაჟაც ტკბილად დაამინა სკამზე და ჩიტების გამაყრუებელ ჟივილ-ხივილში გათენებულ დილას გამოძინებული მხნედ შეეგება. დღეიდან იგი ვალმოხდილი კაცის კმაყოფილებით აღსავსე უბრუნდებოდა ყოველდღიურ, ნორმალურ ცხოვრებას, უბრუნდებოდა თავის ოჯახს, თავის საქმეს, თავის თანამშრომლებს. კვლავ ძველებურად, ჩვეულ კალაპოტში გაგრძელდებოდა მისი ცხოვრების მდინარება, ვიდრე ახალი მოულოდნელი დაბრკოლება არ გადაეღობებოდა გზაზე. მაგრამ ამ მშვენიერ დილას ეს დაბრკოლება იმდენად შორეულად ჩანდა, რომ მასზე ფიქრიც კი არა ღირდა. და ვაჟა არც ფიქრობდა. იგი უსმენდა იუდას ხეზე შემოსკუპებული შაშვების გალო-

ბას და გრძნობდა, როგორ ევსებოდა მთელი სხეული მძლავრად აშოძრავებული სისხლის თბილი ნაკადებით...

ამ ტკბილი გაოგნებიდან ვაჟა ზეზვას მხიარულმა შეძახილმა გამოაფხიზლა:

— ეჰეი, ვაჟიკავ! ზეინაბს დამიძახე და მერე შენც ამ შაშვებივით თავისუფალი ხარ! რაღაც უნდა ვუთხრა.

— აბა შენ იცი, არაფერი შეგეშალოს! — გაეხუმრა ვაჟა, — შვილად გერგება, ხომ არ გავიწყდება?!

— რას ამბობ, ბიჭო, გაგიჟდი?! — გულწრფელად აღშფოთდა ზეზვა, სახეც კი წამოუჭარხლდა, — ფეხი დავკარგე, თორემ, ნამუსი კი არა!

ვაჟას გაეცინა და პალატიდან გავიდა. გავიდა და... გუშინდლიდან გამოყოლილი კარგი გუნება, ამდილანდელი იმედიანი განწყობა და სიცოცხლის ხალისი, ეს ყველაფერი ერთად და ერთბაშად წამსვე წყალში გადაეყარა.

დერეფანში ცალფეზა ფერია თავის მონიკელებულ სავარძელს მოაგორებდა. ეტყობა, დამოუკიდებლობას ეჩვეოდა, რადგან დედაც თან ახლდა, მაგრამ არ კი ეხმარებოდა. წვალობდა გოგონა, აშკარად უჭირდა და სავარძლის ბორბლები იატაკზე თვითნებურ, უსწორმასწორო ზიგზაგებს ხაზავდა.

ვაჟამ უნებურად დაადგინა თვალის არიდება და მისი გულსაკლავად ნაღვლიანი მზერა დაინახა. „ღმერთო! ღმერთო! — რა დავაშავე ასეთი, ამ უსამართლობის ცქერით რომ მტანჯავ დღენიადაგ?! ნუთუ რამე სხვა, ოდნავ უფრო ლმობიერი სასჯელი ვერ დავიმსახურე?!“

ამ უპასუხო კითხვებით გულდამძიმებულმა შეაღო სამანიპულაციო ოთახის კარი და ზეინაბის ღიმილიანი მზერა მთელ მის არსებას მალამოსავით მიესალბუნა. გული სწრაფად დაუამდა და მაგიდაზე კოხტად გამწკრივებულ, ლაპლაპა შპრიცებს ბოლოში სამი ერთნაირი შოკოლადის ფილა მიუსაგა.

— ასე ტკბილად დამიბერდი, ზეიკო! დილა მშვიდობისა!

— გმადლობთ, ძია ვაჟა! რატომ ყუნდებოდით?! — უპასუხა ფეხზე წამომხტარმა ზეინაბმა და კიდევ უფრო გაღიმა, — რითი შემიძლია გემსახუროთ? სწორედ ახლა ვაპირებდი თქვენთან შემოსვლას. როგორ არის ბატონი ზეზვა?

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ეკუთვნოდა, ეს „ძია“ ვაჟა მაინც ეხამუშა და, გაუძნელდა კია, მაგრამ შეიფერა:

— კარგად არის, შვილო, ითხოვა, ერთი წუთით შემოვიდეს, თუ სცალიაო.

ზეინაბმა ნემსების ხარშვა სწრაფად მოათავა და, დერეფანში ერთად გამოსულნი, ზეზვას პალატისკენ გამოეშურნენ.

მოსიაურული ავადმყოფები ოთახებიდან უკლებლივ გამოფენილიყვნენ და ზეინაბს ესალმებოდა ყველა, ზოგი — ლაღად, შუბლგახსნილი, ზოგიც — მწარე, ნაძალადევი ღიმილით. უკეთესი ჯიღდო და მადლობა რა უნდა ისურვოო, გულში შენატრიდა ვაჟა ზეინაბს და მასავით მხნედ მიაბიჯებდა ისიც უნებურად. ჩაუარეს იმ საშინელ სტენდს, რომელსაც ვაჟა ვეღარ ამჩნევდა; ჩაუარეს საორდინატოროს, სადაც კონფერენციის მოლოდინში მოგროვილი ექიმები გუშინდელი ფეხბურთის ამბებზე ცხარედ კამათობდნენ; ჩაუარეს საოპერაციოსაც და მოსახვევს მიუახლოვდნენ. და თუმც ამ მოსახვევის იქით ვაჟასთვის მოულოდნელი აღარაფერი უნდა ყოფილიყო, მაინც მწარედ უჩხვლიტა წინასწარვე გულმა. ყველაფერს შევეჩვიე და ნუთუ ამას ვეღარ უნდა შევეჩვიოო, გაუბრაზდა თავს, და კიდევაც შეუხვიეს. აგერ, ცალფეზა ფერიაც! თითქოს ჯიბრზე, კვლავ მის წინ აღმოჩნდა. ჩვეული რიდით დაუცალა გზა მას ვაჟამ და ბეკრა კედელს, მაგრამ გოგონას დანახვამ აბჯერად ისე მძიმედ აღარ იმოქმედა მასზე, როგორც მოელოდა. ისიც კი შეძლო, რომ კარგად დაჰკვირ-

ვებოდა მის სახეს, პირველად, მთელი ამ ხნის მანძილზე. არა! ვაჟას თავდაპირველი შთაბეჭდილება ამ სახის შესახებ მცდარი არ ყოფილა. საბრალო გოგონა მართლა ზღაპრულ ფერიას ჰგავდა, და კიდევ — ვაჟას საყვარელ ბებიდას — უტანდარს, ანუ უტას, როგორც შინაურულად ეძახდნენ. უტას ქალწულობის დროინდელი პორტრეტი, ნახშირით შესრულებული ვიღაც ინგლისელი მხატვარი ქალის მიერ, დღესაც ეკიდა შინ ვაჟას და არავის ტოვებდა გულგრილს, მუდამ გაოცებასა და აღტაცებას იწვევდა მნახველში თავისი სათნოებითა და უმანკო მშვენიერებით. მსგავსება მართლაც დიდი იყო და ვაჟა კიდევ უფრო მეტი სითბოთი და სიბრალულით გაიმსჭვალა ხეიბარი ფერიისადმი. რაღაც მშობლიური, ნათესაური გრძნობა დაემატა მის დამოკიდებულებას ამ უცნობი გოგოსადმი, თითქოს მართლა მისი სისხლი და მისი ზორცი ყოფილიყოს. ამ ახალმა შეგრძნებამ უფრო დაუმძიმა ვაჟას გული, ამასობაში კი ზეინაბი ბორბლებიან სავარძელთან შეჩერებულიყო, დაიხარა, ნაზად აკოცა გოგონას და ჰკითხა:

— როგორ არის საქმეები, ჩემო ელენე? ხომ არ გაბრაზებენ მეცამეტე პალატის ბიჭები? მითხარი და, ყურებზე ხახვს დავაჭრი!

— არა! — სახე გაებადრა ფერიას და მის ზურმუხტისფერ თვალებში ღრმად ჩაბუდებული სევდა თუ ნაღველი უკვალოდ გაქრა.

უცნური იყო, რომ სახელის გაგონებამ ვაჟას ჯადო არ გაუფანტა და ზღაპრული ფერია მის თვალში კვლავ ფერიად დარჩა. თითქოს ჩვეულებრივ, თორმეტ-ცამეტი წლის გოგონად უნდა ქცეულიყო, ელენედ, და თანაც — ცალფეხად, მაგრამ ეს არ მოხდა. გაოცებულმა ვაჟამ თვალი ვეღარ მოსწყვიტა სახეს, რომლის რეალურობა მისთვის ასე ძნელი დასაჯერებელი იყო.

გოგონამ იგრძნო ეს ჩაყინებული მზერა, ამოხედა ვაჟას და გაუღიმა.

თითქოს მზემ გამოანათაო ღრუბლებიდან, ისე გაკაშკაშდა ყველაფერი ირგვლივ.

მერე ელენე კვლავ ზეინაბს მიუბრუნდა და საუბარი განაგრძო. მტრედებივით ეღუღუნებოდნენ ერთმანეთს ამ მზით სავსე დერეფანში და ყველა მათ მისჩერებოდა, შეუძლებელი იყო კაცი ამ მშვენიერებით არ მოხიბლულიყო. როგორც იქნა, დაამთავრეს ღუღუნი და წელში გასწორებულმა ზეინაბმა მხრები მოხდენილად შეათამაშა. ვაჟა უნებურად შეყოვნდა, მერე სწრაფად დაეწია წინწასულს და რატომღაც ჩურჩულით ჰკითხა:

— ზეიკო! მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რატომ მოსჭრეს ფეხი ელენეს, ნუთუ არაფერი ეშველებოდა?

ზეინაბი ელდანაკრავივით შედგა, მოტრიალდა და გაკვირვებულმა შეხედა ვაჟას.

— ელენეს? ფეხი? ვინ თქვა? არაფერიც არ მოუჭრიათ!

— როგორ თუ არ მოუჭრიათ?! — პირი დააღო ვაჟამ, — აბა რა ექნა?!

— თავის ადგილზე აქვს, — შვებით ამოისუნთქა ზეინაბმა და მხიარულად გადაიკისკისა, — ფეხმორთხმული ზის და იმიტომ არ უჩანს.

ვაჟას გონებამდე ძლივს მიაღწია ნათქვამის აზრმა, მაგრამ ჯერ კიდევ არ სჯეროდა.

— კი მაგრამ, რატომ? — იკითხა უაზროდ და დაუფიქრებლად.

— რა რატომ? — ვერ გაუგო ზეინაბმა, — რაღაც ჰქონდა ფეხის გულზე გამაგრებული და ის ამოჭრეს. მალე გაუვლის და გაეწერება.

გონებაში, როგორც იქნა, თავთავის ადგილზე დალაგდა ყველაფერი. სიხარული ყელში მოაწვა ვაჟას და კინალამ დაახრჩო. კითხვების მთელი კორიანტელი დაუტრიალდა თავში: რატომ უფრო ადრე არ იკითხა. რატომ იტანჯა თავი ამდენი ხნის განმავლობაში? რატომ? რატომ? რატომ?

როგორც კარგ სიზმარში, ისე მისდევდა უკან ვაჟა ზეინაბს, ძირს დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჯებლად. ყველაფერი დანარჩენიც სიზმარს წაგავდა და ბუნდოვნად დაახსომდა, როგორც იცის ხოლმე გამოღვიძებისას...

●

რამდენიმე დღის შემდეგ ლოგინიდან უკვე წამომდგარი ზეზვას სანახავად მისულმა ვაჟამ ერთხელ კიდევ მოჰკრა თვალი ელენეს. იგი ჯანმრთელ მარჯვენა ფეხზე იდგა, ახლად გადახვეული მარცხენა კი მუხლში ჰქონდა მოკეცილი და ასე, ასკინკილა, უყავარჯნოდ, ყოჩაღად მიხტოდა, სამანიპულაციოდან თავის პალატისკენ. კლასობანას თამაშობსო, კაცს ეგონებოდა. უცებ გრუზა თმიდან სავარცხელი გამოუძვრა და ძირს დაუვარდა, ვიდრე ვაჟა რამეს მოასწრებდა, თვითონვე მარჯვედ დასწვდა, აიღო, ვაჟას უნებური მოძრაობისთვის მადლობის ნიშნად გაუღიმა და გზა განაგრძო. ვაჟამ სიხარულის მოზღვავება იგრძნო და ბედნიერი ღიმილით თვალი გააყოლა მას. თითქოს თვით სიცოცხლე მიხტოდა ასკინკილა, სიცოცხლე და დაუმარცხებელი, ძლევამოსილი ახალგაზრდობა.

ბედნიერმა დატოვა იმ დღეს ვაჟამ კლინიკის შენობა. საავადმყოფოს ეზოში გასულმა თვიც ვერ შეიმაგრა და ხუთიოდე ნაბიჯი მანაც ასკინკილა გაიარა, რის გამოც ვრძელ სკამებზე ჩამომსხდარი ავადმყოფებისა და მათი მნახველების გაკვირვებული, ღიმილიანი მზერა გაიყოლა.

ამინდი მკვეთრად შეცვლილიყო იმ დღეს, როგორც იცის ხოლმე ჩვენში ზოგჯერ, გაზაფხულობით. ქინქლავდა, უსიამოვნო ქარი ქროდა და ციოდა კიდეც. ვაჟაზე წვიმა მუდამ ცუდად მოქმედებდა, უმიზეზო სევდა შემოაწვებოდა ხოლმე გულზე, მაგრამ ამჯერად ვეღარც ის ერეოდა მის სიხარულს. ყველაფერი ცუდი თითქოს სამუდამო დავიწყებას მისცემოდა და მომავალი ვაჟას ერთ მზიან და ნათელ დღედ ესახებოდა. მიაბიჯებდა სველ ქუჩაში და ასე ფიქრობდა: ერთი ბედნიერი წუთი ათას უბედურ წუთს გადასწონის, ერთი სიხარული ათას ჭირსა და მწუხარებას შეგიმსუბუქებს. ეს არის, ალბათ, ცხოვრების უმთავრესი საიდუმლო. ვინ იცის, უამისოდ ვერც მოატანდა დღემდე ეს მოსაწყენი ცოდვით სავსე ჩვენი სამყარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყალთოზე ფიქრის დროს

თვალწინა მყავს თამარი,
    თვალწინა მყავს რუსთველი,
თვალწინა მყავს ქაჯეთიც,
    ქართველი რომ ძულს და მტრობს,
თვალწინა მყავს ერეკლე,
    ბრძენი, მტრის შემმუსვრელი.
თვალწინ საქართველოა
    იყალთოზე ფიქრის დროს.

მე ამ კედლებს ვენდობი,
    აქ მზითა ვარ ავსილი,
გადაფენილ ფერდობებს
    ქსოვს შვინდი და ასკილი.

აქ, ბილიკებს, შარაგზებს,
    კაცთა ფეხქვეშ გაცვეთილს,
ისევ ბრგე და ლამაზი
    მოყვებიან კაცები.
ქვებს რომ ქვები უყვარდეთ,
    ეს აქ შემიმჩნევია,
მკვიდრად ჩახუტებიან
    აგურები აგურებს.
ამ მიწაში და ქვაში
    რომ სულია, ჩვენია,
მიხარია აქ რომ ვარ
    და გულიც აქაურობს.

იქ კი, ხევში ჭოროხის,
    მუნჯი, გადაკეტილი,
ჩემი ბევრი ტაძარი,
    იყალთოს ბედს შესტირის.
მტერი ისევ მტერია,
    ისევ ღრენს და იქნევს ტორს...
თვალწინ საქართველოა
    იყალთოზე ფიქრის დროს.

შემოქმედებითი სახლი

ბედისწერის წერაში
სართულები გართულან,
იწერება რუსულად,
    იწერება ოსურად,
იწერება ქართულად,
    იწერება თათრულად.
იწერება მარტივად,
    იწერება ხან რთულად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იწერება მხატვრულად,
    იწერება ხალტურად.
ზოგი მთქნარებ-ზმორებით,
    სიგარეტთა ბოლებით,
კორიდორებს ჩაივლის.
    ზოგი დიდი ბოხოხით,
როგორც თვითონ შამილი,
    ოთახიდან მოხოხავს,
ტუჩზე მალულ ღიმილით.
დაწერილი ნაწერი
    არსად აღარ ეტევა.
სულ პირთამდე აავსო
    სახლი შემოქმედებამ.

●

დავიწყებულთა გახსენებებით,
გახშირებული გახსენებებით,
ხან მიღამდება, ხან მიამდება
გადაღალული ძველი ვნებები.

მჯეროდა ყმაწვილს, ყველა შემხვდური
იყო უფროსი, ჩემზე ჭკვიანი.
დღეს მოხუცს ვკითხე: — რამდენისა
    ხარ?
ოჰ, თურმე ჩემზე უმცროსი არი.

მეც მოვყოლივარ ჟამთა სიარულს,
დადინჯებულა ჩემი მდინარე.
მეც მარადიულ, ადამიანურ
სადარდებელით ვიდარდიანებ.

ვლადიმერ სოლოუხინს

სასაყვედუროს ვერაფერს გეტყვი
წარსულს ნაცნობს და მომავალს —
    უცნობს.
კაცს, როგორ გითხრა,
    მიყვარხარ-მეთქი,
მაგრამ შენ რომ ხარ,
    არა ვარ უძმოდ.
შენ გრძნობ თუ ყოფნის დიდი დინება
როგორ გვეღვრება,
    როგორ გვიდნება,
შენ მითხარ: — ძებნე, ვიცი, იშოვი,
დროს დაიფასებ, —
    იქნები შემძლე...
მე კი ჭოჭმანი ვერ მოვიშორე,
კვლავ თავისთავში თავისთავს ვეძებ.
გოგლა იტყოდა:
    — ოღონდაც, ნაღდად
შენი იყოს და გროში მოჭერი.
მაშინ იქნებ არ გეძძიმოს დარდი
თვალდახელშუა ჩავლილ დრო-ჟამის.

სასაყვედუროს ვერაფერს ვეტყვი,
წარსულს ნაცნობს და მომავალს
    უცნობს.
ნამდვილო რუსო,
    მხოლოდ შენ, ერთიც
მეყოფი, რომ ვთქვა, — არა ვარ
    უძმოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ადეიშვილი

გაზაფხულის სტრიქონებიდან

რატომ მარტო კაკაბი და გნოლი,
ერთი შენი მგალობელი მეც ვარ...

როდის იყო კარვებიდან შორი
მწყემსი ბიჭის მსხმოიარე ზეცა

სალამურის
მოწყრილი ყელი, —
ახლაც თითქოს
მთელ ჩემს სამწყსოს იტევს...

რა პატარა გოგო იყავ, ლელი!
რა ლამაზი ფრთები ჰქონდათ ჩიტებს.

თუმცა...

ვამბობ: ამ ზღაპრებს ცრემლის ფერი
აქვთ,
ცრემლის ფერი აქვთ — ამბობ
სტუმარი,
მაგრამ ქარესის ქვაზე სწერია,
ჩემი და შენი გასამტყუნარი:

— თუმცა
შეაღო ედემის კარი
და მშვიდად განვლო კრიალი ხმლების,

თუმცა
ბზის კოშკში შევიდა ქალი,
მაინც აქ დარჩა სიცილის ხმები.

არ გათბება...

რაა წკრიალებს გაზაფხული,
რა ქრება და
რა ნაა დება.

არ გათბება
ჩემი გული,
როგორც თოვლი —
არ გათბება...

მაგრამ ცა რომ მესინათლა,
იმ მტრედისფერ ცას ვუგალობ...

ალუბალო!
მზე შინა და
მზე გარეთა,
ალუბალო!

კიდევ საით მაფშალია

ამ გზით ქარიც ყელს იღადრავს,
შენც თალხები გფარავს...
მისხალ-მისხალ მიხსნი სად რა
ციხე კოშკი მდგარა.

მოიმსხვრევა ხსოვნის ზარი
და ხმაც ეკალს ისხამს, —
სადღა არის:
ის საყდარი,

ის წისქვილი,
ის გზა...

ალბათ მათი ნაშალია
ეს ნაღარი ქვებიც...

კიდევ
საით, მაფშალია,
მაგ შეტრუსულ ფრთებით?..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აწი გინდაც ვარდი ესხას

თქვეს სათქმელი უკვე წლებმა
და რაცა თქვეს მე ვარ თითქოს...
მივდივარ და გული მწყდება,
მაგრამ, რაზე არვინ მკითხოს....

აწი გინდაც ვარდი ესხას,
იმ თხმელიი ხეს ტოტებგაშლილს...
მივალ, მაგრამ
იქაც ეს გზა,
რომ დამიხვდეს,
რა ვქნა მაშინ?

მაინც მზისას უკრავს

რახანია ის წისქვილი, ის ჭრაქი და
შუკა,
ჩამქრალიაა,
ის ხლაპარი
მაინც მზისას უკრავს:

— ამ გზას გაჰყვე,
ვერ მობრუნდე,
— იმ გზას —
გაჰყვე ქარებს...

ვაი, ჩემო ჩიტის ბუდევ,
ჩემო ჩიტის მხარევ.

მაგრამ აპრილი...

— მოდი,
გეძახდი,
მაგრამ აპრილი
სულ ჩვენს ნებაზე როდის ჰყვაოდა

და წყალს მიჰქონდა ოთხივ ნაპირი,
თეთრი იების სასაფლაოდან...

ქრებოდა თვალში ცა უსასრულო,
ჭანებოდნენ ქარში ნუშის რტოები...

და მეხვეოდა მკლავებზე სურო,
შენი სინაზით და სასოებით.

შავ არაგვთან ნულარ მომკლავ

ვინ თქვა
ტრფობის წყარო დაშრა,
ვინ თქვა,
გაქრა ტრფობა ძველი.

იტირა და შავმა შაშვმა,
არც მე შემარჩინა ცრემლი...

ჟანგნარევი ფერი მომყვა,
ვერ დავტოვე ცას სხვა ფერი,

შავ არაგვთან
ნულარ მომკლავ,
თეთრ არაგვზე წამოფრენილს.

ალბათ სჯობდა

ჩემი დარდი სხვა დარდია,
სხვა თალხების ნარჩენია...

ჯერ ისეც რა მაბადია,
ან რაცა მაქვს რა ჩემია.

არ ჩამევლო
ალბათ სჯობდა,
როცა ვუცქერ ამ გზას ჩავლილს...

ჩემი კვალი —
ამა სოფლად,
ისე როგორც — წყალზე კვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეტავ რომელ მთვარეს გაჰყვა

ამოჰქონდა გული არღანს,
ქამზე, — შემოღამებისა:

— ვაი, კიდევ როდის გნახავ,
როგორ გავძლო ხვალამდისა.
. . .
ნეტავ
რომელ მთვარეს გაჰყვა
ნატვრა —ქარში გარეკისა,

შენს ციხეზე —
ჩემი ალყა,
ფერვა ხმლის და ფარებისა.

ისევ უცადოს...

ნურავინ სკითხავს გაწყვეტილ სიმზე,
საწუხარს მისას ნურვინ მოკდება...
მტკვარზე, რიონზე,
ენგურის პირზე
ისევ უცადოს სიყრმეს ოცნებამ.

როდის გაკრთება ის მნათი ცაზე
ოქროს თმებით და სინათლის ჩქერით...
რომ ერთხელ მაინც,
სამარის კარზე,
ვიხილო ქვეყნად რა იყო ჩემი.

ისევ მე...

ასე მაინც ვინ დამწყევლა, —
ეს რა ღვთის სასჯელია, —
ოუ რამე მჭირს
კვლავაც მე ვარ
და ეს მხარეც ჩემია
სად დასეტყვილ
გულს და მტევანს,

კვლავ ცრემლები მისველობს,
. . . . . .
დაღამდება —
ისევ მე ვარ,
გათენდება —
ისევ მე.

ნაპირი

გავაღებ სარკმელს —
გაზაფხული მიხსნის იარებს,
დაღარულ შუბლზე
დიდთოვლობის ფიფქი შრიალებს.

მიფრინავს ჩიტი,

თვალს ვაყოლებ
სიყრმის საფიცრებს...

ნუთუ ამდენი
ყვავილია გაღმა ნაპირზეც?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ლანჩავა

მოთხრობები

გესლი

„...დათვმან უთხრა: შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმრთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო“.

მძიმედ მიალაჯებდა მიხო. ტუჩებზე მიმდნარ სიგარეტს უკანასკნელ წვეთ შხამს სწოვდა და გადასაგდებად ვერ იმეტებდა. ისე ჩაათავა იმოდენა გზა, თავი არ აუწევია.

მომშორდიო, უხმოდ მოუქნევდა ფეხს უშნოდ გამლანდულ ძაღლს, თითქოს მკერდიდან გული უნდა ამოაფრინოსო, მძიმედ ამოიხვნეშებდა, ნაბიჯს შეაყოვნებდა, რაღაცას შეიხსენებდა, გონებაში აღადგენდა.

— მიხო, ჰაი, მიხო! საით მიიჩქარი, კაცო! — მამალივით გადმოჰყივლა ფერმის ეზოდან, ზვინის წვერზე გარჩენილმა ცალთვალა ბოგიამ.

წარბი კი შეჰკრა, მაგრამ გვერდზე არ მიუხედავს, უფრო დააგრძელა ნაბიჯი, ოღროჩოქი ბოლოუხვნა და თავდაღმართს დაუყვა.

„მოვკლავ!“ — ამოიხროტინა უნებურად, მერე ჩემი ამოძახილი ხომ არავის გაუგონიაო, მიმოიხედა, საკუთარი ენის წვერი კბილებში მოიქცია, ვატეტკა და, როცა დალურჯებული ტუჩები სისხლმა შეუღება, შვება იგრძნო.

უცებ გადასხვაფერდა მიხო. გულმა და გონებამ თითქოს კავშირი დაკარგესო, ერთი სხვას კარნახობდა, მეორე — სხვას. პატარა, წითელი მდინარეები სხეულში რომ წაღმა-უკუღმა დაუდიოდნენ, თანდათან გაიყინენ, დუნდებოდა და იმღვრეოდა კანსშიგნითა სამყარო.

შხამმა, ტყეში რომ ყურში ჩააწვეთეს, თანდათან აუმღვრია გონება და გაბორობა.

ვაგონებივით მირახრახებდნენ მოგონების ლაბირინთებში ობლობის მწარე დღეები. ლუკმაპურისთვის ნარბენ, დაბეეიერ ფეხისგულებში ისევ ჟონავდა სისხლი წვეთწვეთობით, თითქოს მოშუშებული ნაეკლარები ხელახლა გაიხსნენ და წყლულებად ექცენ. უჭირდა სიარული, ხუმრობა როდი იყო, მთელი ამოდენა გზა ფეხით ჩამოლია.

გუმანით გრძნობდა ნაგაზი პატრონის ნაღველს. იქნებ ავი ფიქრებიდან გამოვაძვრინოო, საკუთარ ნაჭუჭში შემძვრალს, ფეხებში წაებლანდებოდა, უხმოდ იტანდა მოქნეული ფეხის სიმწარესაც და დაუმსახურებელ შეურაცხყოფასაც. ცოტა ხნით ჩამორჩებოდა უკან, მერე ისევ წამოეწეოდა, მიუსმოუსვამდა გაბანჩულ კუდს ჩექმებზე. ნტვერს შემოაცლდა.

„ეზოში უკნიდან შევალ, ბოლოწეულებს დავუყვები, იქიდან ყანა-ყანა ვიცლი, მერე ხილის ბაღში გადავალ, ვაშლის ხეებს ვიფარებ, ტირიფით მოწნულ ღობეს გავყვები და კიბის ქვეშ მოვიკალათებ. ცოტაც შეღამდება და...“ — ფიქრობდა მიხო და ქამარში გარჭობილ წალდს ცერით ფხას უსინჯავდა.

ორი დღის საგზალი, ცოლმა ტილოგადაკრულ კალათში კოტტედ რომ ჩაუღლაგა, წაბლის ხის ტოტებს შეატოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათქმის თანახმად, ორი დღე უნდა ეჭრათ ტყეში სავენახე ხარდანი, ღამეც იქ გაეთიათ და როცა შემცვლელი ბრიგადა მოაკითხავდათ, მაშინლა დაბრუნებულიყვნენ სოფელში.

„გულდაგული კი მიმზადებდა ხორაგს, სუფთა ჰაერზე მადა აგეშლებათო, ჰურ-ღვინოც ბლომად გაიმეტა. ეშმაკზე სამი დღით ადრე გაჩენილია ქალი, სატანაა, ბალანდამწვარი, თფუ!“ — გადაფიტა ზნამივით.

პალოზე მიბმულმა ცხენმა შორიდანვე იცნო პატრონი, ფაფარი ანაგრა, კუდი ცოცხივით გაშალა და დაიჭიხვინა.

„ბგლის ხახა და შავი ჭირი!“ — ჩაილესინა მიხომ. ბედაურს სხვა დროს ცივ ნიავს რომ არ აკარებდა, ზედაც არ შეხედა, გვერდი უქცია და ვენახის ზვრებში დურთა თავი.

ნაგაზმა ირგვლივ შემოურბინა ცხენს, ბალახისკენ თავდახრილს, დრუნჩი ყურთან მიუტანა, თითქოს რაღაც საიდუმლო წასჩურჩულა, მიიხედ-მოიხედა, მიწა დაყნოსა და წკმუტუნით აედევნა მიხოს.

„გამცემს, უნდა მოვიშორო“, — გაუელვა მიხოს. შაბიამნის დასაყენებლად ამოცემენტებულ ორმოსთან შეჩერდა, წელზე შემოკრული ხარდნის საკრავი თოკი შემოიხსნა, ჩაიმუხლა, ძაღლს ხელით ანიშნა, აქ მოდიო.“ ნაგაზი იქვე მოშორებით უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა, ყურები დაცქვიტა და თვალებში შეაშტერდა. უმალ ამოიკითხა ბოროტი ჩანაფიქრი, უკან დაიხია, ისკუპა და კვახის ბარდებში გაძვრა.

„შენც იმათ მიგაყოლეს, დამაცა! — ღვარძლიანად გამოსცრა მიხომ კბილებში. — სახლსაც, ნალიასაც, ქვასაც და ხესაც ცეცხლს მივცემ“, —დაიმშვიდა თავი და რატომღაც ცას ახედა.

ჭვარტლისფერი აკვროდა ცის გუმბათს.

ღამის ჭრიჭინობელები თავიანთი საგალობელით შეეგებენ სოფელში ბინდის შემობრძანებას. სადღაც, შორს, ჭალაში მოგუგუნე ტრაქტორიც მიჩუმდა და საკუთარი გულისფეთქვა გაიგონა მიხომ.

„არა, ჯერ არა, მანდ უნდა იყო“, — აცახცახებული ხელი მიიდო მკერდზე. თითქოს გულის ამოვარდნის შეეშინდაო, საკინძე ბოლომდე შეიკრა.

ქათმებით დახუნძლული ხურმის ქვეშ გადრეკილი და სუნთქვაშეკრული გაძვრა, ნალიას მხრებით აეკრა და სახლს გახედა.

მკრთალი შუქი იღვრებოდა ფანჯრებიდან. ტილოს ფარდებს ოთახში მოემწყვდია სინთლე. ღამის პეპლები ეცეკვებოდნენ მინებს.

ვეება ლანდი ფრთხილად გამოცოცდა ნალიიდან, მოხრილი წაძუნძულდა და მარნის ღია კარში გაუჩინარდა.

აქედან კარგად ჩანდა სძინებელი ოთახი, კედელზე ჩამოშვებული ჭრელი ნოხი და მასზე აკრული ფერწასული სურათი.

ვინ იცის, უკვე რამდენი წელია ამ სურათიდან დაპყურებენ მშობლები მიხოს. ქალი რომ მოიყვანა და გვერდით მოიწვინა, შერცხვა მათი მზერის, სურათი ჩამოხსნა, ერთი კვირის შემდეგ კი ისევ თავის ადგილს დაუბრუნა, ბოდიშის მოხდით.

საკურთხობის ჟამს, როცა ირგვლივ საკმევლის სუნი ტრიალებდა, გფფაციებით შესჩერებოდა მიხო ხელებში მეუღლეს. შიშობდა, სუფრას არაფერი დააკლოს, არაფერი გამორჩესო.

„ნეტავი, კაცის მკვლელს თუ ვინმე აუნთებს სანთელს“, — გაუელვა უცებ გონებაში, გააჟრჟოლა და საცოდავად მოიკუნტა. კარის ჭრიალმა შეაფეხიზლა. ჩახვეულება მოესმა. მღელვარებამ აიტანა. არ ახსოვს მიხოს, რომ ფეხი ან ხელი აცახცახებოდეს, ახლა კი... ცოცმა ოფლმა მთელი ტანი დაუწინწკლა...

ვანომ რაღაც მოისროლა, ცას გახედა და ისევ მიიხედა კარი.

ძალა მოიკრიბა მიხომ, თითის წვერებზე წაყუნცულდა და ღრიჭოდ დარჩენილ კართან მიიტუნა.

„ვანო, ბიჭო! სანამ გინდა მე შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩერდე, ძნელია ორი კაცის გაძღება“, — მოესმა ცოლის ხმა.

ორი კაცის გაძღებაო?“

— ჰაი დედასა, ეს რა გაიგონეს მიხოს ყურებმა, ნუთუ მართალი უთხრა იმ ენაწაბილწულმა, შენი ძმა ხელებს იმ კაბის ქვეშ აფათურებს, სადაც შენი სინდისი იმალებაო.

თვალებზე მოწოლილმა სისხლმა მზერა დაუბნელა მიხოს. ცულს ისევ მოუსინჯა ფხა, ფეხის ხმაზე შეტოკდა, დაიხარა და იქვე, იატაკქვეშ შეძვრა გაუივრებით.

ვანომ ღიღინით შემოუარა სახლს, ვაშლის ხის ძირში ქვაზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა.

„გარემოს ზვერავს“, — გაიფიქრა მიხომ. ფაჩუნი მოესმა, დაიყურა. ძაღლი მოძვრებოდა, მორებს შორის გაფარჩხული წინ მოიწევდა.

„მე მდარაჯობს, საათვალთვალო და საპატრონო ვინც ყოფილა, იმას ახლოსაც არ ეკარება“, — უარესად დაიბოღმა.

ძაღლის თვალები ციისფრად ბოლავდნენ სიბნელეში. ანთებულ, წყვილ მუგუზალს თვალები მოუჭუტა მიხომ, დღეს დაგიბნელებო, — წაიჩურჩული და გაქვავდა.

ვანო ხველებით წამოდგა, წავიდა და ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა, საბლით ცხენს ექაჩებოდა.

უცებ, ცხენმა თავი გაიქნა, ყალყუზე შედგა, თოკი ხელიდან გააგდებინა ვანოს, ვანო წაფორხილდა, რაღაცას ფეხი წამოჰკრა და ხეს მიენარცხა.

„მოკლე ხელი იტკინა“, — ღვარძლიანად ჩაიღიმილა მიხომ.

ვანო წამოდგა, ხალათი ჩაიფერთხა, ცხენს მიუჩოჩდა, საბელი ხელთ იგდო, დაქაჩა და დაიმორჩილა პირუტყვი.

ცხენი რომ დაარწყულა და ქართაში დაბა, დიდხანს იდგა ვანო გარეთ, მერე, თითქოს შეაცივაო, აკანკალებული შევიდა სახლში.

დაბღვერილი მიხო ჯახირით გამობობღდა ლაფაროდან, ისევ მოკუნტული მიცუცქდა კარის ჭუჭრუტანასთან.

„ცუდი სიზმარი ვნახე, ვანო! — ჩურესმა ქალის ხმა.

„დედაკაცებს სულ სიზმრებისა გჯერათ“, — ბანზე აუდგო სიტყვა მაზლმა.

„ჯერა და მიზეზიცა მაქვს, ნეტავი ჩემს კაცს ფარსაგი რამე არ შეეყრებოდეს“.

„ერთი, შენც მოგცლია, რაღა, ტყეში ნადირი რახანია გაწყდა და შაშვები თვალებს ხომ ვერ ამოკორტნიან“.

„კაცი ცვარმა დააბრჩოო, ხომ გაგიგონია“.

„ეჰ, ჩემს ბედს რა ვუთხარი, ტვირთად რომ მაქცია, თორემ მე შინ რა მინდა და ტყეში მიხოსა. კაცს ცოლი ენატრებოდეს, მე კიდევ სახლში გუდარასავით ვეგდო, ვერაფერი ბედნიერებაა“.

„ნუ დარდობ, ბიჭო, სიკვდილს რომ გადარჩი, ღმერთს მადლობა უთხარ, სხვები სულ დაიღუპნენ, შენ კიდ...“

„ნეტა კაკიას ბიჭივით მეც ქვეშ მოვეყოლებინე იმ ზვავსა, თქვენც მოისვენებდით და მეც“.

„წეღან რომ გეხუმრე, ორ კაცს ვეღარ გაგწვდით-მეთქი, ხომ არ იწყინე? მე და მიხოს შენი დაცოლშვილება გვაქვს გადაწყვეტილი, თორემ ორი კაცის სარეცხი რას მიქვიან“.

მეტი ღარაფერი გაუგონია მიხოს, გაყინული სისხლი უცებ გათბა. კანქვეშ მოქცეული პატარა, წითელი მდინარეები აბობოქრდნენ, ბინდით დაჩრდილულ თვალებს სხივი დაუბრუნდა, მუხლებმა ძალა იგრძნო და მკლავებმა ღონე. ბავშვივით გადაევლო მოწნულ ღობეს, საცალფეხო ბილიკს ეფეფენა.

„თვითონ თავლაფდასხმული, სხვასაც სვრის და ჩირქს სცხებს, თავის სიბინძურეს სხვის ქერქვეშ ანიავებს თვალსასეიროდ, მე შენ გიჩვენებ!“— ფიქრობდა მიხო და ტყისკენ მიიჩქაროდა.

კოკონს შორდაღ მოჰკრა თვალი, ცისფერი ალი ცას სწვდებოდა. მთელი

თეიმურაზ ლანჩავა
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის ნაჯაფ ბიჭებს ხმელი ფიჩხი მოეკრიბათ, ცეცხლი დაენთოთ, ირგვლივ შემოსხდომოდნენ. დათლილი, წვერწამახული, კონებად შეკრული ხარდანი ერთმანეთის მიჯრით დაეწყოთ. მხიარულ მასლაათზე ეტყობოდათ, ღვინოც ტკბილად მიერთმიათ, ლაპარაკის საღერღელი აშლოდათ.

ტარასი ვიღაცას ქირდავდა ისევ. შხამი ამოჰქონდა გულ-მუცლიდან, ენის წვერით ანაწილებდა.

ბუჩქები იფარა მიხომ, „ღმერთო შემინდეო", — წაიჩურჩულა. უცებ გაიბრწყინა ცეცხლის შუქზე ცულმა და ენადაგესლილი კაცის თავი ნაცარში ჩაგორდა.

●

სასამართლოზე ხმა ვერ ამოაღებინეს მიხოს. სდუმდა და ძმას თვალს ვერ უმართავდა. სახე დამშვიდებოდა, იერიც თითქოსდა კმაყოფილი კაცისა ჰქონდა. ყველანაირად შეგუებოდა ბედს. მისთვის ახლა მთავარი ის იყო, რომ საკუთარ გადახურულში გველი არ უსისინებდა.

როცა მოსამართლემ განაჩენის გამოსატანად რამდენიმე წუთი ითხოვა, ვანო სკამიდან წამოდგა, ბარბაცით გაიარა, ძმას მიუახლოვდა, შეჩერდა, ნახვამდისო, თავაუწევლად ჩაულაპარაკა და გზა განაგრძო.

— სად მიგეჩქარება, ბიჭო! — შეჰღმუვლა მიხომ და წამწამზე კურცხალი დაეკიდა.

— ჩირქი უნდა ჩამოვირეცხო, წყნარად თქვა ვანომ, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და დარბაზი დატოვა.

●

მეორე დღეს, სოფლის ბოლოს, საგუბარში დამხრჩვალი კაცი იპოვა მზით დაშაშრულმა მეთევზემ. წელთრეგვი გამოიტანა გვამი სანაპიროზე, ტანზე შემომპალი ხალათი შემოახია და გულაღმა დაასვენა.

საბრალოს, მარჯვენა ხელი მარცხენაზე შესამჩნევად მოკლე, სუსტი და მოკრუნჩხული ჰქონდა.

უძლეველობა

ჩემი ყურადღება მარგილზე ჩამოცმულმა თავის ქალამ მიიპყრო. ცხენი შევაჩერე, თანამგზავრს ცერად გავხედე და ბორცვზე აღმართულ სვეტს ისევ ავაწვდინე მზერა.

— ქართველი კაცის სიყვარულის უძლეველობის მაგალითია, სოფელს თავის სიმბოლოდ გაუხდია, ჩამოღებას არ მანებებენ, — მითხრა მეგზურმა.

— მე ხომ ხალხურ თქმულებებსა და ლეგენდებს ვაგროვებ, იქნებ?..

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, წყაროსთან რომ ჩამოვისვენებთ, მაგ ძველთაძველ ამბავსაც იქ გიამბობ.

●

— ძნელი საქმე განგიზრახავს, თემრაზ! ბათარის ციხე შეუვალია. გალავნის კედლების სიმაღლის შიშით ქორი ფრთებს კეცავს, ხვლიკს მზერა უელამდება.

— რამდენი შესასვლელი აქვს ციხესაცხოვრისს?

— იმდენი, რამდენი გამოსასვლელიც, მომსვლელს და წამსვლელს, მტერს და მოყვარეს ერთი მთვარე დაჰნათის, ერთ კარს, ურდულიც ერთი ეყოფაო, ბატონმა.

— სამოყვროდ მოვსულვარ, დადუ.

— აკი მოგახსენე, ცუდ დროს გარჯილხარ-მეთქი.

— მსურდა გულის მურაზი დამენახა.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, მაგრამ ღმერთიც ვეღარ იმზირება ბათარის კარ-მიდამოში. გალავნის შიგ-

ნიდან ცა ისე მოჩანს, გეგონება, ქვევრში ვზივარო, კედლები ღრუბლებს შეშენებია, ვარსკვლავებით მოჭედილი გუმბათი ჭერივით ეკვრის ხავსიან შემოგარენს.

— სიყვარული ყველგან შეაღწევს, დადუ!

— ციხის კედლებს ჯერ ბზარი არ გასჩენია.

— გაჟონავს, დადუ!

— ეს მხოლოდ ცრემლს და წყალს შეუძლია.

— ჩონგურს თუ მიშოვი, ჩემო დადუ?!

— ეე... შვილოსა, ჩონგურს რა გამოუღევს ქართველ კაცს. სატირალ-საცინარი მაგის ლარებზე უნდა ჩამოფქვას-ჩამომღეროს.

— დროებით თოფ-აბჯარიც უნდა შემინახო, ეს ჩოხა-ნაბადიც სადმე მიჩურთე. ძველი ტანსაცმელი მიშოვე, უკვე გაცვეთილი, მიგდებული, შენ რომ აღარ გარგია.

— ჩემი ჯლანები შენს მხარ-ბეჭს როგორ მოერგება, თემრაზ.

— მოვირგებ, დადუ! ქალამანსაც მოვირგებ, ულვაშსაც სხვანაირად ავიპრეს და თმასაც სხვაგვარად ავიჩეჩ.

— უფალმა მოგიგლინოს სიკეთე.

— მადლობთ, დადუ.

— თემრაზ, შვილო, წელან ჩონგური ახსენე, რისთვის მოგნდომებია ჩონგური?!

— მისი ხმა ციხის კედლებს მინდა გადავაწვდინო.

— თავის მოკვეთა არ აგცდება, სიმღერას ვეღარ იტანს ბათარი, რაც ვაქი მოუკლეს, გლოვობს და პირს იხოკს.

— ისე უნდა იმღერო, ცოცხალს მკვდარი გაუცოცხლო, მაშინ ბაიარიც დაგინდობს და ასპიტიც — საკბენად შემზადებული.

— ვიცი, შვილოსა, ვიცი, მაგრამ თუ ჩონგური შხამითაა გატენილი, თუ სალბინობელ ძუძუდან ცრემლი გადმოდის, წყაროდ როგორ აქცევ.

— ჩემს გულს ჩავუდგამ, ჩემს გრძნობებს ჩავასახლებ.

— ორი თვის წინათ სათემოზე ცხენით ჩამოჩინდრიკდა მეზარის ვაჟი, მოყვრებში ღვინო შეესვა, ხასიათს სიმღერა მოსძალებოდა. ცხენზე დაჭინდრული, ღიღინებდა. ენა ამოაკვეთინა ბათარმა. ახლა, სათქმელი რომ მოეძალება, კბილებსღა აღრჭიალებს მხოლოდ.

— ცუდი ზნე სჭირვებია ბათარს. შენს დარდს სხვა არ უნდა შესწირო, ჭრელი რომაა, იმიტომაა ქვეყანა საინტერესო. ფერები რომ არ მოეგონა განგებას, რა იქნებოდა ქვეყნიერება, თუნდაც მარტო მწვანედ შემოსილი.

— შავებში შესუდრულ ბათარს თეთრი ფერი დასანახად შესჯავრდა. ვიცი გააჩინა მაგის შედაურმა, თეთრ ხალებიანი, იმწუხრა, მეჯინიბეს უბრძანა, გაასაჩუქრეთო.

ჩიტებს სტვენა აუკრძალა, მამლებს ყივილი, ძაძით შემოსა სამფლობელოს ყველა კუნჭული. დილეგში ჩამხობილი, ძაღლების ყეფამ გამოიტყუა ამას წინათ. ერთ ძუკანს მისეოდნენ ყეფაგნიასით. დურმიშხანის აჩრდილი გამიქცეესო, იბღავლა... ერთიანად დაწამლეს საწყლები, უმწეო წამუტტუნში ამოძვრათ სული.

— ცუდი სიზმარი ამყვა ამ დილით, დადუ! დათვის ბუნაგში დაჩოქილი ვლოცულობდი. ჩრდილი დამეცა უკნიდან. წამოვვარდი, მუხლი გავშალე, ჰოი, საოცრებავ! ბუნაგის შესასვლელი დათვს ვეება ლოდით ამოექოლა. კედლებს ვეხეთქებოდი, სამოსს ვიფხრეწდი, უცებ ჭუჭრუტანაში პატარა, გულყვითელა ჩიტი შემოფრინდა, მხარზე დამაჯდა, ნისკარტი ყურთან მომიტანა და წამჩურჩულა: თემრაზ ბატონო, ნუ სწუხარ, იქ, სადაც სინათლის სხივი გაეტევა, იმედიც გაეტევა. გიხაროდეს, რომ მარტო აღარ ხარ, ყველაზე ძნელი ამ დუნიაზე მარტოობაა, მოდი, გავართოთ ერთმანეთი, არ შეიძლება ეს ლოდი დრომ მაინც არ გადააგოროს აქედან, მთავარი მოთმინება.

თეიმურაზ ლაღიძე
ბოთბარობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მისანი გამოგცხადებია, იქნებ ცხადში გეახლა, გიწინასწარმეტყველა.

— თვალი რომ გავახილე, ბეჭზე ხელი ვიტაცე, ჩიტის მაგივრად ხვლიკის კუდიღა შემრჩა ხელში; თვითონ დამფრთხალი, უკუდო, კედელს აპორტყებოდა საცოდავად.

— სსუუ... თემრაზ, მგონი შენი ცხენი ჰიხვინებს.

— კი, ჩემი შუბლთეთრაა, მიხმობს.

— პირი უნდა აუკრა, თემრაზ.

— ეს რა წესია.

— ჩვენებური, აკი, მოგახსენე, ბათარმა მამლის ყიივილიც აკრძალა-მეთქი.

— ცხენი დაუჭიხვინებელი, მამალი ყელჩახრეწილი, სახლი გამოკეტილი, ხოლო პირი დამუწული, ვის რად უნდა, დადუ!

— ბატონს უნდა, ბათარს უნდა, მის ჯალაბს, ესე იგი ყველას.

— მზე თუ გიხარია, დადუ!

— მზე კი, ოღონდ გვეშინია, ტოროლები აჰყვებიან დილით მზის სხივებს, ამ დროს გველნაკბენივით ღრიალებს ბათარი და თავში მუშტებს იშენს. დამუწჯდა სოფელი, თემრაზ ბატონო. ბავშვებმა სიცილის უფლება დაკარგეს. მარტოოა კენესა ისმის აქა-იქ, ისიც ჩაგუდული, გულ-გვამში ჩაბღვერილი. საცოლედ შეღერებულ ბიჭებს სული კბილით უჭირავთ, არადა, ულინოდ როგორ მოიყვანონ მეტახტური. მიჩუმებულ სოფელს მგელი შემოეჭვია. ყმუილით იკლებენ აქაურობას.

— დადუ, მომეცი ჩონგური, სიყვარული არ მასვენებს, სიმღერას მთხოვს, საცაა მკერდს გამოანგრევს. მე უნდა ვუმღერო ქალს, ბათარისას.

სალოცავში ვნახე იგი პირველად, ხელში სანთლები ეჭირა და მშობლების ლანდს ადევნებული, მზერამოუცილებლად შესჩერებოდა შესაწირად შემზადებულ თეთრ ხარს. ვთქვი მაშინ: ცასა და მიწას შორის რაც არსებობს, ყველაფრისათვის მიმიფურთხებია, ეგ შენი სანთლები, ასე რომ ციმციმებენ, მე უნდა მინათებდნენ.

თითქოს განზრახვას მიმიხვდაო, უკან მოიხედა გოგომ, მივუახლოვდი, წავჩურჩულე: — შენი სახელი მაჩუქე, პატარა მზეთუნახავო-მეთქი. ლოყები შეუფაკლდა, თავი ჩახარა, ნათია მქვიაო, თქვა და შეჩერდა. ბათარმა მოიხედა, ფეხს აუჩქარეო, გოგოს გაუწყრა.

ხარს რქებზე სანთლები აუნთეს, მერე თავი წაადგებინეს. სისხლმა მოტბორა იქაურობა. მინდვრის თეთრმა გვირილებმა ფერი იცვალეს, მიწას დაეგლისნენ, მივედი სულისგან დაცლილ პირუტყვთან, მოჭრილი ხარის თავი ხელში ავიღე, შუბლზე ვაკოცე და წავჩურჩულე: „სული და ხორცი გაიყარა, ჩვენო მარჩენალო. სანამ მეც ეგრე დამატყდების, ნათია იარსებებს ჩემში“. იმ დღიდან რაღაც უხილავი ჩამისახლდა სულში. დღემდე ვინახავდი და ვზრდიდი, ბეტის მოთმენა აღარ შემიძლია, თუნდ იმ ხარივით თავი წარმკვეთონ, სული ხორცს გაეყაროს და სისხლი მიწას დაენთხეს, უნდა ვიმღერო, მომეცი ჩონგური!

— ცუდი სენი შეგყრიაო, ვერ გეტყვე, თემრაზ! სიყვარულის სიცუდე ვის გაუგია, ესაა, რომ დრო მოგინახავს ცუდი, საამიკოდ და სასიმღეროდ.

— საქმეც ეგაა, დადუ, რომ სიყვარულმა დრო და ვითარება, ასაკი და მდგომარეობა არ იცის. ამაშია მაგის უძლეველობა და სიდიადე.

— ნათიას ახსოვხარ?

— დრო და მანძილმა, რა ხანია დაგვაშორა.

— თემრაზ, შვილო, ქალი ერთი თვალისახვევაა, თუ სხვამ დაგასწრო...

— დადუ, ძვირფასო, არავის თვალის ახვევა არ მჩვევია მე. ჩემი ნიღაბი ჩემი ყოველდღიური სახეა. ხოლო ჩემი ხასიათი, ჩემი უბრალოებიდან მოდის.

— მჯერა თემრაზ, ჩემს ბეჭებზე გაზრდილი ხარ შენ. ჯერ კიდევ ბალღი ვარსკვლავებს ეპოტინებოდი. ეგეთი იყო მამაშენიც, ანაფორაში აწამებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეულს, ღმერთის მსაჯურს, მოკვდავთა შორის ამოსძვრა სული.

— ციხე-საცხოვრისის კარები რა დროს იღება, დადუ.

— გამთენიისას, ნახირს რომ ველზე წარეკავენ საბალახოდ. ყოფილა შემთხვევა, მიმწუხრის ჟამსაც აჭრიალებულა ალაყაფის კარი, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

— მაშინ ცისკარს დაველოდები. დილით მწყემსებს იქნებ ავედევნო.

— ძნელია!

— ტყის ჩიტი ოქროს გალიაში მოკვდაო, ხომ გაგიგონია, გული არ მასვენებს.

— მწყემსებმა რომ გიმუხთლონ?

— ეს საქმეც შენ უნდა ითავო.

— ძმადნაფიცი მყავს ერთი, მენახირეთუფროსი. ტანმჭლე და წვერებცოცხა კაცია. მას უნდა გავენდოთ.

— ღალატი რომ ჩაუსახლდეს?

— ეს საქმე მე მომანდე.

●

გამთენიისას ცის კაბადონს რომ ტყვიისფერი გადაეკრა, ძილ-ღვიძილში ჩაყურყუმელავებულ სოფელს ჩონგურის ხმა ჩაესმა.

მწყემსებმა ჯერ თითქოს ყურს არ დაუჯერეს, მერე თანდათან, უფრო და უფრო რომ გამოიკვეთა მამაკაცის სევდანარევი ხმა, თვალის ცეცებით დალაშქრეს იქაურობა.

მაღლა, ციხის ქონგურზე ახალ მთვარესავით წელში გადრეკილი ჩანდა კაცის სილუეტი.

ტ ვ ი რ თ ი

სოფლის ორღობეში, ახლად მოხეინჭაკულ შარაზე ბავშვები შეჯაუფფულან. მაყვლის წვენით მოთხუპნულებს, თავები ცისკენ აუღერიათ, რეაქტიული თვითმფრინავის მიერ თეთრად გახაზულ ცას შესცქერიან.

— მამაჩემია, — ამბობს ერთი.

— რანაირად მიხვდი? — ეკითხება მეორე.

— მთვარეზე მივემგზავრებიო, მითხრა.

— რა უნდა მთვარეზე? — პირში შესჩერებიან ტოლები.

— ბებიას სათვალე დაეკარგა, მარჩიელს უთქვამს, მთვარიან ღამეში უსათუოდ იპოვნითო. ჰოდა, მამაჩემი მთვარეზე უნდა ავიდეს.

— კი მაგრამ, სათვალეს დღე უფრო არ იპოვით? — კისკისებენ გოგონები, თითს წვერებზე ხტიან, მატყუარა, მატყუარაო, აჯავრებენ თავბოლოკა ბიჭს.

— მამაჩემი მონადირეა, — ამბობს ნამლევა, თავის ლანდს შეზრდილი გოგო.

— მამაჩემზე დიდი თოფი აქვს? — ეკითხება ფერადი კენჭებით უბეგამოპეყილი, თვალწარბად ქცეული ბიჭი.

— ამხელაა, ა!.. — ხელებს ზლის გოგო, რაც შეუძლია, თითებს პარჭყავს. ამას წინათ წერო მომიყვანა, კობიასავეთ გრძელი ფაზები, წვრილი კისერი და წაწვეტებული ცხვირი ჰქონდა.

— წეროს და იხვნისკარტას თვითონ ჰგავხარ, — იწელება ბიჭი ლამის მაისურიდან ამოვარდეს.

— მამაჩემს რად უნდა თოფი, ღონიერია, ერთხელ წისქვილის დოლაბი ასწია და ძარღვი გაენასკვა. ექიმმა თქვა, არ უნდა ექნა, რა ძალა ადგაო.

— მე ზღვაზე მივდივარ, თავს იფხანს ჭორფლით სახედაწინწკლული, ლოყებწითელა ბიჭი.

თეიმურაზ ლანჩავა
მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვის მიჰყავხარ? — შურით შესჩერებია კობა.

— მამაჩემს! შვებულებით ჩამოვალ და გემით გასეირნებო, დამპირდა, — ამაყად ამბობს ჯორფლიანი.

ყველაზე პატარა, ცხვირაპაუა ბიჭი სევდიანი თვალებით შესცქერის ხან ერთს, ხან მეორეს, ცისფერი თვალები თანდათან ევსება ცრემლით, ტუჩებზე მომდგარ ტირილს იკავებს და სახლისაკენ სლუკუნით გარბის.

— ვინ აატირა მამუკა? — კითხულობს კობა და დოინჯს იკეთებს.

— საწყენი არაფერი მითქვამს, — ამბობს კენჭებით უბეამტენილი.

— არც ჩვენ, შეშფოთებული სახით უდასტურებენ დანარჩენები.

●

— აგერ მამაშენიც, რა გატირებს! იმოდენა ტვირთს გადმოცლა არ უნდა? მოილევს საქმეს და მოვა, — ამშვიდებს გულამომჯდარ შვილს ცვილის სანთელივით ჩამომდნარი ქალი, შავი თვალფრის ყურით ცრემლებს მალულად იწმენდს და კედლისკენ იყურება...

კედელზე მამაკაცის გადიდებული სურათი ჰკიდია: ხის მორებით დატვირთული მანქანის წინ პერანგგაღებული დგას შავთვალწარბა, მოღიმარი მამაკაცი. ცალ ხელში სიგარეტი უჭირავს, ცალში — დაშმუჭნილი ბუკლეს ქუდი.

სურათის ქვემოთ დიდი, მრგვალი ასოებით აწერია: „უკანასკნელი საჩუქარი ბონდოს (ბაჟას) მეგობრებისაგან“.

მ ო წ მ ე

ტოლია ბორჩალოვი ცოლს ეყრებოდა...

ყველაფერს, რაც ვალიასთან ურთიერთობას ეხებოდა, ხაზი გადაუსვა.

„მე, ტოლია მაქსიმეს ძე ბორჩალოვი, მოვითხოვ...“

ჩაბაბტისფეხური განცხადება.

ერთი სიტყვით, ოჯახი ინგრეოდა, სიყვარულით შეყრილ წყვილს, ქოლგა რომ თავშესაფარებლად ჰყოფნიდა, ამოდენა ჭერქვეშ აღარ დაედგომებოდა.

ბორჩალოვი მკერდზე მუშტის ბრაგუნით, ხალხში ხმამაღლა აცხადებდა, თავი მომჭრაო. ზომაზე მეტად გახეულ ტუჩებს შიგნით კბილებს ისე ახრჭიალებდა, მშიერ მგელს ში'მით საკბილო გაუვარდებოდა.

მოსამართლემ მოსაფერებლად ვადა ერთი თვით გაუგრძელა, ბოლოს არ ინანოო, — უთხრა, კედელთან ატუზულ ვალიას თვალებით მიეთამაშა, ცოტახნით გაეცალე, თავის თავთან მარტო დარჩეს, ცეცხლი გაუნელდება, იქნებ გული შემოიბრუნოსო, — დაამედა.

— ფიქრის დრო სად რჩება მაგას, ლოთობს, — ამოისლუკუნა ქალმა, ცრემლები თავსაფრის ყურით მოიმშრალა, თავი ჩაქინდრა.

— ადრე სვამდა? — სათვალე გაიკეთა მოსამართლემ და ისე ჩაუშტერდა, თითქოს ქალის გულის სიღრმეში ჩამალული სევდა უკეთ უნდა დაინახოს, თვალებიდან ამოაცოცოსო.

— სვამდა და ტრიფონის გარმონზე ცეკვავდა. ორი თვე არ უძლებდა ჩექმა, — მწუხარება გადაეკრა ქალის პირისახეს.

— გოგონებთან ღლაბუცში თუ შეგიმჩნევია? — კეფა მოისრისა მოსამართლემ.

— ნახევარჯერ შინ არ იყო, რაიონის ბეღლებში კარტოფილის გადმოზიდვაზე ყოველთვის მაგას ეძახდნენ. ერთხელ ვიმპელის საათიც აჩუქეს მუყაითობისთვის.

— კარგი, წაბრძანდით, ისევ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიძახებ, ცალკე მოვეთათბირები, იქნებ ჯორიდან ჩამოვახტუნო, — მკლავზე ხელი მოუცაცუნა მოსამართლემ, კარამდე მიაცილა, თვალი ააყოლ-ჩააყოლა.

●

მეოცნებე გოგო იყო ვალიუშა. მისი ცისფერი თვალები, მხრებზე ჩამოშლილი ოქროსფერი თმა და მარწყვივით ტუჩები ჯოჯოხეთის გზაზე დამდგარ კაცს შემოაბრუნებდა, ლოცვას ასწავლიდა, ცოდვებისაგან განწმენდდა.

უცვე აყრილმა ტანმა და ბიჭებში ხტუნვა-თამაშმა ადრიანად მოამწიფა. ათქვირებულ სხეულში ენება თავს ვეღარ იკავებდა. მისი სილამაზე ხან ვის დაუფრინდებოდა გიტარის სიმებზე, ხან ვის.

სიმღერაც გამოუთქვეს ბიჭებმა, მერე ეს სიმღერა ვიღაც-ვიღაცეებმა გარმონშიც ჩასახლეს.

კაბა შემოადნეს ცხელი ხელებით, აცეკვებდნენ და ეტმასნებოდნენ.

ტოლია ბორჩალოვს, სამხედროდან დაბრუნებულ და „ცხოვრებას გაცნობილ“ ბიჭს, ერთხელ არაყის სმით გაწითლებულ ცხვირზე სიყვარულის ანგელოზი დაადფრინდა, ფრთები აუქნია, მიბნედილი თვალები აახელინა და გარმონზე მოცეკვავე ვალია დაანახვა.

ერთი ორჯერ აუქნია პეპელასფრთიან ანგელოზს ხელი ბორჩალოვმა, მაინც რომ ვერ დააფრთხო, თვალები დაკაკა და...

— იმდენ ხანს გეძინა? — გაუცინა მეგობარმა. არა, ნამდვილად გეძინა, — დაუზუსტა თვითონვე, — მაგ გოგოსთვის კოლია იგნატიევი თავს იხრჩობდა ამას წინათ, შენ აკლიხარ ახლა...

— იგნატიევი ჯარში იყო, სამშობლოს ემსახურა? — ამაყად გაიჭიმა ყოფილი ჯარისკაცი.

— დაბრაკეს, მუცლის ტიფი აქვს გადატანილი, აუხსნა მოსაუბრემ.

— კეთილი და პატიოსანი, ტიფიანს, ჯარი თუ არა, არც ეს გოგო ეკუთვნის, — უტიფრად თქვა ტოლიამ.

— ახლა კი ნამდვილად ჩამოიხრჩობს თავს იგნატიევი, — მწუხარედ ჩაიბუტბუტა ბიჭმა.

— ჩამოიხრჩობს და ჩამოვხსნით...

იმ ღამით თვალი არ მოუხუჭავს ბორჩალოვს. რაღაც უხილავი ტკბილად უხაჭუნებდა გულში და გონებაში. „ვთხოვ ხელს პატიოსნად, გამოვა? ხომ კარგი, არა და, იალა...“ აწყობდა გეგმებს.

ვარსკვლავთმჭვრეტელი შეარქვეს ბიჭებმა. თვის ზვინზე გულაღმა გაშოტილი, ხშირად მეველის კარავში ათევდა ღამეებს, ზომავდა, ანგარიშობდა რაღაცას, გვიან, გამთენიისას თუ ჩაეძინებოდა.

დანავარდობდა ვალია ცაში, მიწაზე დარჩენილი ბორჩალოვი იქნევდა უმწეო ხელებს. „ის ცისკენ მიილტვის და მზეს ეთამაშება, მე მიწა მექაჩება, ვითომ იგნატიევის ცოდვა მამძიმებს? — ბრდღვინავდა თავის თავთან დარჩენილი ბიჭი, გაღვიძებულს და სიზმრებს ხლართებიდან გამომძვრალს, თვალები ცრემლით ევსებოდა.

ერთხელ, საცალფეხო ბილიკით პუერის ყანაში მიმავალ პროკოფის აედევნა მალულად. თავს ინუგეშებდა: პროკოფი ქვრივია, ვალიუშას რაც მალე შეაჭრის თოკს, უფრო მოისვენებს, იქნებ ცოლის შერთვაც სურს, მაგრამ შვილს ეროდებაო.

უცვე გველნაკბენივით შეხტა პროკოფი, ღალეა აუფრინდა ფეხებში. კისერმოღრეცილმა ფრინველს რომ თვალი გაადევნა, ტოლია შენიშნა, ხელი დაუქნია, ნაბიჯი შეაყოვნა. ფეხს აუჩქარა ბიჭმა, ღიმილით მიესალმა. სახეზე წამოწითლდა. ვინ იცის, რაზე არ ისაუბრეს, სათქმელი მაინც ვერ ამოღერღა ბორჩალოვმა, მაინცდამა-

---

თეიმურაზ ლანჩავა
ნოუხროგბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინც მაშინ დაებმებოდა ენა, საკუთარი გულისტკივილის თქმას რომ დაამირებდა.

— სამშობლოს ვალი მოხდილი გაქვს, ახლა ოჯახზე იფიქრე, ქვეყანა ოჯახებისაგან შედგება, ოჯახები — ჩვენისთანა უბრალო ხალხისაგან, ჩაავლე ვისმეს ხელი, ჩაეპაწკურე და... პაპიროსის ბოლს ამოაყოლა პროკოფიმ სათქმელი.

— სწავლის გაგრძელება მინდა, — აშკარად იცრუა ტოლიამ.

— ეჰ, შვილოსა, კარგია სწავლა, მაგრამ ქვეყანას მიწის მუშაც სჭირდება. მშიერ კუჭს გლეხის ნაოფლარ-ნაოსიმწარევი შველის, თქვენ კიდევ, ესაო, ესაო. ცაში იცქირებით...

— ეხლა ლაპარაკობ ეგრე, თორემ... პორთფელიანი მინისტრები გსურთ ყველას სიძეებად. — ჩაიბურტყუნა ტოლიამ.

პროკოფის არაფერი უპასუხნია, ნაბიჯი უფრო დაგრძელა, კარგა ხანს იარა, მერე ერთ ადგილზე შეჩერდა, ხელი წინ გაიწვდინა. — ამ პურის ყასას ხედავ, ზღვასავით რომ ღელავს?— კითხა.

— ვხედავ და მიხარია, — თქვა ტოლიამ.

— ჰოდა, ეგ სიხარული ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

კისკისი მოისმა, მდინარეს შესეოდნენ გოგონები, თავ-პირი ჭილის ქუდებით დაეჩრდილათ, საცვლები ბუჩქებზე მიეფინათ, შაშვებივით ჭახჭახებდნენ.

პროკოფიმ ტუჩები ენით გაილოკა, ფრთხილადო, — ბიჭს ანიშნა. ტოლია წელში მოიხარა, ასკილის ბუჩქი იფარა, მოიკუნტა და წაქცეულ მორისკენ გახოდა.

— ყველას თავისი ჭია აწვალებს, — ქერა ულვაშებში ჩაიღიმილა პროკოფიმ. — ჩვენს მჭედელ ვანია ბიკოვს, არაკი უყვარს, ვასია სტეფანოვს — საანგარიშო და ხალტურა, მე, ამათი ცქერა, თვალს ვასეირებ.

„გამოთაყვანებულა, საცოდავი,“ — გაიფიქრა ტოლიამ, ნაძვის გადანაჭერს მხრებით მიეყრდნო. — შენს ქალიშვილს, ვალიას რომ ასე უთვალთვალონ, გაგებარდება? — მწყრალად გადაულაპარაკა თვალებადაქცეულ კაცს.

ჭროღა თვალებმა ჯერ ბოროტად გამოაშუქეს, მერე თანდათან დაწვრილდნენ, აციმციმდნენ.

— ვალიუშა ქარგავს, ჭრის და კერავს, გითხრა სიმართლე, გოგონებთან ერთად ბანაობს თუ არა, ამაზე არც მიფიქრია, — თავი ჩაქინდრა პროკოფიმ.

ქვიშას დასნატული გოგონები ჟივილ-ხივილით წამოიშალნენ, მდინარის ტალღებში შეცვივდნენ, ნაწნავები ჩქერებს შეატოვეს.

პროკოფიმ შუბლი მოიჩრდილა, მზეს გახედა, საცაა, ისიც გამოჩნდებაო, ჩაილაპარაკა.

ტოლია გოგონების ცქერით გაერთო, კინაღამ დაავიწყდა, რომ მოთვალთვალის როლში იმყოფებოდა. ერთს ჩემებურად ვისკუპებ წყალში, ჩავყვინთავ და ჯოგში გავერევიო, გადაწყვიტა, მაგრამ წამომართულს, ხალათზე დაქაჩა პროკოფიმ, იყუჩეო, მწყრალად შეუბღვირა.

მდინარის მეორე ნაპირზე შავოსანი ქალი გამოჩნდა, თავზე თეთრეულით სავსე ალუმინის ტაშტი შემოედგა.

— ასეც ვიცოდი, ყოველ შაბათს, გამოჩნდება-ხოლმე, წყალი რომ არ აუმღვრიონ, გოგონებიც გაილალბიან, შენც წადი, არავინ დაგინახოს, — ხვეწნა-მუდარა გაურია პროკოფიმ ხმაში.

ტოლია მორჩილად წამოდგა, გალახული ძაღლივით უხმოდ შეტრიალდა და წაძუნძულდა.

„პროკოფიმ სამგლოვიარო ხალათი მზით გაახუნა სხვისი ქვრივების ცქერაში, ეტყობა, ვიღაცას უთვალთვალებს და ეკურკურება, ვალიუშას ბედი მაგას ისე ადარდებს, როგორც მე ჩვენი სოფლის კანტორის“, — ფიქრობდა ტოლია, გზადაგზა ჩერდებოდა, ათავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავებულ პურის ყანას გასცქეროდა, ღიღინებდა.

●

შობა დღეს, ღორების ღრუტუნ-ჭყივილი რომ მიწყდა და სისხლით დაწინწყლული მიწაც თოვლმა გადაფარა, სოფლის კლუბს მიაშურეს გოგო-ბიჭებმა, გარმონი გაწყლ-გამოწყლეს, იატაკზე ფეხები აბაკუნეს, ჭერი სტვენით ასწიეს, გოგონებს ჩაფრინდნენ. სამჯერ აცეკვა ბორჩალოვმა ვალია. გოგონამ იგრძნო, ბორჩალოვს ცეკვის გარდა, სხვა სურვილები მოუდიოდნენ ნაპერწკლებად ქცეული თვალებიდან.

— სად იყავი აქამდე, რომ არ სჩანდი? — თვალებში შეაჩერდა გოგონა ტოლიას.

— შენი სახლის ჭერზე, ცაში, მიწაში, ყველგან, სადაც შენ მეგულებოდი, — მორცხვად უთხრა ბიჭმა.

— რომ ვერ გხედავდი?

— ფიქრის და ოცნების დანახვა ძალიან ძნელია, — სახეზე წამოწოთლდა ბორჩალოვი.

ხვავრიელად მოსულმა თოვლმა და ბორჩალოვის საალერსო სიტყვებმა გზა და კვალი აუბნიეს გოგოს. არაყთან შეზავებულმა გულით ნათქვამმა სიტყვებმა საოცრად იმოქმედეს და როცა პროკოფიმ ქალიშვილს კლუბში მიაკითხა, იგი უკვე ტოლია ბორჩალოვის ჭერზე ითვლიდა ციცინათელებს.

●

ორ თვეში ბორჩალოვი შეკრებაზე გამოიძახეს.

— ნამეტანს ნუ გაერთობი, გახსოვდეს, ჩინის ასამაღლებლად მივდივარ,— უთხრა ცოლს, საჭირო ნივთები ბოხჩაში გამოჰკრა, დაემშვიდობა და კომისარიატში გამოცხადდა.

დრომ უცებ გაირბინა. მზით გახრუკული და სირბილით ფერდებჩაცვენილი ტოლია ერთ საღამოს მშვიდად მიადგა თავის სახლს, ხელის ცახცახით შეაღო ჭიშკარი, ფართო ქამარი შემოიხსნა, დამტვერილ ჩექმებს გაუტაცუნა და ოთახის კარებზე მიაკაკუნა.

კარი რომ არავინ გაუღო, თვითონ მოიძებნა გასაღები, ოთახებში ფეხაკრეფით შევიდა და საწოლზე გაიშხლართა.

„იქნებ პროკოფიმ ჩემს აქარყოფნაში ცოლიც შეირთო, მოაკითხა და წაიყვანა, ო, რა სეირი იქნება“ — ეღიმებოდა ტოლიას.

კარის ჭრიალზე მარდად წამოიჭრა.

— ტოლია! საყვარელო! ნუთუ ასე მალე... გადაეხვია ცოლი.

კედლის საათს ახედა ტოლიამ, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია, ქუჩას გახედა.

— ძნელი ყოფილა სიმარტოვე, — ჩურჩულით თქვა ქალმა.

— საიდან მობრძანდი — ალმაცერად ახედ-დახედა ტოლიამ.

— თქვენი მოლარის, ტანია ეფემენკოს დაბადების დღეზე ვიყავი. არ დამაყენეს, ქვრივივით გამოკეტილხარო, წენი ეაცი, ვინ იცის, ვისთან გორაობს, შენ კიდევ ზიხარ და ელოდებიო. ერთი სიტყვით, ამიყოლიეს, — ჩამოამღერა ვალიამ.

ბორჩალოვი დუმდა.

— ჭიშკამდე ვინ მოგაცილა?! — წარბი შეიკრა ბორჩალოვმა.

— არავინ, — იცრუა ვალიამ.

— სტუუი, — იგნატიევის ძაღლს მოვკარი თვალი, — სახეზე წამოენთო ბორჩალოვი.

— ჭუჩა ძაღლებისაა, მე რა ვიცი...

— ძაღლი არავის აედევნება შუაღამით, პატრონის უმისოდ! — მაგიდას მუშტი დაჰკრა ტოლიამ.

— ეჭვიანი ხარ, ტოლია, ვთქვათ და, მართლა მომაცილა იგნატიევმა, რა მოხდა მერე?

— რატომ მაინცდამაინც იგნატიევმა და მისმა ნაგაზმა!

— სხვას არ ეცალა, სხვებმა სხვები...

თეიმურაზ ლანჩავა
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იგნატიევს რომ უყვარდი, ხომ ვიცი მე!

— მერე...

— იგნატიევს ახლაც უყვარხარ!

— ვუყვარვარ და ვუყვარდე. რაც მეტ ვინმეს ვეყვარები, უკეთესია.

— მოდიოდი და მოგყვებოდა, არა?.. რაო, მაინც, რა მინდაო?..

— იგნატიევს ჩემგან არაფერი მოუთხოვია, იმაზე მესაუბრა, რისი თქმაც ადრე სდომებია.

— კარგი, გათენდეს, ვნახოთ! — ჩაიბურდღუნა ბორჩალოვმა და კარი გაიჯახუნა.

●

ვინ დაარწმუნებდა ბორჩალოვს, რომ არსებობს მიუწვდომელი, ზეციური სიყვარული, ისეთი, კაბის ჩამოღლეტვითა და ხვევნა-კოცნით რომ არ მთავრდება. რომ, არიან კოლია იგნატიევისნაანა ადამიანები, რომლებიც ოცნების კოშკებს მხოლოდ ფიქრით აშენებენ, მერე, ერთ დღეს, ვიღაცის ღალატითა და უგულობით განაწამები, თვითონვე ჩაუდებენ ამ კოშკს საძირკველში დინამტს, ააფეთქებენ და საკუთარ ოცნებათა ნანგრევებში იმარხებიან.

არადა, მართლა ძნელი დასაჯერებელი იყო, ვალიას ზღვასავით უძირო თვალებში ვინმეს ისე ჩაეყვინთა, რომ მარგალიტის ნიჟარას არ წაპოტინებოდა.

ბორჩალოვს არავინ ჰყავდა იმ ღამის მოწმე, გარდა იგნატიევის შავი ნაგაზისა და მობდღვრიალე მთვარისა. ნაგაზს ლაპარაკი არ შეეძლო, მთვარეს კი სხივები იმ პატარა ბაღისთვის მოებნია, გვირილებით გაქთქთებულ ველზე რომ მიიპარებოდა.

რაც შეეხება ბგერებს, სიყვარულის ძალით რომ იყვნენ დამუხტული, ისინი ჰაერში განიბნენ და არარაობად იქცნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაგუ მებურიშვილი

ტ ა გ უ მ ებ ურ ი შ ვ ი ლ ს 50 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია მრავალთასიან მკითხველთან ერთად ულოცავს პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

სხვა ვნებები შეცვლის

ქრის ნიავი ცეტი —
სუსტი ქარი ზენა,
რომელიღაც წერტილს
ჩაფრენია მზერა.

შარშან ამ დროს, ამ შინდს
სხვა ფოთლები ჰქონდა,
და სხვანაირ დარში
სხვა ნიავი ქროდა.

რა ხანია დაშრა
ცრემლი საიმდროო,
სხვას ვგლოვობდი შარშან,
ახლა სულ სხვას ვგლოვობ.

გაის ამ დროს სულ სხვა
შემეგზნება ცეცხლი.
და ამ ვნებებს მდუღარს
სხვა ვნებები შეცვლის.

ქარო, ნუ დაქრი ქარულად

ქარო,
ნუ დაქრი ქარულად,
ჩადექ,
გეყოფა მარული...
იმ დღეს მოვესწრო,
ერთ ადგილს
გაფერო, გასიყვარული.
მე ჩემს მამულში ობლობა
მიჯობს
შენს უსამშობლობას.

თუ გათენდება ის დღე მზიანი

მეძახის თეთრი უდაბნო ფურცლის,
რომ სიტყვა დავრგო და გავახარო...
ჩემი და შენი ზიარი კურცხლით
ვნამავ ფიქრების ლურჯ საბაღნაროს.

ქვეყნად რაცა მაქვს ღვთით ბოძებული
რამ სასიკეთო, სულ შენთვის მინდა —
ლექსი ბავშვივით გაოცებული
და ლოცვასავით წმიდათა-წმიდა.

იცი ამ ზიარ წყლულს და იარებს
არ ეშველება მალვით და ფარვით...
ჭირის გამყოფი და მოზიარე
არ მსურვებია შენს გარდა არვინ.

ნეტავი იმ დღეს თუ მოვესწრები
თუ გათენდება ის დღე მზიანი,
რომ მეტყვი, შვილო, შენი ლექსები
ჩემი და შენი იყოს ზიარი.

ვერ შევისწავლე

ვბერდები კაცი და წუთისოფლის
ვერ შევისწავლე ჯერაც ანბანი,
მზის ერთი სხივიც სულს სითბოდ
ყოფნის
გლოვის ხატმყოფელ ცრემლში
განბანილს.
თავს იმ დაბნეულ მოწაფეს ვადრი,
მოძღვრის კითხვებზე რომ ვერ
პასუხობს...
რატომ ძვირდება ახდენა ნატვრის
სიტყვის ნათელო, ცით მონაშუქო.
ასე მშვენიერს და ასე ართვალს
რატომ მაყვარებ, ან რად მაძულებ
საწუთროს — ასგზის მტყუანს და
მართალს,
მე რა ვქნა, თვითონ რომ ვერ არჯულებ,
თვით ჩემსავ თავში ერთმანეთს ჯობნის
კარგი და ავი გმირი, ჯაბანი...
ვბერდები კაცი და წუთისოფლის
ვერ შევისწავლე ჯერაც ანბანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვებმა გასჭრან სხვარიგად

თავგადაკლულ სტვენას ჩიტი
ეწირება ტარიგად,
მეც ისე ვჭრი, როგორც ვჭრიდი,
სხვებმა გასჭრან სხვარიგად.

კვლავ უტკბილეს თრობას, კვდომას
და ჩიტივით გალობას
ითხოვს ენების წყალდიდობა,
მუზის უანგარობა.

რას მიქვია დრო უდროო,
დროს არ უნდა უგანო...
ამ ჩიტივით უჯილდოოდ
იგალობე, თუ გალობ.

ერთმანეთთან მზე და ბინდი,
ალა, ვინ შეარიგა...
მე ისე ვჭრი, როგორც ვჭრიდი,
სხვებმა გაჭრან სხვაგვარად.

ისე მხარჯე

არა ლექსის, არა ქართველის
სამსახურმა, არამედ
გამაცალა არაქათი
მირიადმა სხვა რამემ.

ჩამოვთვალო, არაფრად ღირს,
არ ჩამოვთვლი ამიტომ.

ჭკვიანურად არაქათის
ხარჯვის დადექ ამინდო...

სანამ ჯანი მოსდევს მარჯვენს
და მელანი მელანობს,
მხარჯე,
ოღონდ ისე მხარჯე,
ხარჯვა არ დამეწანოს.

სატკივრის ვულკანი

მესხეთში სოფელ ხერთვისთან
ერთ-ერთ ადგილას „დამკალი“ ჰქვია

მოხველ, ვაზი და კაკალი
ამიჩეხ-გადამიბელე.
ბარემ ადექ და დამკალი
და ლურჯი ცა დამიბნელე,
მიგაქვს ნათიბი, ნამკალი,
მიგყავს ცოლი და შვილი და...
ბარემ ადექ და დამკალი,
ისე ნუ გახვალ შინიდან.

მიგაქვს დრაჰმა და დრაჰკანი
და ბუჯერშიაც ბუჯურობ...
ბარემ ადექ და დამკალი,
ცოცხალს ნუ მტოვებ ურჯულოვ!
. . . . . .
მზაფრავს ეს ხვეწნა მარტვილი —
მესხი გლეხკაცის სვედქმნილი —
როგორც აქაური სატკივრის
ვულკანი ამოხეთქილი.

ყველა თავის წილს ტკბილმწარობს

მავანს-მავანის,
შენ შენი
შნო და ლაზათი შეგშვენის.

მავანს-მავანის,
შენ შენი
გაქვს ნაკლის ხელის შემშლელი...

შენ-შენი,
მავანს მავანის
აქვს ძნელი გზა და სავალი.

შვილია
ყველა თავისი
კეთილი სვის და ავი სვის.

საწუთროვ, —
მართლა სიზმარო —
ყველას თავის წილს ტკბილმწარობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ხვედელიძე

კინდღის მთვარე

მთვარემდე აღწევს
    დუმილი გულქვა,
გაჰყივის შენი სისხლი და ხორცი...
ვის ეღირსება ეგ ცხელი სუნთქვა
და ვის გამოზრდის
    ეგ წყვილი ბორცვი.

ვის მიენდობა
    მომავლის ცქერა,
ლომის ნაშიერს თუ ლაჩრის ლაჩარს?!
    ...რაღაცას ჩუმად ჩხიბავს და
        ზვერავს
კინდღის ლაქაშში
        ჩამდგარი ყანჩა.

მარტოობის იოგა

გადაგებული
სულ უშვილძიროდ
მარტოსულივით მიმოდის ქარში,
კაცი,
რომელიც ცხოვრობდა ზღვასთან
მაგრამ ერთხელ არ შესულა ზღვაში...

დაბრუნება

მიქცეულია დრო სასუფევლად,
დაწურულია მძიმე მტევნები,
კლდე ვეშაპივით წევს გაუნძრევლად
და ესიზმრება კლდეს შადრევნები.

თითქოს სუნთქავენ სვენებ-სვენებით
კლდე-ქვაბურები ძველისძველები,
წარსულის მრავალ გადაფრენებით
გადასიზმრულან ქართლის ველები.

კომეტასავით ციდან ვბრუნდები,
შებინდულია ცა ქარაგმებით.
უკვე ჩნდებიან იაგუნდებით
ენგური, მტკვარი და არაგვები.

არა თუ ჩემი კუთხე-მამული,
ველარ ვიცანი ხმა საკუთარი
ქამით და სივრცით გადამალული
გამოკეტილი სკაში ფუტკარი.

„ნუ, ნუ შემრაცხავ თქვენდა უღირსად“
ვედრებას არღვევს ქარი მუხთალი,
ფიქრს მისცემია ციხე უფლისა,
მაგრამ სადღაა თვითონ უფალი.

ყვავილი ჩემი ხომ არ მოცელეს,
პირმზითში ყვითლად აღარ ბრიალებს,
ან შენ იჩქარე, შე დალოცვილო,
ან მე საშინლად დავიგვიანე.

და რომ დაიწყოს ისევ თავიდან,
სიცოცხლეს ვიღაც მთხოვს
        ფერმიხდილი,
მაგრამ შორეულ ნისლოვანიდან
ვინღა მოგაწვდის რტოს ზეთისხილის.

თენდება... ასე თავგამეტებით
და ლანდებივით სდევენ ვაგონებს
იბერიელთა ცქაფი ეტლები
და ცით მჩხიბავი მეკაბადონე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთების საგალობელი

მთები —
ზეცის არმაზები...
მთებმა ზიდეს ეს ცა,
უელავდათ ჯავარდნები,
არ იცვლიდნენ ფერსა.

მყინვარწვერის,
იალბუზის
და შავი ზღვის ფერი
იადონი მთებზე გვიზის,
იადონი მღერის.

გესმის?
როგორ უცემთ გული
უშბის ზვიად შვილებს,
ოდოია, კრიმანჭული,
ლილე, კიდევ ლილე.

ეღვიძებათ
დილის ფერში
ხილვებს, განა ომებს,
მოშრიალე შადრევნებში,
გაქვავებულ ლომებს.

სივრცეს არღვევს
ხმა ბუხუნის
წინაპართა ტომის,
ასორმოცი საუკუნის
და ათასი ომის,

საქართველოს
გადარჩენის
მახვილით და ფუნჯით
სარკინეთის, ზედაზენის
და სამოთხის ლურჯის —

მთები მაღლა!
საქართველოს,
მთებზე კიდევ მთები!
ვედარავინ გადაგვთელოს,
ვერც დაგვაჭრან ფრთები!

უღელი

ათასს აიტანს როდესაც ერთი,
მრავალჟამიერ იმ ხმას და იმ ფერს.
თავზე მაცვია კოსმოსის ფერფლი
საით გავფრინდე, რომელ ცას მირჩევ.

ოღონდ უკვდავი სინათლე გენთოს
და ჭერმაღალმა იხაროს ისევ,
უღელს, რომელსაც გარანდავ ჩემთვის,
ნიშა ხარივით მივუშვერ კისერს.

განმეორება არ ემუქრება

ღამეა. კოლხი შუბს დაყრდნობია.
ეს გარდასული არის სურათი.
ის მთვარე იმ ძველ ცას მინდობია,
მთვარის ჩუქურთმა აღწევს გულამდე.

რა სიჩუმეა! იქ არაფერი
აღარ იძვრის და აღარ ხმაურობს,
გაყინულია არგოს აფრები,
აღარ უბერავს პონტოს ზღვაური.

ვარსკვლავებამდე მაღალი ღამე
თვლემს და მედეას კვარი უქრება...
ოჰ, კიდევ კარგი, აქ მრავალ რამეს
განმეორება არ ემუქრება.

მიხო მორჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენი ქალაქში

მეგობრებს

კოცონს ხუთნი შემოსხდომოდნენ. სამივე გოგონა ხმაშეწყობილად მღეროდა. წვეროსანი მეთაურიც სუფთად აძღვედა ბანს. გასაკვირი ის იყო, თავად ვიტარაზე დამკვრელი ურევდა. ხან პირველს ამბობდა, ხან მეორეს, ხანაც ბანის მიცემას ცდილობდა. ხან სიტყვა შეეშლებოდა, ხან კილო, წამდაუწუმ ბოდშობდა, იქაც კი, სადაც არ იყო საჭირო. ხოლო, თუ ვინმეს იგივე დაემართებოდა, ჯავრობდა, ზედმეტი აღგზნებითა და გამწარებით შეუძახებდა ხოლმე, და ამის გამო აწყობილ სიმღერას ზოგჯერ შუაზე წყვეტდა და თავიდან იწყებდა. ღმერთივით კი უკრავდა. ამიტომაც იყო, ასეთ გამოხდომებს უსიტყვოდ უთმენდნენ. მაგრამ, როდესაც კარგად დაგუგუნებული „მუმლი მუხასა“ მისი გამოისობით ისევ შეწყდა, წვეროსანმა ვეღარ მოითმინა:

— კარგი ჭინჭყლი ყოფილხარ, ძმაო! შენთან ერთად სიმღერა არ შეიძლება... უთხრა ესა და წამოდგა. ფიჩხი შეუკეთა კოცონს, კარგად გაანაღა. კარდალზე ჩამოკიდებული ათუხთუხებული ჩაიდანი ჩამოდგა, საძილე ტომარა გაშალა, ზედ წამოწვა და უკუნს მიაჩერდა.

დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. გიას არა უპასუხია რა. თავჩაქინდრული იჯდა. გოგოებმა უხერხულობის გასაფანტავად ახალი სიმღერა წამოიწყეს. ჯერ ნიკას უჯიკავეს, მერე გიას და თანდათანობით აიყოლიეს. იშირეს, ბევრი იცინეს, ბიჭებიც აცინეს და სულაც გადაავიწყებინეს ის რამდენიმე უსიამოვნო წუთი.

კოცონის ალმა ისევ იკლო. მომღერლებიც დაიღალნენ. საბოლოოდ თინიკომ პატარებს გამოჯავრა, მათსავით ციტიტინა, ლექსები თქვა, იმღერა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

—-ახლა კი ნიკას ჯერია, — თქვა გიამ. წიფლის ხმელი ტოტით ნაღვერდლიდან კარტოფილი გამოქექა, ხელში შეათამაშა, სული შეუბერა და გადახლიჩა. — რა ფაფუასავითაა, — სიხარულით შესძახა. მარილი მოაყარა, მდინარეში ჩაყინული სოფლური კარაქი წასცხო, ქალიშვილებს თავზე გადაუტარა და საზეიმოდ გაუწოდა წვერმოშვებულ მეთაურს. — ჯერ ეს იკმარე, დანარჩენს მერე მოგართმევ, როცა რამეს მოგვიყვები.

— მოყევი რა, მოყევი, ნიკა! — ახმაურდნენ აქამდის განაბული გოგოებიც.

— მოყევი, მაგრამ გუშინდელივით საშინელებები აღარ გვინდა... მთელი ღამე გოგოებს თვალი აღარ მოუხუჭავთ... — დაუმატა გიამ.

— კარგი რა, გია! სინდისი გქონდეს...

— ტყუილ თვითონ არ მოგვასვენა, ხან მცივაო, ხან მარტო ვარო, — შეუძახა გიას მაიამ.

— მოდი ჩემთან, გია! ვინ გაწყენინა, ჩემო მტრედო? შენ მარტო მითხარი ხოლმე და, მე ვიცი და მაგათ! — მაღალმა, ძვალმსხვილმა თინიკომ გიას მხრებში წაავლო ხელი, ძალუმად მოიზიდა და გადააკოტრიალა. — გოგოებო, მე მაინც თავისი ნებით ცოლად არავინ წამიყვანს, გია უნდა მოვიტაცო! დღესვე!

— საერთო სიცილ-ხარხარში გამოაცხადა თინამ და გია ბეჭებით გააკრა მიწას. — სადილს ამზადებს, რეცხავს, ქსოვს! ენაწყლიანი ჭორიკანაა, აბა, მოდი და, ნუ შეიყვარებ! — იცინოდა იგი.

ყველა ხარხარებდა. გია ყველაზე მეტად. თინიკომ თავად წამოსწია გია და მზრუნველობით ჩაუბერტყა ტანსაცმელი. — ახლა კი გისმენთ! — მიუბრუნდა ნიკას და ზურგჩანთაზე გემრიელად მოკალათდა.

ნიკამ თავი ასწია. თინიკო გაისუსა. მაგრამ, ეტყობა, ჯერ ვერ დაწყნარებულიყო. სახე ჩრდილში მოექცა, რომ სხვებს არ დაენახათ. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ეტყობა, თავს ძლივს იკავებდა, ხმით არ ატირებულიყო. ტანი და ხელები უთახთახებდა. რომ ტანი არ შეემჩნიათ, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ზედიზედ, რამდენჯერმე ხმაურით მოიხოცა ცხვირი. ნიკასათვის მზერა არ მოუშორებია. მუდარით შეჰყურებდა და რაღაცას უჩუმრად სთხოვდა. ნიკა მიუხედა. თინიკოსთვის ეხლა ყველაზე ნამდვილი თანაგრძნობა არშემჩნევია იყო და ასეც მოიქცა. სხვები კი ისევ განაგრძნობდნენ ფრუტუნს და ერთმანეთის გაქილიკებას.

„არაა ჯერ მოყოლის დრო“, — გაიფიქრა ნიკამ და პირიქით შესთავაზა: — ხომ არ აჯობებდა, სხვებისთვის მოგვესმინა ან ისევ გვემღერა?

— არა, რა ნიკა! ხომ შეგვპირდი, გახსოვს, უღელტეხილზე! — აყღურტტულდნენ გოგოები. ნიკას კი არ უნდოდა, სულ აღარ იყო მოყოლის გუნებაზე. ცეცხლის ალს უამრავი ნაპერწკალი აჰქონდა მაღლა და აქეთ-იქეთ აბნევდა. იქვე ქრებოდნენ, მიწამდე ვერც ერთი ვეღარ აღწევდა. ცაში ასევე იყო. ვარსკვლავთცვენის დრო დამდგარიყო. ხან აქ, ხან იქ მომწყდარი ვარსკვლავი გაიელვებდა და ქრებოდა.

— გისმენთ! — ეს მაიას ხმა იყო.

— ჩუ! — გააჩუმა ხელის მოძრაობით ნიკამ. — ცას შეხედეთ! ვარსკვლავების წვიმაა... ყველა დადუმდა. ცას თვალუყური მიაპყრეს.

სიჩუმე ჩამოწვა, მთისთვისაც კი უჩვეულო სიჩუმე. ჭოტმა გაკვეთა ყურთასმენა, თითქოს არარაობიან ნისრითვით გატყორცნილი ღამურები ცეცხლს უჩუმრად ეელებოდნენ თავს და კვლავ წყვდიადში ინთქმებოდნენ. ყურთასმენას ხეობაში ჩავარდნილი მდინარის დაგუდული ყრჟიალი მისწვდა. ეტყობა, წყალი ძლიერად მოდიოდა, ლოდებსა და დიდ ქვებს მიაგორებდა, ერთმანეთს ახეთქებდა. ოღონდ კი შორს იყო, ძალზე შორს. მოესმათ თუ მოეჩვენათ?! ღვარცოფის ხრიალს კვნესისა თუ ძახილის ხმა ამოჰყვა და გაქრა. დააყურადა ერთმა, აღარ კი განმეორებულა. ეს ისევეა, არწივი რომ გამოკიდულა ცაში, პატარა ბეღურისხელად მოჩანს ცის კამარაზე, შენ კი ნაჯაფარ კისერს ველარ ატრიალებ, უბრალოდ წევხარ გულაღმა, სანამ შენს გთიბულს ქალები ააბულულებენ, ეს-ესაა ისადილე და ისევნებ. „არწივი ბოინობს“, — ფიქრობ ზანტად. აი, ისედაც ამ სიშორეზე ძლივს შესამჩნევი, იმოდენა არწივი მუშტისოდენად შეიკრა და სადღაც ჩავარდა... იქ შეიძლება შვლის ნუკრი, კურდღელი ან ბატკანი სულ ლეგდეს, ცრემლად და სისხლად იღვრებოდეს. შენ წევხარ. წამოწევ მაინც კი თავსა?. დიდი-დიდი, გულში გაგკენწლოს, „ეჰ, საცოდავი“, — გაიფიქრებ და ეხლა სხვაგან გადაიტან მზერას, რომ ჩქარა გადაივიწყო ყოველივე.

კვნესა აღარ განმეორებულა. კოცონის შორიახლოს ჭრიჭინობელამ გაიღვიძა, თუ მოშივდა და დაიწყო თავისი გაუთავებელი ხრაჭახრაჭი. იმას კიდევ სხვა აჰყვა და შორეული მდინარის ხმა ამ ხმაურში სულ დაიკარგა, ჩაინთქა.

ყველა წინანდებურად ზეცას მისჩერებოდა. მხოლოდ ერთი წუხდა, დაფიქრებით ისრესდა წვერიან ნიკაპს. „მართლა იყო ძახლი, თუ არა?..“ დანარჩენებს არც კი მიუქცევიათ ყურადღება იმ საეჭვო ხმისთვის, ძალზე შორიდან რომ მოისმა. იქამდე რომ მიგელწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ ნახეევარი დღე უნდა გევლო, ღირდა კი საყურადღებოდ?.. თანაც მარტო სმენა რის მაქნისია? უნდა გინდოდეს, რომ გაიგო. იმ ქალაქში, საიდანაც იყვნენ წამოსულნი, ძვირად სხვა ხელოვნება ფასდებოდა. ხელოვნება, აიცს დროით გაეხედა გვერდზე და არასოდეს არაფერი საჭირბოროტო არ შეემჩნია. ვინც ამ ხელოვნებას სრულად ფლობდა, ისინი მთისკენ არც კი გაიხედავდნენ. მაგრამ, ხარი ხარის გვერდით ადგილი დასაბმელიაო, ხომ გაგიგონიათ?

ცაში ყურება სჯობდა. აქ სრულფასოვანი მაყურებელი იყავი. არც არავის ვარცხნილობა არ გიშლიდა, არც სცენის სიშორე. ჩაურეველობის თამასუქიც განაღდებული გქონდა. თუმცა, ეს ალბათ ზედმეტიცაა. ამაზე არც ერთს არ უფიქრია. ჯერ არა, ყოველ შემთხვევაში. უბრალოდ, ცას შეჰყურებდნენ. ვარსკვლავებს, ქალაქში რომ ვერასოდეს ნახავ. სუფთა ჰაერი ათრობდათ და შეუჩვეველი სიჩუმე ყურებს სტკენდათ. ეს იყო და ეს.

ცა რამდენჯერმე გადახაზეს მომწყდარმა ვარსკვლავებმა.

— აი, კიდევ! — გაუბედავად შესძახა ვიღაცამ და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

შეგიხედიათ ცისათვის ასეთ ღამეში? ბარიდან მთაში გამოქცეულს თანდათან გბეზრდება ქალაქიდან გამოყოლილი, ვითომ ასე საგულდაგულოდ შერჩეული სიმღერებიც, ანეგდოტებიც, ღლაბუცაც, ღამისთევისათვის დაგროვილი სხვა ათასი გასართობიც. ყველაფერი გაყრჭდება, გარდა ამ ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი ცისა, ყველაფერი, გარდა სამყაროს ჭვრეტისა, იდუმალებასთან შეხვედრისა ცის გაჭსნის მოლოდინში.

შეაჩერე წამი. გაანდე მას შენი სურვილები და ყველაფერი აგიხდება. მთის აკვისტოს ღამეკ, ვინ იცის, რამდენი ჩათქმული წამიერი ბედნიერების შემნახავი და იმედო! რამდენს უცდია შენს წიაღში ჯადოსნური ფასკუნჯის კუდისთვის წაეკვლო ხელი? რამდენი ეთერი გააცილე სადედოფლო გზაზე?

ოცნება — იმედის ეს წამი, ხომ არ არის ჩვენი აუხდენელი ბედნიერების აღსრულება? უცნაურად ეღერს: შრომამ შექმნაო ადამიანი. უნდა ჩასწორდეს ალბათ — შრომამ და ოცნებამ! იქნებ პირველი მაინც ოცნება იყო! ან სუფრილი ოცნებასთან მიახლოებისა, ანდა სწორედ ოცნების შემდეგ დაიწყო შრომა. ან იქნებ, „პირველთაგან იყო სიტყვა“, ნიშნავს — „პირველთაგან იყო ოცნება?“. — დაფანტულად ფიქრობდა წვეროსანი, მათ შორის ყველაზე ძლიერი და გაწაფული. სხვები კი? სუსტებსა და, მით უმეტეს, ქალებს, ხომ უფრო ეძალებათ ოცნება ასეთ ღამეში?!

ვარსკვლავები კვლავ წყდებოდნენ, ხშირად ცვიოდნენ. წამის რაღაც ნაწილებში გაიელვებდნენ ხოლმე ცის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ცეცხლთან მიყუჩებული თვალებში ტკივილის გაჩენამდე შესცქეროდნენ ცის ტატნობს და ეჩვენებოდათ, რომ აი, კიდევ მცირედიც და, ჩაუთქვამდნენ სურვილს მომწყდარ ცდომილს, მოასწრებდნენ ამას მისი ქროლვის დასასრულამდე და, მაშინ, რასაც კი ინატრებდნენ, აუცილებლად აუხდებოდათ.

ზეცა ერთდროულად გვამოყვრებს და გვაშორებს კიდეც ერთმანეთს. გვაახლოებს შიში. ადამიანი, ცხოველი, ყველა სულიერი შეუცნობელს, უცხოს ეკრძალვის, უფრთხის. რა მცირედნი, უსაწრფელად მცირენი ვართ ბუნების, სამყაროს ძალების წინაშე. რარიგ ტყუიან, როდესაც ქადაგებენ, ადამიანს უსასრულო შესაძლებლობები აქვსო, აიხედეთ ზევით. ზეცას შეხედეთ და თქვენს უსუსურობის ბატიკიცებას მეტი არა უნდა რა. მხეცებიც კი წყვეტენ მტრობას, მათზე ძლიერ და უცხო მოვლენას რომ შენიშნავენ. გინახავთ ნიაღვრისას, ტალღებს შორის ეულად მო-

ბიჩო ბოჭრიკიძე
ცხენი ქალაქში

ტიტტივე ხეზე ერთად ზღარბი და გველი? ერთმანეთს მიკრული კურდღელი და მელა? — აი, ადამიანები უფრო ხშირად რომ იყურებოდნენ ზევით, მაშინ უფრო მტკიცედ მისცემდნენ ერთმანეთს მხარს. მაგრამ რა ქნას კაცმა? ჩვენ მიწა გვაწოვებს ძუძუს და მაღლა ასახედად ნაკლებად ვიცლით. საკმარისია, თავი ასწიო და, „ნუ ამთქნარებ!“ — მაშინვე შემოგძახებს ვინმე. „წინ იყურე!“ — უფრო მკაცრად გაგაფრთხილებს მეორე. — „მიწაზე დაბრუნეთ ეგ ამხანაგი!“ — წაიქილიკებს მესამე. არავინ არ გინდობს. ასე უმოწყალოდ ისრისება სწრაფვა ზესკნელისაკენ, უმაღლესისკენ, მიუწვდომელისკენ... უცნაური რამ არის ადამიანის თვალი. ყველა ერთნაირად იყურება, სხვადასხვანაირად კი ხედავს. ყველა თავისებურად აღიქვამს სამყაროს ფერსა და სიღრმეს, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მიწაზე უდგას ფეხი და რა ცოდნა გააჩნია. ერთს ალმაფრენა და შეცნობა სწადია, მეორეს ბუნაგში ყოფნა ურჩევნია, ყოველი შეუცნობელი არსისთვის ჭიშკრის საგულდაგულოდ ჩარაზვა. ასეა, ერთი ალთას, მეორე ბალთას.

„გნებავთ, უწონადობა განიცადოთ? — განაგრძობდა ფიქრს ნიკა. — ჯერ ყოველივე მიწიერს მოსწყვეტეთ მზერა, შემდეგ დაჭიენებით შეაცქერდით ვარსკვლავიერს, შეეცადეთ მიაგნოთ საკუთარ, მხოლოდ თქვენთვის მოკიაფე მნათობს, და მას, მხოლოდ მას უყურეთ. დანარჩენი ყველა და ყველაფერი დავიწყეთ. შესთხოვეთ მნათობს ზეასვლაში დახმარება, დაარწმუნეთ თავი, რომ ეს შესაძლებელია და მაშინ ამაო გახდება ირგვლივმყოფთა გამოცდილება, სიფხიზლე და მცდელობა საპირისპიროს მტკიცებისა. უნებურად ეგრძნობ, როგორ მოწყდი დედამიწას და როგორ მიფრინავ ცაში. რადაც უნდა დაგიჯდეს, ოღონდ როგორმე დათრგუნე შიში, ერთხელ მაინც დააღწიე თავი მას და ფრთებსაც ლაღად გაშლი. ოღონდ ნურაფრისა გეშინია! ოღონდ სიცოცხლეში ერთხელ მაინც ვნდეს საკუთარ ბედისწერას, იწამე თავისუფლება, იწამე თავი შენი, შეხსენ ბორკილი ყველა ოცნებასა და სურვილს, ენდე გულისთქმას...

არა, ეს შეუძლებელია, შეუძლებელია, მაგრამ მე მწამს!.. შეუძლებელი კი მხოლოდ იმის გამოა, რომ მეშინია, მზარავს თავისუფლება, ეს ბადაგვით მათრობელა სიტყვა. არა და, რა მაცდუნია, როგორ გენატრება სიცოცხლეში ერთხელ მაინც აიწყვიტო, სავსე მკერდით ისუნთქო, მთელი ხმით შესძახო შენი სიმღერა!“

კიაფობდა მოწმენდილი ცა, მირიადობით მოციმციმე ვარსკვლავთა შუქს ცეცხლის ალი ანანავებდა. სიჩუმეს შეუჩვეველ ყურებში უცნაური, სასწაულთმქმედი მუსიკა ჟღერდა. თითქოს წკრიალა ბროლის ზანზალაკებით დედამიწას ციდან ეღვრებოდა სამყაროს ჰანგები. თავგადაწეული ნიკა ზესკნელს დაჭინებითა და ნეტარებით შესცქეროდა და შეუმჩნევლად, ნელ-ნელა უკან-უკან იხრებოდა. მისი სხეული უკვე ახლოს იყო მოწყურებულ განცდასთან. სიმძიმის შეგრძნებას თანდათან კარგავდა. ხელ-ფეხს საყრდენი და სიმყიფე გამოეცალა და ცისკენ შეიმართა. წამიც და, გაფრინდება, მიზიდულობის ურყევ კანონს დაარღვევს, ყველა ადამიანურ სისუსტეს მოიშორებს, მიწიერ ვნებებზე მაღლა დადგება. დაძლევს შიშსა და მოწყდება დედის კალთას, გაინავარდებს ლაღად და თავისუფლად, — ისევე, როგორც სიზმარშია ხოლმე, გაიღეს ცხრაკლიტულის კარი და შეერწყმის ოცნებას... წონადაკარგული ხელ-ფეხი მნათობებისკენ მიილტვოდა. მხოლოდ ზორბა ტანი აჩერებდა მათ. ღუზასავით იყო ჩაკრული დედამიწას ამქვეყნიურ ვნებებში ჩახარშული სხეული.

ნიკას არსება ნეტარ თრთოლვად ქცეულიყო. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ტანი თანდათან კარგავდა წონას. ნიკა გულაღმა მოცურავესავით თავს სულ უფრო და უფრო უკან სწევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, სამგიეროდ გულმკერდი ამოჰქონდა მაღლა. კიდევ მცირეოდენი დაძაბვაც და, მისმა სხეულმა უეცარი სიმსუბუქე იგრძნო, აფარფატდა. დაახლოებით ისე, თავთხელში, ზღვის ნაპირზე რომ ზიხარ და მცირეოდენი ტალღა აგიტაცებს, კენჭნარს მოგწყვეტავს და ხის ნაფოტივით აგათამაშებს... სიზმარში ხშირად განუცდია მსგავსი შეგრძნება, მაგრამ, ცხადში?.. ფრთხილად მოისინჯა ხელ-ფეხი, არც ერთი წერტილით მიწას აღარ ეხებოდა. მართალია, ასე, ერთ მტკაველზე იყო აწეული, მეტი არა, მაგრამ ხომ იყო?!. ადგილზე აღარაფერი აკავებდა. შეეძლო მაღლა ასულიყო, გაეცურა მარცხნივ, მარჯვნივ. კოცონს თავზე მოქცეოდა. თან ყველაფერი ისევე მარტივი და ადვილი აღმოჩნდა, როგორც წყალქვეშ ცურვაა. ოღონდ თავისუფლად სუნთქავდა. განსხვავება ეს იყო და ეს. ნიკამ ისევ მოსინჯა. მარცხნივ, ოდნავ დამრეცად, ზურგით ჩაქანდა. ლამის ქაცვიან ბარდებში შევარდა, დროზე შეიკავა თავი. იქვე გულაღმა ამოტრიალდა და კოცონს ათი-თხუთმეტი ნაბიჯის მოშორებით წრე დაარტყა. გამოუვიდა! თანაც ისე ადვილად, ლამაზად და იმაზე გაცილებით სწრაფადაც, ვიდრე ამას წყალქვეშ შეძლებდა.

რამდენჯერ უოცნებია, როდესაც დიდი სიმაღლიდან გადმოუხედავს. რამდენჯერ მოუსურვებია გადმომხტარიყო მთის წვეტიდან და ჩიტივით გაენავარდა, მხარი გაეშალა. ნუთუ შეძლებს? ნუთუ შეძლებს ყველაფერ ამას, წინათ წარმოოდგენლადაც რომ ეჩვენებოდა?

ნიკამ სკადა მაღლა ასულიყო და ავიდა. ყოველგვარი ბიძგისა და ძალისმიერი მოძრაობების გარეშე. ჩვეულებრივ, ტბის ფსკერზე რომ დგახარ და ხელებს მოუსვამ ზემოდან ქვემოთ, სწრაფად რომ ახვიდე წყლის ზედაპირზე, დაახლოებით ასე. ნიკა ასრიალდა ზევით და საკმაო სიმაღლეს რომ მიაღწია, ისევ დაწვა გულზე, მუცელი შეიწია და მხრები ძირს დაუშვა. სიმაღლე ოდნავ დაკარგა, სამგიეროდ სისწრაფე მოემატა, მკლავები გადაშალა და ნარნარად იწყო დიდ წრეზე სრიალი.

„მე მჯეროდა და გამომივიდა. მჯეროდა, მინდოდა თავისუფალი გავმხდარიყავი და გავხდი!“ — არწმუნებდა თავის თავს.

თავისუფალი! რა ლამაზი სიტყვაა, არა?.. გრძნობდა კი ამ სიტყვის მნიშვნელობას? მეეჭვება. თავისუფლება საწინააღმდეგო შეგრძნებაა ტკივილისა და მისგან იმითაა გამორჩეული, რომ თავს მხოლოდ მაშინ გახსენებს, როდესაც აღარ არსებობს, ან შებორკილია. ბედნიერებაც ხომ ასეა, და თუ კაცმა ბედნიერება სრულად იგრძნო, უკვე დაუკარგია ის და ეგ არის.

ნიკა წრე-წრე ჩამოდიოდა ძირს. მერე ერთიანად შეიკრა, მოწყვეტილი ქვასავით წამოვიდა, სადაცაა დაენარცხებოდა მიწას, მაგრამ სანამ ხის კენწეროებს შეეხებოდა, ტანი გაშალა, მალაყი გააკეთა, ამოტრიალდა და ისევ ნარნარით, წრე-წრე იწყო მაღლა-მაღლა ასვლა.

ზემოდან ტბისპირა ბანაკი და კოცონი მეტად უბადრუკი ეჩვენა. გაცილებით საინტერესო იყო გარშემო შემოჯარული, ცისფრად განათებული მთები. კოცონის ირგვლივ თუ ყველაფერი კუნაპეტ ღამეში ინთქმებოდა, სამაგიეროდ, აქედან კარგად მოჩანდა ყოველი ვიწრო ბილიკიც კი, ფერდობზე შეფენილი ტყე, ბუჩქნარი. პატარა მდელოები, ცალკე მდგარი დიდი ხეები. სარკესავით უმოძრაო ტბაში კოცონი და მისი შუქით განათებული კარვის მოხაზულობა ირეკლებოდა. შორით, ცაში ადიოდა მოყვითალო-მოწითალო მღვრიე სინათლე. ნიკა მიხვდა, ეს ის დაბა იყო, საიდანაც ამ ორი დღის წინ გამოვიდნენ. მთელ არემარეზე მოლივლივე ცისფერი ნათელი იდგა, იმ დაბის გარდა, შხამინი ფერებით რომ წამლავდა საერთო სილამაზეს.

უცხო პირველად ღამურებმა აღ-

მიხო მორჩილაძე
ცხენი ქალაქში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაჩინეს და წივილით განგაში ატეხეს. ათობით უელდნენ გარშემო, ლამის ზედ ეხეთქებოდნენ. ფრთების ფართხუნით გაუქროლა გვერდზე რომელიღაც თვალებბრიალა ღამის ფრინველმა. ეტყობა, ისიც მონადირე იყო. მაგრამ, ბოლო წუთს მაინც მოერიდა და არ გაჰკრა ნიკას კლანჭი. შეეშინდა, თავად არ გამხდარიყო მისი საკბილო. ღამურებმა ხომ შეიკლეს, ლამის სახე დაეკაწრათ, თვალებში სცემოდნენ. მათ მოსაგერიებლად ნიკამ რამდენჯერმე სწრაფად გაიქნია ხელი. დასაჭერად ვერც ერთი ვერ მოიხელთა, სამაგიეროდ ორ მათგანს გაჰკრა ხელი და აქეთ-იქით მოისროლა. ორივე ქვასავით წამოვიდა ძირს და ჩირგვებში ფხრაწუნით ჩავარდა. ღამურების გუნდმა მათი დაღუპვა ბრძოლის შეწყვეტის ნიშნად მიიღო და სწრაფად ჩამოეცალნენ, — მიმოფანტნენ. არც ერთი ღამური შორიახლოსაც აღარ გაჰკარებია. იმ ადგილებში ფრენაც კი შეწყვიტეს. შეიძლება, სხვა ღამის მტაცებლებიც ადევნებდნენ თვალყურს ამ შეტაკებას. ორი მოკლული ღამურის ფასად, ნიკამ შედარებით თავისუფალი მოქმედების უფლება მოიპოვა. მაგრამ, ეს დროებით, რასაკვირველია. ცაც ისევე ჰქონდათ დანაწილებული ფრინველებს, როგორც ადამიანებს ედედამიწა. თავისუფალი ადგილი არსად იყო. ადამიანები ყველაზე ადვილად ცხოველებს ართმევდნენ მიწას. მერე ერთმანეთს დაერეოდნენ ხოლმე. ეს ის თავისუფლება არ იყო, მიწიდან მოწყვეტისას რომ ნატრობდა ნიკა. აქ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა— თვით სიტყვის არსი, ყველაზე კარგად პასუხობდა თავის თავს — თ ა ვ ი ს ი უ ფ ლ ე ბ ა, სხვისი უფლებების შებოჭვისა. შეიძლება ათასნაირად გეფიქრა. ლამაზად და დაბეჯითებით ველაპარაკა, ამ სიტყვის არსს კი ვერსად გაექცეოდი. გამოდიოდა—ნიკა, ადამიანთა მოდგმა, ყველაზე დიდი მტაცებელი იყო, მტაცებელთა შორის. სხვას, რა ფრინველიც უნდა ყოფილიყო ღამურების მაგივრად, ნიკა დაუთმობდა? ან თუნდაც ცხოველს, ან თავისსავე მოყვასს, — დაუთმობდა?... — არა! ყველას და ყველგან ბრძოლას გაუმართავდა ძალ-ღონით, ხერხით თუ სიმკვირცხლით, ყველაფრით გაეჯიბრებოდა, ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძოლებდა. თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა — მისი უფლებების განვრცობა, დამტკიცება გამოდიოდა და მეტი არაფერი.

ადრე ხომ ვთქვი, მოცალეობისას გვემართება-ჭეთქი, როცა ამგვარი ფიქრი თავს შემოგვეხვევა და წონასწორობა დაკარგულს, თავადაც არ ვიცით, საით გადაგვაგდებს.

თავისუფალი — მხოლოდ საკუთარ სურვილებზე იყო დამოკიდებული. ამავე დროს, თუ შენ შენი თავის უფალი იყავი, რაც გინდოდა, ის უნდა გეკეთებინა და ამით სხვა შეგეგეწროებინა, სხვა დაგეთრგუნა. იმიტომ რომ, სხვანაირად არ გამოდიოდა. ისე ვერაფერს შეძლებდი, სხვის უფლებებს თუ არ შეეხებოდი. ყველაფრის უფლება ბრძოლით იყო მოსაპოვებელი, სადაც უნდა ყოფილიყავი და რაც უნდა გემოქმედნა. გამოდიოდა, ამ სიტყვებს ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა და ერთი და უპირველესი მთგანი აუცილებლად გულისხმობდა ბრძოლას— გამარჯვებას. თუმცა ბევრს სიტყვის მხოლოდ მეორე ნახევარი ესმოდა, უფრო მის შედეგს უყურებდნენ და ბრძოლას გამოთიშავდნენ, რითაც, საერთოდ, აზრსაც უკარგავდნენ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ცგებასა.

სადღაც, შორს, ისევ დასძახა ჭოტმა. ნიკა გამოერკვა. ქროლვა შეწყვიტა, მუხლები გულთან მიიტანა, ჰაერში ამოტრიალდა, ხელები წინ გაიშვირა და თავით წამოვიდა ძირს. კოცონთან რამდენიმე ნაბიჯზე ხელები და ფეხები გაშალა, ვარდნა შეიჩერა, მარჯვენა გვერდზე გადაწვა, ნახევარწრე შემოხაზა და უხმაუროდ დაეშვა თავის ადგილას.

ქვემოთ არავის გაუგია მისი წასვლა. ისევ ისე მიშტერებოდნენ ცას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ-თავისას ოცნებობდნენ, ფიქრობდნენ. შეიძლება, ყველა მათგანს უნდოდა ეთქვა: მე კაცი დავინახე ცაში, მაღლა, ჩიტივით წრე-წრეს ურტყამდა და მერე სადღაც ჩვენს ახლოს ჩაფრინდაო... ყველას ეს ეკერა პირზე, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, მარტო მას მოჩვენებოდა ყოველივე, ბით უმეტეს, ამდენი ლაპარაკი იყო სიმაღლის ჰალუცინაციებზე, და დანარჩენებს კი დაეცინნთ? თანაც დარწმუნებით ვერავინ იტყოდა, რომ ნახა. იქნებ სულაც ჩასთვლიმა და მოეჩვენა?.. არავინ ხმას არ იღებდა. შეიძლება შიშისაგან გულიც ეკუმშებოდათ. შეეშინდებოდათ, აბა, რა? უცნობის, გაუგებრის, კაცს ყოველთვის ეშინია, და განსაკუთრებით ამათ, მათთვის ხომ საკუთარი ბუნებაც კი გადაქცეულიყო უცნობად, სხვას რომ თავი დავანებოთ.

—კიდევ ვცდი! —გაიფიქრა ნიკამ და საწყისი მდგომარეობა მიიღო. ამ ხელად უფრო გაუადვილდა. თავი უკან გადააგდო თუ არა და მკერდი ამოსწია, იმწამსვე ამჩატდა და ორი მტკაველის სიმაღლეზე აიწია. გაჩერდა რამდენიმე ხნით ასე და მერე ისევ ნელ-ნელა დაეშვა.

„აბა, კიდევ! —უთხრა თავის თავს და მოხერხებულად მოეწყო. აფრინდება ზევით და წყნარად, რომ არ დაუხეთქოს გულები მეგობრებს და არ დაიფორიაქოს, დაუძახებს მეგობრებს. დააშოშმინებს, მაინც ატეხენ ალიაქოთს, მაღლა რომ დაინახავენ, აბა, ისე რა გააძლებინებთ, და მერე სათითაოდ აუხსნის, აჩვენებს და ისინიც...

ნიკამ ჩვეული მოძრაობით გადაადგო უკან თავი და გულმკერდი ამოსწია, რათა ამჯერად უფრო სწრაფად ატყორცნილიყო და უცხო არარაობაში გაენავარდა. და ეს სულსწრაფობა, წარმატებით გათამამება, გონის დაკარგვა, უეცარი გათავისუფლებისადმი სწრაფვა საბედისწერო გახდა მისთვის. ნიკამ ზურგს უკან მჯდომი ქალიშვილი დაიტანა. ქალის შეხებამ კი ყველაფერი დაავიწყა. ქალიშვილის ფაფუკი მუცლისა და მკერვი მკერდის შეხებამ ნიკა ერთ ადგილზე გააქვავა. აღმაფრენა შეწყდა, ნიკამ მხოლოდ აიწია და მაშინვე მწარე ტკივილით მიწას დაენარცხა. ვეღარ იხსენდა, როდის შეცვალა აღმაფრენა მკვეთრმა დაცემამ, როგორ დაუბრუნდა ამ ქვეყნის წიაღს, რასაც ვერ გაექცეოდა, ვერ დაემალებოდა, გვერდს ვერ აუქცევდა. ქალის სიახლოვემ ყველა დანარჩენი სურვილი და მისწრაფება შთანთქა. კისრით, კეფით, ბეჭებით ეფლობოდა თავბრუდამხვევ სიობოში. უთვალავი ვარსკვლავით გაჩახჩახებული სამყაარო, თავისი თვალშეუწვდენი დიდებულებითა და ზეიმურობით უკვე აღარ ხიბლავდა, აღარ იზიდავდა. პირიქით, უფრო ძლიერ აკრავდა მიწას, მის მდუღარე უფსკრულში ჭუჭკავდა. სხეულს კვლავ დაუბრუნდა სიმძიმე, ძალა. ადამიანის მოდგმის გაგრძელების ძლიერმა ძახილმა გზა გადაუღობა განწმენდის ფაქიზ ჰანგებსა და ფრთაფაფრფატა თრთოლვას. იქნებ ეს არის სიყვარული?.. არა და, იცოდა, სწამდა, რომ სიყვარულიც აგვამაღლებს, საფრენად გვიხმობს, აქ კი პირიქით ხდებოდა. მაგრამ, ნიკა თავისთავს არ უძალიანდებოდა, ყველა და ყველაფერი დავიწყებოდა და ნეტარებით ნებდებოდა იმას, რაც იყო. უკვე ყველაფერი ახარებდა და ატყვევებდა. ცეცხლისპირას მჯდომთა ატკრცალებული ლოყებიც, ტბის ზედაპირის ნელი რწევაც, რომელიც, მთებიდან ჩამოვარდნილმა პატარა ნიავმა აშალა. ღამის ფრინველთა და მხეცთა უეცარი შეძახილიც, ტყის იდუმალი ხმაურიც, ირინეს გაუწაფავი ხელების ფრთხილი და ფაქიზი შეხებაც. ქალისა, რომელიც სულ უფრო და უფრო თამამად ეალერსებოდა და სასიამოვნო მოლოდინის ბურანში ხვევდა.

ცეცხლი ნელ-ნელა ნავლდებოდა, ხა-

მიხო მორჩილაძე
ცხენი ქალაქში

ეროვნული

მუშ-ხამუშ ისროდა ცისკენ ტკაცუნა ნაპერწკლებს. მთიდან ცივი ნიავი უბერავდა, ტბას რძისფერი ოხშივარი ასდიოდა. ქალაქელი კაცის თვალისთვის უჩვეულოდ კაშკაშებდნენ ვარსკვლავები. ცეცხლთან მსხდომნი სდუმდნენ. ყველა თავის ფიქრს წაეღო. დიდი სიჩუმე გამეფებულიყო. თითქოს ერთ ადგილას შეჩერებულ ქვეყანას მარადიული მოძრაობის კანონი უარეყო, ადამიანებისათვის სახეები წაართმია, თავის წიაღში დაემალა და სამაგიეროდ მათთვის ცივი ნიღბები დაეტოვებინა.

— რას გაჩუმდით! ნაღდად, სადღაც ისევ გოგო დაიბადა! — ჩუმად ჩაილაპარაკა მაიამ და სევდიანად ამოიოხრა. და იმავე დროს, თითქოს ამ სიტყვებს ელოდებოდაო, კლდეებში რაღაცამ დაიფრიფინა, სამყარო ისევ გაცოცხლდა და სიჩუმე უცნაურმა, ავისმომასწავებელმა ხმამ დაარღვია.

რაღაცა უზარმაზარი და ყოვლისმძლეავი მოდიოდა მათკენ. ტოტების მსხვრევით. კოცონთან მსხდომნი შეტოკდნენ, შეკრთნენ. შიშის ზარმა დაუარათ. მოდუნებულნი და თვლემას მიცემულნი გამოფხიზლდნენ. უეცარმა საშიშროებამ განურჩეველობის ნიღბები გაუქრო ყველას, მისთვის დამახასიათებელი ნამდვილი სახე დაუბრუნა და ზოგი საბრძოლველად, ხოლო ზოგი გასაქცევად და დასამალად გაამზადა.

ნიკამ მხრები მოიჩიდა, წელში, შეიდრიკა, მოჯიმული მშვილდივით დაიძაბა. წამით ბეჭებით უფრო ჩაეკრა ირინეს, ჩაეტმასა, ჩაესისლხორცა, იმდენადაც, რომ გოგოს ნეკნები აუტკაცუნა, ააკვნესა, მერე კი უეცრივ ტანი აიჭნია, და ნახტომით მოსწყდა თბილ ჟრუანტელში ჩაძირული ქალის სხეულს. წამომდგარს ხელში ძალაყინი ეჭირა. წამახული წვეტით მომავალი საშიშროებისაკენ მიშვერილი. ბრძოლის ჟინი უკვე სრულად დაუფლებოდა მის შემართულ სხეულს.

— დათვი! ნაღდად დათვია! — საკუთარ თავს დაუდასტურა თინიკომ და ტყისკენ აღარც მიუხედავს, ცეცხლს საქმიანად დაუწყო გაღვივება. დაგროვილი ფიჩხიდან ორი კონა მიუმატა კოცონს და როდესაც ცეცხლის ალმა ახალი ძალით იფეთქა, კოცონიდან წიფლის აალებული დიდი ტოტი გამოაძრო, ცეცხლმოდებული საოცრად რომ ჰგავდა მაცხოვრის კვერთხს, სურათიდან ნანახს. და უცნაურმა ხმაურმა ჯერ გააშეშა. ნაზუქიანი ხელი ისევ დარჩა პირთან მიტანილი. მისი ტუჩები უხმოდ ჩურჩულებდნენ, რაღაცას იხვეწებოდნენ. მერე თანდათან ხმა გამოიღეს, რაც განწირულის კვნესასა და ბღავლის უფრო ჰგავდა. მის ფართოდ გახელილ თვალებში კი ცეცხლის ალინათები დაქროდნენ. მათში შიშის საზიზღარი გამოხატულების გარდა, აღარაფერი იყო. ეტყობა, თავადაც ვერაფერს ხედავდა, ისე დაძლია მთელი მისი არსება მომავალ განსაცდელს. მაიამ ხელი მოჰკიდა, შეაჯარა. გიას ნაზუქი ხელიდან გაუვარდა, მაიას შეძრწუნებული თვალები მიაპყრო და უსიტყვოდ კიბილი ყვირილში გადაეზარდა.

— მე ხომ თავიდან ვამბობდი, რომ არ იყო საჯირო!.. რა ჯანდაბა გვინდოდა ამ ოხერ ხეობაში, „ის“ ხომ გვაფრთხილებდა, რამდენჯერ ვნახეთ „მისი“ ნაჭანგარი, რამდენჯერ გაჩვენეთ, ჩვენი „მეთაური“ კი დამცინოდა... მეც, შენც, ყველას დაგვცინოდა...

— აიღე ძალაყინი და ნიკასთან მიდი! — გაბრაზებით ხელი ჰკრა მას მაიამ.

— არა! არა, არა! სჯობია, მუგუზლებს დავუშენ, რომ გამოჩნდება!.. მხეცებს ცეცხლისა ეშინიათ, დიახ, დათვს ცეცხლისა ეშინია! — გიამ ფიჩხის ნარჩენი მოაქუჩა და კოცონს დააყარა. ბევრი მოუვიდა, ცეცხლის ალმა დაიწია, ზოგან სულ მინელდა კიდეც. მუხლებზე მდგარი გია საბერველივით ქშინავდა და სულს უბერავდა მოკიფე ნაღვერდლებს. ქაცვს ცეცხლი არ ეკიდებოდა, ხრჩოლავდა, სამაგიეროდ მშრალ წიწოვთანას მაშინვე მოედო ალი და ცეცხლმა ისევ მაღლა აიწია. ტკაცუნითა და სისინით იწვოდა ასკილის წვრილი ტოტები. ალმა განზეც გაიწია, სახე და თმა

შეუტრუსა მუხლებზე მდგარ გიას, ის კი მაინც არ ეშვებოდა და უფრო და უფრო აღვივებდა ცეცხლს.

ერთადერთი ირინე არ განძრეულა, იქვევ იჯდა, სადაც ნიკამ დატოვა. მიაამ მონახა თავისი ძალაყინი და ლაბადა მოისხა. თინიკო თავის უზარმაზარ ცეცხლოვან კომბალს იქნევდა და ათასობით ნაპერწკალს აბნევდა გარშემო. გია ისევ მუხლებზე დარჩა, ირინეს ფაართფარფლებიანი ქუდი მოენახა და ეხლა იმით აღვივებდა ცეცხლს. — უნდა ვიმღეროთ და ვიყვიროთ! ვიყვიროთ და ვიმღეროთ! მხოლოდ ასე დავაფრთხობთ დათვს! — მყივანა ხმით უკიოდა ცეცხლს გია.

— მე შენთან მინდა! — მოესმა თუ მოეჩვენა ამ დროს ნიკას. გვერდულად, უხერხულად მხრებაწურული მოდიოდა მისკენ მაია. ძალაყინი ვერ გაემართა აკანკალებულ ხელებში და ხმაც დამნაშავესავით უთრთოდა. ხმაური კი თანდათან ახლოდებოდა, მაგრამ მაია ამას ყურადღებას სულ არ აქცევდა. არა, ეს დათვის შიში არ იყო, სხვა რამ კი არ უნდოდა გაეგო ნიკას, არ უნდოდა დაენახა.

— შენთან ვიქნები! — უფრო მტკიცე ხმით უჩურჩულა მაიამ და მხარზე აეკრა.

— დაბრუნდი კოცონთან.

— არა!

— დაბრუნდი, წადი!.. — მარტო თვალებით მიეფერა ნიკა აკანკალებულ გოგოს, ოდნავ დაიხარა, შუბლით შეეხო მის კულულებს, რითაც ერთდროულად მაღლობასაც უხდიდა მოსვლისათვის და უკანაც აგზავნიდა. მაიამ ასევე უარის ნიშნად გაიქნია თავი და უფრო გაბედულად შემართა ძალაყინი. მხრით, თავით, ზურგით, ნიკას ძლიერ, დაკუნთულ სხეულს გრძნობდა, ნახტომისათვის, ბრძოლისათვის მზადყოფა ტანს და მასთან არაფრისაც არ ეშინოდა. თავადაც სიმხნეკვე ემატებოდა.

— არსადაც არ წავალ! — დაბეჯითებით ჩაილაპარაკა.

და „ისიც“ გამოჩნდა!

თეთრი მოჩვენება ხმაურით გამოცოცხლდა. კოცონს თეთრმა ცხენმა ჩაუქროლა. ფაფარაყრილმა და კუდაწეულმა გამარჯვების ჯიხვინით გადაჯრა მაყვლის ბუჩქები და ზღვისაკენ შემოტმასნილ ტყის შავ უსასრულობაში შთაინთქა. ფლოქვების ხმა ნელ-ნელა მიწყნარდა და განჰქრა და ისევ გულის წამღებად აწუვლდა კოღო.

ნიკამ ნელა დაუშვა მომარჯვებული ძალაყინი და მაიას შეხედა. ის აუჩქარებლად დაბრუნდა თავის ზურგჩანთასთან. გაასწორა და დაღლილი დაეშვა ზედ.

— მე შემეშინდა, დედას გეფიცებით, შემეშინდა, მართლა, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ასე იყო! — მოესმა გვერდიდან დამორცხვებული და შემკრთალი გიას ხმა.

თინიკომ კოცონს დაუბრუნა „ცეცხლოვანი კვერთხი“ და ძილისთვის დაიწყო მომზადება. ირინე ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა წინანდელ ადგილას, ისეთი გამოხედვა ჰქონდა, ვითომ არც არაფერი მომხდარიყოს.

— მე შემეშინდა, პატიოსან... — დაიწყო კვლავ გიამ.

— მორჩი მაგ დამპალ პატიოსნებაზე ლაპარაკს! — უხეშად შეაწყვეტინა მაიამ,—ლაჩარი... „დედას გეფიცებით!“ „დედას გეფიცებით“ — გამოაჯავრა. —შენ რა უფლება გაქვს დედა ახსენო, შე... — აღარ დაამთავრა მაიამ, ზიზღით შეაქცია ზურგი და საძინე ტომარაში შეძვრა. თინიკომ და ირინემ ერთდროულად იწყეს ლაპარაკი. ნიკამ ირინეს ერთ გამოთქმას მოჰკრა ყური: „...რასაკვირველია, მაგრამ, რა ქნას, თუ არ შეუძლია?..“ გია მათ სიტყვის თქმას აღარ აცლიდა. ეკამათებოდა, ეფიცებოდა, უმტკიცებდა, უსაბუთებდა რომ ახლა,

ᲛᲘᲮᲝ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ
ᲪᲮᲝᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

ამ დროში მამაკაცისთვის აღარაა საჭირო დათვის წინაღმდეგ ძალაყინით სარული, ცხოვრებაში ადგილის დასამკვიდრებლად აღარაა საჭირო ყბადაღებული ვაჟკაცობა და მკლავაძეობა. რომ ეხლა მთავარი სხვა რამეებია, აღღო და პრაქტიკულობა და თანამედროვე ცხოვრებაში წარმატებას უფრო მეტად მიაღწევს ის, ვინც...

—ვინც სხვის ზურგს დროულად ამოეფარება! — შეახსენა აქამდე ჩუმად მყოფმა მაიამ. გოგოებმა გაიცინეს. გიას აღარაფერი უპასუხია, შალითა გახსნა, გიტარა ამოიღო, ააწყო და დაკვრა დაიწყო.

გია უზადოდ უკრავდა. ძალზე კარგად, ფაქიზად გრძნობდა ყოველ მელოდიას. ამ მელოდიის ენაზე საუბარსაც კი ახერხებდა. გაბრაზებული გოგოები მალე დაცხრნენ, სმენად გადაიქცნენ.

ნიკა არ მონაწილეობდა გიასა და გოგოების კამათში. ირინესაგან ოდნავ მოშორებით, თავის ძველ ადგილას ჩამოჯდა და როგორც მოჯადოებული, ისე შეჰყურებდა ტყის იმ ჩაბნელებულ ადგილს, სადაც თეთრი ცხენი და მის მიერ მოტანილი ხმაური გაქრა. ყურში ისევ ის ტოტების ლაწალუში ედგა და გული სიამით უძგერდა, რაღაც დიდსა და სასწაულებრივთან შეხვედრის განცდით.

გია თავდავიწყებით უკრავდა, არტისტულად შლიდა თითებს. თავი გვერდზე გადაეგდო და თვალები მიელულა. ყველა დიდი გულისყურით უგდებდა ყურს, სიამოვნებით და განცვიფრებითაც მისჩერებოდნენ.

—დეკა უნდა დავუშვა! — თქვა უეცრივ გიამ და ჰანგის დაუმთავრებლად შეწყვიტა დაკვრა. იქამდე კი ნიკას მოგვიყვეს დაპირებული ამბავი...

— კარგი რა, დაუკარი, დაუკარი რა, მერე დაუშვი დეკა! — ეხვეწებოდნენ ეშში შესული გოგოები.

—არ შემიძლია, —პასუხობდა გია ღიმილით. აი, დავუშვებ დეკას და მერე, ახლა კი ნიკა მოგვიყვეს...

—მე გაკოცებ... თუ ისევ გაავრძელებ დაკვრას, თუ ისე დაუკრავ, რომ დეკას ხელს არ ახლებ! — თითქმის წაიმღერა ირინემ, და ღია, ლამაზი თვალები შეანათა გიას. —ხომ იცი, არავისთვის მიკოცნია ჯერ, არასოდეს და არავისთვის!

თითქოს მხოლოდ მას უხსნის გულისნადებსო, ისე ჩაუმარცვლა ირინემ.

ყველა დამორცხვებული გარინდებულიყო. ნიკას შეხედეს რატომღაც.

—არ გამოვა! —ბრაზით ჩაილაპარაკა გიამ და ჯიბიდან დეკას დასაშვები გასაღები ამოიღო. —მე თითები ძვირად მიღირს!.. არ უკოცნია, კი, ბიან, რასაკვირველია, არ უკოცნია, და აი, გეთაყვათ, ესაა სულ მთელი მისი ავლადიდება! კითხვაც აღარ უნდა... კი, ეგენი შენ ყველაფერს გეტყვიან, ყველაფერს მოგიყვებიან, აღსარებას ჩაგაბარებენ, შენ შეეკითხე, მხოლოდ შეეკითხე... — მიუბრუნდა გია ნიკას.

წვეროსანს არ უპასუხია.

კოცონი ისევ მინელდა. ნიკა ადგა, ცეცხლს გარშემოუარა და ტყის პირისკენ გაიხედა, იქით, სადაც ხმაური მიწყდა.

—ცხენი ქალაქში... თეთრი, სულ თეთრი, თითქმის თოვლივით უბიწო გახლდათ, მოკლედ, ერთი მაზალო და ქალაქისათვის მეტად შეუფერებელი რამ იყო, —დინჯად დაიწყო მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა სიყვარულზე

ზურგი გაქციეს პოეტებმა, ლექსს არ გიწერენ,
თითქოსდა გაცვდი...
შენი სამრეკლო,
შენი სადროშო დაილია თუ დაქუცმაცდა!..
ადამიანებს დღეს არ გვჭირდები,
უშენობითაც შეგვძლებია თურმე ცხოვრება!..

იქნებ, დაბერდი, შენ, სიყვარულო!..
იქნებ, ჩამორჩი დროია დინებას.
ნუთუ, არავის შენი ბოძალი
გულს არ მოხვდება, არ ეტკინება?

ნუთუ, არავის არ დააღონებ,
არ გაახარებ, ნუთუ, არავის?..
ნუთუ, ლოტნარში — შეყვარებულებს
ვერ შეიტყუებს მთვარის კარავი?
. . . . . .
ნუთუ, არავის? ნუთუ, არავის?!

ხედავ?.
აქამდე რა შორს წავედით, —
შემოვიფრინეთ ვრცელი ზესკნელი...
რის სიყვარული!
რა სიყვარული!
უშენოდ დღეთა კონცერტს ვესწრებით.

უშენოდ უფრო ადვილია, თურმე, ცხოვრება!
უგრძნობელობას ეჩვევა გული,
უტკივილობას ეჩვევა გული,
უოცნებობას ვეჩვევით ყველა!..

რად იღიმები, სიყვარულო, ან რატომ დუმხარ?
ნუთუ, მართლაცდა გაცვდი, დაბერდი?
ნუთუ, გაქრება გულებიდან შენი ხსენება?

არა!..
ჩვენ ყველა თავს ვიტყუებთ,—
ეს კარგად იცი!
არ ვართ მართლები!
მიმწუხრია თუ
გვეფინება მნათის ნათელი, —
არ ვამხელთ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაიც ჩავიფიქრეთ, გულში ჩავითქვით!

. . . . . .

ყველა,
ცალ-ცალკე,
ღამღამობით ვოცნებობთ შენზე
და გვინდა ის დრო უკუმოიქცეს, —
ოდეს ერთადერთს
საოებით ღამეს გითევდით!

IV

არ თქვა: — მერე ვნახავ დედას,
არ თქვა: — ვნახავ მერე კერას,
ახლავ წადი, იქ გელიან
ღამეები მერეკელა.
იქ დაგხვდება შენი ღელე,
ქარი, წვიმა, მზე, ობლობა...
იქ დაგხვდება სიყმაწვილე,
ბეზობელთან მეზობლობა.
იქ დაგხვდება მაფშალია,
შენს სიყრმეს რომ უგალობდა,
იქ დაგხვდება დედის სევდა,
იქ დაგხვდება უმამობა.
იქ დაგხვდება მამის სახლი —
მერე ცეცხლში ჩაქცეული,
იქ დაგხვდება შენ ბავშვობა
მოტირალი, მხარქცეული.
იქ დაგხვდება ნატერფლები —
უხამლობით დაჩეჩქვილი,
იქ დაგხვდება ნისლეული —
ხის ტოტებზე დაჩეჩილი.
იქ დაგხვდება უხილავი,
სივრცე — ქარის გახაზული,
იქ დაგხვდება ღვინობისთვე,
ზამთარი თუ გაზაფხული...
არ თქვა: — მერე ვნახავ დედას,
არ თქვა: — ვნახავ მერე კერას...
ახლავ წადი, იქ გელიან
ღამეები მერეკელა

●

ყვითელი ყვავილი საათას
მზისკენ მიქცეული ჰყვავის...
ბედითად ჩამოკრა საათმა, —
სივრცეში მოღამდა ყვავი.

მუხთალო, მნათი ვის წაართვი,
ვისი დღე უკუნად ჰყავი...
გაჩერდა, გაქვავდა საათი,
მაღლიდან დაეშვა ყვავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ დამიწესა ასეთი ხვედრი: —
ნელ-ნელა ვიგებ, თანდათან ვხვდები,
რასაც ერთბაშად ხვდებიან სხვები.

მაინც ჯიუტად — ვხარობ თუ ვკვდები —
ცოტ-ცოტად ვიმკი დალეწვით ძვლების,
რასაც ერთბაშად იმკიან სხვები.

დრო — განმგებელი საწუთროს გზების —
ჩუმად მამასხრებს... ვბრაზობ და ვწყრები...
ვით განძეული, მომპარა წლები...

რადგან ყველაფერს გვიანლა ვხვდები,
გვიანლა მივხვდი — წყალობით ბედის —
თუ რა ძვირფასი ყოფილხარ ჩემთვის!

რაღას ფიქრობ ამდენს, — ძილია თუ ცხადი,
მზე თავისით ცაზე ამოდის და ჩადის.

ვის რად უნდა, ნეტა, შენთა ფიქრთა წყება!
ვისაც როგორც უნდა — დგება ანდა წვება...

შენ ვინ გკითხავს — ახლა სად დადგება იგი,
ერისწყალთან, მტკვართან თუ დახლების იქით...

დრო დროა და, ბორჯი არვის შეუცვლია, —
ყველა ისე ცხოვრობს, როგორც შეუძლია.

შენ კი... შენი ვაზით, სისხლით, შენი ძმებით,
იდექ, სადაც დგახარ... აწ ვერ შეიცვლები!..

რაღას ფიქრობ ამდენს — ძილია თუ ცხადი,
მზე თავისით ცაზე ამოდის და ჩადის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაულ ჩილაჩავა

ზუგდიდი

ვით სამყაროში გასასვლელ პაროლს,
ლექსში პირველად ვახსენებ ზუგდიდს.
როცა მიმძიმდა და როცა ვწუხდი,
ის იყო ჩემი იმედის წყარო.
ბედნიერი ვარ, რომ მაქვს ალაგი,
სად ბალახებიც მელიან ორთოლვით,
სად სუნთქვასავით თბილია თოვლი
და წინაპართა ძვალშესალაგი.
მე ვუბრუნდები საკუთარ საწყისს,
შვილიც იქ არი, მამაც იქ არი
და ქვითინს იწყებს მამაცი ქარი,
როცა გაიგებს რაიმე საწყენს.
ვიცხოვრე ორჯერ ჩვიდმეტი წელი,
ჩვიდმეტი შინ და ჩვიდმეტი გარეთ,
მაგრამ თუ ყამი დგებოდა მწარე,
მეგრულ ბგერებით თბებოდა ყელი.
ღრე-ღრე იარა ჩემმა ბილიკმა
და ბოლოს მაინც გავიდა გზაზე
და მეგრულ-ქართულ ჰანგებით სავსე,
დამაქვს ეს გული, როგორც ბილინგვა.
შორიდან უფრო გავიგე ყადრი
მშობელი მიწის, ქვის და აგურის
და ჩემი სული, ვით მოლაღური,
შეხიზნულია ზუგდიდის ჭადრებს.
რა ტკბილად ითქმის: „მშობელი
მხარე!..“
გავხედავ სამხრეთს, — იქ ზუგდიდია!..
და ჩემი ბედის ცაზე ჰკიდია
ფანტასტიკურად კოლხური მთვარე.

●

გადავიარეთ თერგი „ყიგულით“
და შეუმჩნევლად გავცდით დარიალს,
ქარმა ღრუბლების გუნდი არია
და აიმრიზა ცა მოჭიქული.
მთხოვ მერამდენედ: „რამე მოყეკი,
თორემ წინ კიდევ ზღვა მანძილია!..“
მე კი ჩამესმის სიტყვა მოხევის
აქ რომ ოდესღაც შესძრა ილია.
„ძიგიხვდი, ძმაო!“ რატომღაც მჯერა,
შენი სათქმელიც ახლა ეგ არი
და მონუსხულებს ლურჯი ზეკარით
მიჯაჭვული გვაქვს კავკასზე მზერა.
გვეწევა დელგმა, ღვართქაფი, თქეში,
აქსელერატორს აჭერ და აჭერ
და წყვდიადისფრად მბზინავი საჭე
მაშველ რგოლივით გიჭირავს ხელში.

ზარემა

ზარემა... სიცხით გათანგულ ყირიმს
ასველებს შენი ცრემლების თქორი.
დგახარ სიკვდილს და სიცოცხლეს
შორის
და ბედუკუღმართ სიყვარულს ტირი.
შენ პირველობას იყავ ჩვეული,
მაგრამ უჩუმრად გამოხდა ხანი,
მარიას ეშხმა მოხიბლა ხანი
და ჩრდილში მოხვდი ხანის რჩეული.
ო, ვერ დაფარა იგი ჰარემმაც, —
ქართველის ლტოლვა, — იყოს პირველი
და სიჯიუტე გასაკვირველი,
რომელიც დღემდე შეგვრჩა, ზარემა!
ზარემა, ყირიმს სხვა შადრევნიდან
ელამუნება სუნთქვა არაკთ.
იქ შენი ლანდი ალაპარაკდა,
მე რომ ნიადაგ უხმოდ მდევნიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულ თეთრად, თეთრად...

სპორტსმენს რა უჭირს... მესამე ცდისას
იქნებ გადახტეს, იქნებ ასწიოს,
მაგრამ პოეტმა საით გასწიოს
თუ ააცილა ერთხელაც მიზანს.
ვის წააკითხოს შავად ნაწერი,
გადათეთრება მოასწროს როდის,
როცა ზამთარი შლეგივით მოდის,
და ცივად ელავს მზე ალმაცერი.
ბინდია იქით! არ დაიჯერო
გზის მანათობლის ამომთოვრება.
თვალს და ხელს შუა ქრება ცხოვრება,
რომლითაც გინდა გული იჯერო.
რაც ცეცხლის იყო, ის დაიფერფლა
ან იფერფლება... ჰაერში ადის.
შეჰყურებ დისკოს ჩამავალ მნათის,
ვით ქრონომეტრის ჩამქრალ
ციფერბლატს.
დრო, დრო არ რჩება მეორედ განსჯის,
მეორედ ფიქრის, კამათის დავის.
საცაა, მწვერვალს მოსწყდება ზვავი
და თუ დახანდი, სასტიკად დავსჯის.
სულ თეთრად უნდა წერო და წერო,
სვა შენი წილი ტკბილი და მწარე
და მოთმინებით ელოდო დარებს,
როგორც ჭაობში ეული წერო.

●

ღმერთო, არასდროს შემშინებია
შეძულების ან გადაყვარების.
არ მინდა ვიყო სათაყვანები,
ოღონდ ნუ მოკლავ ჩემში ენებიან
მეტრფეს, მეგობარს, თანამდგომს,
მშველელს,
მოჭირნახულეს ნუ მოკლავ ჩემში,
თორემ მე ჩემი ვარამი შემშლის,
დამახრჩობს ჩემი ცრემლების ღელე.
ნუ გადამაქცევ ხატად, რომელიც
ვერ გრძნობს მხურვალე ბაგის შეხებას.
უწინამც გული დაიმეხება
თუ ამნაირი ბედი მომელის.
მაცოცხლე, სანამ სხვისთვისაც
ვცხოვრობ
და არ ეტყობა ოცნებას დაღლა,
სანამ სამყარო მეგულვის სახლად
და არა სულის მოსათქმელ სოროდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შარლოტა კვანტალიანი

სიკეთე

შენა ხარ ჩემი ნაძერწი ღმერთი,
ჩემგბრ სულელი და სასაცილო,
მიყავ სიკეთე: ჩემი წილხვედრი
ერთი ტკივილიც არ ამაცილო.

გული ჰგავს მიხაკს წვიმების მერე
და თბილი სისხლი ანათებს ღამეს,
თუ შეგცივდება გაყინულ მხრებზე
ვარსკვლავიან ცას წამოგასხამენ.

რა გეშველება მე რომ წავიდე,
ვინ დაგაპურებს წმინდა საკმეველით,
დაემსგავსები ცაში დამწყვდეულ
ჩიტს, უკარებოს და უსარკმელოს...

შენა ხარ ჩემი ნაძერწი ღმერთი,
ჩემგბრ სულელი და სასაცილო,
მიყავ სიკეთე: ჩემი წილხვედრი
ერთი ტკივილიც არ ამაცილო...

მივიწყებული ლექსივით...

მივიწყებული ლექსივით ვზივარ
უსასწაულო დღეების ყდაში,
ვით უმიზეზოდ დასჯილი ბავშვი,
მივიწყებული ლექსივით ვზივარ...

მაქეზებს შავი გედების ბზინვა
დიდი მოთმენის კამკამა ტბაში...
მივიწყებული ლექსივით ვზივარ
უსასწაულო დღეების ყდაში.

გაწყვეტილი სიმღერა

უცებ გაწყდა სიმღერა —
გიტარის სიმს მოხვდა თოვლის გუნდა...
სიყვარულმა მათრახი მომიღერა
და ოცნების გვირილები
კვირტში მომიგუდა.

კისკისებდა ზაპთარი —
მშვენიერი, უსისხლო და ცივი,
როგორც ქალი ავგული და ავთვალი,
როგორც ყალბი ბრილიანტის
მოციმციმე მძივი.

დეკემბერი მზებნელი
მპირდებოდა სიმღერების კარვებს
და მიწაზე საშოთხეთა მძებნელი
დავედევნე სევდის ტყეში
გზააბნეულ არვეს...

გადაიმსხვრა სიმღერა —
გიტარის სიმს მოხვდა თოვლის გუნდა...
სიყვარულმა მათრახი მომიღერა
და ცისფერი გვირილები
კვირტში მომიგუდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ კაცია

სამშობლო

I

კაცი, რომელიც „ლილეს“ მღეროდა, —
გადაიხვეწა საქართველოდან?!!
უღვთოდ მიაგდო სათაყვანები
ჰაპისეული:
ზვრები! ყანები!
სადაც ამირანს
სტეხდა იარა,
ეს მთებიც
მშვიდად გადაიარა?!!

II

ვღაღადებ მინდვრად, მთა-მთა და
ხევ-ხევ,
სამშობლოვ, ჩემო, ხარ სულის მეხრე!

ზღვების იქით რომ გამრიყოს ბედმა,
ჭკუიდან შემშლის „სამშობლოს
სევდა“,

რამეთუ ვბრუნავ წლის ოთხივ დროში
შენგნით, შენივე მზესა და თოვლში,

წყალსაც რომ მასმევ უკვდავებისას, —
მადლს მოგახსენებ რუსთაველისას,

ისევე, როგორც ყველა ქართველი!
ყველა პოეტის მსგავსად დიდგული!
წამწამზე უფრო მოკლე საბელით
მცხეთას რომ გყევარ კისრით მიბმული!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ყურაშვილი

ცთომილთა დღესასწაული

რომანი

ბატამ, როგორც იქნა, ზურგჩანთა ჩამოიხსნა და ბალახზე მიაგდო. ერთხანს ფეხზე იდგა, გაოფლილი ბეჭები ქვენა ქარისთვის მიეშვირა... აგვისტოს თბილ ჰაერს ოდნავ შემჭკნარი ღვალოსა და ღენჭეპურას სურნელი აჰქონდ-ჩამოჰქონდა. როგორც კი ხალათი შეაშრა ტანზე, ბევრი აღარ უფიქრია, გახურებულ მიწაზე ნახევრად წამოწვა, ზურგით ჩანთას მიეყრდნო და თვალქვეშ ხელები ამოიდო.

მთების გადაღმა მზე უცებ ჩავარდა. სიბნელეც ისე მოულოდნელად ჩამოიქცა, იფიქრებდით, ცას უბე გამოერღვა და რაც უკუნი ჰქონდა დაგროვილი, ერთბაშად ბატას თავზე მოაპირქვავაო. მალე ვარსკვლავებმა ლურჯ-ბნელად შეკრულ-შედედებული კაბადონი გამოჭრა და მთვარეც გაიმართა თავის მარადიულ გზასავალზე.

ხელისგულისოდენა ძლივს იქნებოდა ის მინდორი, სადაც ახლა ბატამ დაიდო ბინა. თვალს თუ მოავლებდი, დიდი დაკვირვება არ დაგჭირდებოდა, ადვილად მიხვდებოდი, რომ ამ მინდორზე შავად გაზინთული ტელეგრაფის ერთადერთი ბოძის გარდა, ქვეყანაზე სხვა არაფერი ხარობდა. ირგვლივ თვალშეუდგამი მთები შეყრილიყვნენ. ქვევით პირდაბჩენილი უფსკრულები ყეფდნენ და ახვლებდნენ, ზევით — ფრიალოები დამდგარიყვნენ შტერად.

ბატამ ახლოდა შეამჩნია ვერცხლისფერი ფოლადის ძაფები, ასე გაბმულად რომ ზუზუნებდნენ, ჩრდილოეთისკენ მისდევდნენ ცერად გაქცეულ აღმართ-დაღმართებს, ხოლო მთებიდან გადმოვარდნილი მდინარეები მხოლოდ და მხოლოდ სამხრეთისკენ მოარღვევდნენ ორწოხებში ჩაფენილ წკვარამს.

„ნებსით ჯვარს ეცვა შემაერთებელი და შუამდგომელი... ზუზუნებს, ზუზუნებს მილურსმული სამხრეთის ქარი!“— ვითომ გულში გაიფიქრა ბატამ, სინამდვილეში ისე ხმამაღლა გამოუვიდა ნათქვამი, ლამის საკუთარი თავისა შერცხვა. არადა, ჩვენს შორის დარჩეს, ტელეგრაფის ის ბალიფული ბოძი გოლგოთაზე აღმართული ჯვრისაგან ბევრად როდი განსხვავდებოდა. ერთი რამ იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო, როგორმე ფეხი უნდა წაგცდენოდა, ზედ გასულიყავი და სურათიც დასრულებულ სახეს მიიღებდა... ვიდრე ასე არ მომხდარა, ვიდრე ბატა კვლავ მზით გამთბარ მიწაზე ნებივრობს და ქვეყნის ოთხივე მხარის გზა ხსნილი ჰგონია, ვიდრე ტელეგრაფის ხაზივით, მასაც ის ერთი გრძელი გზა არ წაართმევს მუხლებს, ანდა მთის პირდაბჩენილი უფსკრული არ შეაგებებს თავის გაუმაძღარ ხახას... თუმცა რა, არც ტელეგრაფის ხაზები, არც მთის ჩქარი მდინარეები ერთმანეთისას არაფერს კითხულობენ. ორთავეს თავ-თავისი საზრუნავი აქვს, ორთავე საკუთარ ტვირთსა და ბედისწერას მიათრევს, — ერთი, როგორც ვთქვით, ჩრდილოეთის მხარეს, მეორე — სამხრეთისაკენ. დღისით კი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გაგორებულ ცხრათვალა მზეს, ხოლო ღამ-ღამობით ამავე მიმართულებით აცურებულ ფერმიხდილ მთვარეს მიჰყვება და მოჰყვება უკვე საქვეყნოდ ცნობილი მოგზაური ბატა თამმის ძე გიორგობიანი.

ახლა იმ ხსენებული ტელეგრაფის ულპობი ჯვრის ქვეშ იწვა ჩვენი უბირი მგზავრი, პირში ბალახის ნედლი ღერო ედო, ნება-ნება კვნეტდა და ნაკუწებს უკან, ისევ მიწას უბრუნებდა.

„დაბლა სოფელში რად არ შეეიცადე, რატომ იქ არ დაველოდე გათენებას!“ — რამდენჯერაც დაეკითხა გულსა და გონებას, იმდენჯერ განსხვავებული პასუხი გაიგონა. მეტი თუ არა, სამი ადამიანი მაინც იჯდა ამ კაცის კანსა და ხორცში. ერთი! ერთ პასუხს რომ იტყოდა, შიშმა ამოგვიყვანაო; მეორე უარყოფდა, რას ამბობ, კაცო, რა შიში რის შიში, სიმამაცემაო. მესამე კი იდგა თავისთავად და არას იტყოდა. ალბათ დადგება ისეთი დრო, ის მესამეც რომ ამოიდგამს ენას. მანამდე კი შიში და სიმამაცე ერთმანეთს არ ეპუებიან, — — არა მე ამოგიყვანე, არა მეო...

სიჩუმემ თანდათან ფეხი მოიკიდა. ხევიდან ამოვარდნილი მდინარის შხუილიც ისე ერწყმოდა სხვაფრივ გამეფებულ მდუმარებას, ალბათ უამხმაუროდ დიდი სიწყნარე არც იარსებებდა... ზევით ცა ვარსკვლავებით გაივსო და აჭახჭახდა?! ცოტაც და, ნამდვილად გასკდებოდა. ეს პატარა მინდორი, მთების უბეში ბუდესავით რომ იყო შედგმული, ამაღამ მართლა ბუდის მაგვრობას უწევდა ბატას. ტყე-ღრეებში უცეცხლ-უნავთოდ ყოფნა ახალი ხილი არ იყო მისთვის. ამ წუთშიც რომ ვინმე გულშემატკივარი გამოსჩენოდა და ეკითხა, რამეს ხომ არ უჩივი, ღამის სათევად როგორ მოეწყვეო, უსათუოდ გიპასუხებდათ: რას ამბობ, კაცო, უკეთესი სად გაგონილაო. განა იმიტომ, აღმა-დაღმა წოწიალს შეეჩვია და სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო. ეძიებდა ბატა, და რასაც იგი ეძიებდა, ბუმბულდაფენილ საწოლ-მაწოლში იმას ვერ იპოვიდი.

ასეთს რას ეძებდა?!

მოთმინება იქონიეთ, მოთმინება, ჩემო ბატონო! და ვინმეს თუ მაინც არ გყოფნის ეს ოხერი მოთმინება, მეზობელს დაესესხე... რაკი იმასაც არ გაჩჩინა, მაშინ... მაშინ, აგერ ბატას ჩაჰკიდე ხელი და აღივსები მოთმინებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოთმინებითა შენითა მოპირთავდება საჭურჭლენი ცათა და ხმელთა. ჩვენში იყოს და, ამ ქვეყანაზე კიდევ თუ რამე დარჩა საპოვნელი?! ბატას აყოლას და ხმელ მინდორზე ტკბილ ძილს მაინც ბუმბულში

ავთანდილ ყურაშვილი
ცოტიმელთა დღესასწაული

კოტრიალი გერჩიოთ, ბოლოს და ბოლოს, რა ჯიღასაც დაიდგამს ეს ვაჟბატონი, იმასაც დაინახავთ, მხოლოდ მოთმინებაა საჭირო, მოთ-მი-ნე-ბა!..

„ასეთ მდიდარ ცას მთაში თუ შეხვდები კაცი!“ — ვარსკვლავების სიმრავლემ თვალი წაართვა ბატას. დაღლილობამაც თავისი გაიტანა, ნელ-ნელა რული მოეკიდა და ის იყო ძილმა სიზმრის მინდვრებზე გაიყვანა, რომ ანაზდად ხმაური მოეყურა. შეცბუნებული კაცი თვალებს არ უჯერებდა, ორ-სამ-ჯერ თავ-პირზე ჩამოისცა ხელი, იფიქრა, ზომ არ მეჩვენებაო. თვალები დახუჭა და გაახილა, დახუჭა და გაახილა, მაგრამ მოლანდება კი არა, რაღაც უზარმაზარი ნადირი პირდაპირ მისკენ მოდიოდა. მთა და ბარი მოჰქონდა. არ ვიცი, შიშმა, არ ვიცი, სიმამაცემ, არ ვიცი, ორთავემ ერთად, ბატა ფეხზე წამოაგდო.

მავანნი და მავანნი დღესაც ჩუმ-ჩუმად ქირქილებენ, — „სხვა რამეს ტყუილად აბრალებენ, ბატა თმამ ასწიაო ზევით!..“

ასე იყო თუ ისე, ნადირი რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო ანელებდა ნაბიჯს, მაგრამ თვალების ადგილას კოცონები ედგა?! გაღმა მწვერვალებს ლოკავდა მისი ცეცხლის ენა. როდისროდის ბატამ ჭირის ოფლი შეიმშრალა — ის საშინელი მხეცი ცხენი გამოდგა.

ცხენი გამოდგაო?! სიმამაცეს ხომ გაუხარდა, შიშმაც დაჰკრა და დაჰკრა ტაში, ვინმეს რომ ეკითხა, ასე რა ეშმაკმა აგტეხათო, პასუხს ვერც ერთი იტყოდა, ვერც მეორე. „ეგეც არაფერი, — თქვა ბატას კან-ხორცში ჩამძვრალმა იმ მესამე კაცმა, — ის გადარეულები ჯიხვინებდნენ?! მეგონა, მთა ჩამოწვებოდაო“.

რაკი ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, ბატამ ცხენს შემოხვია ხელი, ფაფარი გადაუშალ-გადმოუშალა, მერე ბეჭის ფრთაზე მიეყრდნო. კარგა ხანს ასე იდგა, ცხენიც არ ინძრეოდა, ერთი იყო, ხანდახან შეაჟრიალებდა ჭირუტყეს და ჟრიალი ისე გადაუვლიდა ზურგზე, მინდვრის ერთი კიდიდან მეორეზე თაგვმა გადაირბინაო თითქოს.

— მითხარი, საიდან გაჩნდი, აქ რამ ამოგიყვანა, ბაჩუ! — იმნაირ ხმაზე ჰკითხა ბატამ, თითქოს მისგან ენასხარტ პასუხს გამოელისო, და ახლა, ცხენი რომ ხმას არ იღებდა, ბრმა-ყრუდ ყოფნა ირჩია; კაცი მართლა გულდაწყვეტლილივით გადგა განზე, ხეობაში ჩაკეცილ ბინდს დააკვირდა, სულ ცოტა ხანში შემობრუნდა, რაღაც გულისთქმას თუ უთხრა უარი, ხელი მოკლეზე გაიქნია, ზურგჩანთასთან მივიდა და ზედ ჩამოჯდა.

ცხენმა თავი აიღო და გამოუდგა. უცნაურად კი მიდიოდა — ჯერ წინა ფლოქვებს ასწევდა ტყუპად, მერე უკანა ფეხებით ასხლტებოდა მიწიდან და სკუპ-სკუპით მიიწევდა წინ...

„რა ტაბუს იცემს!“ — გაუკვირდა ბატას, ცხენს ფლოქვებზე დახედა, მერე ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო, გრეხილი თოკი ჯერ ერთ ფეხზე შეაჭრა, შემდეგ მეორეზე. ბორკილი ხელში მომარჯვებულად დაიკავა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოიქნია და შორს გადაგდო.

სამადლობელს უხდიდა თუ რა იყო, მკლავებსა და გვერდებზე ქვიქვირს უცმაცუნებდა ცხენი, ხანდახან კი ფრუტუნს ამოუშვებდა?! თითქოს ეს-ეს არის, თავის ტყუპის ცალს მიაგნო და ქვეყანაზე სხვა აღარაფერი ედარდებაო...

მთვარის შუქზე თოვლივით ქათქათებდა ცხენი, იგი დილის ნისლივით უნიშნო თეთრი იყო.

ფიქრმა დრო-ჟამი არ იცის, მისთვის სამანი არ არსებობს. გინდა თუ არ გინდა, მაინც მოგძებნის, გულში ჩაგიძვრება და სანამ არ ამოგგვამს, მოსვენებას ვერ ეღირსები — ადრინდელ ბუ-**რუსს სარკესავით გადაწმენდს, დღევანდელ ბროლ-მინას შემოღრუბლავს და**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოაღამებს, ბრჭყალით ქვის კოდვას მოგანდომებს, ბუკს და ნაღარას აგაღებინებს, ბრძოლის გასწორებას მოგანატრებს...

მთა იძრა, ბარი იძრა, ცა და ქვეყანა იძრა. გაიპო კლდე. გამოვიდა შავი კაცი, შავი აკაზმულობით, უკან მოსდევდა მცურავი. მოდის ის კაცი და მოჰყვირის კურო-მოზვერივით:

— ვაჟკაცს შევტაცებ სისქე-ბარძაყსა, ქალს შევეყრები, ძუძუს შევუშრობ!

ჩვენმა მოგზაურმა განა რამედ ჩააგდო კლდის შავი კაცის ბაქიბუქი, — ისე მშვიდად და უბოროტოდ იღიმებოდა, გეგონებოდა, შემოდგომის პირსავსე მთვარე ამოვიდა ბატას მხრებიდან და ის იყო ამ უჩინარ და ძველისძველ იარაღს რომ აყოლარუნებდა.

— მომცემელო ძილისა! მიეც ძილი მძინარესა და გონება მღვიძარეს. მასწავლე, სად ძევს ბორკილი რკინისა, შეკრა, შევბოჭო მოარული ღამისა, ძილის მოკლებული...

კლდის შავი კაცი წელან რომ ბუილ-ბუილით ჩამოდიოდა, ახლა შეჩქვეფდა, წამით შედგა:

— რა იყო, რამ შეგაშინა, ცისულმა შეგაშინა თუ დედამიწის გრგვინვამ. აზრმა შეგაშინა თუ ფიქრმა შეგაშინა!

მერე სიცილი აიტეხა, თეთრი კბილები ააშუქა, იცინოდა, იცინოდა, ისინოდა, მთელი ტანით თქანთქარებდა.

ვითომც ზღვაში ქვა ჩაგიგდია, ბატა არც შერხეულა. მარჯვენა ხელის მტევანი გულის მხარეზე ედო, მარცხენა— თავქვეშ, სასთუმლის მაგივრობას უწევდა:

— მოარულო ღამისა, ძილის მაკლებელო! აგიღებ რკინის მარწუხით, დაგდებ სიპსა ქვაზედა, თავს დაგრავ შავტარა დანას, ბოლომდე გაგატან, ბოლოს დაგკრავ, თავამდე გაგაპობ...

საცა ანგელოზი ეამობს, იქ ცოდვიანი ნანობს! როგორც წყალს ქვიშა, ისე დასცვივდა შე კაცს მხარ-მკლავი, მოტყდა, სულ მოიჩვარა — ქრებოდა, ლხვებოდა, მთვარესავით ილეოდა:

— არა, ნებით მოგშორდები! წავალ, კლდეს შევასკდები, თავს ვკრავ და მდინარეში დავიკარგები.

შებრუნდა კიდევაც, მაგრამ, უნებურად მცურავის კუდზე მოუხვდა ფეხი. იმანაც ერთი დაისინინა, მერე აიმართა, აიმართა და ზედ მოზუზუნე მავთულებზე ჩამოსდო თავი. თითქოს გაქვავდაო, კარგა ხანს უძრავად ეკიდა, თვალებზე ყინულის ხანჯლები გამოებუსხა და ამ ხანჯლებიდან ისე მიშტერებოდა რიხრახდაბნეულ კლდისკაცს. სხვა რომ ვერაფერი გააწყო, კლდისკაცმა თავი ჩაღუნა და უმისამართოდ ალუღლუღდა;

— არა, არავინ ატირებს ქვრივს, არც არავინ იკლებს ქვეყანაზე ობოლსა და მწირს, დედა მარიამს ჰვალი გასდგომია მხარში, მისი ზიგილი და მისი კივილია, ცას რომ აყრუებს და აუდაბურებს...

— რასა ხნავ და რასა თესავ, შე გზა-კვალ უკუღმართო! — ჩამოსძახა ზეკიდან უხსენებელმა.

— კლდესა ვხნავ და ქვიშას ვთესავ, მაგრამ შემინახე დრომდინა, ნუ ადუღდები და ქოთანივით ნუ გადმოხვალ! — იყო პასუხი.

— ისე შენ იხარე, როგორც კლდეში ქვიშამ იხაროს, ვინ გაიგონა, ზღვა ხნული და ქვიშა ნათესი! — ყინულის ხანჯლები ლამის მიწამდე ჩამოეზარდა ტელეგრაფის მავთულებზე თავჩამოდებულ მცურავს.

— პეტრე ბანსა, პავლე კარსა! სწორედ ეგრეა ჩვენი საქმე. ხომ ხედავ. წყალში ჩაყრილი მარილივით ვდნები, შენ რაღას შემომიჩნდი! — უსაყვედურა გველსოკერას, მართლაც საგრძნობლად დამდნარ-დაჩიავებულმა კლდის შავმა კაცმა.

ნეტავი ვინ წამოიწყო ყოველი სამართალი — ხვეწება კაცისა, ბარება სუ-

ავთანდილ ყურაშვილი
ცოტოვილთა დღესასწაული

ლისა... განა თუ მოწყალე ხარ, განა თუ მოყვარე ხარ, განა თუ უსახობით სახიერ ხარ, ღმე ეგე განათენე!..

— სამართლის გამჩენო, — ჩურჩულებს ბატა. — ნუთუ მოიწყენ მახვეწარს, ჩოქის მომყოლესა და მადლის მთხოვნელს? მეც არ მოგიწყენ, არ მოგიძულებ, ოღონდ შემასწარ და შემახედე, რომ დაცემული აღადგინე, ატირებული გააცინე, ავთვალის თვალი დასთხარე, ავსულს სული ამოხადე, — ტკივილი მასაც შეაწუხებს, უხორცო არც ის იქნება...

თითქოს მკერდში ალმასის ფიწალი გაუყარესო, მთლად მოიღვერა კლდის შავი კაცი. კარგა ხანს იტრიალა და ივიშვიშა, ერთი მოზრდილი ლოდი შეარჩია, ხელი წაავლო, ბუმბულივით აიტაცა, მომარჯვებულ ადგილზე დადო, ზედ ფრთხილად ჩამოჯდა ხმა მოიღბო და ბატას მიუბრუნდა:

— ბატა, ბატა! გამიგონე, კაცო, რაც შენ გაჩნდი ქვეყანაზე, მეც იმ დღიდან მოვევლინე ამ გამწარებულ წუთისოფელს. დადიხარ და მოგდევ, ფეზები კოჭებამდე მიმაცვდა. რისთვის მერეკები, ბატა, დილას შეგხვდები, გეტყვი, საღამო კარქა ყოფნისა; საღამოს გნახავ, გეტყვი, დილა კარქა ყოფნისა. ავთვალი და ავყბა რისთვის გგონივარ, ბატა!

— ხო, არა! ხო, არა?!

კარგა ხანს ტკეპნიდა ყელში გაბოგირებულ ამ ორად ორ სიტყვას ბატა. მერე, რამდენიმე წუთი, თვალიც რომ არ დაუბამხამებია, ისე აშტერდებოდა კლდისკაცს — ხანჯალივით ჩამოვარდნილი ნიკაპი ჰქონდა იმ შეჩვენებულ ძილის მაკლებელს.

— ეგრე, არა? მაშ, ეგრე, არა?!..

კვლავ ყელს ზემოთ იმეორებდა ბატა და მზერა ახლა მცურავის კვალზე გადაჰქონდა. უხსენებელი მთარახის ტარივით ისევ სწორა ეკიდა ცასა და ხმელს შორის, დაკუთხული თავიც ძველებურად მავთულებზე ედო და თვალებს ატრიალებდა?! თითქოს ეხლა არის დაინახა და ძლივს მოასწრო გაბარება — ვერცხლისფერი ფოლადის ძაფები ასე გამმულად რომ ზუზუნებდნენ, მართლაც ჩრდილოეთისაკენ მისდევდნენ, თურმე, აღმართ-დაღმართებს, ხოლო მთებიდან გადმოვარდნილი მდინარეები მხოლოდ და მხოლოდ სამხრეთისაკენ მიარღვევდნენ ორწოხებში ჩაფენილ წკვარამს.

— ეგრეა, ეგრე, ბატა! შენც გაჩნდი და მეც მოვედი ქვეყანაზე, ამ გველზოკერასავე ლამის ფრთები გამოეზარდა წალმა-უკუღმა ხეთქებაში — მიდიხარ და მიგდევთ, მოდიხარ და მოგდევთ...

— მაშ, ყველაფერი იცი და გახსოვს?!

— ყველაფერი!..

ნაკადულს სათავიდან თუ გამოსდევ, ერთი ნაბდის გაშლა ადგილი საკმარისია, რომ ნაკადული უკვე ნამდვილ ღელედ იქცეს; ისრის გაფრენა მანძილი და, ღელე, თვალ და ხელ შუა, მდინარედ ავარდება; მდინარე კი ატყდება, ატყდება და ქვეყნის კიდეში ზღვად ჩაირხევა...

როგორც ჯადოსნურ ზღაპრებში ხდება, თითქოს რძე წამოდუღდაო, მიწიდან ფაფუკი ნისლი ადგა, აიბორცვა, აიბოლქვა, მერე უცებ გაიშალა, თვალსაწიერს მოედო, წამში ვიღაც უხილავმა სული შეუბერა თუ რა იყო, ნისლი წავიდა და გადაიწმინდა. აღარსად მოები, აღარსად გველზოკერა და ის შავი კაცი, არც ტელეგრაფის გალიფული ბოძი, არცა თეთრი, დილის ნისლივით უნიშნო, თეთრი ცხენი...

1. — ბატა!!! არ აგაყენა, შვილო, გამჩენმა. გაკეთდა, ბიჭო, ქვეყანა სანამდე უნდა იგორაო ლოგინში. უი, უი, უი, ერთი გაკვდეს და ისიც შენისთანა, ჩემს მტერს და მოძულეს აშოროს... ღმერთო, მტერიც დაიფარე ამისთანა უქნარასაგან, მტერიც! — ხელები ცისკენ აფიჩხა ბაბილომ, მერე ძირს ჩამო-

უშვა, ჩამოფარცხულ თეძოებზე აიტყაპუნა, ერთხელ კიდევ მიაჯოჯოხეთა შვილიშვილს, წინსაფრის აწეული კალთა ჩამოიშალა და პარკი ლობიო ხის გობზე დაახვავა.

ბატამ სამზადიდან გამოყო თავი. პირისახეზე წყენის ნატამალი არ ანდა, პირიქით, თვალები ღიმილით გავსებოდა.

— ბები, ა, ბები! რავა მზვერავს დამსგავსებიხარ, გოგო!

მხრები, მკლავები, ზურგი, წვივები, ჩიქანა, მოკლედ, სადაც კი ამის შესაძლებლობა იყო, ყველგან ლობიოს შეყვითლებული ფოთოლი აკვროდა, მართლაც მზვერავივით გაჭრელებულიყო ბაღჩა-ბაღიდან სულ ახლახან ფეხგადმოდგმული ბაბილო.

— მე შენ მოგცემ გოგოს, იმ გომბიისაც ვაჩვენებ სეირს, თუ ვყოფილვარ ქალი. ყველაფერი იმისი გადამკიდე მჭირს, თორე... — მიიხედ-მოიხედა ბაბილომ, შეატყო, ისე დაბალზე ვერ დაამთავრებდა სათქმელს, შვილიშვილს რომ არ გაეგონა, ამიტომ გულში გააგრძელა: „თორე საძღახისა რა სჯირს, ამას შემოეკლოს ბაბილინეს თავი...“

— ენა მიე ნაბდისა, კბილი მიე სანთლისა... — გამოაჯავრა ბებიას ბატამ, მერე დაინახა თუ არა, ქალს სულაც არ ეხუმრებოდა, ხმა გაიშაქრა.

— კარგი რა, ბები! მეზობლები გაიგონებენ, ეგერ, ტასიკოს ყური ღობეზე აქვს მოდებული.

— ვაი, მაგის ყურის დაფსება გამეგონოს ადრე და მალე, — შენ კი... — მიუბრუნდა იგი შვილიშვილს, — თუმცა, მე თვითონ... — აზრი აღარ დაუმთავრებია, ზურგი აქცია და ეზოს მხარეზე გასძახა:

— ლევანა, ლევანა, კაცო!

დიდი დრო არ გასულა, ფოთლის შრიალი მოისმა და სახლის წინა ეზოში, სადაც ახლა ბებია და შვილიშვილი იღგა და, სადაც მიწა, თაგვისრახა ცოცხით კი არა, მელიას კუდით დაგვილდაწმენდილ. ეფრო ჰგავდა, ლევანამ ჩამოდგა ფეხი.

— ტახი უნდა დავკოდოთ, კაცო! ამიტომ მოგაცდინე...

ლევანა ჯერ ბაბილოს მიაჩერდა, ქალის პირისახეზე ისეთი ვერაფერი ამოიკითხა. მერე ბატას შეხედა, არც ბიჭს ეფინა გადაშლილი ეტრატი შუბლპირზე.

— რა დროს ეგ ამბავია, ბაბილო! თუმცა რომელ ტახზე მეუბნები, სად გვყავს ტახი, გოგო!

— გოგო და ჯანდაბა შენ, ამ მუტრუკზე გეუბნები, დღედაღამ გადავარდნილია, სახლში რომ აღარ უჩერდება გული...

ღიმილის შუქმა ოდნავ გადაუნათა თვალი კილოებთან შეყრილი ნაოჭები კაცს:

— მოვუყვანოთ ის ქალი, ბაბილო! შენც მოისვენებ, სოფელიც მოისვენებს და ეს ბიჭიც გადაგვირჩება სამოძიროზე დანის დადებას.

— დაუჯერე, ბები, ჭკუის კაცს ეძახიან ბაბუაჩემს, გაღმა მთაზე რომ ბუზები წაიკიდებიან, აქედან ეს უჩენს საბართალს, — თავი ვეღარ დაიჭირა და ქათქათა კბილები გამოაჩინა ბიშმა.

— აგრე, ხო, შე ოხრახინა, შენა! — თითით დაემუქრა ლევანა...

— არა! რამ გამოგაჩერჩეტა, კაცო, რა დროს ამ ბავშვის ცოლია, — თავზე ცეცხლი წაიკიდა ბაბილომ.

— არ მინდოდა, ეგი მეთქვა მარა, ვერც უთქმელად დავდგები ახლა, მაგ ბავშვებს უნდათ ცოლი, ქმარი და ყველაფერი სიკეთე, აბა, მე და შენ, აგერ, ბატონო, ამას ხომ უყურებ, — ფეხი დაჰკრა მიწას. — ორი მეტრი სიგრძეზე, ორიც სიმაღლეზე...

— არა, მამა, ძე და სული წმინდაო! დიდი აბლაკი კაცი ხარ და მაგ ბიჭსაც შენ გაუთხელე ჭკუა-გონება! — სამზადიდან აძახახდა ბაბილო, თანაც ხელების შეწყობილი ტყაპატყუპი დაადევნა სიტყვებს, ეტყობა ფქვილი აგაულგულავა საცერში: — მაგის დარდით ასე

აპთაანდილ ყურაშვილი
ცოტოვილთა დღესასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავმსუბუქდი, როგორც ეს ქატო; ასე გავშავდი, როგორც ეს ნახშირი! — ნაღვლიანად გამოანასკვა ბოლო.

ხომ ავყური და შეუსმენელი კაცი იყო ლევანა, ქალის სიტყვებმა ლამის წელში გაწყვიტა, ყელი გადაუკეტა და ენა წაართვა. როდის-როდის აჩვილებული გული ისევ ალალუღზე შეაგდო, ვითომც არაფერი მომხდარაო, ბატას თვალი ჩაუპაჭუნა, ბაბილოს კი ხმამაღლა გააგონა:

— ზაფხული ისე წაება, ცას ნამი არ გავარდნია, წყალმა დაიკლო, წისქვილი დადგა, ღარი უნდა გამოვუცვალო, გვიმს დავუყენებ და ჩვენი წვალებაც გათავდება; ბატას რომ გამაყოლებდე, ხელს წამიკრავს... წისქვილის გაწყობას ისწავლის ბიჭი, ვინ იცის, სად და როდის გამოადგება.

ბაბილომ ერთ წამს აიკვირაძალა, მერე ცეცხლის თავზე კეცები მოარქვა, სამი-ოთხი მჭადი რომ გამოვიდოდა, გოგზე იმოდენა ფქვილი დაყარა, ოდნავ შემთბარი წყალი დაასხა ზემოდან, ხელები სოხანენზე გადაიბანა და ცომის მოზელა დაიწყო. ამასობაში პირისახიდან ჯანღი გადაიყარა, ისე საბრალო და საწყალი გამოჩნდა, მზისაგან გამოხუნებული მთის ფერადი ყვავილი გეგონებოდა. ერთხანს ხმაამოუღებლივ საქმიანობდა. საბედნიეროდ, მალე მოაგონდა, რა შატაბუტა შლეგიანივე ლევანა იყო და ძლივძლივობით ამოიკვნესა:

— წაიყვანე, კაცო, ვინ გიშლის, მაგრამ ხომ იცი, რა ავი ბედ-იღბლის პატრონები ვართ და მეშინია!..

— ღმერთს ნუ სცოდავ, ბაბილო, ნიადაგ ბედს ნუ უჩივი, საწუთროს თასში ჩახედული ქალი მგონიხარ და არც ასე გაბმული ქივილი ვარგა.

„ამ დასფსეს თვალებს ვერაფერი მოვუხერხე, გაუთავებლად დნება და ჩამოდის!..“ — თითქოს თავს იმართლებდა ქალი, მაგრამ ესეც ხომ ნაღდია: ტიალი წუთისოფელი მზის ნახვას რომ არ დაგაცლის, ისე მოჯანღავს და მოაქუსუშებს სააქაოს... ბაბილომაც კარგად იცოდა, ტირილითა და თავში ცემით ვერაფერს გააწყობდა. „ბანცოტა უბედურება ნახა და გადაიტანა თვალის ახელის პირველი დღიდან აგერ აქამომდე. ყველაზე დიდი მეხის დაცემას, — შვილების სიკვდილსაც გაუძლო... გაუძლო ამ უდედმამოდ დარჩენილი ბიჭის გამო და ახლა, გული თუ უტირის, რატომღაც ჰგონია, რაღაც ახალი უბედურება დამატყდებაო. ამ უბედურების მოლოდინში აღამებდა და ათენებდა ქალი:

„ჩვენს ბარაზე ეს ერთი სანთელიღა ღარღილობს, ლევანა!“ — ქვითინი აუვარდა ბაბილოს და შავი თავსაფრის ყური თვალებში ამოისვა.

საწვიმარი ღრუბელივით შეიკრა და ჩამობნელდა ლევანა, ტლანქად გალილი, რკინისფერი მძიმე ხელები აღარ იცოდა, საით წაელო. ერთხანს ასე იწრიალა პალოზე გამობმულივით, მერე ნაალის ხეზე ჩამოჯდა, ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო, ჩიბუხი გააწყო და ვიდრე კვეს-აბედს გაჰკრავდა, უკვე ჩაწყნარებულ ბაბილოს უთხრა:

— გულს ვარამს ნუ დაუგდებ, ქალო! რაც წავიდა, წავიდა! უკან მამაზეციერიც ველარ დაგიბრუნებს. ათასჯერ მითქვამს, გაანებე მაგ ქივილს თავი. აღარ მახსოვს, როდის იყო, ერთი სიმღერა წამოვიწყე და ბიჭი ვერ ამყვა. მეორე ხმა-მეთქი, ბიჭო, რომ შევძახე, იცი, რა მითხრა?! ლევანა ბაბუა, ტირილს თუ დაიწყებ, ზარს გეტყვი, ვარსკვლავებს ძირს ჩამოვყრი! მოთქმა-ტირილის მეტი ჩვენს სახლში არაფერი გამიგონია და სიმღერა საიდან მეცოდინებაო...

— ეჰ, ლევანა! შენცა ხარ რაღა... ისეთს გამოახტუნებ, უხსენებელს გასტეხ წელში...

ლევანამ თავი ოდნავ დახარა, მერე სვანურ ქუდს, კეფის მხრიდან ხელი წამოსდო, წარბის ხაზამდე ჩამოსწია და შუბლი მოლიანად დამალა. მთვარესავით პირსავსე კაცი იყო, ხეშეშა და გაბუძგული წვერ-ულვაში ესხა, რიყის ქვა რომ გესროლა, ზედ შერჩებოდა... ქალმა შიშით შეხედა, იცოდა ლე-

ვანას ამბავი, ავცხვირს რომ დაიცემდა, ხოლო გულს თუ მოიყვანდა, პირიდან მეხის ქარს ყრიდა. „ნაგუბარი წყალივით მძიმე და მყრალია!“ — ხშირად ჩავარდნია ყურში ამ კაცის მისამართით ზურგსუკან ნათქვამი სიტყვა, მაგრამ ისიც ცხადზე იყო, მისი უკეთური საქმე არც არავის გაეგონა, არც არავის ახსოვდა. ერთი ზნეც სჭირდა ლევანას, დროს თუ უპოვიდი, მასზე უფრო რბილი ბაშის ძაფიც არ იქნებოდა.

— კარგი, კარგი, შე ქალო! სიტყვა აუგი არ არის, ნუ გეწყინება.

ცის ჩამოქცევას მოელოდა, შაქარყინული კი ამოუვიდა პირიდან კაცს. უნებლიედ გაეღიმა ბაბილოს.

— რა უკიღოოდ ვიცინი, ვაი ჩემს გაცინებას! — ჩაილაპარაკა ქალმა და პირბაგე ლეჩაქით შემოიბურა...

მზე ნახავდა, მზე დადგებოდა; წყალი ნახავდა, დადგებოდა წყალი, — ნეტავ შენთვის მაყურებინაო. ჩასირმულ თვალებში ათასი ვარსკვლავის ნათელი ჩასწურვოდა; ტევრთმას კი, თითქოს ქანდარაზე ეკიდა, ისე ულივლივებდა ქარი...

დრმმ დაჰკრა, სიმწრის ქვეშამ დალეკა, დარია თუ ავდარი, შალს ვეღარ იშორებს; პირისკანზე გვალვა უდგა, ნაოჭებში აქლემს ჩაუვარდება ფეხი. მისი დალალ-კავები ახლა ზამთრის საბუდარია, მისი თვალები შიშისა და ნაღველის მშრალ-მშრალი ორმოები, ერთ დროს ვაზის წალამივით გაქნეული მისი წარბები ახლა დრო-ყამს გადაულოკავს, მთლად ძვალზე დასულა და დამდნარა ქალი...

ის შორეული ბაბილო თეთრი შუნივით გაკრთა ლევანას ხსოვნაში, იმ მშვენიერი ასულიდან წლებს მხოლოდ ჩენჩო და შლამი წამოეღო.

დრო ყოველთვის ასე სპობს და ანადგურებს ადამიანის სხეულებრივ წარსულს. ასე შეუბრალებლად გვთითხნის და სამუდამოდ ჩალას გვავლებს პირში.

სული და გული აუტირდა ლევანას — თითქოს მთის შავი ღრუბლები დაწოლა ჩადგა, მდინარეს გადაეფარა და ატყდა წყლების ქვითინი...

„ეჰ სიბერეს რა ვუთხრა, როგორც ხევიდან ამომავალ წყაროს, ერთ დროს, ისე აუდ-ჩაუდიოდა მკერდი. ახლა ლოგინში რომ ჩამომიწვება, ასე მგონია, გამხმარი სარი იყოს“. — გუნებაში შეიცოდა და შეეხანა წყალჯავარმოლილი ქალი... თავიდან ერთი საბძელი, ერთი სადუღარა ქოთანი, თივით გატენილი მუთაქა და ერთიც ჭრელი საბანი შეხვდათ წილში, სხვა ყველაფერი ძმებმა ირგუნეს... იმ ღამეს მუთაქა დაუდო სასთუმლად, ის თხელი საბანიც გადაჰხურა, გვერდით თვითონ მიუგორდა და ყელზე შემოეხვია.

— შენთან ძილ-წოლა მომენატრა, ბიჭო! ამ ჩემი მოკლე ჭკუით, დღეს ბევრად ღამე სჯობია, ლევანა! — ჟღურტულებდა, ჟღურტულებდა, ენას არ აყენებდა ბაბილო...

სამოცდაათ წელს მიტანებული კაცი იყო ლევანა. ბედსა და უბედობას, ტკივილსა და სიხარულს, ყველას და ყველაფერს, რაც მის ირგვლივ თავს იყრიდა და ტრიალებდა, ხსოვნაში სამუდამოდ ჩარჩენილი ის ერთადერთი სასიამოდ მოსაგონარი წამი ედებოდა მალამოდ. ამ წუთშიც ის დაუვიწყარი სურათი აეფარა თვალებზე: უმტვერო თოვლივით თეთრი ძუძუები დაფეთებული კურდღლებივით აქეთ-იქით გაუხტა ბაბილოს; ნატიფ, ქათქათა მხრებზე გადმოშვებული გრძელი თმის ღრუბლებში შერგეს ოდნავ შეყვითლებული ნისკარტები და გაინაბნენ მოლოდინში...

ნიავმა წყნარად დაჰქროლა, ფოთლებს სულ ტაშისცემა აატეხინა ეზო-კარში და ახლად თავნაყარი სიმინდიც გემოზე აშრიალდა. სამზადში ნაალზე ჩამომჯდარი ლევანა თავის თავს დაუბრუნდა...

— აცა გულს, ბაბილინე! იქნება კვნე-

სა გამოელია, იქნებ კიდევ მოვესწრო და დაგინახო გახარებული.

„მთელი ორმოცი წელიწადი ტუჩ-პირზე ხავსი ედო, ერთი საალერსო სიტყვა არ წამოსცდენია, დღეს რა ცოდვამ უკბინა!“ — ბაბილო ისე შესაქებროდა, თითქოს მის სიცოცხლეში პირველად ხედავდა ლევანას. მაინც შეუბერა სული, მაინც გადააცალა ფერფლი ოდესღაც გულის ერთ კუნჭულში გადამალულ მბაუტავ ნაპერწკალს — „თავზე ქოჩორი გადასდუღდა, ერთ ბიჭად იგი ღირდა. გიეი და გადარეული სულ მუდამ იყო, მაინც როგორ მეტაკა თივებში და გამომიკოცნა ყელი...“

ჭრელია წუთისოფელი, რა არის ადამიანის ყოფა, — ასი გრძელი საუკუნე თუ გინდა ერთ ჭერქვეშ გაატარონ, წამლად მჭირდებაო, თავი რომ მოიკლა და ეძებო, ქალსა და მამაკაცს ისეთ წამს ვერასდიდებით უპოვი, ერთნაირად რომ ეძვირფასებოდეს მათ გულსა და გონებას:

„შენთან ძილ-წოლა მომენატრა, ბიჭო! ამ ჩემი მოკლე ჭკუით, დღეს ბევრად ღამე სჯობია, ლევანა! უმტვერო თოვლივით თეთრი ძუძუები დაფეთებული კურდღლებივით აქეთ-იქით გაუხტა ბაბილოს, ნატიფ მხრებზე გადმოშვებული გრძელი თმის ღრუბლებში შერგეს ოდნავ შეყვითლებული ნისკარტები და გაინაბნენ...“

(ლ ე ვ ა ნ ა)

„თავზე ქოჩორი გადასდუღდა, ერთ ბიჭად იგი ღირდა. გიეი და გადარეული სულ მუდამ იყო, მაინც როგორ მეტაკა და გამომიკოცნა ყელი...“

(ბ ა ბ ი ლ ო)

...ასი გრძელი საუკუნე თუ გინდა ერთ ჭერქვეშ გაატარონ, წამლად მჭირდებაო, თავი რომ მოიკლა და ეძებო, ქალსა და მამაკაცს ისეთ წამს ვერასდიდებით უპოვი, ერთნაირად რომ ეძვირფასებოდეს მათ გულსა და გონებას.

ორპირობა-ღალატისა ლევანამ ნაფერი იცოდა. ხან აქეთ და ხან იქით, საითაც ქვევრებს ხდიან, მის დღეში არ გაქცეოდა თვალი. ისე კი წამი-წუმში იცვლიდა ეტლებს — ამ წუთში ერთ საქმეს რომ მოჰკიდებდა ხელს, სანამ ბოლოში გავიდოდა, მეორეს გამოიწყებდა. ამასთან, ისეთი თავისნათქვამა იყო, თუ ფეხის შედგმას მოგასწრებდა, ჯორიდან ვეღარ ჩამოიყვანდი, ძნელად გადააჯერებდი. ძალზე უეშმაკო და კეთილი თვალები ჰქონდა, მაგრამ, სიფიცხის დროს, ქუთუთოებს ქვეშ რკინის ალმური დაუტრიალდებოდა, კაცს კი არა, ლომს მოეკვეთებოდა მუხლი. საწყენი იყო თუ სასიხარულო — საოქმელს პირში მოგაყრიდა, ნაკლსა და საორჭოფოს არაფერს ჩაიტოვებდა გულში. რასაც ფიქრობდა, ყველაფერი შუბლის ფიცარზე ეწერა და ადვილადაც წაიკითხავდი ადამიანი. შეხედავდი, ჯვარივით შეჭედილი მხარ-მკლავისა და ტან-ფეხის პატრონი ჩანდა, აშკარა იყო, ვაგლახად წინ ვერავინ გადაუდგებოდა. სოფლის თავში რომ დაილაპარაკებდა, სოფლის ბოლოს ბუბუნი გაუდიოდა. ლეგა-ლუგა ჩასაცმელები უყვარდა და ლეგა-ლუგა სამოსი ეცვა. ამდენ სხვა სიკეთესთან, თავიდანვე, ერთი სახუსტურიც დაჰყვა: ყველაზე მოზრდილი ოთახის უკანა კედელი, მთელ სიგრძე-სიმაღლეზე, ჭრელ-ყვითლად ნაქსოვი ფარდაგით მოეფარა, ზედ ნაოთ-ნაირი სიათები, ხმლები, დამბაჩები და დანები გამოეფინნა. ეს ძველებური იარაღი ისე უყვარდა, ქუჩიდან ფეხს არ ჩამოდგამდა ეზოში, რაიმე ახალს თუ არ შეუმატებდა ამ ავლა-დიდებას. არც სტუმარს ეუბნებოდა უარს — ოღონდ კი ვინმეს თვალი წასცდენოდა, გული შევარდნოდა რომელიმე მთგაანზე და ლევანაც დაუზარებლად ჩამოხსნიდა, მოწონებულ იარაღს ალალად შესთავაზებდა: ღვთის გულისათვის, ნუ მაწყენინებ, შენი ფეშქეში იყოსო. სოფელში სტუმარი არ ჩამოვიდოდა, ლევანას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურ-მარაწზე რომ არ გადაეკვლო — ქვევრებში ცოლიკაური ჰქონდა, ხუთი ჭიქით დანასავით წაგვრიდა თავს...

იმ წელიწადს დიდი ფეხის მომწველი ზამთარი დადგა. ლევანას სტუმარი მოაყენეს კარზე, მისი ცხენის ლაგამუნაგირს პირდაპირ მარგალიტი სცვიოდა.

— ერთი ჭამა-ტომარა ვინმეა, — გადაუჭურჩიულა სოფსაბჭოს თავმჯდომარემ ლევანას. — მაგიდასთან არ დაიჯდომება, ისეთი ყიამყრალი კაცი არის. იატეხა. ლევანა გიორგობიანის ღვინის ქება მესმის და, გინდათ თუ არა, უნდა გამასინჯითო. გაიგე, კაცო! ორივე გვერდზე ნაგანი ჰკიდია.

— თუ კაცად არ ვარგა და სუფრასთან სკამი არ დაედგმება, რაღა ჩემთან მოგაყავდა, ვალიკო! ხომ იცი, სასროლი და სხვა რამეც მე...

— ჩუ, თუ ღმერთი გწამს, ხმადაბლა, — ვალიკომ ტუჩ-პირზე მიაფარა თითი, — კი არ ვხუმრობ. ეს ისეთი ვინმეა, გერასიმე ჯიქურიძე, რომ მოინდომოს, გაგვაჭრობს...

— ერთი შენცა ხარ, რაღა, ხომ არ გგონია, შუბლზე ვაკოცებ: — ხელი აუწმია სოფსაბჭოს თავმჯდომარეს ლევანამ, თუმცა მოულოდნელი სტუმრის ასეთი მოულოდნელი დახასიათება რომელ მასპინძელს არ გაუფუჭებდა გუნება-განწყობილებას. მიუხედავად ამისა, ლევანამ ნირი არ შეიცვალა, იგიც კი იფიქრა: „ვალიკო რაღაცას აჭარბებს, თორემ ამხელა თანამდებობას, თუ მართლა ასე უხუჯური კაცია, ვინ უშმაკი ჩაბარებდაო“.

სულო ცოდვილო, სჯობია, ახლავე გავამხილო, შეხედულად ნამდვილად არ მოეწონა: ნესვივით უბალწო თავი, თითქოს დამბადებელმა კისერი დაამადლაო, პირდაპირ მხრებზე ედგა; ვიწრო შუბლის ღრმულებში, ჯაგრადგაყრილ წარბებქვეშ ისეთი ნემსიწვერა და შორს ჩავარდნილი თვალები უსხდა. უნებლიედ გაიფიქრებდი, ვიღაცამ თოფი დაახალა და, განგებ, თვალების მაგივრად, საფანტი ჩაულაგაო. ფეხზე ჭრაჭუნა აზიერები ეცვა; გალიფე შარვალზე გადმოშვებულ ხალათში გამოკრულ მის ჩაგოდრებულ მუცელს ენას ძლივ უწვდენდა მეშის ფართო ქამარი, — კარგა მოზრდილ წიფლის კასრს რომ სალტე შემოარტყა, სწორედ ისეთი...

სტუმრები დასხდნენ. მასპინძელმა თახის მსხვილ-მსხვილი ჯამები ჩამოარიგა და ღვინო დაასხა...

— აბა, ბიჭებო, მწყურია! — დაიძახა ჯიქურიძემ, ჯამს წამოავლო ხელი და ფსკერზე გვალვა დაიყენა.

— აგაშენა ღმერთმა! ასე იოსვე ჯანითა, — მიუჭახუნა გერასიმეს ცარიელ ჯამს თავისი სავსე ჯამი ვალიკომ და ერთ ყლურწუნ გადაყლაპა ღვინო.

— ეგ მომწონს! — გერასიმემ ცერად გადახედა ვალიკოს ჯამს. — მაგრამ სად საბჭოს თავმჯდომარე და სად ღმერთი... მე სადაც ვარ, ბიჭო, იქ ღმერთს რა ესაქმება, ეგ სიტყვა დღეის იქით დაკარგე და დაიმარხე; ან შენ რათი გამბედდე, ან მაგისთანა რა მინახე სხვისაგან!..

ვალიკო ქერნაჭამი ცხენივით ერთი შეხტა და შეფუნდრუკდა. სიტყვა ვეღარ ეპოვა, თითქოს თოკი წაუჭირეს ყელში, შიშისაგან წამხდარ კაცს პირდაპირ სიკვდილის ფერი ჩამოადგა... ცრემლი მოერია და ქუდი თვალებზე აიფარა.

ჯიქურიძემ გულდიდად გადახედა მეინახეებს.

— აბა, ჩამოასხით! — შეუძახა. ისედაც ჩაკარგული თვალები, კიდევ უფრო ჩააქვეყნელა, წამწამგაცლილი ქუთუთოები ოდნავ წაჭუტა და გამოაცხადა:

— ვალიკოს ამ სასჯელს ვაკმარებ, სანამ ჯამს ცრემლებით არ აავსებს, მანამ წვეთ ღვინოს ვერ ეღირსება.

აკთანდილ ჟურაზვილი
ცითოვილთა დღესასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სული ცოდვით არ აიყროლო, პატივცემულო გერასიმე! — ლევანა შეეცადა როგორმე მუსაიფი გაება და სიცილში გაეტარებინა ეს უსაფუძვლო ახირება.

— შენ ვინ ბრძანდები! მითხარით, ვინ არის ეს კაცი! — ლაპარაკობდა თუ სისინებდა, ვერ გაარჩევდი ჯიქურრიძის კილოს.

— აბა, რად კადრულობ, პატივცემულო! — მხიბლავი ხმით კი უთხრა ლევანამ, მაგრამ პირი გაუუგემურდა და მჭახე ფერი დაედო. შეატყო, მეტს ვეღარ მოვითმენო, სავსე დოქს ხელი წამოავლო, — „მარანში ჩავალ და ახლავე გეახლებით!“ — დაიბარა.

— ტყუპად ჯამები! აბა ბიჭებო, ყველამ ერთად დავკრათ! — ვითომც არაფერი მომხდარაო, ჯიქურრიძემ ორივე დაცლილი ჯამი მაგიდაზე დაამხო. სასმისები ყველამ ერთბაშად გამოამშრალა და სუფრაზე თავდაყირა დაალაგეს.

— ასე დაგეცალოს, ამხანაგო გერასიმე, მტრები! — შესძახეს ამფსონებმა. ეტყობოდა, ამ ხალხისათვის უცხო ხილი არ იყო ერთმანეთთან ხშირ-ხშირი ქეიფი და დროსტარება.

— ხომ იცით, ახლა რას ვიზამ მე, — წამოიმართა გერასიმე, ცალი ფეხი სკამზე შედგა, სხარტად გაიმართა მუხლში და მეორე ფეხი მაგიდაზე მოინაცვლა.

— ხომ იცით, ახლა რას ვიზამ მე, — ისევ გაიმეორა ჯიქურრიძემ და ხელის თითები შარვლის ღილებისაკენ წაიღო...

— ვიცით, ბატონო, ვიცით! — ერთხმად შეღაღადეს ქვემოდან.

— იცით, არა?!

— ვიცით, ბატონო, ვიცით!

— იცით, არა?!

— ვიცით, ბატონო, ვიცით!

— იცით, არა?!

— ვიცით, ბატონო, ვიცით!

— კარგია, ძალიან კარგია! თუ იცით, **მაშ, რა ფერისა იქნება.**

— **ცოლიკაურის ფერისა, სხვა ღვინო წვეთი არ ჩაგვიკარებია!** — ერთხმად შეღაღადა მრეკლმა.

— **კვლავ**

— მაშ გკჯერათ, რომ ნამდვილად ასე იქნება?!

— გვჯერა, ბატონო, გვჯერა; წყალი არ გაუვა, ისე გვჯერა!

— მაშ, არ გავიხსნა ღილები?!

— ჩვენ თვითონ გაგიხსნით, ბატონო, ჩვენ თვითონ!

— წამოცვივდნენ განყოფად კვართისა.

— დამეკარგეთ აქედან, დაეყარეთ სკამებზე, ძაღლივით ერთგულები ხართ, მე თქვენნი...

ჯიქურრიძემ, მძიმე-მძიმედ, ჯერ ერთი ფეხი ჩამოდგა სკამზე მერე — მეორე. წელი გაასწორა, მკლავები გაშალა, ტაშით! დაჰკივლა. გემოზე ჩაბუქნა, სკამიდან იატაკზე ისკუპა და ჩიკორივით დაბზრიალდა...

„... ვითარმცა შეუდეგ შენ კერპთა უცხოთა მსახურებად მათდა... მოიწინენ შენ ზედა ყოველნი ესე წყევანანი...

და წყეულ იყო შენ ქალაქთა შენთა და წყეულ იყო შენ ველთა გარე. და წყეულ იყვნენ საუნჯენი შენნი. წყეულ იყვნენ ნაშობნი მუცლისა შენისანი და ნაყოფნი ქუეყანისა შენისა, მროწეული ზრახთა შენთანი, და სამწყსონი ცხოვრთა შენთანი. წყეულ იყო შენ შესვლასა შენსა, და წყეულ იყო შენ გამოსვლასა შენსა... .და გეკმნეს შენ ცაი ზესკნელ თავისა შენისა ვითარცა რვალი, ქუეყანა ქუეშე შენსა ვითარცა რკინა. გარდაჴაც�es უფალმან ღმერთმან წვიმაი იგი ქუეყნისა მის შენისა მტუერად, და ვითარცა მიწა ცით გარდამო და მოსცვიოდეს შენ ზედა...

გგუემოს შენ უფალმან წყლულებითა განუკურნებელითა და ბრმობითა, გონებისთა იყო შენ ვითარცა ბრმაი... ცოლი მოიყუანონ შენ, და სხუამან კაცმან შეერთოს იგი ცოლად; სახლსა იშენებდე, და ვერ დაემკვიდრო მას შინა, რჟასა დაასხმიდე, და სხუთა მოისულონ იგი... საცხოვარი შენი მიცემულ იყოს ხელთა მტერთა **შენთასა, არ ვინ იყოს შენდა მწედ... ნაყოფსა ქუეყანისასა შენისასა, და ყოველსა ნაშრომსა ხელთა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენთანაა შესაჭამდეს ნათესავი უცხოი, რომელ არა იცოდი, და იყო შენ მოხვეჭილ და ვნებულ ყოველთა დღეთა შენთა... და მიგცეს უფალმან შენ, და მთავარნი იგი შენნი, რომელნიცა დაედგუნენ შენ ზედა, ნათესავსა უცხოსა, რომელ არა იცოდი შენ, და არცაღა მამათაი, და მსახურებდე შენ მუნ კერპთაი უცხოთა... და იყო შენ მუნ საბასრაჰილად, და იგავად, და მისათხრობელად ბ[illegible]ელთა შორის, ნათესავთა, ვიდრეცა მიგიყვანოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან [illegible]...

მიგაყიდნეს [illegible]ენ ხელთა მტერთა თქუენთასა, მონად და მხეელად და არავინ იყოს, რომელ[illegible]ანცა გიყიდნა თქვენ..."

მშიერმა მგლებმა იციან, ხ[illegible]ბად დაცხრებიან და უცებ შესახ[illegible]ვენ მსხვერპლს. მერე გადგებიან განზე, [illegible]ანა ფეხებზე ჩაყუნცდებიან და გასვლ[illegible]ილ ძვლებს თავჩაქინდრულები დაჰყურებენ. როცა მარნიდან ლევანა ოთახში ავიდა, სტუმრები უკვე თავ-თავიანთ ადგილებზე ისხდნენ და, იმ გაზეზილი მგლებივით, ყველანი ჯამებს ჩასცქეროდნენ.

რადგან მოუხდა და მხედველობიდან კისერი გამორჩა დამბადებელს, კისრის მაგივრობასაც თავი უწევდა გერასიმეს, ამიტომ უხერხული სულაც არ იქნება, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, — ჯიქურიძემ, როდესაც ლევანა დაინახა, თავი წაიგრძელა, და თვალებში ისეთი უკუღმართი სხივი გაუკრთა, რისთვისაც დღესაც ვერ დამირქმეკია სახელი; მივხედი რაღაცის თქმის აპირებდა და მოსასმენად გავემზადე, რომ: თითქოს ფიფქი იყო და ხეკ-ხეკ ნიავს ამოჰყვა, კარში უცხო ქალი გამოჩნდა.

— ჩემი რძალი გახლავთ, მარიამი! — გამოაცხადა ლევანამ.

მარიამმა ოდნავ დადრიკა ყელი და სტუმრებს მდაბლად დაუკრა თავი.

გერასიმეს პირიდან ჯამი არ ჩამოუღია, ნელ-ნელა წრუპავდა ღვინოს და თანაც მზერას არ აშორებდა ქალს, — საყდარივით გადახატული თვალ-წარბი ჰქონდა, თვალ-წარბი კი არა, ნამდვილი სათიბები; შემოგხედავდა, დადნებოდი კაცი. ატმის ბაღივით აყვავებული პირისახისა იყო, ეგეთი ქალი ათასში ერთი არ გამოვიდოდა.

ჯიქურიძემ ჯამს ფსკერი გამოუჩინა, იმ წუთშივე ხელახლა შეავსო, ზევით ასწია, თავადაც ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა თქვა:

— ჩვენ გაგვიმარჯოს, შენ გაგიმარჯოს, მარიამო! ისეთი აგდი—გოგდი სიარული გაქვს, ქალო! ისეთი ტანის შვენება, პირდაპირ ნერწყვი მომადგა...

მოულოდნელობისაგან გაშრა მარიამი, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ზურგით კედელს მიეყრდნო და მამამთილს მიაჩერდა.

ლევანას ნაცრისფერი დასდებოდა, თავი ძირს ჩაეხარა და ჯამს ისე უჭირდა თითებს, საცა იყო სისხლი გამოხეთქავდა... ცოტა ხანს ასე იდგა, მერე ოდნავ აიმჩატა მუხლში, ჯამს ხელი გაუშა, ჯიქურიძეს თვალი თვალში გაუყარა და, აშკარად მოგონილი სიმშვიდით, კვლავ გაიმეორა:

— ეს ქალი რძალია ჩემი!

— მაგ[illegible] კი ვეხუტუნე იმ ბამბის ქულა ძუძუებს, ერთი მივიდე და მოვუკოცნო ეგ სა[illegible]თხე თვალები.

ჯიქურიძე მარ[illegible]ა გამოშორდა სუფრას.

— გერასიმე დადექ! — ყელიდან კი არა, ქვესკნელიდან ამოხ[illegible]ქა ლევანამ.

გერასიმე ერთ წამს შედგ[illegible] მერე ნაბიჯი გაშალა.

— მთაში ხვლიკების ჯოგი არ დამიფრთხო, ბიჭო! რომ არ დავდგე, რა...

ჯიქურიძემ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, ლევანა ერთბაშად მოსწყდა ადგილს... აქედან ამოჰკრა, იქითა კედელს მიახეთქა, იქიდან ამოჰკრა, აქეთა კედელს მიახეთქა, ბოლოს ერთიც შემოუქნია და თავზე დაუწყებინა ტრიალი.

— თქვე კაცის ჭირებო, თქვე დედ-

ამთავდილ ყურაშვილი
ცოტოვილთა დღესასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები! — ახლა გაშტერებულ დანარჩენ სტუმრებს გამოუდგა ლევანა და ყველანი ფაცხა-ფუცხით ჩაყარა ეზოში.

— დამაცადე, ლევანა! შენს ჯიშსა და მონაგარს ბდღვირს ავადენ, სულ ძირს დავიტან და მიწასთან გავასწორებ — იმუქრებოდა ეზოს გადაღმიდან ჯიქურიძე და დაქეიფილ ცხვირ-პირზე თოვლის გუნდას იდებდა. იმ წუთში არც ცხენი ახსოვდა, არც მისი უნაგირი. დუდღუნ-დუდღუნით მიჰყვებოდა გზას და წამდაუწუმ იხედებოდა უკან, ის სულკატიანი ლევანა ხომ არ მომდევსო; უკან დადევნებაზე ფიქრი გულშიც არ გაუტარებია, ის კი არა, ადგა და სამზადის სეტბეზე გამობმული ჯიქურიძის ცხენი აუშვა, ჭიშკარზე გადაიყვანა, აღვირი უნაგირის კოტაზე ჩამოაგო, ცხენს გაპარპალებულ გავაზე ხელი დაჰკრა და აჩუ-აჩუო! — შეუძახა. ცხენმა ერთი დაიფრუტუნა და პატრონს გამოუდგა.

ჯიქურიძემ შორიდან მოჰკრა თვალი ცხენი რომ შუკაში გადმოადგა, ლევანა ჭიშკართან გაჩერდა, ამიტომ გული მოიცა და მუშტი მაღლა შემართა

— ლევანა გიორგობიანო, ელდას გიტირებ, დედას! დანაშაული მარტო მაგ იარაღის საწყობი გეყოფა, ამოგალპობ ციხეში, თუ ვყოფილარ ჯიქურიძე!

— უჰ, უჰ, უჰ, ბელი არ გამიხეთქო, შემიცოდე, უფალო! — ხმადაბლა ჩაიქირქილა ლევანამ, ჭიშკარს მოშორდა და სამზარეულოში შეაუჭეულ ცოლსა და რძალს იაშურა. კარის ნაგერაზე ჯერ კიდევ ფეხი არ ჰქონდა გადადგმული, ქედანვე რომ მიეგარგარა შინაურებს:

— მადლობა ღმერთს, ის ბიჭი არ იყო სახლში, თორემ უბედურებას გადადგ-კიდებდა, — თქვა და რძალს მიუბრუნდა: — მარიამო! — ტუჩ-პირი ნაცარწყალივით ჰქონდა, ეტყობა, წეღანდელი შიში ჯერაც ვერ მოეცალებინა ქალს. — მამაშვილობას, დაწყნარდი და მერე ის იარაღი ჩამომახსენეინე, — სხვენზე უნდა ავიტანო, ხელი კინაღამ წამიცდა...

მცირე ხანს იყუჩა. ქალებმა რომ აღარაფერი თქვეს, თვითონვე გააგრძელა:

— თამბის ნურაფერს გაუხელთ, ჩემი მაჯა ჯერაც მაგრობს, უმაგისოდაც ვეყოფი იმ ვაჯბატონს.

ბაბილო სოხანეს რწყავდა. ერთი კი დაიბზუკუნა, ამას რას შევეყარე თქვენი ჭირიმეთო, და მაღალ ვახშმობამდე ისე იტრიალა, ჩქამი არ გაუღია.

2. ლოგინის მაგივრად თითქმის ნარეალი ეგო, მთელი ღამე თალი ვერ მოხუჭა ლევანამ: ალთეს და ბალთეს ერთმანეთი ფიქრმა ლ კაცმა, სისხლმა გზა რომ ვერ ი ვა ლამის ლეკერტად იქცა, გულ ან თავში გადგა და აგუბგუბდა.

მთავრობის კაცი თუ ასეთი საქციელს ჩაიდენდა, საკუთარი თვალით რომ არ ენახ და სხვა ვინმეს ეამბნა, ვერაფერ დაიჯერებდა. არადა, როდი უნდოდა მომხდარი ამბავი სულ ოდნავ მაინც ჰგვანებოდა სიმართლეს, მაგრამ ამ ოხერ ყურებს რა უყოს, ნამდვილად ხომ გიგიონა; თვალებს რა მოუხერხოს, ამ თვალებით რომ დაინახა; გულსა და გონებას რა თავა აჯამოს და აღეჭვინოს ანდა, რძალს რაღა უთხრას ამ ქალთან რით გამოიწმინდოს პირი... „კი, ბატონო, — ფიქრობდა ლევანა. — ჩემს თავს გავიმტყუნებ, ვერ გადავიშალე პირზე ვარდი, ისე ვერ შევხვდი, როგორც მას ეკადრებოდა, მაგრამ მარიამი?! მარიამს რაღას ემართლებოდა“.

აფორიაქებული სული რომ ვერ დაიწყნარა, საწოლიდან წამოდგა, თბილად ჩაიცვა, გარეთ გამოვიდა და აივნიდან გადახედა სოფელ-ქვეყანას.

ძირს ყველაფერი თეთრად ქათქათებდა, ისეთი პირი უჩანდა, კაცის ფეხი და ნაბიჯი რა მოსატანია, ვითომ ნაწიწვი ფერილიც არ დასცემოდა, წვეთი ცრემლი რაა, თითქოს ისიც არ გადაღვროდეს ამ ლამაზ გულისპირზე.

კევრის ძირივით მოკენჭილ-მოხიჭული ცა დაჰყურებდა ქვეყანას. ამ ცისა ქვეშ შეყუჟულ ადამის შვილს, განა რა ისეთი გამოულეველი სადარდებე-

ლი უნდა ჰქონოდა, განა რა ისეთი გადაუტეხელი მწუხარება უნდა დასცემოდა, რომ ერთხელ მაინც არ აეღირა ყელი და არ გადაეხედა ცის ჩახსნილ უბეაღილებში...

— ლევანა გულამომჯდარი გაჰყურებდა თოვლში გამოქნილი სოფლის შარაგზას. წუხელი, შვილმა რომ ამბავი ამოუტანა. იმან სულ მოკლა და გაანადგურა კაცი. „ნუთუ ეგ არის ჩვენი ცხოვრება,— ლაპარაკობდა გულში. — ბალახივით აგაღლიტავენ მიწიდან, ადგებიან და ისე გაგიყენებენ გზას, ვინმე მოსარჩლე არ გამოგიჩნდება. აბა, რა სჯერდა გიორგი აბაშმაძეს ასაყრელი და გადასასახლებელი, თოფი იმას არ ჰქონდა და ხანჯალი, წერა იმან არ იცოდა და კითხვა; ერთია, სიტყვას დაგრეხავდა, რწყილის აქლემს მოაგდებინებდა; მაგრამ მისი ნაგრეხი სიტყვა ყარიბეს თუ გასცდებოდა, სოფლის თავში მაინც ვერ გაატანდა, ვისთვის რა უნდა დაეშავებია... უცებ დასცემიან! ადე, რის წამოღება შეგიძლია და ხელი ტარეა არ შეგეზარება, ყველაფერი წამოიღე, ჩვენ არ გიშლითო, უბრძანე! ანა თოფიან კაცებს... ხარგოსთან მიდარდა თურმე, ზედ გადაემხო და აქვეინდა: „ვაი ჩემო სიმწრით ნათრევო და ნაჩორკნო, ვაი, ჩემო სისაწყლეში მოყვანილო ჭურო და მარანოო...“ როგორც უცებ აუვარდა, ისე უცებ შეუწყვეტია მოთქმა, გარეთ გამოსულა და საწყაოს თირი ქვის ფერი ედო თურმე...

— მთავარი გზიდან რომ გადმოვუხვიე, — უყვებოდა გვიან ღამით თამბი, — ვხედავ, აგერ თავგადაჭედილი ყუთი აგდია ოდნავ გვერდულად გადახრილი; ცოტა კიდეე გამოვიარე და პატარა, მოხარატებული სკივრი გაბოგირებული შუა სავალზე; ნაძრახ ადგილს რომ ვეძახით, დავითის ნაფაცხებთან, ორთვალიანი, პირთამდე გაძეძგილი ჭრელი ხურჯინი მიუგორებიათ თოვლზე, ცოტა ზემოთ ამოვცდი და, რაღაც ფუთა ეგდო. უფრო ზემოთ და... ტანში გამბურძგლა, ახალი შეღამებული რომ არ ყოფილიყო, ნამდვილად შიში გადამრევდა. სულმოუთქმელად მივირბინე სკოლაში. იქ მიამბეს ყველაფერი, — ახლომახლო სოფლებიდან ხუთი-ექვსი ოჯახი კიდეე გადმოუხიბაკებიათ. ხაბაღუბით და ბარგი-ბარხანით ისე ყოფილან დატვირთულები, ფეხს ძლივსღა ინაცვლებდნენ თურმე და ნელ-ნელა იშორებდნენ, გზადაგზა ჰყრიდნენ და ერთიმეორეზე სტოვებდნენ მთელი საცოცხლის მანძილზე წვითა და დაგვით, სისხლითა და ოფლით ნაშოვ-მონაგებს. მთავარ გზასთან, სადაც ყველას ერთად უნდა შეეყარა თავი, უკვე ცარიელ-ტარიელები იდგნენ და ღარღილობდნენ. თვალში ცრემლი ჩახმობოდათ, წვეთის ნასახი აღარ გაჩნდათ, როგორმე იმ ცრემლის სიმძიმეც რომ ჩამოეხსნათ, გზასავალზე ლოდებად მიმოეყარათ, იქნებ რომელიმე ჩვენგანი წამოსდებოდა, ცხვირ-პირი წაემტვრია და გონზე მოსულიყო — ეგების მაშინ მაინც შეეხედა მოყვასის თვალით მოყვასისათვის.

„ ასეთი დღის მერე გულის გადაყვავილება მოუნდა, ქეიფი მოესურვა, დახე ჩემს უგონობას! — თავში ხელი შემოიკრა ლევანამ. — როგორ ვერ მივხვდი, საფარსაკო საქმეზე რომ არ იქნებოდა ის ვაჟბატონი...“

ზამთრის ღამემ ყინვის გუჯასტა მოარგო სოფელს და ტკაცატკუცი აუყენა ხეებს, — ხან ეზოს თავში გატყვრება სიცივედაკრული კოპიტის ხმა, ხან საბძელს უკან გავარდება კახამბალას ტანტოტის ლაწანი... ხანდახან, სოფლის განაკიდეს, აქა-იქ თუ წამოყოფს თავს საკუთარ კუდქვეშ დრუნჩშეყოფილი ძაღლის ზარმაცი შეყეფება და შუბივით გაერჭობა ცასა და ხმელეთს შუა გამდგარ ცივ სითეთრეს. ეს არის და ეს, სხვაგვარად მკვდრული სიჩუმე აფენია ირგვლივ.

სოფელს ეძინა.

ავთანდილ ყურაშვილი
ცთომილთა დღესასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძინა-მეთქი?! ვინ იცის, იქნებ არც კი ეძინა, ლევანა ხომ ახლაც ფხიზლობდა, გაუნძრევლად იდგა აივანზე და გასცქეროდა შორას.

...უკან ბადრაგი მიჰყვება. ფეხს ფეხზე ვეღარ აცილებს. მუხლში ძალა აღარ ჰყოფნის. გული ელევა.

„მოიშორე, კაცო, ეს ოხერი ყუთი!“ — უყვირის ბაბილო... შებიძგული თოვლი ხრაშაბრუშით იშლება და ეგება ფეხქვეშ. ტვირთქვეშ ოთხად მოკეცილი კაცი, სადაც არის, უსუსტებს და წაიქცევა. „ჯანდაბის გზა ჰქონია ყოველგვარ ყუთს!..“ ლევანის მხრები შეუმჩატდა, მუხლი გამართა, ნაბიჯი გამოუკეთდა. ისევ აეშალა გზა; თოვლი ისევ ხრაშუნობს და წელში ყრუ ტკივილი ბრუნავს. არ უნდა იფიქროს ტკივილზე, არ უნდა იფიქროს ტვირთზე, არ უნდა იფიქროს... არ უნდა იფიქროს...

„მოკვდები, კაცო, ჩამოაგდე ეგ დასაწვავი!“ — ყურის ძირში ასძახის ბაბილო. ლევანას მხარბეჭიდან ნელ-ნელა დაცურდა სკივრი და გზასავალზე გარდიგარდმო დავარდა...

წელი აღარ სტკივა, გული აღარ უკვნესის, მუხლი არ ეკვეთება, დაკარგულს არ სტირის, წარსულს არ ნაღვლობს, მომავალი არ ედარდება... თოვლი ხრაშუნობს, ხრაშუნობს, ხრაშუნობს — არ უნდა იფიქრო, არ უნდა იფიქრო, არ უნდა იფიქრო!..

„ბიძია, ბიძია!“ — ყრუდ სადღაც შორიდან ესმის ლევანას ვიღაც ბიჭის მუდარა. — „მათხოვე, ბიძია, თოფი“.

„არ შეიძლება, შვილო, ვერ გათხოვებ!“ — ლამის ატირდეს თოფიანი კაცი.

დედა ბაგეზე ხელს აფარებს და ძლივს აჩუმებს პატარა ბიჭს.

ყველა ხელცარიელია, სუყველას ყველაფერი გადაუყრია... გზა გრძელია, გრძელი და მომქანცველი, ტანისამოსიც რკინალესილივით დამძიმდა. ნელ-ნელა შალები მოიხსნეს; ხბილ-ხბულები მოისროლეს. ნელ-ნელა ტანზე შემოიძარცვეს; ნელ-ნელა, ნელ-ნელა და რას ხედავს ლევანა, ბადრაგიან-ხალხიანა ყველანი დედაშობილა მთელავენ თოვლიან გზას... იქ კი, ახლოს, სულ ახლოს, ზამთარი თვალსა და ხელს შუა ქრება — ბიბინებს მწვანე მინდორი. ბორცვის ძირას, აყვავებული ასკილის ახლო, კოკონი დაუნთიათ; კოკონის ირგვლივ, თხლად დაფენილ რბილ-რბილ ტყავებზე პირველყოფილი უნდომო სიმშვილით ბრუნავს ქალი და კაცი, მოხუცი და დიდ-პატარა...

„მიიფურთხე ეშმაკს, გადაყარე ყველაფერი, წამოდექი, კაცო!“

ის კი ჩიტივით მსუბუქია, ფეხზე წამოფრინდა.

„გადაყარე ყველაფერი, გადაყარე ყველაფერი, წამოდექი, კაცო!“ — ისევ ემუდარება ბაბილო. ის კი ჩიტივით მსუბუქია, წამსვე ფეხზე წამოფრინდა. ბაბილო მაინც არ იშლის:

„გადაყარე ყველაფერი, გადაყარე ყველაფერი!..“

„არა, ნამდვილად ჭაუიდან გადავიდა, ვასულელდა დედაკაცი!“

„განაგდე სატანა, არ გაუშვა ეს ქვეყანა!“ — მაჰმადის მტრედივით ჩასძახის ბაბილო.

...პირგაზაფხული იდგა, ახლად ჰყვაოდნენ იანი, სოფლის ღრუბელს მიჰყვებოდა ლევანა.

„დავიღუპე, დავიღუპე! ტვირთქვეშ გამომეხრჩო ეს უბედურ დღეზე გაჩენილი“. — თოვლის ბელტი მოფშვნა, ხელისგულები გაამალა, პირისახე და ყურიმალები შემოატკიცა ქალმა...

ლევანა ჩიტივით ლაღი და მსუბუქია; შორს, შორს მიფრინავს, ღრუბელს მისდევს და მიაკიდებს იგი...

უამური სიზმარ-ცხადი მოულოდნელმა ხმაურმა დაადგებინა ლევანას და ისე უცბად შემოაბრუნა კისერი, ხერხემლმა ჭახჭახი დაუწყო: აივანზე თამბი იდგა, საბანი მოაჯირზე გადაეფრიალებინა და მონდომებულად ბერტყავდა.

ფანჯარასა და ფანჯარას შორისი ფიას ჩრდილიდან ფეხი არ მოუნაცვ-

ლებია, ლევანამ ისე გამოსძახა შვილს:

— რა უქეიფობა გჭირს, რა მოგვიდა, კაცო!

რომ არაფერი გააგონა, ხმა რომ არ ამოიღო, ლევანა ახლოს მივიდა. მგლოსფერი ჩამოადგა პირზე: თვალები დახუჭული ჰქონდა და საბანს ეგრე თვალდახუჭული ბერტყავდა თამბი.

— რა დაგემართა, ბიჭო, — ლევანამ მკლავზე წაავლო ხელი და ღონივრად შეანჯღრია.

თამბი გამოფხიზლდა. თვალები გაკვირვებით მიატარ-მოატარა. მერე ხელებზე დაიხედა, საბნის კალთა რომ შერჩა — ვერაფერი გამგიაო, — ჩაილაპარაკა და ისევ ხელებს დაუშტერდა, შეიმრეშა... სიცივეშ მალე დაბგუმანა და საბანი ტანზე წამოიხურა.

— მუხლები მებმის და მიჩერდება, მამი! ალბათ გუშინდელი ამბავი შემყვა ლოგინში, აღარც მედგომება, აღარც მესვენება... სიზმარიც ისეთი ვნახე... ეს ჩემი საბანი სულ მატლებით იყო სავსე; მოცოცავდნენ, მოცოცავდნენ და ტანზე მეხვივნენ. დაფეთებული წამოვვარდი, საბანი გარეთ გამოვტანე და ფერთხვა დავუწყე ვითომ, აკი, მართლა არ წამოვმხტარვარ?!

ლევანას გაურკვეველი შიში აუბრუნდა მუცელში. ხელიც კი წაივლო, ეს რა კუზი წამომივარდაო, თუმცა, წამიც არ იქნებოდა გასული, თავი ძველებურად დაიჭირა და ის უეცარი შეკრთომა ხუმრობით გადაფარა:

— ე მანდ, საათოკედ არ გამიხდე, ცხელი ლავაში ხომ არ გაჭამო, ბიჭო!

თამბის გაეღიმა, მაგრამ ისე უნიათოდ, ღიმილის შუქი კბილებს ვერ გადმოაშორა და ეგრევე აკეცა.

მიხვდა ლევანა, სიზმრის შიში ჯერაც არ გამოჰყროდა ტანიდან ბიჭს:

— მიდი, შვილო, წყალი დალიე და ლოგინში ჩაწექი, ხომ იცი, დღე წავიდა თორე, ფათერაკი კი არა, ჯანს გაუფრთხილდი, მარცხი წამისა არის!

თამბი კარგა ხანს წრიალებდა საწოლში — ხან ერთ მხარზე გადაბრუნდებოდა, ხან — მეორეზე, ხან დაფიქრებულ იზამდა პირს, ხან — აღმა. ასე იბრუნა და იტრიალა შამფურივითა, ძილი არა და არ მოდიოდა. ბოლოს:

— მარიამო! — ოდნავ, სულ ოდნავ აწეულად, სუნთქვასავით ამომავალი ხმით დაიძახა. — ვერ იქნა და ვერ დავიძინე, გოგო.

— ჩუმად, კაცო, ბალღი არ გამიღვიძო! — იმგვარსავე კილოზე გამოეპასუხა მარიამი და ლოგინში აინძრა. მიხვდა ქალი, რასაც ნიშნავდა კაცის „ვერ იქნა და ვერ დავიძინე!“ ახლა ძალიან სჭირდებოდა, თორემ ასე უდროო დროს ძილს არ გაუტეხავდა. სამი წლის ბატას საბანი ფრთხილად შემოუკეცა, შუბლზე თავშალი შეუსწორა, თითის წვერებზე დადგა და ისე წამოვიდა თამბის საწოლისაკენ. ერთი ორჯერ კი მოასწრო იატაკის ფიცარმა გაჭრაჭუნება და მარიამი უკვე ქმრის გვერდით იწვა.

— რაღაც ძალიან შემაცივა, მაგრა მომეკარი! — უჩურჩულა თამბიმ.

ვიდრე ქალი შემოჰხვევდა მკლავებს თვითონ დაასწრო, ხელები ისე ძალუბად შემოაჯდო, თეძოები ნისლივით შემოადგა მაჯებთან.

— ნელა, შე გიჟო! — კვნესა წასცდა ქალს.

კაცმა კიდევ უფრო მჭიდროდ შემოსალტა.

— გიჟო, გიჟო! ნეკნები დამემტვრა, — ცას რომ ღრუბელი აეკვრება, ისე ეკვროდა და ეწებებოდა ტანზე. თამბიმ ოდნავ მოუშვა მკლავები და, თითქოს, აქეთ-იქიდან ლოყებზე ბატის ორი ყვითელი ჭუჭული მიიუტტაო, ცხვირ-პირი მარიამის მკერდში ჩარგო...

— რა ტკბილი ხარ... ბიჭო, რა ტკბილი ხარ... — დნებოდა მარიამი.

...დღის საზარეზავისაგან დაღლილ-დაქანცული ადამიანის მალამო თბილი და ალერსიანი ლოგინი რომ არის, ძალიან კარგად იცოდა თამბიმ და ამი-

---

ავთანდილ ყურაშვილი
ცოტოვილთა ჯელასწაული

ტომაც მიიხმო მარიამი, მაგრამ მიწიდან აყოლილი უყმური ვნების ქარს ყოველთვის როდი უხდის ხარკს. ამჯერადაც ასე მოხდა... ქალი ეხვეოდა, ლამის ფერებაში დაეხრჩო კაცი, ის კი თანდათან ცოდდებოდა; თვალწინ უპატრონოდ აყრილ-დაყრილი სკივრები, ჭრელ-ჭრელი ხურჯინები და ხაბა-ხუბა ედგა. იმ გულზე იყო, ეგონა, ვიღაც უხილავი, სადაც არის, ფეხებში მწვდება, გამათრევს და თოვლიან გზას ცხვირ-პირით დაღმა წამახვნევინებსო.

იგრძნო მარიამმა, მის წელზე შემოსკვნილი რკინის სალტე როგორ თანდათან მოსუფთდა და გაიშალა; ის ღადარიც, თამბის ტუჩები რომ აყრიდა წამდაუწუმ, ოდნავ შემთბარ წყალს დამსგავსებოდა ახლა. საერთოდ კი, წეღან ცეცხლქურიდან გამოღებულ რკინასავით ვარვარა და ალმურწყაიდებული თუ იყო კაცი, ამ წუთში ისე იქცეოდა, თითქოს, კარგა ხნის მობეზრებულ, რაღაც სავალდებულო საქმეს აკეთებსო... ამიტომ მოწყდა ქალი, გაჩაღებული თონე უცებ მოგუდა და ზედ ნავლი წაადარა. დედა რომ შვილს ჩახუტებს, სწორედ ისეთი უბიწო ნდომით შემოხვია ხელები და მკერდში ჩაიკრა თამბის ხუჭუჭა თავი.

სირცხვილის) რომ არ შეშინებოდა კაცს, შეიძლება ტირილი ავარდნოდა და ცრემლებით დაეღბო ქალის ეს თბილი უბე. უბე, იმ წეღანდელ ყვითელ კოცონებთან ახლა საერთო რომ აღარაფერი ჰქონდა. ამ წუთში ის მართლა მარიამის უბე იყო, იმ მარიამისა — ყრმა თამბი ხელში მშვიდად რომ აიყვანა და უმშეო ბალღი გულისპირზე შეიხიზნა... გაახსნა მარიამმა ბაგე, ხელები თავზე ჯვარედინად დაადო თამბის და აჩურჩულდა, აჩურჩულდა, — აკვნიდან მოჰყვება და მოაცილებს ეს ჩურჩული უკვე დაკაცებული თამბის და ალბ, რა დროს გაახსენა გული...

„ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი, სამგბისა ძალისანი. კერროზ, კუროზ, კერასტინე. გავედით მთასა, ვნადირობდით და ვერ ვიპოვეთ კვალი ნადირისა: ვიპოვეთ კვალი ალისა და ეშმაკისა; იჯდა კლდის ძირსა, კანკურაზს შიგნით. ვუპყარით ბადე აბრეშუმისა, ჩაკრა ხელი, ვერ ჩაწყვიტა ქსელი, გადმოჰყვა იგი ბადესა ჩვენთა! მას ესხა თმანი გიშრისანი, კბილნი რვილისანი, წვივნი ჭიქისანი, კეროზ თქვა — მოვაკვეთოთ ალსა თმანი გიშრისანი! კუროზ თქვა: — დავაყრევინოთ ალსა კბილნი რვილისანი; კერასტინემ თქვა: — დავალეწოთ ალსა წვივნი ჭიქისანი. მიუგო მათ ალმა და ეშმაკმა: — სამნო ძმანო, მზის, მთვარის და ვარსკვლავების ძალისანო, კერროზ, კუროზ, კერასტინევ, ნუ მომკვეთავთ თმათა ჩემთა გიშრისათა, ნურც დამაყრევინებთ კბილთა ჩემთა რვილისათა, ნურც დამალეწავთ წვივთა ჩემთა ჭიქისათა! სადაც იხსენიებოდეს, თუცა მივიდე, საჩქაროდ გავშორდე და არა ვამზნიო რაიმე ადამიანის სულსა!“

თამბის ძიმა შეუკრა თვალები. მარიამი ფრთხილად ჩამოვიდა საწოლიდან, ფეხის წვერებზე დადგა და შვილის ლოგინს მიაშურა.

3. ლევანა ოთახში შესვლას აპირებდა, რომ მთელმა ქვეყნიერებამ თითქოს ერთად ამოიგმინა, ტევრიდან საშინელი გრუხუნი ჩამოვარდა. ზაფრანა-ცემი კაცი უცებ ამ ხმის მიმართულებით შეტრიალდა. ნობისწყალის ახლოს, გორიყანას ფერდიდან თეთრ-ლურჯი კვამლის უზარმაზარი ბოლქვები ავარდა, მერე, თითქოს ქვემოდან საფუძველი გამოაცალესო, სწრაფად დაეშვა ძირს და საწვიმარი ღრუბელივით აგრაგნილი, სოფლისაკენ წამოვიდა. როგორც უცებ მოვარდა ის გამყინავი სისინ-შინნი, უცბადვე შეწყდა. კვამლ-მტვერიც მალე გაიფანტა და რა ეფიქრა, უკვე მართლა აღარ იცოდა ლევანამ. ერთთავად, თოვლით შესუდრულ ტყეველში, ცხრა-ათი კალოს ოდენაზე, სულ მიწა მოჩანდა შავად მორღვეული.

„ყინვის დროს ზვავი ვის გაუგია... აირია სუყველაფერი!“ — კაცმა არ

იცის, გულში ვის ძრახავდა ლევანა, როცა საწოლ ოთახში შედიოდა ბუზღუნ-ბუზღუნით.

ზავი სად იყო, იმ ღამეს მეწყური ჩამოწვა სოფლის თავში. ეს გახლდათ პირველი შემთხვევა — სოფლის საუკუნოვან გონებას აქამდე მეწყერისა არც არაფერი ახსოვდა, არც არაფერი გაეგონა.

ლევანამ თავი ბალიშზე დადო. თვალები დახუჭა, მაგრამ ფიქრის თვალს ვერაფერი მოუხერხა, მოულოდნელმა შფოთმა იმ ჩალუსკუმებული ზარდახშიდან, ადამის ტომი მოგონებათა სალაროს რომ ეძახის. ყმაწვილკაცობის ერთი ცხელი დღე წამოუგდო.

კაცმა რომ თქვას, რა ხიდი აერთებდა იმ პაპანაქება ზაფხულის დღეს და ამღამინდელი ყინვიანი ზამთრის „ზავს“ არავინ უწყის; მაგრამ ერთი ცხადი იყო, რაღაც ასეთი კავშირი მართლა არსებობდა.

განა დროის საპირეზე გვერდი-გვერდ ტყუილად ილამბება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება?! ფიქრი წაგიცდება, მოგონების ძაფს გამოჭკრავ ხელს და, მშვიდობით, წამოვა და წამოვა განვლილი, როგორც შემოდგომის ტყემ იცის, სიოს ოდნავ ათრთოლებაზე ფოთლების ჭრელა-ჭრუელად ჩამოფენა...

4. თვალშეუდგამი კლდეები მთავარი გზის მხრიდან რომ ერტყა იქაურობას, გადაუღახავ ზღუდედ აღმართულიყო სოფელსა და დანარჩენ ქვეყნიერებას შორის. სხვაგან გადახედვას მოწყურებული კაცი, მხოლოდ საცალფეხო ბილიკით თუ გაივლიდა ქარაფებზე გადაკიდებულ სახიფათო გზაწვრილს, — ჰაერის ერთი განძრევა და ფრთასუსტი ნიავი რომ მოგხვევდროდა, ყვავ-ყორანის კერძი გახდებოდი, ჩაიმსხვრეოდი და ჩაილეწებოდი უფსკრულებიდან ამოწვდილ კაჟაქვის სატევრებზე... სოფელს დიდი გზა ენატრებოდა, დიდ გზაზე თავის ჩოჩიალა ურმის გაგორება ესიზმრებოდა. დიდ გზასთან შეერთების სურვილი ჰკლავდა და არ ასვენებდა. ხვნა-თესვას როგორც მოილევდნენ, პირადის დაწყებამდე, კლდეს მიადგებოდნენ; პირადს მოილევდნენ და მოროდის დაწყებამდე, ისევ კლდეს ჭრიდნენ; მოროდს მოილევდნენ, ჰუოს მომკიდნენ და ტეხა-კრეფის დრომდე, გულს ულებდნენ და ანაფოტებდნენ ცაში თავშერგულ იმ გოლიათს; ნელ-ნელა, ნელ-ნელა და სოფლის საურმე გზა თვალდათვალ იზრდებოდა ბარისაკენ დაცემული შარაგზის მიმართულებით.

ის დრო იყო, მზეს სხივი ირიბად ააგდო ცაში, თითქოს თავზემოთ ცალი ხელი ასწია და ქვეყნიერებას ასე მიესალმაო, როცა დიმიდემ (ლევანას მამის ნათლობის სახელია) ვაჟიშვილები დილის ძილიდან გამოლალა:

— აბა, ბიჭებო, დიმიდეს ლექვებო! ღელეზე ჩქარა, წყალი შეისხითო, ლუკმა გავაგნასოთ, მთელი სოფელი კლდის საჭრელად გავიდა უკვე... ლევანა, შენ სახლში დარჩები, ვეჟო (ლევანა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა თუ იქნებოდა), დედას მიეშველე და საღილი დროით ჩამოგვიტანე...

— წამიყვანე, მამი! ბალღი ვარ, დამაკლდება გულსა...

დიმიდემ კოპები შეიკრა, შეხედავდი, თვალები აგეჭრებოდა შიშით...

— ყბა დაიყე, ე მანდ, ყურის ძირი არ ჩამაქელინო, ყოყო!

„ისევ ჩემზე შეიწმინდა ხელები!“ — მწუხარებისგან ლამის ნაცარში ჩაწოლილიყო ბიჭი, მაგრამ ოჯახის უფროსი რომ იტყოდა, მეზვრის ყურს ვინ გამოისხამდა, მის ნათქვამ სიტყვას ხელს ვინ აუკრავდა, თორემ ლევანას ისეთი გულით უნდოდა გზის საკვეთად გაჰყოლოდა მამასა და ძმებს, სული ელეოდა. ყველაზე უფრო კი ის მოსწონდა:

მთის წვერიდან გადმოკიდებულ კალათებში ჩალაგდებოდნენ თუ არა დარჩეულ-დარჩეული ბიჭები, ზემოთა კაცები მაშინვე ნება-ნება რომ აუშვებდნენ, კლდის შუა წელამდე ბოკინ-ბოკინით რომ ჩამოაცურებდნენ ტკეჩის კალათებს და თოკებს პალოებზე გამოუნასკავდნენ ბოლოს. ამ დროს იყო, დაიწყებოდა და გაუნელებელი ჩახაჩუხი ამოდიოდა ქვემოდან. ხანდახან უზარმაზარი ლოდი ჩამოსწყდებოდა კლდეს და გონის წამრთმევი ხვნეშა-გრიალი ამოვარდებოდა უფსკრულიდან; მალე უკან მიდევნებული ქვა-ღორღის ერთი გაბმული ხუვილ-ხრიალიც ამოჰყვებოდა კუდად და აღტაცებული ლევანა თვალის დახამხამებაში კლდის მეორე მხარეს გაჩნდებოდა. დიდხანს, დიდხანს უმზერდა, — პატარ-პატარა ღრუბლის ქულებივით ჩანდნენ შორიდან თოკზე გამობმული ის კალათები, ხოლო ამ ღრუბლებში წელამდე ჩამდგარი კლდის მჭრელები კაკანდეკებად ეჩვენებოდა, უზარმაზარი გველაშეპი რომ წამოექციათ და ასო-ასო კეპავდნენ...

„რა გული უძლებთ!..“ — ფიქრობდა სულ პირველად ლევანა, მაგრამ ცხადად რომ ნახა, მაჯის სიმსხო თოკები კარგად გასრიალებულ წაბლის პალოებზე როგორ იყო გამობმული ცერად დაცემული კუთხით და, თხუთმეტიოდე ნაბიჯის იქით, მეორე პალოზე მკვიდრად ჩასკვნილ-ჩამარყუეებული, ან როგორი სიფრთხილით უშვებდნენ ქვემოთ და რა გულმოდგინებით ექარებოდნენ თოკებს ზემოთკენ, შიში მოლიანად გაუქრა. ამიტომაც იყო, შინაურთან და გარეულთან ყელი ჩამოწყვიტა მუდარით: ერთი მეც ჩამსვით მაგ კალათაში, ძირს ჩამიშვით და მკლავის ძალას გაჩვენებთო.

აქამდე არა და არ გასჭრა ხვეწნა-ღიჭინმა, დღეისათვის შეჰპირდნენ, დღეს კი სადილობამდე დედას უნდა მიმშვებოდა. „სადილობის მერე მოიცლიან ჩემთვის, ჩამიშვებენ?!“ — წუხდა ლევანა გულში.

მზე უკვე კარგად წამობრიალდა, სოფლის ყელთან ახლო მიდგმული ტაიდან ფიჩხი გამოიტანა ლევანამ, ტოლ-ტოლად დაჩეხა და თონეში ჩაყარა. ჩინჩხვარი ერთი ატკაცუნდა, თონის პირი ოდნავ შეალურჯა და ის იყო, ჩაქრობას აპირებდა, კვლავ შეუმატა ფიჩხი — უფრო მსხვილ-მსხვილი ღერები. თონემ ერთი ამოგდება კი ამოაგდო ჩხლი და ცეცხლი გაჩაღდა.

— დედი! — გასძახა ლევანამ დედას:
— მალე იქნება თონე, დედ!

ბარბალემ ცომიანი გობი სამზადიდან გამოიტანა და თონისკენ წამოვიდა. სამი-ოთხი ნაბიჯი არ ‘ექნებოდა გადმოდგმული, რომ მოწმენდილ ცაზე, ახლოს, აგერ ა, ტეგრის თავში, კაცის ყურისგან ჯერ გაუგონელი გუგუნი ამოვარდა. სულ მალე კი უზარმაზარი რუხი ფრინველი გამოჩნდა. ბარბალემ ერთი შეჰკივლა, ცომით სავსე გობი ხელიდან ‘გაუვარდა, თვითონ ოთხზე დაეცა და ძლივძლივობით შეფორთხდა ოთახში. განცვიფრებული ლევანა პირდაღებული შესჩერებოდა ცაყ. კარგა მოზრდილი ‘წაბლის ტუკი, ცეცხლის ასაბრუნებლად რომ სჭირდებოდა, კვლავ ხელში ეკავა და იმის ნაცვლად, გვერდზე გადაედო, პირდაპირ თონეში უყრა თავი. იმ რუხმა ფრინველმა სოფლის ცა გუგუნ-გუგუნით გადაჭრა და მთების გადაღმა დაიკარგა. ლევანამ სამზადისკენ გაიხედა, მხოლოდ ახლა დაინახა მიწაზე დაგდებული ცომიანი გობი. ის იყო ნაბიჯი გამართა, რომ ეზოში უშველებელი წაბლისფერი დათვი შემოძუნძულდა, პირდაპირ თონეს მოაშურა. ჯერ ზეკის ეს დაუჯერებელი გუგუნი ვერ მოენელებია და ახლა დათვი საიდან გამოუტტა! ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, გასაქცევი გზა არსაით ჰქონდა, ვერც ნაჯახი დაინახა, არც წაღი ჩანდა სადმე. დათვი სულ ახლოს მოვიდა, უკანა თათებზე აიმართა, ლამის ზედ შეეტოტა ბიჭს. ლევანამ ძლივს უგანა და თონეს გვერდზე მოექცა. დათვი ისევ წატორტმანდა ბიჭისკენ. ლევანა კვლავ თონეს ამოეფარა. ისევ წამოიმართა დათვი, ისევ

უგანა ბიჭმა... დარბის ლევანა თონის ირგვლივ, დასდევს უკანა თათებზე ამდგარი დათვი. დარბის ლევანა, დასდევს დათვი... ცოტაც და, ამდენ ტრიალ-ბზრიალში საცა იყო, თავბრე დაესხმებოდა ბიჭს, რომ თონეში ჩაყუდებულ იმ ტუკს მოჰკრა თვალი, ხელი დასტაცა, თონიდან ამოგლიჯა, ცეცხლ-მოდებული ბოლოთი პირში ატაკა ნადირს. დათვმა ერთი საზარლად დაიღმუვლა და უკანა ფეხებზე ჩაჯდა, წინა ორივე ტორი შემოჰხვია ტუკს, მაგრამ ვერა და ვერ გამოიძრო პირიდან. — რაც ძალა და ღონე ჰქონდა, აწვებოდა და აწვებოდა ლევანა ტუკს... დათვი გაგუდული გადაგორდა მიწაზე და ხვითგადამსკდარი ლევანაც დავარდა ძირს.

როდის-როდის გონს მოეგო ბიჭი, ძალა მოიცა და იმ მხარეზე გაიხედა, საითაც დათვი ეგულებოდა. ორჯერ-სამჯერ ამოისვა თვალებში ხელი — დათვი ნამდვილად დაემარცხებინა. იგი უსულოდ ეგდო. დამწვარი ყელიდან გადმომსკდარი სისხლი ტუკგარეშობილ პირთან დაჰკვერებოდა და ქვედა ყბიდან ძირას, მიწაზე გადმოქანებული, ენასავით სქლად ეკიდა.

იმის მტკიცებას ვერ მოვყვები, ნამდვილად რა იგრძნო, გონების თვალით რა დაინახა, ან რა ფიქრი გაუჩნდა იმ წუთში ლევანას, ერთი კი უხიმანოდ ვიცი, ხმამაღლა ატირებას ბევრი ალარაფერი აკლდა, ცრემლები გადმოსდიოდა თვალებიდან...

ასე შეხვდნენ ერთმანეთს სიკვდილი და ლევანა პირველად. სიკვდილს დათვის ტყავი ეცვა, ამიტომაც შედარებით იოლად გაუსწორდა დათვის ტყავიან სიკვდილს ლევანა.

ეს ამბავი ზუსტად მაშინ მოხდა, როცა სოფლის ცა იმ უცხო, გუგუნა ფრინველმა გამოშიგნა. შემდგომში, უფრო მოგვიანებით, გაიგო ლევანამ რომ ის უცხო ფრინველი თვითმფრინავი ყოფილა თურმე...

ბიჭმა ფეხზე წამოდგომა დააპირა, ხელები მუხლისთავებზე დაიბჯინა, მთელი სხეული ისე ჰქონდა დაძაბული, ეგონა, ძარღვების მაგიერ კრინის წკნელები მაქვს ჩაწყობილი და იმას ვმართავო. როგორც იქნა, წამოდგა, მერე ისევ ჩაჯდა, კვლავ გაიმართა, ჯერ ფეხები დაიბერტყა, მერე მკლავები მოადუნა და დაიქნია. შეატყო, ცოტა მისაშველოო და სახლისაკენ წავიდა.

— დედა, ა, დედი! — მიდიოდა და თან ეძახდა ბარბალეს.

დედა არსად ჩანდა, ხმაც არ გამოსცა ბიჭს. ოთახში შევიდა, იქაც არავინ დაუხვდა, ისევ გარეთ გამოაბიჯა, ეზო-გარემო შემოიარა, დედის კვალს მაინც ვერსად მიაგნო.

— დედი, ა, დედი! — რაც კი შეეძლო ხმამაღლა ეძახდა ბიჭი.

პასუხი არსაიდან მოდიოდა. ბოლოს ისევ ოთახში შებრუნდა. კარგა ხანს იბურბუტა და გვიანღა მოიფიქრა: ერთი საწოლქვეშ შევიხედავო!

ჭილოფის კალთა რომ ასწია, ჯერ სიცილი აუვარდა, იცინა და იცინა, ბოლოს მიხედა, რა დღეშიაც ჩავარდნილიყო ქალი, სირცხვილის გრძნობამ სული აუწვა ბიჭს და დედას ხელი მოუთათუნა ფეხებზე.

— დედა, ა, დედი! ნუ გეშინია, გამო.

დაფეთებულმა ბარბალემ ქვემოდან გამოხედა შვილს:

— ნამდვილად შენა ხარ, ბიჭო? დაიფიცე, შვილო, ღმერთი! — ისე საცოდავად შეევედრა დედა, სანთელივით გალღვა და დარბილდა ბიჭი.

— ღმერთსა ვფიცავ, შენს თავს ვფიცავარ, დედი!

— დავიკარგეთ, შვილო, ცოდვის სათავე გადმოსცდა, ეშმაკმა გამოგვიცლო ლაჯებში, უკუღმა დაბრუნდება ქვეყანა, უკუღმა წავა ჩვენი საქმე, — ლუღლუღებდა ქალი და საწოლქვეშიდან ძლივძლივობით მოფორთხავდა...

ავთანდილ ყურაშვილი
ცითელგილთა დღესასწაული

მზის ჩასვლისას, როცა მთის კალთებში შეუჟეჟული ბინდი აიკრა, ოქროსფერი ლურჯყვერცხლში შეიმღერა და აირია, ლევანს სიტყვებით რომ ვთქვათ, შერიფების ყმი როცა ჩამოდგა, ბარბალეს სახლისაკენ ამომავალ აღმართს ტყის ფოთოლივით მოედო ხალხი. წინ ოთხი კაცი მოუძღოდა, ოთხ კაცს ოთხი თეთრი კალათი ეჭირა ხელში, თავები ჩაეხარათ, მიწას დასჩერებოდნენ და ისე მძიმედ მოაბიჯებდნენ, თითქოს მთელი ცის გუმბათი აღმასვლას და ზესკნელად შერკალვას სწორედ მათი გადრეკილი ქედიდან იწყებდა.

ბარბალეს ლამის სისხლი გაეყინა. ხელ-ფეხზე ისეთი დამწველი სიცივე მოედო ნამდვილად ცეცხლი მიკიდიაო, გაიფიქრა.

— ოღონდ ბიჭები კარგად იყვნენ. ოღონდ ბიჭებს არაფერი მარცხი შეხვედროდეს, ღმერთო, ღმერთო, შენი სახელ-დიდების ჭირიმე... ნეტავ, ბიჭებს არაფერი უჭირდეს და ვიცეკვებ, ნამდვილად ვიცეკვებ; შენს სახელზე ვიცეკვებ, უფალო! ამ ალაია ხალხში. ღმერთო...

ვითომ ხმადაბლა ეფიც-ემტკიცებოდა ქალი უფალს, სინამდვილეში ერთმანეთზე სიმწრით მიკრულ-მიწებებული ტუჩი ტუჩს ვერ დაშორა, ხმა ყელს ზემოთ არ ამოსდიოდა და ეს უხმო-დაგუდული გოდება ისე აწვებოდა, სადაც იყო, მკერდს ამოუნგრევდა და საბრალო დედის გული მკვდარი ჩიტივით დაენარცხებოდა გზაზე...

აღმართ-აღმართ ამომავალი ხალხის შავი მდინარე მძიმე-მძიმედ მოიწევდა წინ, ჭიშკარს მოუახლოვდა თუ არა, ბარბალემ ხმლები მოყარ-მოყარა, თავსაფარი მოიღლიტა და ხელები გაშალა; შუაგულ მინდორში ერთი წრე ჩამოუარა, მერე სახლის წინიდან თითქოს სწორ ხაზს მოჰყვებაო, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ცეკვა-ცეკვით წავიდა, ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, წამსვე შეტრიალდა. ამ ხაზს ისევე უკან გაჰყვა, შუა ადგილზე ხელგაშლილი შეჩერდა, ერთი ამოისუნთქა, მერე ეზოს აღმოსავლეთით გაიცეკვა და ღობეს მიეხალა. იქიდან კვლავ სრიალ-სრიალით გადმოჭრა მინდორი და დასავლეთისაკენ ცერებზე შემდგარი და მკლავებგაშლილი, ,ცეკვა-ცეკვით შეერია ვენახს და სიმინდს...

„ჭკუაზე აიკრა, გაგიღია საწყალი!“

— აჩურჩულდა შავი მდინარე. კალათები ჭიშკრის შიგნით, მოლზე დაწყვეს კაცებმა, დანარჩენებიც, დიდიანპატარაიანად ეზოში შემოლაგდნენ. ის რაღაც უხილავი ძალა, ამ ეზო-კარში რომ დაედო ბუდე, მთელ სოფელს აქ უყრიდა თავს, ერთი ჩასუნთქვით იწოვდა და ისრუტავდა სუყველას...

„ბედნიერი კაცი ყოფილხარ, დიმიდე, ამ ამბავს რომ ვერ შეესწარი!“

— კვლავ ჩურჩულებდა ჭიშკარსა და ახლს შორის ახლა ტბად გამდგარი ის შავი მდინარე. დიმიდე კი, კალათებში ოთხად ჩანაწილებული დიმიდე, ამ წუთში იმ შორეული ვარსკვლავიდან გადმოსაცქერად ბარბალეს, სულ ახლახან რომ წამომჯდარიყო ტევრის თავზე (და მაღალიანად, საყვედურის კილოთი ჩასჩურჩულებდა ვაზის ძირში საცოდავად გართხმული ქალს — „ოღონდ ბიჭები კარგად იყვნენ, ოღონდ, ბიჭებს არაფერი მარცხი შეხვედროდეს...“

დიმიდეს კალათის თოკი ორმა კაცმა შემოხსნა პალოს და ნება-ნება ზევით დაიწყეს ამოზნიდვა. ამ დროს იყო, ცა გასკდა, საიდანღაც ის რუხი ფრინველი (გამოფარდა გრიალ-გრიალით. თოკი ვიღას გაახსენდა. თავზარდაცემული კაცები ჩირგვებში შეცვივდნენ... დიმიდე ჯერ უფსკრულისკენ დაქანდა, მერე, თითქოს ქორი იყო, ორივე ხელი ფრთებივით გაშალა და გაფრინდა. იფრინა, იფრინა და ტევრის თავზე თეთრი კალათივით დაკიდებულ იმ ვარსკვლავზე გაჩნდა. წელში გაიმართა კაცი, მიტრიალ-მოტრიალდა, სოფელ-ქვეყანას გადმოხედა და

ვაზის ძირში საცოდავად გართხმული ბარბალე რომ დაინახა, გადმოიხარა, გადმოიხარა, ტუჩები ყურის ძირთან მიუტანა ცოლს და ნაღვლიანად ჩასჩურჩულებდა:

„ოღონდ, ბიჭები კარგად იყვნენ, ოღონდ, ბიჭებს არაფერი მარცი შეხვედროდეს...“

დღესა და ღამეს თავისი განსხვავებული ძაფის გორგალი უჭირავს ხელში, ხან თეთრისაკენ ართავს და ახვევს, ხან შავისაკენ ახვევს და ართავს; მისთვის სულ ერთია, ცაში გაფრინდები თუ ქვესკნელს ჩაარღვევ.

მეორე დილას, ჯერაც რომ არ შემშრალიყო ბალახზე ცვარი, შუაგულ ვენახში, ყანჭაბლის ძირას ლევანას მკლავები შემოესვენა, მკერდში ჩაეხუტებია დედის გაციებული მუხლები და მისი ზლუქუნი მდუღარე წყალივით ეღვრებოდა და თუთქავდა ისედაც ყურებჩამომქნარ ვაზის ფოთლებს.

ბარბალე მშვიდად ეკიდა ხის გადახეხილ ტოტზე. ხელები მოტეხილი ფრთებივით, უღონოდ ძირს ჩამოეყარა, თავი უკან გადაეწია, ღიად დარჩენილი თვალები სამხრეთის ცის კიდურისათვის მიებჯინა, აქეთ-იქით, ღაწვის თავებზე, ორი — წყვილი ცრემლი გამოსხდომოდა და მზის პირველ სხივზე ისე კიანთობდნენ, თითქოს, ამ უსაშველო ბრწყინვა-ციალით სთხოვდნენ და ეეედრებოდნენ ცაში გაფრენილ დიომიდეს შენდობა-პატიების სიტყვას...

— ღმერთო, ეს დილა მშვიდობით გამითენე. — თითქმის ამოიკვნესა ლევანამ და კედლისაკენ იბრუნა პირი.

სახლს უკან მამალმა ცა გახვრიტა. ლევანას მამალს კირილეს მამალი აჰყვა, კირილეს მამალს — ერისტოს მამალი, ერისტოს მამალს ზაქარიას მამალმა უთხრა მეორე, ზაქარიასას — ლუკაია ირემაძის მამალმა და გაყინულ ჰაერს, სოფლის თავიდან სოფლის ბოლომდე, ასდევდა და ჩამოსდევდა ქვეყნის სიფხიზლის დამადასტურებელი ერთადერთი საბუთი — მამლის ზარიანი ყივილი...

ნათქვამია, მგლის შიშით ცხვარი რომელმა სულელმა გაწყვიტაო. კლდესთან ჭიდილი სოფელმა კვლავ განაახლა... ერთ ორშაბათ დღეს ლევანაც ჩაჯდა იმ კალათში და თავგამეტებით მოიქნია ქვის საკვეთი რკინა. უცხო ფრინველის ხელახლა გადმოგუგუნების შიშმა გლეხებს ეს მოაფიქრებინა: თოკეკებს ერთი ათი მხრის სიგრძე მაინც წაუმატეს, მესამე პალოზე გადმოატარეს და ისეთნაირად მოაწყვეს, ზემოთ ამოწვეის დროს უკვე თოკს აშვება აღარ სჭირდებოდა. ათას ეშმაკსა და ტარტაროზს რომ გადმოეფრინა, ახლა განგებ თუ ვინმე აუშვებდა ბაწარს, თორემ სხვა არაფერი ემუქრებოდა კლდის მჭრელი კაცის სიცოცხლეს.

დადგა ის სანუკვარი დღეც, — სოფლის გზამ თავი თავზე მიადო იმ მთავარ შარაგზას და სულ მალე კლდეში ნაკვეთი ამ ახალი საურმე გზით, რევოლუციის წითელი დროშაც შემოფრიალდა..

5. მართალია, იმ წელს დიდი ზამთარი იდგა, მაგრამ გაზაფხული მაინც ადრიანად მოვიდა. მზემ თავისი მდუღარე თვალი ერთი გამოჰკრა მთა-ველს და აიწყვიტა პატარ-პატარა ღელეებმა, ყვინჩილებივით რომ წამოიქიჩრნენ და ჩხრიალ-ჩხრიალით დაეშვნენ ფერდობებიდან თავქვე. საყორნიის მთის გაყოლებით ზმორებ-ზმორებით წამოდგა

ავთანდილ ყურაშვილი
ცთომილთა დღესასწაული

და გამსუბუქდა ბაბუაწვერას ფერი ფაფუკი ნისლი. ლევანამ ხელში სამუნელი აიღო, ბოსლიდან ხარები გარეთ გამოიყვანა, თეძოსა და ბეჭის ფრთებზე, ზურგზე და გულ-მუცელზე მინდობილად დაუწყო ვარცხნა-წმენდა. მერე უღელი გამოიტანა, შინდის მაგარი ტაბიკები გაუყარა, მსხვილად დაგრეხილი კანაფის აპეურები ჩამოჰკიდა. დასუნული არაფრისგან იყოსო, ცეცხლის ალზე გადაატარ-გადმოატარა, ოდნავ შეტუსა და კისერზე დაადგა ხარებს.

— ბატა. ა, ბატა, აბა, გავრეკოთ, ბაბუ! — გასძახა სახლისაკენ.

ჭანიაში პატარა ბიჭი გამობაჯბაჯდა, ფეხზე თეთრი შალის ნაქსოვი ჰაჭიჭები და კოხტად ამოსხმულ-გამოყვანილი ქალამანი ეცვა, თავზე სვანური ლეგა ქუდი ეხურა.

— მოდი, მოდი, ბაბუს სიცოცხლე! — მიეხალისა ლევანა შვილიშვილს, ხელში აიყვანა და მარხილზე კარგად მორგებულ, ძველი ჯამბარის ნაგლეჯით, მკვიდრად დაკრულ ძარში ჩასვა.

— ჰა, შოლტი, მე წინ გავუძღვები! — უთხრა ბაბუამ.

აღდგომის კვერცხის ფერი არა, არც მზისა! მწიფე შინდი ვისაც უნახავს სწორედ იმგვარი და ისე გასისინებულ-გასრიალებული ხარები ჰყავდა ლევანას; აქნეული, ქარვაჩამდგარი რქები ამაყად შემართულ მათ თავ-ქედზე რაღაც უჩვეულო ძალასა და სინათლეს აფრქვევდა. მღალავის თვალი რომ გაეცუდ[illegible]ინა. ხარებისათვის ტყვიის ბაწია ჯვრები ჩამოეკიდა პატრონს — ლევანას.

ძარში ნაკელი ჩაყარა, პირთამდე გაავსო. ეშინ! — შეუძახა. ვითომ ბუმბულით დაუტვირთავთო, ხარებმა გაიწიეს და ნიავივით გასრიალდა მარხილი.

— ესი, ლომა! ესი, ღვინა! — წამდაუწუმ იმეორებდა ბატა და ზურგზე მხიარულად უცაცუნებდა შოლტს ხან ერთ და ხან მეორე ხარს.

გვიან, როცა ლევანას მოინატრებდა ბატა, ლევანასთან ერთად, ყოველთვის ის კვასკვასა ალმასისრქებიანი ხარები წარმოუდგებოდა თვალწინ... [illegible] ცხრა-ათი წლისა თუ იქნებოდა. გაუგონარი სიტყვები დაეჭირა. ოფფელს ცოფი მოედო. ცოფდებოდა ძაღლები, ცოფდებოდა საქონელი, ცოფდებოდა ფრინველი... ორღობეში, ჭიშკართან ლომა და ღვინა იცოხნებოდა. ბატა შუკაში არხეინად მოდიოდა და მოიმღეროდა. ამ დროს აბურძგნილი წითური ძაღლი გამოვარდა საიდანღაც შეშინებული ბიჭი ღობეს ეცა. ერთი წუთი და მეორე მხარეზე იქნებოდა გადამხტარი, რომ ძაღლმა შარვლის ტოტში კბილები ჩაავლო და ძირს ჩამოიღო. წვიან-კვიალი ატეხა ბავშვმა, მშვენელს უხმობდა. ყველას ხარებმა მოასწრო, აქეთ-იქიდან ეძგერნენ ძაღლს. ნაგაზმა ბიჭს კბილი უშვა და ღვინას ეცა. ღვინამ ჩლიქით გადაუარა, გადათელა და გადაჯეგა, მიწასთან გაასწორა.

მეორე დღეს უხასიათობა დაეტყო, საკმელს პირი არ დაკარა, ყურები ჩამოეკიდა ხარმა. ლევანამ ბეითალი მოიყვანა, ღვინა კარგად გასინჯეს, ტუჩზე ძაღლის კბილგანაკრავი უნახეს.

— ამას აღარაფერი უშველის, გაცოფდება! — დაასკვნა ბეითალმა და ლევანას ურჩია: ნუ გაიწვალებ, ტყვია ესროლე და მოკალიო.

ექიმი წვიდა. მალე ღვინამ ბღავილი დაიწყო. ლევანამ ხარი ღელის პირას, მისთვის საგანგებოდ მიწყობილ შემოღობილში დაადა. ბღაოდა და ბღაოდა... ბღაოდა დილიდან საღამომდე, საღამოდან დილამდე; ბღაოდა ერთი დღე, მეორე დღე, ერთი კვირა... არც სვამდა, არც. ჭამდა.

„რისი სული ედგა, სად ჰქონდა ამდენი ძალა!“ — უკვირდა სოფელს.

სასიკვდილოდ ვერა და ვერ გაიმეტა ლევანამ. ის კი არა, მეორე ხარს, ლომას! ვეღარაფერი მოუხერხა. დადგა იმ შემოღობილის გადმოღმა და ფეხს არ იცვლიდა. მისჩერებოდა ღვინას, დაბალ ხმაზე ზმუოდა და თვალებიდან ცრემლებს აღვარღვარებდა, ყელ-კი-

სერი სულ გაზეპილი და ჩამოსველებული ჰქონდა.

„რა დღეში ხარ, შე დანაცრებულო, ლამის ფერფლად იქეცი!“ — რამდენჯერაც არ წაიყვანა ლევანამ სახლში, იმდენჯერ გაწყვიტა თოკი, გამოამტვრია საჩიხის ჭიშკარი და კვლავ ღვინასთან გაჩნდა; ისეთი მშიერი იყო ფერდი ფერდსა სცემდა, ბალახი არ გაიკარა, წყლის დასალევად ვერ ჩაიყვანა სარწასთან...

„ამათ ბარი და ნიჩაბი თუ გაყრის მხოლოდ!“ — იხარშა, თავის წვენში იხარშა, ბოლოს გულმა აღარ გაუძლო, დაჯდა და ბევრი იტირა ლევანამ.

ღვინა ბღაოდა (და ბღაოდა. მსმა შემაძრწუნებელმა ბღავილმა მთელი სოფელი შეაწუხა.

— მოკალი, კაცო! რაღას აწვალებ, — ეუბნებოდნენ მეზობლები. — ის მეორე ხარი მაინც შეიცოდე.

— ის მეორე რომ მეცოდება, იმიტომ ვერ მოვკლავ! — პასუხობდა ლევანა.

— მოკალი, კაცო! მთელი სოფელი რომ გეუბნება, ალბათ ასე უმჯობესია! — არწმუნებდნენ ლევანას.

— არ შემიძლია, ჩემი ხელით მაგის მომკვლელი მე არა ვარ! — გამწარებული უარობდა ლევანა. მაგრამ რომ ვეღარაფერი გაწყო: „რაღამც ეგრეა, აგერ, ბატონო და, სოფელმა (ესოლოლოს!“ — დასძინა ბოლოს.

ბატას მართლა არ დაუნახავს, სინამდვილეში ვინ დაუჭიზნა თოფი და ვისმა ტყვიამ გაათავა ღვინა, მაგრამ იმას რა დაავიწყებს, სოფლის სახელით რომ მოითხოვდნენ ამ ანგელოზ ხარის სიკვდილს. ამიტომაც მის გონებაში სამუდამოდ გაიბრჯნა აზრი:

ტყვიას ყოველთვის ერთი კაცი ისვრის, მაგრამ იმ თოფის კონდახი მთელ სოფელს, მთელ ქვეყანას უჭირავს ხელში და კაცი და სოფელი, კაცი და ქვეყანა ერთად, ერთდროულად უმიზნებენ სამსხვერპლოდ გაწწირულ ხარს, კაცს, ქალს, ბავშვს, ფრინველს...

ჩაწყდა ღვინის ყვირილი.

იმ ადგილზე, იმ შემოღობილში ლევანამ ღრმა ორმო ამოიღო და მაგრად ცური გულისდუღილით მიაბარა თავისი ერთგული უენო მეგობარი მიწას. მერე შემოღობილს ნავთი გადაასხა, ცეცხლი წაუკიდა, დაწვა და მისი ნაცარიც ღვინის სამარეზე მოაბნია. დაცალებული და მარტოდ დარჩენილი ლომა ხარი ერთი ორი დღე კიდევ ბღაოდა და ფხოკნიდა წინა ფეხებით ღვინას საფლავის მიწას. მერე ამდენი ხნის უსმელ-უჭმელს, ძალა თვითონაც გამოელია, მუხლი მოეკვეთა და მოძმის საფლავზე დაეცა. ბატას კარგად ახსოვს, მომაკვდავ ლომას როგორ გადმოსდიოდა ორივე თვალიდან შემთბარი ცრემლი, როგორ ინასკვებოდნენ და ერთდებოდნენ ხარის კისერთან, როგორ წყდებოდნენ და ღაპაღუპით ეცემოდნენ ის ცრემლები გვიჭრაგადავლილ მიწას.

ცრემლად დაილია და გათავდა ლომა. ლომას ცრემლს ბატას ბავშვური ცხარე ცრემლები მისდევდა და მიაცილებდა ქვესკნელის გულში...

ჰქონდა კი ქვესკნელს გული?

აქვს კი ზესკნელს გული?

გაქვს კი, სოფელო, გული?

ხშირად ასეთი კითხვაც გამოუტყვრება ბატას და მაშინვე ლომას ცრემლი მოარღვევს სივრცეს; მაშინვე ღვინას ზარ-ბღავილი წაეკიდება ლაქვარდს, შეერთდებიან, ერთმანეთში ჩაიგრიხებიან და ბატას თვალის დასანახად ფრთხილად გამოცურდებიან.

ხედავს ბატა, რა დიდი თვალისჩინი ამას სჭირდება, მთას გადმოეკიდა, მდინარე გადმოჭრა, ტყეზე გადმოიარა, ქარსა და ღრუბელს მოერია, ბინულის ეფიციით მოჩუხჩუხებს, მოჩუხჩუხებს — მოიღვრება ქვეყანაზე; სადაც უნდა გადაიკარგოს, იმათი უპოვნელი რა იქნება, მაინც მოსძებნის ბატას და ადუღებულ მკერდზე ჩამოადებს თავს—ორი ანგელოზი ხარი, ორი ალმასისარქიანი,

---

ავთანდილ ყურაშვილი
ცითელითა დღესასწაული

ორი ცრემლადმცეული ხარი — ლომა და ღვინა...

წისქვილის გასამართად რომ უნდა წასულიყვნენ, ბაბილომ პირი უბრუნათ და ვენახში ჩარეკა ბაბუა და შვილიშვილი:

ჯერ ერთი საქმე მოილიეთ და მეორეს ხელი მერე მოჰკიდეთო!..

მართალი იყო ბაბილო, წისქვილი მოიცდიდა. ვენახს კი მოცდა არ უყვარს, სანამ ყვავილში შევა, მანამ თუ გამოთოხნი, თორემ ყვავილობის დროს რაღას გიკეთებ და ბალახი გამოგიჩრიჩობს მთელი წლის მოსავალს. ეს ამბავი რომ არა, ლევანა რა ბიჭი იყო, თავის სტყვას ძირს დაადგებდა და ცოლის ნაალვამზე გაიელიდა!

„სწორია ეს ჩემი ბებრუცუნა". — გაიფიქრა ლევანამ და შვილიშვილს მიუბრუნდა.

— ბიჭო, ბატა, თოხები გუშინ სალამოს ჩავიტანე მამულში, ჩემი დოქი ხომ იცი, წამოიღე, შენს გაზრდას! — თვითონ სამზადის კედლიდან ჩამოიღო წალდი, ცერა თითით ფხა გაუსინჯა, მერე მაკაზე დაიდო აპარპალებული ფოლადი და ბალანი რომ აათიბა რკინამ, „ესეც ასე"! — უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა, ვიდრე ვინმეს (გასაგონად. ზურგს უკან, ქამარში გაიჩეხ იგი და სამიჯნელაზე გადავიდა.

ბატამ ადგილად იპოვა ფუჩეჩდარჭოილი ის ტუჩმომტვრეული დოქი, მუდამ შუაღვინით გავსილი რომ იდგა ხორგოს შორიახლო, ამოჩემებულ კუნჭულში, ხელი წამოაყო, კარი გამოიხურა და ორღობეში სტვენა-სტვენით გადავიდა. ცოტა გზა გაიარა და ლევარსამას ეზოს რომ გაუსწორდა, იმის იქით ფეხი ვეღარ გადადგა. ისეთი ხმაწეწუობილი სიმღერა ისმოდა, ბატა კი არა, ავორებული ქვა დადგებოდა. ღრიჭოდ აკრულ მესერში თვალი გაამჭრინა ბიჭმა, — თავზე ახლად ამოყრილი ტოტების ქოჩორი რომ გადასდუღდა, იმ გამოფუღუროებულ ტუნის ძირში დაბალი სუფრა იდგა, თხელი თეფშიდან იჭაიტებოდა ორი კინკილა ბოლოკი და ცალ გვერდზე გადაწოლილი ერთი მუჭა ოხრახუში, თეფშის აქეთ და იქით ორად გატეხილი თონის პური იდო, ცოტა მოშორებით, სუფრის ორივე თავ-ბოლოში — თითო-თითო სამარილე, თითო-თითო ბოთლი ღვინო და თითო-თითოც წელში გამოყვანილი, ჩოხა-ჩოხა ჯიქა. დაბალ-დაბალ ჯორკოებზე ცალ მხარეზე, დასავლეთისკენ, ლევარსამა იჯდა; მეორე მხარეზე, აღმოსავლეთისკენ — ილია. თავ-თავიანთი ადგილებიდან კაცები წინ გადმოხრილიყვნენ, ზედ სუფრის შუა წელზე ლამის პირი პირზე მიედოთ. ერთსაც და მეორესაც მარჯვენა ხელი ზემოთ აეწია, ცერა თითი საჩვენებელ და შუა თითებზე მჭიდროდ მიეჭირებინა და ყურთან ისე ახლო მიეტანა, თითქოს მუშში ბულბულები უსხდათ და იმის გალობას უსმენდნენ:

ეო, მეო,
შენი ჭირიმეო,
დღეს აქანე ვიქეიფოთ,
ხვალე — იქინეო...

დაამთავრეს კაცებმა სიმღერა.

„წავალო", — დაეპირა ბატამ გზის გაგრძელება, რომ ილია ეუბნება ლევარსამას:

— ლევარსამა, ხომ იცი, საუკუნო ნეტარებას მადლი და სიკეთე ჰედავს...

— რად გინდა, კაცო, ეგ მოკალული სიტყვები!..

— ოღონდ ერთი ბოთლი კიდევ მოიტა და საიქიოში წყლის მზიდავად დაგიდგები!

— სადა მაქვს, შე ცეცხლმოკიდებულო, ესეც ლევანას ძღვენი იყო.

— აბა, რა ვქნათ, ამ ერთ სიმღერაზე გავჩერდეთ?!

— რა გიყო, ძმაო, თუ სადმე სამარილია, ღვინოს ჭურებით უნდა გვიდგამდნენ, იმღერეთ და ნუ გაჩერდებითო, მაგრამ ბრიშტები...

— წყალი მაინც შეგვერია! — დანანებით ჩაიღაპარაკა ილიამ.

ბატას გულმა აღარ მოუთმინა.

— ლევარსამა ბაბუა! — დაიძახა ბიჭმა.

კაცებმა ერთდროულად გაიხედეს ორღობისკენ. ბატას მესერზე გადმოეყო დოქიანი ხელი...

— ბაბუამ გამომატანა, თუ არ დაიწუნებენო შუადღეინოს.

— შენ გაგიმარჯოს, შვილო! — ერთხმად ამოიძახეს მომღერლებმა, ბატას დოქი ჩამოართვეს, ღვინო ბოთლებში ჩაცალეს და უკან დაუბრუნეს გამოცარიელებული ჭურჭელი. ბიჭმა მესერს ზემოდან ისე უხერხულად გადაიტანა ხელი, რომ დოქი გაუვარდა და ქვაზე მოადინა ტკაცანი.

— რა იყო, ბიჭო, ხომ არ გატყდა დოქი!

— არა, ილია ბიძია, გადარჩა! — იცარუა ბატამ. ნამსხვრევები წამოკრიფა და ოდნავ გულდამძიმებული უკან შებრუნდა. სამზადიდან თუნგი გამოიტანა.

— ბინულის წყალს ამოვიყოლეს, ბებო! — უთხრა ბებოლოს, სებიჯელას გადაევლო და ლევანას ჩაუდგა კვალში...

ორღობეს ჩასცდა, ბილიკზე გადავიდა. ტაფობებში ჩამდგარი სიმინდის ყანა თოხს ითხოვდა. გაღმა-გამოღმა სერებზე ელავდა და დადარბ-გადმორბოდა პურეული—ზანდური და მახა. ცაზე წითელი მამალი იჯდა. ლაჟვარდის ქანდარას ნელ-ნელა, კაცის თვალის შეუმჩნეველად, ზევით-ზევით მიჰყვებოდა და ამ წითელი მამლის ძლევამოსილ სვლას მიწიდანაც აღმა-აღმა ატაცებული მისდევდა უსულო და სულელური.

ბატა ღელეზე ჩავიდა. ზედ ღელის პირზე, კლდე-ტინის გაპობილი გულიდან მკლავის სისხო ბინული გადმოსჩქეფდა. ბიჭმა თუნგი შეუყუდა წყალს, გვერდზე გამოეცალა, მზისგან გახურებულ ლოდზე ჩამოჯდა, შიშველი ფეხები ღელეში ჩაყარა, თოხიტარას ფრთებივით მოჭედილ რიყეზე მოატარა თვალი და გაახსენდა ოდნავ ვით, ლაცფერიას საყნეარებთან იყო, კრავებს რომ აძოვებდნენ...

მიწა ყვავილებს თოვდა, თუთია წამობიბინებული ბექის ირმში იწვა, ცალი ხელი თვალებზე დაეფარებინა, ცალიც — თავქვეშ ამოედო. ბატა კაპარის ჯოხს აჭრელებდა შავტარა დანით, როცა თუთიასკენ გაიხედა და ლამის გული ამოუხტა... პირში დაგროვილი ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, ბაგე ისე გაუშრა და გაუფიცქდა, საჭალამნე ტყავი რას მივიდოდა იმასთან. უჩვეულო რეეგა იგრძნო — ხელი, ფეხი, კისერი, სადაც კი კუნთი ჩაედგა და ძარღვი გაება დამბადებელს, რკინასავით გაუხდა; — თუთიას წელისკენ ასცურებოდა კაბა და ჩითის ქსოვილის ქვემოდან მოხეთქავდა ორი თეთრი წყალვარდნილი. ერთხანს ასე გახევებული იდგა ბიჭი. მერე ნელ-ნელა დაიძრა თუთიასკენ. გოგო არ შერხეულა, ოდნავაც არ გატოკებულა. ხომ არ სძინავსო, გაიფიქრა ბატამ, უფრო ახლოს მივიდა, გვერდით ჩამოუჯდა. თითქოს ანდამატმა მოსტაცა თვალები, მზერას ვეღარ აშორებდა, ირგვლივ მომნუსხველ ნათელს აფრქვევდა მისი თოვლა ბარძაყები. რამდენჯერაც წაიღო ხელი, იმდენჯერ უკან გამოსწია, ვერა და ვერ გადალახა ის უხილავი სამანი, ასე რომ შებორკა და შეუცნობელი შიშის პალოზე გამოაბა მთელი მისი არსება. მაგრამ არა, მეორე, რაღაც უფრო ძლიერი, კიდევ იყო, მთელი ძალით იქით რომ ექაჩებოდა, გოგოსაკენ რომ უბიძგებდა...

ხელის დაკარება მაინც ვერ გაებედა. ბაბუაწვერა მოწყვიტა და მისი ბუსუსებიანი თავი ნელა ააცურა ზანდურის ფქვილივით გამტკიცულ თუთიას წვიეზე. მერე უფრო ზევით აჰყვა, გოგო ხმას არ იღებდა, მუხლს გადასცდა, არაფერს ამბობდა მაინც; კაბის ბოლომდე მივიდა, არც განძრეულა თუთია...

ავთანდილ ჟურაშვილი
ცთომილთა დღესასწაული

ბიჭს, იცოცხლე, აქამდე განუცდელი სიტკბო და სიამე უვლიდა მთელ ტანში. ბაბუაწვერას ბურთი მიცურავდა და მიიწევდა ზევით, სულ ზევით, წყალვარდნილების სათავისაკენ... დილა და თვალით მოუხილავი თხელი სისველე გადაეკრა თუთიას მთელ ნასხმანს. ო, რა ტკბილი იყო ეს გაუთავებელი ნაზი ღიტინი... გულმა უსწრაფა, თავში აუვარდა გოგოს და ფეხზე წამოიჭრა.

„ახლა კი დავიღუპე!“ — წამოვარდა ბატაკ და საითაც თვალი ხედავდა, იქით მოკურცხლა.

„ბატა გარბისო!“ — უკან გამოუდგა თუთია.

მირბის ბატა, მისდევს თუთია, მირბის და მისდევს. მთელი მინდორი შემოიჯირგალეს.

— აღარ შემიძლია, მოვკვდი, გაჩერდი! — უყვირის ძალ-ღონე გამოლეული გოგო.

ბატა არც იხედება უკან, გარბის და გარბის....

— აღარ შემიძლია, ბიჭო! აღარ შემიძლია, ბიჭო! — ძლივს აგონებს და მიწაზე ეცემა ქანცგაწყვეტილი გოგო.

ბატას მხოლოდ საკუთარი ფეხის ხმა ესმის; მიხვდა, რომ აღარავინ მისდევდა, შედგა, მთელი ტანით ერთბაშად შემობრუნდა და ხედავს — ბალახში ჩამხობილა, მხრები უთახთახებს, ეტყობა, ქვითინებს თუთია.

ბიჭი გაუბედავად მიუახლოვდა მუხლებზე წამომდგარ გოგოს, ახლა რომ უხმო ცრემლები გადმოსდუღდა თვალებზე.

— ნუ თუთი, ნუ ტირი, თუთი! — ლოყებზე შემოაწყო ხელები ბიჭმა.

თუთიამ ნაზად შემოაჭდო ბატას ხელებს თავისი ორივე ხელის მტევანი. ბიჭს ისევ გაურკინდა ძარღვები, თავი დახარა და თვალები თუთიას კაბის საგულეში ჩაეკცა — ორი ღაბუა ჩიტი განაბულიყო გოგოს უბეში. ბიჭმა ხელები გამოარიდა თუთიას ხელებს და გულისპირში ჩაუმვრინა უცებ...

— რას შვრები, ბატა! — ამოიკვნესა გოგომ.

— გულყვითელები მიყვარს! — ღმუოუნენებდა ბატა.

გულყვითელები კი ნისკარტებს იბზუებდნენ, ხტოდნენ და ფრთხიალებდნენ ბიჭის თითებში, — ვერ იქნა და ვერ ამოსხა ისინი ბიჭმა.

თუთია, სადაც იყო, ფესვებგადაჭრილი ნორჩ ალვასავით მინდორზე გადაწვებოდა და გაბრუებულ ბატასაც ძირს დაიტანდა, რომ გაღმიდან ლაზარია მეველის ცოფიანი ყვირილი ამოვარდა:

— გაოხრდა მოსავალი, თქვე კვირაძალის დაყრილებო. რომელი ხართ მანდ, რომელი!..

მანამდე კი ისეთი უკაცრაული ლანძღვა-გინება ამოუგო და შემდეგაც ისეთი სართულები დააშენა, ყვავისკუდასავით ყარდა.

— უიმე, დედა! — ხმადაბლა შეჰკივლა გოგომ, ღრუბელივით რბილი მკლავები ბიჭის მხრებიდან უღონოდ ძირს ჩამოყარა და ყანისკენ გაიქცა.

ახლად აწვერილ ჯეჯილში თეთრთეთრი ხუჭუჭა ბატკნები ხტოდნენ და კუნტრუშობდნენ...

6. — ბატა, უუუ! — ჩამოვარდა ძახილი ღელეში.

— უუუ! — გაეპასუხა აქედან ბატა.

— ამოდი, ამოდი!!!

— შენ ჩამოდი, ჯუბა, შენ!

— სადა ხარ, სად?!

—აგერ ვარ, აგერ, ბინულთან!

ფერდობზე ჩორიკ-ჩორიკით ჩამორბოდა ბიჭი, რაღაც ფურცელს მოაფრიალებდა, სიჩქარეში ისე მოიქნევდა მარცხენა ფეხს, ეტყობოდა, კოჭლი იყო...

— წავიკითხე და ძალიან გამიხარდა!

შევარდენივით მხრიანი ჭაბუკი ჩა-

ნდა. თავზე წაბლისფერი კულულები ეყარა. ცალი ფეხი ერთი ხელის დადებით მაინც ექნებოდა მეორეზე მოკლე, მაგრამ სოფელში დიდსა და პატარას ისე უყვარდა, „კოჭლი ჯუმბერაო!“ ჯერ არავის გაუგონებია მისთვის.

— რა წაიკითხე, ბიჭო!

— ქაღალდია შენს სახელზე, აგე!

ბატამ ფურცელი გამოართვა. „...ჩარიცხული ხართ ფერწერის განხრით, სწავლა იწყება პირველ სექტემბერს“, — გაბმულად, ალილუიასავით ჩაიკითხა.

— შენ ჯუბა, შენც მოგივიდა?! — სიხარულით წამოიძახა ბატამ და ორივე ხელი შემოჰხვია ბიჭს.

— მე... ცოტა მოითმინეო!

— რას მასხრობ, მართლა გეკითხები!

— ასე შემომთვალეს და სწორიც არის, ერთი სოფელი ორ მხატვარს რას იგუებს, გაისად უნივერსიტეტში გავაგზავნი საბუთებს.

— არც მე წავალ მაშინ! — სიხარული გაუნელდა ბატას.

— შენი ნება ყოფილა! მთელმა სოფელმა გაიგო და აწი უყარე კაკალი. სექტემბრიდან ქალაქში იპრაკუნებ, მე და თუთია ფერმაში...

— თუ წავედი, კი!

— ისე წახვალ, მზე მაღლა იქნება! ნუ გეშინია, იმ ქალბატონს ცივ ნიავს არ მივაკარებ.

— დაიწყე ხო, შენებური!

— რა ჩემებური, სამაყარიჩოდ გაქვს საქმე, შენ კი ცხვირი ჩამოუშვი.

— კარგი, კარგი, ნუ ჩორბოტობ! ლევანასთან უნდა ავიდე ვენახში, წამოდი და თოხიტარზე ჩაგამყარიჩებინებ.

— არა, არა მცალია. თუთიას უნდა მივახარო!

— აბა, შენ იცი, სამახარობლო კარგად შეინახე, არსად დაგეკარგოს! — ხმა მიადევნა სოფლისაკენ შებრუნებულ ჯუმბერას. სავსე თუნგი აიღო და ვენახისკენ დაადგა გზას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტარიელ ხარხელაური

●

ლურჯავ — რა უყავ პატრონი,
რომ მოსწოდა ხმა წვრილით,
რის მაცნე არის გზადაგზა
ყეფით რომ მოგდევს არწივი.
და ქარი, ქარი მრისხანე,
კალთას გაბერტყავს გამტვერილს,
სქელ, შავ ფაფარზე გაყრია,
ძვალთა და კლდეთა ნამტვრევი.

●

გამიკრთა ძილი,
თეთრო გვირილა.
ვკრთი,
შენნაირად მარხევს ნიავი.
ტყე წამოფრთხო
ირმის ყვირილმა,
ზღვა წამოიწევს ქარიშხლიანი.

●

მზეო,
მავალო სიფრთხილით,
ჩახვალ და დამებინდები.
ჩავწყდები უფსკრულს ჯიხვივით,
კლდეს რქებით ჩავეკიდები.

●

თქვენს ბილიკებით შავიარ,
ხეებს ავივლი ყრანტალით,
ჯავრი არ შაგიჭამიათ,
მოგიკლავთ მომმის მამკლავი.
გულო,

მოსჭექ და ტყეებს მოირევ,
ცეცხლად ქცეული გმინვითა.
და მოგაქვს თავი მეომრის,
გადაპოხილი ტვინითა.
იარე, ჯვარი გეწეროს,
მისწვეთავ ღრუბელთ მიწოლილთ.
ადი! — მზის დედას მიუტა,
მზემ დაიტიროს მზის სწორი.

მზე გაცურდება ცაზე ირიბად,
მთა ნისლიან მკერდს
ჩაიშრიალებს.
გამიკრთა ძილი,
თეთრო გვირილა.
ვკრთი,
შენნაირად მარხევს ნიავი.

ხვალ მოვცურდები ნისლივით,
ლურჯად გავცრემლო მინდვრები,
სირცხვილი,
შენი სირცხვილი,
თორო, მე რაში მჭირდები.

მტრის გასაცინებო,
შავფერ სისხლით რომ ივსებით.
დანაყრდით ხევსურთ შვილებო,
ლოკეთ ფრთალეგა ნისლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ კუჭავა

●

სულს მეორეო�d
მოევლო წნული,
მაგრამ სადაა
სხვა საოცრება? —

ლოდივით მძიმე
გახდა ოცნებაც, —
ისე გაწყალდა
წანწალით გული.

ტ. გრანელის პორტრეტისათვის

მე მტორავენ, ვით უდაბნოს
ბედუინთა ცხენები, —
წინაპართა უდარდელი,
ოდიშური გენები.
მერე რა, რომ გამიმეტეთ,
კიდეც გამანაპირეთ,

მით უმეტეს, მით უმეტეს,
გაღმერთებას ვაპირებ.
რომ იქ, სადაც მხოლოდ მზეა
და ვარსკვლავთა ფენები,
მივახატო პოეზიაც
გადაჭრილი ვენებით.

●

კიდეც აასწრო
სიმინდს ფთალომ.
ვაი, სხვათა გზით
ლტოლვას მზისაკენ!

მოკეთეები

ჩემს ხვედრს
ღმერთისას ვამჯობინებ,
იმდენი მოკეთე
მყავს —
დალოცვილნი,

ჯოხს სანამ უცხოს
მოუქნევდნენ,
ჩემზე
მოსინჯავენ.

●

დაიძურწება
ქალაქში ძაღლი
წუტი, ბითური...

ისე ჩაკვდება
არ შებურძგლავს
მგლების ყმუილი.

რას არ გადაეყრები

ღულელებს რომ გამოვცდი,
მზერა შეცბა, გახევდა, —
ერთი გოგო იცდიდა
თრანის გადასახვევთან...
და მყის ჟრჟოლა წამედო
დახორბლილი ველების,
ერწოელო ვაჟებო
გულებს როგორ ერევით?

რას არ გადაეყრები
შემთხვევათა წყალობით,
სული ცას ეხეთქება,
ოცნებები გალობენ.
კიდევ ერთი კოცონი
სამახსოვრო სახეთა...
ჰო, რა გოგო იცდიდა
თრანის გადასახვევთან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ბეგიაშვილი

ნოსტალური მონოლოგი

შური და ბოღმა,
მტრობა და შური,
როდემდის უნდა ხარობდეს ჩვენში,
გაჟღენთილია ქვეყნის წარსული
სუნით ათასი უგვანო ლეშის.

როდისღა უნდა შეკერათ მამული
ერთი პირით და ერთი გულისთქმით,
როდისღა ვიძროთ მამაპაპური
ხმალი ერთიან ქართლის გულისთვის.

ნოსტეს კედლებზე ცეცხლი ანთია,
არა მამულზე მტრის შემოსევის,
კვამლით შეხვდება ნოსტე განთიადს,
მამულო, ძაძით შეიმოსები.

ისე ხომ გაკლდა მტრისგან იარა
ჩამოქცეულო ჭერო, მარანო,
მათ საკაძე მარტო კი არა,
უნდათ სამშობლოც დასამარონ!

მე შენი ბედი ჩემად ვიწამე,
(ამგვარ მუხთლობით ბოღმით
ვივსები),
ნოსტეს კი არა, მამულს მიწვავენ
თავგადასული ბარბაროსები.

როდისღა უნდა შეკერათ მამული
ერთი პირით და ერთი გულისთქმით,
როდისღა ვიძროთ მამაპაპური
ხმალი ერთიან ქართლის გულისთვის!

●

ვით დილის ნამზე მზის გაბრწყინება,
ისე მოკლეა წუთისოფელი,
მიაქვს მდინარის ლურჯი დინება
დღეს იასამნის ფერით მოფერილს.
გარდასულ დღეებს ისე ვიგონებ,
ვით ნამეფარი თავის მეფობას,
აგორებული ლოდი იგორებს:
თავქვე სავალი სანამ ეყოფა.
დავიწყებიხარ მრავალს და მავანს,

მთებიდან ბღავის ირემი კენტი,
ხანდახან წლობით სათქმელს და
სავალს
სულ ერთი წუთი დაუსვამს წერტილს.
მოგონებათა ნისლი მეხვევა,
მინდობილი ვარ ნებას ბედისას
და ისე მიმძიმს შენთან შეხვედრა,
როგორც წარმოთქმა აღსარებისა.

●

ავმგზავრებულვარ უცხო ქარავანს,
აღარც გზა ვიცი, აღარც მანძილი,
ვარ და... იქნება სულაც არა ვარ,
იქნებ უთვლიან დედას სამძიმარს.

გზაზე დავარდა ჩემი მერანი,
მხრებით უდაბნოს სიცხეს მივათრევ,
სხვის ხელში მყოფი და მაცქერალი
თავად ეძებდე უნდა სინათლეს.

მზერით დამაწყდა უკვე თვალები,
ნაცნობი კენჭის არ ვარ მნახველი,

გზა მზის სხივებით ნაელვარები
მინდორში გდია, როგორც მახვილი.

ამ ქარავნისთვის კაცი ეული
ერთი ობოლი ნათესავია,
ჩემი მესერი მიმონგრეულა,
მე სხვისი ღობის ერთი სარი ვარ.

მაგრამ როს დაჰკრავს ქამი სიავის,
ხიფათი თვალებს შემოგვაცეცებს,
თმა დამივარცხნე, დილის ნიავო,
თუ ქარავანთან ერთად დავეცე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ დავლიანიძე

შემოგრშნეგა

რომანი

ჯონდო ცას შესცქეროდა. თბილი ჭარი ქროდა. მთვარე ანათებდა. ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. ამწუთში იგი ის ომწყო არსება იყო, ვისაც მიდამო ამნიებს. უფრო სიმპოთლე რომ ვთქვათ — მიდამოს შეუცნობლობისა, თავისი არცოდნისა ეშინია... მაინც გაუძლო ფერნაცვალ სიბნელეს... კაკტი თამაშობენენ. ცხოველები გაახარა ჯონდოს გამოჩენამ, ეზოს მოედვნენ, ხეებზე ამკვრნენ და ათამაშდნენ... შეიძლება მათაც ეშინოდათ ლამისა და ადამიანის გამოჩენა შველოდათ ისეეე, როგორც ადამიანს ამწვიდებს ცხოველის დანახვა... „ჩვენ ერთი წარმომავლობისა ვართ", — გაიფიქრა თუ არა, ცა უფრო აკაკაშდა და ხერხემლის მარჯვენა მხარეს გაჯერილა, თავისთვისეე გაუგებარი ენა აითვისა და ფიქრი დაიწყო. იცოდა, რასაც ფიქრობდა, მაგრამ მაინც უკვირდა — ნეტავ რა ენაა, ეს ენაო? მოეხერხებელ დაეწერა რაიმე, მაგრამ მან ახლა სულ სხვა ენა იცოდა, რომელსაც ვერავინ გაიგებდა და ამაოდ დაშვრებოდა... არადა, ეს ის ენაა, რომელიც საბოლოო (ჩვენთვის საბოლოო) ტეშმარიტებისა და უსასრულობის ამომხსნელია... ცის სიკაშკაშე მალევე ჩაწყდა და პირველად ქარის ყრუ ბმა შეესმა... ოთახიდან მუსიკა იღვრებოდა... სანახეგროდ ტრაგედიული იყო სიმღერა... ეტყობა, ვიღაც მოკლეს... თუთასთან მივიდა, მისი ჩრდილი ფეხებთვით ეყარა მიწაზე... ახლა ალაჩარული ეშინოდა და უბრალო, ადამიანური ინტერესით ცდილობდა იმ არსადსმენილი ენის აღდგენას, რომელმაც სიზმარივით გადაუარა და შიში გაიყოლია. ვერაფერს ბაღდა. ამასწინანდელმა საღამომ ალარ მოასვენა, — სამსახურში გვიანობამდე რომ დარჩა. — განერი სარკმლიდან მოჩანდა დიდი შენობის ქმნი, მშენებლობა და ერთი ნათურა. თოფდა და ისედაც დუმილმოდებულ განწყობას უფრო ასიიდუმლებდა. შუქი ჩაკვრო და საკარმიდამო მოკალათდა. ახლა უკვე ცას ისეთი ფერი ედო, ხასელი რომ არ გაანრა. უფრო კი სხვა რამ აწუხებდა—ირგვლივ სისინში ირეულ შიშინსა! და მიმოსვლას გრძნობდა (და ვერასგზით ვერ ხედავდა).. ჩემს გარშემო ვიღაც არსებები დადგიან და მე ვერ ვამჩნევო. ეს არ აშინებდა, რადგან... ადამიანს უყვარს ეგეი... ყოველივე გაურკვეველზე, რაც მან არ იცის — ეგეი ეპარება... არადა, უეცველია მარილაც არსებობს ყველაფერი, რისი წარმოდგენაც გონებას შეუძლია... ჯონდოს არ შეპარვია ეგეი, — ერთიერთი ეგეის ეგეი ეი შემორჩა... მარილა და მარილი — ისეთი მოწყობილობით, როგორიც თვალია, შეიძლება ყველაფერის დანახვა? ნაღდად არიან უსლაები (ჩვენთვის უსლაცვი) არსებები, რომელთა განწყობაზეა დამოკიდებული ჩვენი არსებობა... ისინი „ხედის მწერლები" არიან...

ჯონდო კარგა ხანს იჯდა საკარძელში. არც თვლიდდა და არც ეძინა. წეღანდელი ჩუჩუნის აღდგენას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ... როცა წამოდგა, ისეთი დალლილობა იგრძნო, გაუკვირდა. ამგვარად ყველაზე მომქანცველი ფუზიკურ დატვირთვასაც არ მოუდუნებია. ის იყო შიში წამოეპარა, რომ სინათლე აანთო, ჩაიცვა და გზას დაადგა...

გვიან იყო. ბარდნიდა. ადამიანების ნაფეხურები ალარსად მოჩანდა. ფეხების ძლიან მაათრევდა უფრო იღლებოდა. ალმართს რომ შეუდგა, ისე დასუსტდა, კინაღამ იტირა საკუთარი უძლურების შემყურემ. ხეს მიეყრდნო და იმდღეეანდელი საღამოს აღდგენა სცადა... ის იყო სავარძელში ჩაჯდარი თავები თავი წარმოიდგინა, რომ ხემ სათოთადგ, ამ თოლლიანი საღამოსავით რბილად უბიძგა,.. მერე სივრცე მოაწვა და თავისუფლად შეუდგა ალმართს. ჯერ გაოცდა, მაგრამ იმდენნაგ ნათელი და ნამდვილი იყო მიერთვანი, უსლილი დამბარება — ტარილნარეეი მიდლეიერების სიხარული მოეძალა, ცრემლები გადმოსცვიდა (ეოველგვარი სიბრალულის გარეშე) და მიდლოთო, — აუოურრჩულდა...

ჯონდო ტოტებგაშლილი თუთასთან იდგა. მთვარეს ღრუბელი წაჰფარებოდა და ეზოც და-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 4, 5, 6, 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩდილულულიყო. კატები ალარ ჩანდნენ... ნაღდად სწამდა — მეგობარი მწერლის რომანის ამბები ნამდვილად (ოღონდ არავითარ „რალაც“) კაბეში იყო ის სიკაშკაშესთან, რაც თავს გადადგა... სტეროდა — ის ღამეც, როცა უხილავი არსებები მიარბენინებდნენ ალმაობზე, ზუსტად მისი მეგობრის რომანი იყო, ოღონდ როგორც ჩანს ბევრმა ჯონდხსავით არ იცის ხალხის გარდა, ვისთვისაც წერენ...ჯონდიმ მაროსლა არ იცის — ადრე თუ გვიან ეს შიშს გაადვილებს, ვის გაახარებს, ვის რას მოაგონებს...

●

კოჩუბეის ერთ-ერთ სასადილოში ისეთი გნიასი იდგა, ჯონდო კინალამ გამობრწყდა, მაგრამ თავს ძალა დაადანა — კარტოფილი შეუკვეთა, კაცსა და ქალს ჩამოუჯდა წინ... ბუფეტთან ჯინსებიანი ბიჭი აუუდგებულიყო, გამეოდველს ელაპარაკებოდა, გოგოსავით ტუჩები ჰქონდა, ძალზე ნაზი, შვინდისფერი... ნაფაზს ტუჩების პრაანვით არტყამდა... ჯონდო ახლა ამ ბიჭს სიამოვნებით ჩაუდებდა პირში რეზინის მილს, რომლის ბოლო ჭარხლის საკვამურთან იქნებოდა მიერთებული... ჯონდო მიხვდა — აგრესიული ხასიათზე იყო, მაგრამ მაინც სიამოვნებით ჩაამტკრევდა კბილებს ყველას, ვინც ამგვარი ბრიყვული სიამაყეზე შეითითხნილი სილეზნით ეწევა ნაგარეტს. ამეაშინდელი უგდუნებობა ისევ ტრამალების ჯუჯა ქალს გადაბრალა და გაუკვირდა... შეეცადა ქვემოთ ჩაწოლილი მუქი-წითელი ნაკადის ამოზიდვას, ისევე, როგორც მცენარეებს ამოაქვთ ფესვებიდან სარჩო, სასარგებლო... ადამიანსაც უუკვარს სარგებელი, სასარგებლო... ბაზრებში, მშვენიერი, კეკლუცი გოგონები სიცილით, ბაქვით, გრეხით დაიარებიან დახლებს შორის, გემოს უსინჯავენ ყველფიერს — ყველს, მწნილს, ნიგოზს, თაფლს და ეძებენ უფრო გემრიელსა და სასარგებლოს... მათ აქვთ გემოვნება და სინჯავენ კიდეც... ერთხელ, ჯონდოს უმცროსმა ბიჭმა ჭიაყელას გასრესა დაუპირა. ჯონდომ დაუფიცრა, დაარიგა. ცოდოა, არ შეიძლებოო. როცა ბავშვმა ჰკითხა — რა სარგებლობა მოაქვს ჭიასო. ჯონდო გაცოფდა, ხელი დასტაცა, შეაჯანჯლარა, ვინ გასწავლაო, — დაუღრიალა... ციოფ ძლივს გააგდებინა ხელიდან... ესეც ასე — ადამიანებს გემოვნება აქვთ, მერე შვილებსაც ასწავლიან, როგორ იგემოვნონ, რა არის სარგებლიანი და რა არა... ადრე, როგორც ეტყობა, საწყალი ფუტკარიც უსარგებლოდ ითვლებოდა და მშვენიერი (სასარგებლო) ყვავილების დაუძინებელ მტრად რაცხდნენ. ერთხელაც, ადამიანი დაიინტერესა ამ მწერის პროდუქტმა. რადგან დაინტერესა, რადგან გემოვნებას ვერსად გიიქცა, ადგა და ფრთხილად (ძალზე ფრთხილად, იმიტომ, რომ არ იცოდა, რა იყო ეს პროდუქტი, ვინ რა იცის, იქნება... ვთქვათ და...) გაუსინჯა გემო... აღმოჩნდა, რომ ფუტკარს თაფლი აქვს... ეს მოგლენა, აღმოჩენა, მიგნება კი, როგორც ამბობენ, გარკვეული, წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს არის ძიება... გემოვნება... სარგებლობა...

ჯონდო სწრაფად შეუდგა ქამას. ეს დასაშვები არაა, მაგრამ ამ სასადილოში შეიძლებოდა გაგუდულიყო. მის წინ მსხდომი ქალი და კაცი ყვითელი ფერის სასმელს წრეტავენენ... ქალი ძლივს სუნთქავდა სიმსუქნისაგან. ისიც გემოვნებიანი ჩანდა. ჯონდოს შენიშნა — ადამიანებს უუკვირთ ოღეთგაგე ბობეტული სასიცოცხლო საშუალებათა განვრცობა-გაღიზიანება, მაგალითად, ვქამთ, რომ სული არ აღმოგვხდეს... ეს არ იმყოფინა ადამიანმა, გემოვნების გამო გაიღიზიანა (გაიქსუა) სხვადასხვა ჭირკლები, სხეული მიაჩვია იმაზე მეტს, ვიდრე ესაჭიროება... ასევეა გამრავლების საშუალება, რომლის ფუნქცია მარადიულ სიამოვნებამდეა დაყვანილი და... ესეც თქვენი დაბადება და დაბადების დღეები. თუმც დაბადება მეორეხარისხოვანია. მთავარია გაჩენა... ეს უკვე მარადისობას მიღწეული ჭეშმარიტებაა...

თბილისიდან გამომგზავრების წინ ჯონდო ბარში შევიდა. ხალხი ეკეკავდა, მლეროდა, გადი-გამოდიოდა... ჯონდოს ვეერდით ცხვირმაგრეხილი, სახედაჩეხილი, ნაღვლიანი ბიჭი იჯდა, რომელშაც კონიაკი შეუკვეთა და თავზე მიიდო ხელი... გოგო-ბიჭები ეეკეკავდნენ. ჯონდო უუკვიროდა და ადრეული, საკუთარ აზრს დასცინოდა, რატომ ეეკეკავს ეა მლერის ადამიანი. ამწუთაში ალარც აინტერესებდა ის კითხვა... სახეშაიარეკვმა ბიჭმა კონიაკი რომ გადაჰკრა, ჯონდოს გაუღიმა, ხელი მიიდო თავზე — მაგრად მტკივაო, — გამოოელااპარაკა. ჯონდომ ჰკითხა — რა მოგვიდაო. ბიჭი მოხერხებულად დაჯდა... თურმე ვალერასთან ბავშვობიდანვე მეგობრობდა... გასულ შემოდგომაზე ენინებას საყიდლად წავიდნენ მოტოციკლეტებით... ქალაქს რომ გასცდნენ, მოსახვევიდან მოხუცი კაცი გამოვიდა ველოსიპედით — დაეჯახნენ, გადათელეს, საპირისპიროდ მომავალ „ეიგულს“ შეასტეხნენ. გოზზე რომ მოვიდა, წითელი ბინდის მეტი ვერაფერი დაინახა... ვიღაც საათსა ხსნდა — ავიზა... მთელი საათნახევარი ეყარნენ. არავინ უპატრონა. თვით იმ შოფერმაც კი, რომელსაც დაეჯახნენ, როცა მისკენ გასხლეტილი მოტოციკლეტი (დაინახა, იმის მაგიერ, აერიდებინა, მანქანა დაამუხრუჭა (როგორ, იგი ხომ „თავის გზაზე“ მოდიოდა... როგორ შეიცვალდა ეგზა, რატომ გადავიდოდა „სხვის გზაზე“, წესრიგს რად დაარღვევდა? მაინც ალა ავტომოყვარული იქნებოდა?) და გადაწვა, არაფერი დამზიანებულო. — ესე იგი, მშვიდად წამოწვა და დაელოდა, როდის შეასტეხნიდნენ.

ჯონდომ შ-ტკო — ბიჭს ბოდვა ახრჩობდა. მისი ბაზრი, ყველა მოსეირე იყო, ვინც კი ეარსებოდა ადგილზე შეიკრიბა. — ყველა მთაგანი დედალი, და უფაფრები იყო... ყოველ მთაგანს დიენანა საყურანი (ბაგშვნდილ-ბაკრიალებული, სიმწრით შეტენილი) ავტომობილი და გასისხლიანებული ორი ბიჭი ან (ვერ) ჩასვეს მანქანაში, რომ საავადყოფოდან მიეყვანთ... ვალერა მოკვდა... ოცდაორი წლის ვალერა ალარ არის... ბიჭის ბაზრით — მოყოლებული მოსეირეებიდან, ექიმებიც დამნაშავენი არიან. რატომ? იმიტომ, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა საათ-ნახევარი მოუნდა ოთხი კილომეტრის გამოვლას... ექიმებმა კი ოპერაცია არ გაუკეთეს არც ერთს... ვალერა მოკვდა... თვითონ გადარჩა, მაგრამ რა? მოატეხილი ფეხი არ გაუწმინდეს, — დაუჩირქდა, ოთხი გაგებული ნეკნი წესიერად არ შეუხორცეს, ალალა სტეხს, ტვინის შერყევა ჰქონდა და მხოლოდ მეოთხე დღეს დაადგინეს. ადამიანები? უხ! — ბიჭს ოფლმა დასცხა. ჯონდომ იცოდა, — ყველაფერში მართალი არაფინაა, მაგრამ ძალზე ბაზრად გულგრილობის გამო ითასნაირი საშინელება ხდება... გულგრილობიდან იწყება ბოდვა, ბოდვიდან ჩხუბის სურვილი, მუშტი-კრივი, ხოცვა-ლეტა...

გულგრილობა და გულმავიწყობა ისე შეიძაგდა ჯონდოს, ლუკმა ვეღარ ჩაყლაპა და ხვლება აუტყდა. ყველაზე დასანანი ეი ის იყო, რომ იმ დამოდმელ ბიჭს შეიძლება კიდევ ორი ბოქა კინიაკი დაელია, გარეთ გასულიყო და ვინმე ახირებული (ოდნავ ახირებული) მიეჩვევარებინა ცემით. მერე კი მოდი და უვარე კაცთმოვკვარების კაკალი. ეძებე და ეუხერეთ ამ ბიჭს შვიდოლიანობა...

ჯონდო სახადილოდან გამოვიდა თუ არა, ბაზრის აქოთებული სუნი ეცა. ჩქარა გაშორდა იქაურობას. მაგაზიასთან წვრილთვალება ბავშვები ძაღლის ლეკვს ბეჭალავდნენ. იქვე იდგა ორი მილიციელი, ოთხი ქალი, ორი მოხეცი კაცი, მაგრამ ისინი არ ეერიოდნენ ბავშვების საქმეში. როცა ჯონდომ დაიფარინა პატარები, მაშინ ყველა მთაგანი დაინტერესდა მისი გარეგნობით, — ათთალ-ჩაათვალიერეს და შეიძლება ბკუთანალებადაც მონათლეს...

ჯონდო ფრთხილად შეეიდა გიგოს კაბინეტში. გიგო ზამთრის საძოვრების საბმოთვალს მთავარ ზოოტექნიკოსად მუშაობდა. „ოლფოზნიკი" ბუაგდა და ჯონდოს უნდოდა მანქანა ეთხოვა რამდენიმე საათით. გიგო ახალი გასული ჩანდა, მისი ხელით დაწერილი მოხსენებითი ბარათი „ბაზეინსადმი" მაგიდაზე იდო: „მოგახსენებთ, რომ შეეგიშლეთ ყინწარის საძოვრებზე მყოფი საქართველოს ყველა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხვრის მოლიანად სულადობის ნორმალურად გამოზამთრების ზედამზერობა. როგორც თქვენთვის ცნობილია, 1976 წლის ზაფხული განსაკუთრებული მძიმე პირობებით აღინიშნა ყინწარის საძოვრებისათვის. — უნალეკო ამინდმა და განუწყვეტელმა გვალვამ, რასაც თან ერთვოდა ძლიერი, მშრალი ქარები, მთლიანად გაანადგურა ბალში, გამოფიტა და მტვრად აქცია ნიადაგი... ალმმა დაფარა საძოვრები... შეიდარებით უკეთესი მდგომარეობა იყო მდინარე კუმას გაყოლებაზე, მაგრამ აქაც, ნაადგილად შემოსულმა საიგაკმა გადაძოვა და ჩლიქით მთლიანად მოსცო ბალახი... მწყემსები ფარების ჩამორეკვისთანავე შეუდგნენ ფარეხების გაწმენდას, დათბუნებას, ბაკების შეკეთებას, სანვალებისა და სახბატნეების სათანადოდ მომზადებას. დროფთლდ გაიბმა ეა აიცრა ცხვარი. დეზინფეკირებულია სახბატნეები ზოგიერთი კოლმეურნეობის გამოკლებით... ადგილობრივად დამზადებულია 21 000 ტონა დაწნული თივა, რომლის უმეტესი ნაწილი პირდაპირ ფარეხებშია შეზიდული... საკრთველოს სსრ მინისტრთა საბჭოს (გიორგაილაწენა რა საძოვრებზე შექმნილი მძიმე მდგომარეობა) რესპუბლიკადანაც გამოგვიყო საკვები... ზოგიერთმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ გამონახა საშუალება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ (კრასნოდარის, მოზდოკისა და ორჯონიკიძის მიდამოებში) დაემზადებინა საკვები... დიდი და დროული შუშაობა გასწია საკასოფლტექნეკამ, რომელმაც ორგანიზაცია გაუკეთა ავტოტრანსპორტს, რათა ფარეხებში დროზე შეზიდულიყო ნაბეკ... მიუხედავად ამისა, გვაქვს ნაკლოვანებები: ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, ყინწარის ზამთრის საძოვრებზე უხეში საკვები ფარეხებთან უნდა მიეზიდათ მერე კვარტალში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ შესრულდა... ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომბინირებული საკვების მოწოდებას დროზე ვერ უზრუნველყოფდნენ დამზადების სამინისტროს კომბინატები. ამის გამო მეურნეობები განაცდიდნენ კომბინირებული საკვების ნაკლებობას, ზოგიერთს კი საერთოდ არ გაიჩნდათ... ეს ძალზე დიდ გავლენას ახდენს ცხვრის სულადობის ზრდაზე... ამგვარი გასაბჭირი მეურნეობებს აიძულებდა ერთმანეთისაგან ესესხათ კომბინირებული საკვები..."

ჯონდომ კოტაგდ დადო მოხსენებითი ბარათი და საკრმლიდან გაიხედა. — პატარა ბიჭუნას ბატკანი მისდევდა. ცხოველის, ჩანდა უყვარდა ბიჭი, — ნეიით მიჰყვებოდა... ამის შემხედვარე ჯონდოს მხოლოდ ახლა ჩამოცილდა სასადილოდან გამოყოლილი უგუნე-

ბოხა... ყიზლარელი მძღოლის აზრით კი: მეცხვარეები ახირებული ხალხია, დღემდე ვერ გამიგია, — რა აიძულებს ამ ხალხს გადაგრეხულ ტრამალებზე იცხოვრონ ცხრა თვე, მერე აიყარონ, თვენახევარი გზა... სიცივე, ქარბუქი, ქვიშა, წვიმა, ელვა, მეხი, ჯანდაბა და დოზანა.. ყველა გაზაფხულ-შემოდგომაზე გაიშლება ხოლმე ცხვარი, — მე შენ გეტყვი, სიგნალით დაიფრთხობ! დგახარ მოელი საათი... გაა ისეთი რა სარგებლობა მოაქვს ცხვარს, რომ წინ და უკან დაარბენინებენ, თქვენცა წვალობთ და ჩვენც გვაწვალებთო...

ყიზლარელი მძღოლის სადარდელშიც უმთავრესი კითხვა — სარგებელი (სარგებლობა) იყო. ჯონდო ისევ დადარდიანდა და თავისი შვილების გახსენებამ მოლად წაართვა ხელფეხი. სწამს, ინიბათვის, რაც მან უკვე კარგა ხანია ჩაიფიქრა, ცოლ-შვილის მიტოვება ერთ-ერთი დიდი, აწ განვლილი საფეხურია, მაგრამ ძნელზე-ძნელია... ეშმაკი ათასნაირი სახით მოგეცლინება კაცს. ხანდახან ისეთ ახლობელში ზის, რომ ამისი გაფიქრებაც კი გამოგთაყვანებს... ჯონდოზე მოჩენილი ეშმაკი ცოლში იჯდა... ნეტავ თან გამყვა ცოლს ის ეშმაკი თუ?..

ავტომობილის ხმაური გაიგონა და გარეთ გამოვიდა.

გოლიებრალი ალოლონი მიუახლოვდა:

— ბიბო, მოლად ნუ გადამრევ... შენი ასავალ-დასავალი კვირაში ერთხელ მაინც გამაგებინე.

ჯონდოს გაეცინა.

ალოლონმა იმავე კილოთი გააგრძელა:

— შენ იცინი და ეს... სად იყავი? რას აკეთებდი?

— გიგოს მოახსენებინთი ბარათი წავიკითხე ცხვრის გამოწსმთრეთის თაობაზე...

— ვიცი, რომ დროს არ კარგავ... ძალიან მაინტერესებს, როგორი სახე ექნება შენს რომაზს...

ჯონდომ სინანულით ამოოლალარაკა:

— არც ისე სასახარულო...

— რატომ, ბიბო?

ჯონდო თვალებში ჩაჰაზერდა ალოლონს, რომელიც უმალვე მიუხვდა:

— შენ მიდი... არაფერს მოერიდო... ახლა რას აკეთებ, დრო გაქვს?

ჯონდომ თავი დაუქნია.

— მაშინ წამომყევ, ბირუზიკის მასივისკენ მივდიოვართ, მე, თემო ტყემალაძე, ჭემალ კობაიძე...

კოიჩუბეის ბოლოში გზაჯვარედინი გადაკვეთეს და ასტრახანის გზას დადგნენ... მანქანაში ოთხნი არიან: ალოლონი, თემო, ჭემალი, ჯონდო... ალოლონი უზის საკეს, თემოს თოფი მოუქცევია ლაჯებში, ჭემალი, როგორც ყოველთვის, ჩუმად ზის, ქერა წარბების ქვეშიდან გასცქერის ტრამალებს, სადაც თითქმის მოელი ახალგაზრდობა გაუტარებია.

გზის აქეთ-იქით ქვიშისფერი ტრამალები ბზრიალებენ. ცხელა. ნათლად მოჩანს ცხელი ალმურის ზოზინია მდინარეები, რომლებიც ალაგ-ალაგ ტბორებად დგება და მირთული სანაბანის ტბებად ლიგლიგებს. უკმრავი ამგვარი ტბაა... უახლოესდები და... სადღაც შორიდან შემჩნეული ოაზისები...

ჯონდოს არახოდეს ადენებს სიცხე... როცა მის გარშემო ყოველივე მოძრაობს, მისი აზროვნება ვეღარ ასწრებს შენაგძრნობის მშვიდად განლაგებას. ჩიკორივით ბზრიალებენ აზრები: მტკრის ნიაღვრები მოჩხრიალებენ და ფუაჯაფუტენი ერეკებიან გამოფიტვის ნათელ ქურუმებს... მტკრის ნიაღვრები მოჩხრიალებენ, — დანაყილი ძვლების კრაჭენი მოწეკეწეკენ ქვიშათა დარღი, მაშორებს წარსულს, როგორც ბავშვობა, წინ რომ გაგვიგდებს კაცობისაკენ და შინდის სახრის ტყაპატყუპით მიგვერეკება... მტვერი სრიალებს, ვერ ვიხსენებ ფუაბნოთა ველენის სისინს... ველენ სრიალებს — არ მაგონდება არც ზამთარი, არც გაზაფხული, არც შემოდგომა და არც ზაფხული... ერთადერთი — უდრეობა დაიკროლებს ჩემს ფეჩრებს შუა ტრამალში და სიცხეებით ამოკეფსილ ხალაბში დამაკანავებს... ნოლის ველზე მიწას გაკრული სიბაკი მიხდევს მტვრების ბზას... უდრეობაა. მაინც ზამთრის ლოლუების რაწკუნნი მესმის... უცნაურია — რად მაგონდება უდრეობის საუფლოში შუა ზამთარი? მოგონებათა ცარაკლტკულებში ვუმზერ უთეთრესი ცხვარის კორომებს, რომელთა მოღმა ულაჯაშოანი კაცების მოოქმა აღმართულა ამოუცნობი დარდის კედელად. უდრეობაა, — მაინც ზამთრის ლოლუების რაწკუნი ისმის... უნებურად მოგაბლავლების მძიმე სალამო, მოწყენა, დარდი... თებერვლის თვეში გამონასკვული, ყვითელკუდა ქართა ხივალი. სიკაშკაშით გამოყოფილი იუპიტერის ცივი ნათება... მძიმე სალამო, მოწყენა, დარდი, — თითქოს შეწყდა დაბადება ამ ქვეყანაზე და ერთადერთი არრდილი დარჩა — გარდაცვალება... მძიმე სალამო, მოწყენა, დარდი — მოგუდული ქარის გორგალით მეცხვარის ფეჩერი ქვაშით დაკაწრულ ტრამალებისკენ მიიხვეწება...

ასფალტიანი გზის მოთავება ვერ შენიშნა ჯონდომ. მანქანას ხმა შეეცვალა. ქვები არაკუდან, უკან მტვრის ბუღლეები გაიჭიმა.

— ჯერ-ჯერობით ასტრახანისკენ ოცდათი კილომეტრია მოსაფალტებული, — ხმამაღლა თქვა ალოლონმა.

— ახე ცოტა? — ჰკითხა ჯონდომ.

— წელიწადში თორმეტ კილომეტრზე მეტს ვერ ასწრებენ...

— სულ რამდენია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამას ორმოცდაათამდე...

— აუუ, როდის მორჩებიან!

— ასტრახანდანაც მოსდევენ...

ტრამალებში გაკლაკნილი, ქვიშიან გზას გაუკვნენ. ირგვლივ წერილები დაბიჯებენ. მამლები წრეებს აკეთებენ, ხტუნაობენ, ცეკვავენ, თავზე ეფოფინებიან სატრფოს... პოლონი ეკითხება ჯემალს — თამაზ იაკობაშვილამდე რამდენი კილომეტრია. ჯემალი პასუხობს არ ვიცი.

პოლონი მცირე ხნის შემდეგ სხვათა შორის აგრძელებს:

— ჩემო ჯემალ, წლევანდელი წლიდან უხეში საკვები აქვე უნდა დავამზადოთ...

ჯემალი იღიმება:

— მახსოვს, ამ ადგილებში მუხლამდე ბალახი ბიბინებდა... რას გიგიბ კაცი, როგორი ამინდები იქნება... ამინდზეა ყველაფერი...

— ჯერ-ჯერობით, — აწუვეტინებს პოლონი.

— ჰო, ჯერ-ჯერობით, სანამ გავასარწყავებთ... ისე კი... გავა რამდენიმე წელი, ნახავ — ლაპასის მასივზე არ არის ბალახი, მერე იქ ისევ გაჩნდება და ბირუზიაკზე გაწყდება... თითქოს ვიღაც არეგულირებსო... ბუნების ხელში ვართ ყველანი...

— ჯემალ, გავიწყდება, რომ ტრამალებში ვიღაცის გარდა, არის ამბანაგი საიგაკი, ქარი, ქვიშა, — ხუმრობს თემო.

— აბა, კაცო, მაგათ თითქოს პირი შეკრეს... ერთი მალე მოვრჩეთ ამ არხებს... ვნახოთ მერე...

პოლონმა გაგრძელა:

— ეს საიგაკებიც ჩვენდა საუბედუროდ გაგვიჩნდნენ...

ჯონდო დაინტერესდა:

— რა, ახალი გამოჩენილები არიან?

— ამბობენ, ორმოცდაათიან წლებამდე არ იყოო...

— ეგ არ გამიგია, — ჩაერია თემური.

— როგორც ვიცი, — დაიწყო ჯემალმა. — ეგ ცხოველი შუა აზიის ტრამალების მკვიდრია... როგორღაც, ომის დროს თუ მერე, დიდი ყინვა ყოფილა, ვოლგა გაყინულა და მაშინ გადმოსულან ბალახის ძებნაში...

— ბევრია, ეტყობა, — ჩაილაპარაკა ჯონდომ.

— უამრავი... არადა ცხოველია. განადგურება არ შეიძლება, თუმცა, კაცმა რომ თქვას თითქმის „ლესაობრივი" მტერია ცხვრისა. — ღიმილით თქვა პოლონმა.

ჯემალმაც აუბა მხარი:

— თანაც, მაინცადამაინც ისინიც ზამთარში შემოდიან საძოვრებზე, იზამთრებენ, გაზაფხულზე კი იკარგებიან...

— სად მიდიან? — იკითხა ჯონდომ.

— ყალმუხეთის ტრამალებში...

ჯონდომ მსოფლიო რუკა წარმოიდგინა. პირველადვე წარმოესახა შავი ზღვა, კასპიის ზღვა, მათ შორის მოკეცული თავისი ქედებით, კავკასიონის ჩრდილოეთით დაცემული ვაკეები. ყიზლარის ზამთრის საძოვრები ამგვარ ჩარჩოებში მოექცა: ჩრდილოეთით — ყალმუხეთი და ასტრახანის მხარე, აღმოსავლეთით, კასპიის ზღვა, სამხრეთით — სტავროპოლის მხარე...

— სადამდე გრძელდება ტრამალები? — იკითხა ჯონდომ.

— მთელი ყალმუხეთი ტრამალია, — უპასუხა თემომ.

— ნამყოფი ხარ?

— ჰო.

პოლონს ჩაეცინა:

— თემო, ერთი, ყალმუხური ჩაის ამბავი მოაყვეი...

თემურმა სიცილით დაიწყო:

— ყალმუხეთში ვიყავით და სადაც არ შევედით, გინდათ თუ არა, ყალმუხური ჩაი უნდა მიირთვათო. ჰოდა, ელისტაში — ყალმუხეთის დედაქალაქში, სასადილოს სამზარეულოში შევიპარე და გოგონას ვკითხე, — ამახსენი, სად მოდის ყალმუხური ჩაი-მეთქი, გოგოს გიეცინა და მოდის: ყალმუხური ჩაი საქართველოში მოდის, ჩვენ მას რძესა და ქონს ვუმატებთო...

შორს, მოყვითალო, მოძრავი წერტლები გამოჩნდნენ.

— აგერ საიგაკებიც, — შენიშნა პოლონმა.

— პოლონ! თუ ძმა ხარ, ცოტა ჩქარა, — აფუსფუსდა თემური და ვაზნებს დაუწყო შერჩევა.

წერტილები მოახლოვდნენ. მერე, მანქანის დანახვაზე, საიგაკების მრავალრიცხოვანი ჯოგი უცბად სწყდება ადგილს და სწრაფად მიეშურება ტრამალების სიღრმეებისაკენ.

პოლონმა სიჩქარეს უმატა. სამოცდაათ კილომეტრს გაუსწორდა სპიდომეტრის ისარი. მანქანა ინჯღრევა, მიხტის, ჯაყჯაყებს... დიდ ხანს ასე სვლა შეუძლებელია. პოლონმა უცლო სიჩქარეს. ჯოგი ელვისებურად ჭრება. პოლონი ღიმილით შესცქერის თემურს:

— გენნება?

— ეეჰ!

— ჯონდო, თემურ ტყეშალაძე მოგვიყვანა, — უხსნის პოლონი. — მონადირეა ხოლმეო. სულთან, არსებობ, თავით ფეხამდეო... ყიზლარში შემდეგნაირად გამოჩნდა: თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი დამამთავრა. სწავლის პერიოდში ზეინკლობდა, მერე სამთო მექანიკის

ზ. ბალაშვილი
ბ. ბ. ბ.

ინსტიტუტში მუშაობდა უმცროს მეცნიერ-მუშაკად. სერიოზულ საკითხებს იკვლევდა... საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილია მიწის რაციონალურად გამოყენების განყოფილება, რომლის ერთ-ერთი ჯგუფი სწავლობს ყიზლარის ზამთრის საძოვრების პრობლემებს...

— მაგალითად? — შეიწუეტინა ჯონდომ.

— მაგალითად, რამდენად შესაძლებელია ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე თოვის პნევმატარსსპორტერება. — უპასუხა თემურმა.

— მაცალე, ბიჭო, წესიერად გავაცნო შენი თავი, — განაგრძო აპოლონმა, ისე რომ კაცი თბილისში იყო, რომ იტყვიან, კარგ საქმეს ადგა, წინ ასპირანტურა, დისერტაცია ელოდა და ეროსელაც, შემთხვევით, სანადირდ ჩამოსულა მეგობრებს. ამნი ჩამოვიდნენ და ორნი დაბრუნდნენ უკან... ჩვენი თემო ტრამალებმა დაიანტერესა და ახლა, ნადირობასთან შეთავსებით, წყალსაჭარ ტუმბოების დასტრიალებს, რომ ლაფანმა წყალმა ტუმბო არ გამოიყვანოს წყლობრიდან... ზუსტად ამ პრობლემას სწავლობს ამჟამად...

აპოლონმა ფართო თბრილთან შეიჩერა მანქანა. ნაირთან მივიდნენ... ეს ცხვრის კერძო მესაკუთრეების მიერ ოდესღაც გათხრილი ორმოები აღმოჩნდა, რომლებსაც ამიტომ თხრიდნენ, შიგ ზამთრის ოთახი ჩარჩენილიყო და გაზაფხულზე ტბად კეთილიყო.

ჯონდო თბრილს ჩასცქეროდა.

აპოლონი თითქოს მიუხვდაო.

— ჯონდო, ბევრ საშინელებას ინახავს ეს მდუმარე მიწები... მეცხვარეობა სარფიანი საქმე იყო... ბევრი კაცი დაკარგულა აქ უგზოუკვლოდ. ბევრისთვის მიუტაცია ცხვარი, ბევრი ჩარჩენილა საშუდამოდ...

— ჩვენმა ხალხმა როგორ გაუძლო? — ჩაილაპარაკა ჯონდომ.

— მაშ რა ექნათ? — ოდნავ გაღიზიანდა ჭეიალი. — მთის ხალხს მეტი რა გასაკეთა აქვს? რა მოდის ხევში? ეს ცხვარი არჩენს მთის ხალხს... მეტი რა დარჩენოდათ? აქეთ უნდა გამოეკეთებინ გზა... ეს საძოვრები სისხლითა გვაქვს შენარჩენებული... ბიეტები კი არ იყვნენ ჩვენი მამა-პაპები ამხელა გზაზე რომ დაუდიოდათ ცხვარი... ეხლა სახელმწიფო გვიგდებს ყურს — ცხვრის გადასარეკად შვიდას კილომეტრიანი სპეციალური ტრასაა, მილიცია იცავს... წინათ? ათასი ჯერის ავაზაკი ეცოდოდა ცხვარს, იტაცებდენ, მწყემსებს თავს ესხმოდნენ... სისხლი გვიღირს ეს მიწები, სისხლი... წინათ-მეთქი ფი სოფელ ანალუქიაში ეხლაც არის შემთხვევები, ჩერნენი ეცემიან ცხვარს, გვტაცებენ... ეს ეხლა, და წინათ რაღა იქნებოდა?

ტრამალებში საიგაკის ბევრი ჩონჩრი ეყარა. თემური რქებს აგროვებდა. მალე ავტომობილის სახარგული რქაშერჩენილი თავის ქალებით ამოიჩხრა.

— რად გინდა, თემო? — ჰკითხა ჯონდომ.

— ეს, ძმაო, აქ, ტრამალებში არაფერს ნიშნავს, იქ, ქალაქად... სულ რომ არაფერი, ყაწწსაც რომ თავი გავანებოთ, რქების წვერებს დავაკერი და სამ-სამ ცალს ვიჩუქებ გოგონებს, გულზე დიბენვენენ და გაეხარდებათ...

— ეგ კი მაგარი რამ მოგიფიქრებია...

— ნახევარი შენი იყოს...

— მაგდენი გოგო არა მყავს...

— დიდი ჩუმჩუმელები ხართ მწერლები... შენ მართლა არა მგავხარ ტრადიციულ მწერალს... კოჩუბეიზე ზედმეტი სახელიც შეგარქვეს...

— მაინც?

— არ მახსოვს... ამერიკული ფილმების მიხედვით... ეგ გაქუცული ჯინსები რომ გაცვია, ამიტომ...

რამდენიმე საათში სათრეველა ვაგონ-სახლები გამოჩნდა, რომელთა იქით ქვიშის დიდი გორაკები იდგა... მათ მიღმა წყლით სავსე საგუბრის დანახვამ გაახარა ჯონდო. — მუდამ ასე მოსდის წყლის დანახვაზე...

საგუბრის გაღმით ხუთი კაცი ტრიალებდა — ბეტონის ფილებს აწყობდნენ... აპოლონმა მაღალ ბიჭს დაუქნია ხელი და ჩუმად უთხრა ჯონდოს:

— ირაკლია წყალმწყლის უბნის სამუშაოთა მწარმოებელი...

ირაკლიმ, — გამარჯობათო და აპოლონს მიმართა:

— ეს ორი წყება ფილა წალმა არ დაალაგეს მუშებმა... რა ეშველება?

აპოლონმა საგუბარს გახედა:

— ამხელა ფილების, ორ რიგად ხელახლა დგება სახუმარო არაა... შენ როგორღა ხარ?

ირაკლის გაუკვირდა:

— როგორ უნდა ვიყო?

— მაინც?

— როგორ ვიქნები, კოლოები მგამენ... ეს რა უბედურება სჯირს აქაოდას...

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, სიცხე გაქვს?

— არა.

— რა გეშველება ამდენი ტყუილისს....

— არა მაქვს-მეთქი... რა ტყუილები?

— პატარა სიცხე კი გექნება...

— არა-მეთქი.

— იმ თავსხმაში შენ კი უნდა გაციებულიყავი.

— მე ვითომ რა ვარ?

— თბილისელი ხარ.

— კარგი რა, აპოლონ...

ირაკლიმ ჯონდოს გაღმოხედა მორიდებით. აპოლონმა ბელი ჩაიქნია:

— მითხარი, ჩვენი ბიჭია, რას გერიდება?

ირაკლი ახითხითდა.

პპოლონმა კოლოები მოიგერია ხელით:

— ჯონდო, ეს თბილისელი თბილანა, ვაკელი ბიჭი, გავაკაეეთ ტრაბალეში... ამას წინათ, აბუე კრანი გაუფუნქდათ. კორუბეიში ჩამოვედი თქენში, უბედურებაში და ღამის სამ საათზე სხვა კრანი წამოიყვანა...

ჯონდოსთვის ძნელი წარმოსადგენი არ იყო უთავბოლო ტრაბალეში, ღამით, როცა ვერც გზას გაიგნებ, როცა თავსხმაა, გრიგალი გლეჯს და ამი კილომეტრია გასავლელი, რა დღეში ჩავარდებოდა ირაკლი...

— ცხელა, — თქვა ჯონდომ.

— ირაკლის გაეცინა:

— ერთი წამით, მაცალეთ...

ირაკლი ვაგონში შეეიდა, მალე გამოვიდა გაკვირვებული და მუშებს გასძახა, აქ მოდითო. მუშები მალე მოვიდნენ.

ირაკლი წინ დაუდგა:

— ბიჭო, მთელი ყუთი „ბორჯომი" მჭონდა, რა იქნა? ხომ გითხარით, გამოვიზოგოთ-მეთქი... წუხელ ჩამომეტანეს, დღეს უკვე აღარც „ბორჯომი", აღარც ბოთლები... ბოთლები მაინც რაღა უყავით?

პპოლონი მიუახლოდა:

— ირაკლი როდის მოიშლი ტრაბახს?

— დედას ვფიცავარ, პპოლონ...

ჯონდოს გაეღიმა ამხელა კაცისაგან დედის დაფიცება რომ გაიგო.

ირაკლი ხელებს შლიდა:

— გეფიცებით, გუშინ ერთი ყუთი „ბორჯომი" გამომიგზავნა თამაზ იაკობაშვილმა, ერთი ბოთლი მოვაკელი... მოიცა... პატასია არა ჩანს.

ირაკლიმ ერთ-ერთ მუშას უხმო:

— პატასია სად არის?

— არ ვიცი... დილით ადრე ადგა, ტრაქტორისები უნდა შეეკეთებინოო...

— რომელი ტრაქტორისტი?

— არ ვიცი...

— წამოდი, პპოლონ, სიცხით დავიწვი, — თქვა ჯემალმა.

პპოლონი და ჯემალი წინ წავიდნენ, ქვეშიან ბორბლებაკმენ ავიდნენ, საიდანაც თვალნათლივ მოჩანდა მაგისტრალური არხის ბრილი და მისი განშტოებები, ანუ გამანაწილებლები...

იმ მხრიდან ციცფერთვალება ბიჭი მოუახლოვდაო.

პპოლონმა გაიცინა ჯონდოს:

— თემურ წყაროელია... ეს გამანაწილებლები მაგისი ხელით კეთდება, სექტემბრის ბოლოს ჩაგვაბარებს ყველას...

თემურ წყაროელმა მუდარით შეხედა ირაკლის:

— ბიჭო, გავიგე, „ბორჯომი" გეყოფა...

ირაკლიმ ხელები აიქნია:

— კარგიო რა. ამისი დედაც... პატასია შეიმჩვევდებ!

ზორს მანქანა გამოჩნდა.

— თამაზ იაკობაშვილი მოდის, — თქვა ირაკლიმ.

თამაზს მტვერში არეული ოფლი ასდებოდა სახეზე. ჯერიანად თქვა გამარჯობა.

— რა იყო, თამაზ? — ჰკითხა ირაკლიმ.

— რა იყო კი არა, მაგ შენს პატასიას ხელზე შემოვიკლავ, მერე შენც მიგაყოლეს, მე თქვენი... ბიჭო, ვის გადაშყარეთ, ეს რა ხალია. თფუი!

ირაკლი ანერვიულდა:

— კარგი რა, თამაზ... რას მომდგებით ბოლომე... რა ვიცი, ჯერადე კარგად მუშობდა... აი, მეც „ბორჯომს" ვეძებ...

თემაზი ბოიცდა:

— რა „ბორჯომს"?

— შენ რომ გამომიგზავნე გუშინ...

თამაზს მწარედ გაეცინა:

— პპოლონ, ჯადამრეეს ეს ხალხი... მე ტრაბალეში დავრბივარ, ტრაქტორი დაკარგე ტრაქტორისტანად... ეს ერთი ყუთი „ბორჯომის" გაკრობას დარდობს... ირაკლი, გეყოფა რა, გაჩერდი მაინც...

პპოლონი დაინტერესდა.

— რა ტრაქტორი დაკარგე?

— ბულდოზერი... სამუშაო შეიერსდა... ეს ვის გადაეეყარე, მე ამათი!..

„ოლეზონიკიდან", რითიც თამაზი მოვიდა, მაღალი ბიჭი გადმოვიდა.

პპოლონმა ისიც გაიცინა ჯონდოს:

— ლევან დაუშვიდი, სამუშაოთა მწარმოებელი... იაკობაშვილთან მუშაობს...

თამაზმა უცბად ჰკითხა ლევანს:

— შენ ხომ არაეის ითხოვე ბულდოზერი?

ლევანმა ბოხი ხმით უპასუხა:

— დღე და ღამე უკან დავდევ... ვის უნდა ვითხოვო... ეს რა ჰკნეს!

ირაკლი დაფიდდა:

— ტრაქტორი კაი, მაგრამ, ტრაქტორისტი რაღა იქნა?

პპოლონს ჩაეღიმა.

თამაზმა ირონიით ახედ-დახედა ირაკლის. რომელიც უცბად გაბრაზდა და თამაზს ხმამაღლა უთხრა:

— კაცო, რა სათამაშოსავით შემომყურებთ, ის კაცი რომ დაიკარგოს, ამდენი ხლაფორთის თავი მაქვს?

— პატასია და ის ტრაქტორისტი ნაღდად ერთად არიან, — დასაკვნა თემურ ტყემალაძემ.

— კარგი ერთი და, — გაეცინა ჯემალს.

— გეუბნებით... აქ ჩხოლოდ ერთი ვარიანტია, — გაიგრძელა თემურმ. პატასიამ „ბორ-

---

ჯემალ დავლიანიძე
ფიგიტგრუნგბა

ჯობა“ გადაამეცია, ბოთლები მოაგროვა, ჩანთაში ჩაიწყო და ტრაქტორით მაღაზიაში წავიდნენ.

ჯონდოს გაეღიმა.

ალოლონმა მცირე ხანს უცქირა ირაკლის და სიცილი წასცდა.

თამაზმა ჯერ შეუბღვირა ირაკლის, მერე იმასაც გაეცინა და ჯონდოს შეხედა:

— როგორ მოგწყნს, ტრაქტორით, რომელსაც ხაათში ათი კილომეტრი სიჩქარე აქვს, არყის საყიდლად წავიდეს კაცი თითქმის ასი კილომეტრის მანძილზე... არ გაგიდგება ადამიანი?

— ეგ რა არის, — გააგრძელა ირაკლიმ. — ამას წინათ თამაზმა ეპასიისა და ლეკსოს დაუბარა, ექსკავატორი ერთი უბნიდან მეორეზე გადაიტანეთო, — სულ რაღაც ათ კილომეტრზე... ადგნენ და ექსკავატორი კოჩრებეში ჩაატანეს... ეს ორმოცდაათ კილომეტრზე...

— კაცო, მე არ ვიცი, რა ტრაქტორით დაიხართ არაყზე, ბერი გვაკმეთ, — სერიოზულად თქვა თემურმა.

— შენ სულ სუფრაზე, ჭალებზე და ნადირობაზე ნუ გიგიჰავს თვალი, — ხელი წაკარი ლევანმა...

— რა ცუდი რამეები მყვარებია, ბიჭო, — ახითხითდა თემური, — ამ გადმოსაკრავეში იყო დ ეგეც ადარ ინატრო? ცუდად გქონიათ საქმე.

— ენა დაიყენე, ცუდად შენა გაკეს საქმე, — ჩაილაპარაკა თამაზმა და ვაგონისაკენ გაეშართა.

საცხოვრებელი ბინები ექვსი ერთმანეთზე გადაბმული ვაგონისაგან შედგებოდა... როცა ბიჭები დაფაცურდნენ. ალოლონმა შეიჰერა, — მაგდენი დრო არა გვაქვსო.

მანქანაში ჩასხდნენ და დაიძრნენ თუ არა, ალოლონმა სინანულით ჩაილაპარაკა:

— გაწვიმდება, თუ არა, მიწა დაიწევს და ირაკლის ხელახლა დასჭირდება ბეტონის ფილების დაწყობა...

გზა ჯერ გათხრილ არხს გაუყვა, რომლის ბოლოში ორი ექსკავატორი დაჭერაობდა... კარგა ხანს მოუხდნენ მდინარე კუმამდე მისვლას... ეს მდინარე ერთადერთია ტარამალებში.

მდინარის ნაპირზე ხუთი სატუმბო იდგა. უცბად ის მშენებლობა ალიქვა ჯონდომ, რამდენიმე წლის წინ რომ მუშაობდნენ ის და ვალოდია (ფრედი)... მერე დასხვავა, ადამიანი მართლაც რომ მოგონებათა შეკოწიწებაო...

შინ გვიან მივიდნენ. ფრედმა ძილის წინაც ატარა და მალე ბერინვა ამოუშვა. ჯონდო ეზოში, ბალაზე იჯდა. ცა კრიალებდა. ჯონდოს შინაგან სასახლეებში ზღაპრის მსგავსი რამ იმალნდებოდა: როცა დაუსახლებელ წოლაკოტებში დავსახლდი, ყველაფერი მოსწავდა. რასაც ახლა ვუყურო, ახლა კი არ შენდება და იქმნება, არამედ უზარმაზარ სარკეში არეკლილი, ოდესღაც ნანახი სინამდვილეა... მე მოვდივარ იმ წერტილისაკენ, საიდანაც წამოვედი. მერე რა იქნება? როცა იმ წერტილში მივალ, რომელ ნანიჭზე იქნებიან ჩემი მოძმენი? უთმათოდ შევჭდეს სვლას ცხოვრების უნაპირო უსასრულობაში? როცა მეშინია, სწორედ ეს ხომ არ მაკრთობს? განა სულ ერთი არ არის, რა შეგაშინებს? იმ წერტილთან რომ მივალ, — მოსაგონებელი ალარა დამრჩება რა და ყოველივეს ერთი ფერი მიეცემა... ერთფეროვნება კი გამაგიჟებს... მე განვითარებას მივეჩვევ, განვითარება ხომ მოგონებების შედეგია...

მეორე დღეს მზე ჩვეულებრივად ამოვიდა და ჯონდოს წინადამინდელი ეჭვი იმ ბანჯგურივით გაიჩარა და გამოშრა, ბაბო რომ მფეხეთ ხოლმე ლასტებზე. ფრედაც მხიარულ გუნებაზე იდგა, ახი გრამი არაყი გადაკრა და ალტაცებით დაწერა განცხადება სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე...

...მდინარე კუმას ნაპირზე, სატუმბავებთან რამდენიმე მუშა ბორიალობდა. მოშორებით ბალარა კაცი იდგა...

— ბატონო შალვა, გამარჯობათ!

— შალვა ღიმილით შეეგება ალოლონს, თვალები მოწკურა. ჯონდომ შეატყო, ძალზე უნდა ყვარებოდა ამ კაცს ალოლონი.

ალოლონმა ჯონდოსკენ მიიწია:

— ჯონდო, ეს შალვა სარჭვეფლაძეა, ჩვენი ტრამალების წყალთა მეურნეობის ექსპლოატაციის უფროსი... ჩვენი სინდისის მამამთავარი...

შალვა ცდილობდა დაეფარა უკმაყოფილება — მსხვილ თითებში ფურცლები ეკავა და უმისამართოდ აწრიალებდა.

ალოლონმა ხელი მოუკიდა:

— რა იყო, შალვა ბატონო, რაღაც ვერა ხართ გუნებაზე.

— ეეჰ!

— მოხდა რამე? — ჩაერია ჯემალი კობაიძე.

— მოხდა, მაშ არ მოხდა? დღეს მინდოდა სატუმბების ამოშავება, მაგრამ მონაფიერეთა კავშირის წარმომადგენელები გამოტყვარნენ და გამბაურთხლეს, თუ თითოეულ სატუმბავის სახვრეას მავოლას წნელის ეზოლაცვას არ გაუკეთებთ, ამუშავების ნებას არ დაგრთვთო, დაგაჯარიმებთო.

ჯონდომ თემურ ტყეშალაძეს ჰკითხა, რად უნდა მავოლებიო?

— სატუმბავმა რო თევზი არ შეაყოლოს, — უთხრა თემურმა.

შალვა ცოტა ხანს იდგა სტუმრების წინ. უხერხულად გრძნობდა თავს. ჩანდა, მაჩეკელი არ იყო ამგვარ დღეში ჩავარდნას, მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცბად მიიღო გადაწყვეტილება, შეტრიალდა და წელზემოთ შიშველ, ქერათმიან ბიჭს მიეახლოვდა:

— უნდა ჩახვიდეთ წყალში...

ბიჭმა თავი მიატრიალა:

— კაცო, გახაცენელი თავი სადა მაქვს... საათობით უნდა ვიდგე, სული ამომძვრება... როცა სამსახურში მიმიღეთ, წინდაწინ უნდა გეთქვათ — წყალში მოგიწევს მუშაობა... რაღაც კაპიკებს მიხდით... თუ გინდათ ამწეში დაგიწერთ განცხადებას, გამოთავისუფლეთ... მართლა ის კი არა ვარ... რედაქციას მივწერთ ..

შალვამ აღარაფერი უთხრა, ცოტა ბანს უცქერა და ისევ გამობრუნდა:

— ეხეთი ახალგაზრდა ზამთარშიც უნდა ჩადოდეს წყალში. რა სისხლი აქვთ!.. სიზარმაცის, სიზანზარის სითხით არიან შექმნილნები... თუმცა, ვერც დაამაღეს, მართალია. სიმართლე მაგთკენ�...

სიტყვა აღარ დაამთავრა, ქვიშაში ჩაჯდა, ფეხსაცმელების გახდას შეუდგა... ჯონდოს ეგონა, ქვიშა ჩაუცვივდაო და წყალთან მივიდა. არ დაიჯერებდი კაცი, რომ ამსიგანე მდინარისაგან სულ რაღაც რამდენიმე კვირაში ერთი ვიწრო ნაკადულიდა დარჩებოდა... მდინარეს ლერწმის ჭალაკები გასდევდა. იმ მხრიდან გარმონის ხმა და ტრამალებივით ზანტი, ზიზღნაბა სიმღერა ისმოდა. ჯონდოს გაუკვირდა, ამ შუა ტრამალებში ნეტავ ვინ მღერის და რა ამღერებსო...

ჯემალ კობაიძემაც მიაქცია ყურადღება მოქეიფეებს და გაეცინა: სიამოვნებაში არიან ვიღაცები, ეტყობა, ძალიან ულბანთო...

ჯონდოს შუდამ ელიმებოდა „სიამოვნების“ გაგონებაზე. ეს სიტყვა სკოლაში რომ გოგო უუვარდა, ნანა, იმასაც ეზიზღებოდა... ადამიანებს სულ სხვადასხვა რამ სიამოვნებთ: ბატკნის ხორცი, მაიხის ბალი, ჩაჰაფული ცოცენი, ჩაშაკრული ხაშაძორო, მოხდენილი გოგონა (თავიანთი აზრით), ლამაზი ყვავილი... ადამიანების შემხედვარეს ხშირადაც უფიქრია — სიამოვნებები მობრძანდებიანო. არის სასიამოვნო სიამოვნების აღმნიშვნელი რეკლამებიც. „ლუდი სასიამოვნო და მარგებელია“. ეს ორი სიტყვა — „სასიამოვნო“ და „მარგებელი“ ძალზედ მოსწონთ ადამიანებს, მით უმეტეს, ბაზრებში, სადაც დათაფლული ლეღვი, ნიხვი, ყურძენი (და სხვა) ნუგბარი იყიდება... შეიძლება ჯონდო (სხვანი აზრით) კიდეც სცდება. მაგრამ მან არ იცის, რა არის სიამოვნება. — იგი არასოდეს ჭამს სიამოვნების გამო, არასოდეს ეწოსავს სიამოვნების გამო, არასოდეს... და ისევ არასოდეს... სამაგიეროდ მისი სიმამრი დიდი მოსიამოვნეა... სიმამრს სიამოვნებს ტორტი, ბიზილალა, არაყანი, შაი, ბორში, ჩაი, ყავა, კატაბალახა... კიდევ ვინ იცის, რა სიამოვნებს, — კაცი დალტონიზმითაა დაავადებული (როგორც თვითონ ამბობს), ფერებს ვერ ვარჩევო და მაინც ხშირად ამბობს, სასიამოვნო ფერიაო...

ჯონდო სიამოვნებას თვლის ერთ-ერთ მსხვილ ბაგირად, რომლის გაწევებტა ადამიანს ათავისუფლებს ათასნაირი სენისაგან... თუმცა, ვისაც უყვარს სასიამოვნო და მარგებელი, იმათ ვერანაირდეს შეედავები... უყვარდეთ, ისიამოვნონ... ოღონდაც... ბევრს ჰგონია, რომ სიამოვნება ნეტარებაა და ამიტომ ეს სიტყვა (ნეტარება) ძალზე სიამოვნებით ცხოვრებისეული სიამოვნებებით ნასიამოვნებ მეასიამოვნეებს, რომელთაც უყვართ სასარგებლო რაგრუმეები ცხოვრებაში... ღმერთმა მისცეთ, ოღონდ!..

სატუმბოებთან აკალმაყალი ატყდა. შალვა სარჭველაძე წელისკენ მიიწევდა. თემური და ჯემალი იჭერდნენ. აპოლონი შორიახლოდან უთვალთვალებდა გაწერმატებულ მოხუცს. როცა აღარავის შეეპუა, ძლივს გადაადგიერებინა ზრახვა.

— მაშ რა ვქნა, დღეს ვიღარ გამიშვია წყალი, — თქვა შალვამ.

თემურმა გაიხედა და წყალში ჩაეშვა... მდინარის ზემო მხრიდან ისევ ისმოდა გარმონის ხმა და დონდღლო სიმღერა... აპოლონი, შალვა და ჯემალი მავთულბადეს აწვდდნენ თემურს... სამი მუშა, წელან რომ უარი თქვეს წყალში ჩახვალაზე, თავჩაღუნული იდგა.

შემდეგ ჯერ ერთმა გაიხადა, ბოლოს ერთად შეცვივდნენ წყალში...

ორიოდე საათში პირველი ტუმბო ამუშავდა, რომელსაც შალვა რუდუნებით დასტარიალებდა. მთლად გამოიცვალა ბერიკაცი... თემური წელიდან ამოვიდა თუ არა, ჩაიცვა, თოფს დაავლო ხელი და მდინარეს აღმა აუყვა... შალვამ გასძახა, მოდი, თითო ბიჭი უნდა დავლოთოო, მაგრამ თემურმა — ჩუმადო, ანიშნა და ლელიანს მიეფარა.

— იხვებზე თუ წავიდა. — თქვა ჯემალმა.

— მშვენიერი დელიკატესია, გენაცვალე, — გაეცინა შალვას და ჯიბიდან ამოღებული ორი ბრტყელი ბოთლი დადგა ბალახზე...

— ეს რაღაა, ბატონო შალვა? — გაუკვირდა აპოლონს.

— ერთი არაყია, მეორე კონიაკი... დავლოცოთ პირველი ჩვენი წილი წყალი ბირუზიაკის მაწაზე...

თოფი რომ გავარდა, — შალვამ პირველი სადღეგრძელო ასწია და ცხვარ-მეცხვარე ადღეგრძელა:

— იქიდან, თემური რომ წავიდა, ტრაკტორი გამოჩნდა.

ზაქარ დავლიანიძე
შემოგრუნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ალბათ ის ბუღალტერია, თამაზ იაკობაშვილმა რომ დაკარგა, — დაიძახა ჯემალმა.

ბუღალტერი რაბრახით შეჩერდა და ხმა ჩაუწყდა. თემური გადმოხტა სიცილით.

— რაი იყო, ბიჭო? — ჰკითხა რამაზმა.

— პატახია ქეიფობდა!

ჯონდოს სიცილი წასკდა.

თემურს თვალები უბრწყინავდა:

— ხომ გითხარი, არაფერ წავიდნენ-მეთქი... ირაკლის „ბორჯომი" არ იცით სად გამქრალა? მართლა გადაუქცევიათ, ბოთლები ჩაუბარებიათ და „ნასმორზე" შეპყოლიან სასმელს...

— სასაცილოა? — სერიოზულად ჰკითხა აპოლონმა.

— თითო კონდახი მივაყოლე, მაგრამ ისე ჩახოცილან... თამაზი გაგიოდება, — მაინც გაეცინა თემურს.

ვეღარაც აპოლონმა შეიკავა ღიმილი:

— ჩემო ჯონდო, რა ჯურისა და ხასიათის კაცს ალარ ნახავ აქ... იქნებ გამოგადგეს ეს შემთხვევა... ახლა უკვე ყველა ტუმბო ამოშავდა, წავიდეთ ირაკლისკენ. მის მიერ გათხრილ საგუბარში უნდა გადავარდეს წყალი, სიდადაც განაწილდება... თან პატახიას გმირობაც შევატყობინოთ...

...ირაკლის მიერ გათხრილ საგუბარში ხუთი ლაპლაპა მილის ხახაა დადებული... წყალი ჯერ არ მოსულა... ჯონდო ქვიშას ჩასჩერებოდა, — გრძნობდა იქ ჩაბუდებულ სიმხურვალეს, დიდი ხნის წინათ დაკარგულ ძმობილთან შეხვედრის ბოლოდინს... ეხეკი შენი კახპის ზღვის ყოფილი ფსკერი, — ქვეშა სავსეა პატარ-პატარა, ნაირფერად ნიფარებით... როცა ერთი მილით წყალმა იხუვლა, აპოლონი უცბად მოწყდა ადგილს და თხრილის ფსკერზე ჩაეშვა. მან მიუვა ირაკლი, თემური წაროული, შალვა სარჭველაძე, ჯონდომაც ერთი მიიხედ-მოიხედა და ისიც დაეშვა ფერფლიზე. მხოლოდ ჯემალი და თემურ ტუმბლაძე დარჩნენ ზემოთ... მალე ყველა მილი ამოიღო წყლის ნაკადთან... აშიშინდა ქვიშა, წყალთან შეგუნდავდა, ალაფდა, აგორგოლდა და დაეშვა ფერფლიზე... წყალი თხრილის ფსკერს მოედო, აშხივლდა, თეთრი ქაფი მოიგდო და ფეხებში წაუდგათ... უცნაური ფერხულში ჩაებნენ...

ჯონდო ზშირად ფიქრობდა, რომ წყალი ადამიანის ან ადრეული სამყოფელია, ანდა მომავლისა... შუალედისა არ სჯერა... ზოგიერთი მშობელი კი ადუღებული წყლის სმას აჩვევს ბავშვს... ჯონდოს მუდამ აინტერესებს — ადამიანის ამდენი შეცდომა ნეტავ თავისივე ბრალია თუ არაო...

როცა საგუბარში მუხლამდე აიწია წყალმა, ყველა ზემოთ ამოვიდა და ირაკლიმ შეიპატიჟა ისინი.

თემურ ტუემალაძემ ნიშნის მოგებით — ეუბნა ირაკლის:

— ირა, წადი ტრაქტორს უპატრონე...

ირაკლი დაეკვდა:

— არა თქვა, — ვიპოვეთოო...

— ტუმბრებთან დგას.

ირაკლიმ თვალები მოჭუტა:

— პატახია სადღაა?

—ბიჭო, ამას რომ ისევ თავისი ოცი ბოთლი „ბორჯომი" ანაღვლებს! — გაოცებით თქვა აპოლონმა.

—არა, კაცო, რა „ბორჯომი", მაგის გულისთვის თამაზ ლომის გადაირეოს, თავი დამანებეთო, თუ ძმა ხარ...

— შენი „ბორჯომი" პატახიას გადაუქცევია, — ალარ ეშვებოდა თემური.

ირაკლიმ ხუფრის გაწყობა დააპირა, მაგრამ აპოლონმა უთხრა — ჯერ თამაზ იაკობაშვილთან წავალთ, „იტრ"-ის ნახვა გვინდა და მერე ყველა ერთად დავსხდეთო...

—მაშინ მეც წამოვალ, — სხვათა შორის თქვა ირაკლიმ.

აპოლონს გაეცინა:

—ვერ ჩაეტევით მანქანაში...

—კარგი რა, აპოლონ...

—რა გინდა, ჩვენ ვეტყვით ტრაქტორის შესახებ...

...ეზად საიგაკების რამდენიმე ჯოგი დაფრთხეს. თემური ეხვეწებოდა აპოლონს, — ერთი ბეწოზე მიმაწიეო... მან არ აუსრულა საწადელი თემურს და ჯონდოს მიმართა:

—ჯონდო, აგერ, გაიხედე, შორს, შავად რომ მოჩანს, ეგ არის სამამულო მანქანა „ეტრ-301", რომლითაც ძირითადად იკრება — მაგისტრალური არხი...

მანქანის სილუეტი შორიდან თვითმფრინავს წაგავდა... ამნაირი რამ არასოდეს ენახა ჯონდოს. იგი გრუხუნით მიიწევდა წინ და მიწისქვეშელი გიგანტს ჰგავდა. ძალზე ნელა მიდიოდა... არავინ ჩანდა. თითქოს თავისთან მუშობსო, ბოლოს გრძელთმიანი ბიჭი გამოჩნდა... რამდენიმე წუთში დეკმანქანა ათუხუთხეზ, შეეჩერდა. სულ ოთხი კაცი გადმოვიდა იქიდან — თამაზ იაკობაშვილი, ზურა შენგელია, —ინჟინერ-ეკონომისტი, მიხეილ ბიკმუხამედოვი — მექანიკოვატორე და ვიტალი ალექსანდროვი — მოუშა.

—თამაზ, ჯერ სამხარობლო იკისრე, — გაუცინა აპოლონმა. თამაზმა ხურაფად შეხედა ირაკლის:

— პატახია იპოვნეთ?

—თვითონ არა... ტრაქტორი ვიპოვნეთ...

—სადა დგას?

—ტუმბოებთან.

თამაზმა ჯერ მექანიკოვატორის გადახედა, მერე აპოლონს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მანქანა ათხოვე ირაკლის, მეექსკავატორე ჩაარბენინოს, ტრაქტორს წამოიყვანს...

აპოლონმა გასალები გაუწოდა ირაკლის.

ჯონდომ გარშემო შემოუარა ექსკავატორს და თამაზთან მივიდა:

—რამდენი კაცი აუდის?

—წესით, სამი კაცი უნდა მუშაობდეს, ფაქტიურად ოთხი მართავს... დღეს ჩვენ წაეხმარეთ მუშებს...

—არასოდეს მინახავს ასეთი მანქანა...

თამაზმა აუხსნა:

—ეს არის როტორული ექსკავატორი „ეტრ-301“, რომლის წარმადობა დღეში ორასი მეტრია.

ჯონდო სახეგაშავებულ თამაზს შესცქეროდა. იგი უკვე იცნობდა მას — მეექანიკაციის სპეციალიზირებული ტრესტის კოჩუბეის წყალმშენის უბნის უფროსია, ოცდაცამეტი წლისაა, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიღოტექნიკური ფაკულტეტი დაამთავრა, ჯერ წყალმშენში მუშაობდა საწარმოო განყოფილების ინჟინრად, მერე საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში გაგზავნეს, ქვეყნო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე, სადაც იყო სამთო ოსტატად, სამუშაოთა მწარმოებლად. აქედან გადაიყვანეს იმავე ტრესტის სამშენებლო სამმართველოში მთავარ ინჟინრად, მერე უფროსად, იქიდან კი პირდაპირ ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მიავლინეს...

ტრამალებში ზუსტად ისევე ჩადიოდა მზე, როგორც ზღვაზე. სისხლისფრად შეიღება მნათობი, მერე თვალით დასაკვირვებელი შეიქნა, ცაზე ათასნაირი გოლიათების ნაირფერადი ჯოგები გამოჩკიდა და მიწიერ ზღვაში ჩაეშვა...

ვაგონ-საცხოვრებელში შეისვენეს. კოლოები მოსცვენებას აღარ იძლევიან... თანდათან შემოუერთდნენ სამუშაოთა მწარმოებლები: ირაკლი დოლიაე, თემურ წყაროელი, ტოპოგრაფი — ვაჟა ლეკვაკვა.

თემურ ტყემალაძე ჩვეულებისამებრ ხითხიტებს და ვაჟას მიმართავს:

—შენ ვეღარ უნდა მოგიშოროთ საძოვრებიდან?.. ტოპოგრაფი აღარ გვინდა, ძმაო...

მერე თემურმა უთხრა:

—ამისი საქმე დღეში საათ-ნახევრიანია, მაგრამ დღეა თუ ღამე, რა საქმეზეც გინდა მიუშვი, მგელივითაა... ისე შეუუკარდა ქვიშა, ბალახი, კოლოები, ქარი, რომ ბავშვი ავად გაუხდა და თბილისში მანამ არ წაგიდა, სანამ არ გავაგდეთ...

თემურ წყაროელმა რამდენიმე ბოთლი დადგა სუფრაზე. ტყემალაძემ თვალები ჭყიტა:

—ჩემი ღვინო ისევე გაქვთ? ეეტყობათ, მამაპაპურ სმას თავი გაანებეთო, თორემ ბაჯიოურ ღვინოს აქამდე არ გააჩერებდით... ვაი, თქვენ რა გითხარით!

... აპოლონმა ყიზლარში ჩამოსული მშრომელი ადამიანების ადგილ-ადგილ ტყემალაძე, ტოპოგრაფ ვაჟა ლეკვაკვა, ბალახ-ბალახ ბალახ-ბალახ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ვარსკვლავი დალანდა ისევ, რომლებსაც იმდენ ხანს უცქერა, სანამ არ შეეკრთა... ის კრთომა და ხმაური ცოდვის შიში ერთნაირი იყო... ცუდ დღეში ჩავარდა ჯონდო. ვერ გაარკვია, რა კავშირი უნდა ყოფილიყო ღორის დაკვლასა და სამ ვარსკვლავს შორის, რომლებმაც ერთნაირად შეაშინეს? შეეცადა ყოველივე გაეანალიზებინა: პირველად ღორის დაკვლა წარმოიდგინა: ახალი წელიწადია, — ადამიანები ღორებს, ბუკებს, ბატებს, ქათმებს კლავენ, ახრიალებენ, აპყვიტებენენ, აკრიახებენ, ჯიგარს აცლიან, სვამენ, ქეიფობენ, ელენთას ნაკვერჩხლზე აშაშხინებენ, ყაურმას, ჩაქაფულს, მწვადს მიირთმევენ, დანარჩენ ხორცს ამარილებენ, თოფის სროლით ეგებებიან დღესასწაულს, რომელიც თავიანთი მოგონილი კი არ არის, არამედ გადმოცემით მიიღეს (ჩიბარეს) წინაპრებისაგან (რომელთაც არ მოუგონიათ დღესასწაული)... ისე რომ, ახალი — წელია ეს ახეა, ახე უნდა მოხდეს, რადგან მუდამ (ოდითგანვე) ასე იყო... ვის რა უფლება აქვს, მამა-პაპის ადათ-წესი დაარღვიოს? ვის ექადის გვერდები? იქნებ ვინმეს თავ-პირის დალეწვა მოენატრა? მით უმეტეს, თქვე კარგო ხალხნო, ღორის ახალი ხორცის მწვადს რაიმე შეედრება? მაშ გიჟი არ არის. ვისაც ეგეი ეპარება ამ უნადგურს ქეშმარიტებაში? აბა მაშ გვითხარით, — მეტი რა შეგვრჩება? მეტი რა შეგვრჩება? მეტი რა შეგვრჩება? მეტი რა შეგვრჩებაო?.. ასე იყოს, — შეგვრჩეს თუ შეგვრჩეს, მაგრამ... შეგვრჩება?

მოკლედ, ახალი წელი დგება, ადამიანები სუფრას მიუსხდებიან, თამადას აირჩევენ, სიამტკბილურ პურს სჭამენ და... რა არის კაცო, ამაში საკვირველი? რატომ უნდა გაუკვირდეს ეს ვინმეს და არის ის ნადები კაცური კაცი? მერე რა, რომ ქეიფის შემდეგ ზოგს გული სტკივა, ზოგს თავი? თავკარია რომ ახალ წელიწადს ფეხზე დამდგარი შეხვედ და სიკეთე დაიკვეთო...

ჯონდომ თავისი შიშის მეორე მიზეზი წარმოიდგინა: თოვს. მთვარიანი ღამეა. ნახეგარი ცა მოყრილიყოფილია და სარკმლიდან სამი ვარსკვლავი მოჩანს... საკვირველი აქ არის რაზე? ცა ცაა, რახან ცაა, ცაზე მუდამ ვარსკვლავებია, ზოგი ჯგუფ-ჯგუფად, ზოგი გაფანტულად... ეს ასეა (ახალი წლისა არ იყოს) და ასეა მუდამდამ... რა არის აქ საოცარი? მაშ ჭკუაზე მეოთ კაცს შეიძლება ცისა ეშინოდეს?

არც პირველ, არც მეორე შემთხვევაში არაფერია საკვირველი და მით უფრო, საშიში, მაგრამ ჯონდოს მაინც შეეშინეგა. ახალი წლის სუფრის თამადების აზრით კი, ჯონდო შეიშალა (ან მოიშალა, გაფუჭდა)... მაშ ასეთი კაცი შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს? ვის დაჭარგვია ეიღაც ჯონდო თავისი შიშით ამ ახალი წლის ღამით, როცა ალალი მშრომელი, კაცური კაცი — მეეკვალეობის კალატოზი, ზეინკალი (და ასე შემდეგ), შრომით დამაშვრალი კაცი ამ წუთით დღეგასწაულისაგან ნასიამოვნები, გაბრუებული, ღრმა (ალალ, კაცურ) ძილშია და მაინც უკეშმარიტეს-უფლისდესი ხვრინვა მისი ოჯახის ბედნიერების ერთ-ერთი შემადგენელი, განუურელი, აუცილებელი ელემენტია... თანაც, როცა ღამის სამ საათზე მძინარე მაშვრალს ტელევიზორიდან პოეტი ლეკსს ჩასჩურჩულებს: „გახსოვდეს ჩემ მეგობარო, ტკბილო, სულზე უტკბესო, რომ ნადდი მელოდია არ გაანძია არც გიტარას, არც პიანინოს... შენ თუ ასე ფიქრობ, შენ ცდები, სულზე ძვირფასო, ძალიან ძვირო... სახარატო ჩარხისა და უროს ხმა კოსმიურობამდე მიღწეული მუსიკაა... მაშ, იმინე ტკბილად, ჩემო უშაკრესო მეგობარო...“

ახალი წლის მეორე დღეს კი, გაზეთებში გამოქვეყნდება საახალწლო მილოცვები, უამრავი თოვლოყმეული ჩანახატი, ფოტოტიტუდი... შეიძლება ისიც გითხრან, თუ რაოდენ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ყინულზე ფეხი არ გაგისხლტეთ... ახალი წლის მეორე დღე უქმეა და უამრავი ქურქოსანი ირეკა ქუჩებში. ვიწრო ქუჩაზე მედოლე და მეგარმონე მიეტუნეულებენ ხვნეშით და თავიანთ საყვარელ სიმღერებს მიაცუცქანებენ ქეიფში: „შე შენ ზღა-პა-რიმე-გონე, ათასერთი ღა-მი-დან“, ანდა: „არა, ვარდებს ალარ ვუმზერ“, ან „შენი სიყვარული მშვავ...“ სიყვარული მშვავო, მაშ!..

●

ჯონდო დილიდანვე წავიდა „ეიგულის“ საყიდლად. უკვირდა, რომ უხარიდა. არადა, რამდენი ხანია არაფერი გახარებია... თეთრი მანქანა ამოარჩია და ისე რომ არც ერთ მეგობართან არ მისულა, — პირდაპირ სოფელში გასწია, იქ, სადაც გარდაცვლილი ბაბო წევს ფაქნისის მიწაში და მოხუცი პაპა იტანჯება უცნაური და სასაჯელი სიბერით... პაპას ფილტვების ანთება ჰკლნდა. მის ბებერ სხეულს დასაკერეროდა ჯონდო... „ამოდი სულო, ამოდი!“ — ჩუმად, ხრიალით ამბობდა პაპა, ულოსო მკლავებს ეყრდნობოდა, წამოწევდა და ისევ ეეფერებოდა იმას, ვისაც ამწუთში ხედავდა, წინათ კი...

ჯონდო გორში ჩავიდა — იქ გულის მანკით დაავადებული დედამისი იჯდა გაფეთრებული და ეუნნებოდა: შვილო, მივლინებას რომ მოარეკი, იქნება ბინა მოგცენ, წამოიყვანე თბილისში, ექიმს მაჩვენე, გავიკეთებ იმ ოპრაც დასარჩენ ოპერაციასო... დედას თავის ტკივილები ჰქლავდა... ჯონდო უთენია ჩუმად გაპარა და ყიზლარის გზას დაადგა... ერთადერთი ენანებოდა — ლერი მაინც ენახა ფეხზე, რომ გიგიებს ჩემს აკ ყოფნას, ეწყინებაო, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ მანქანის ყიდვით გამოწვეული, მის სიცოცხლეში ყველაზე ბრიყვული. ყველაზეური, არაფრისმაქნისი სიხარული ახლოლების ავადმიერი ალმერულ დარეში ეთქვიფეზოდა და ლეტრთან ფუწყის, რა ჯაწყობაზე იდგა...

სანამ ეზოლარში ჩავდოდა, თითქმის ყველა ავტოინსპექტორმა ზეიერებინა და ზეუმოწმა მანქანა — „ბაკართველოდან, თბილისიდან მმბრძანდებით? რა მოგაქვთ? გაადეთ სბპარგეული! არაფერია? ხალიკრიან!..“ კონდოს ადრეც ზნირად ამოწმებდნენ ამგვარად, — ბევრჯერ გაუჩერებიათ რკინიგზის რომელიმე სადგურში, საბუთები უთხოვიათ, ხამრიგეოში შეუყვანიათ, ჩემოდანი ან პორტფელი გაუჩხრეკიათ... ეს უდიდესი ტრამვეია, რომლებიც ახლა შორს არიან მაგრამ... ნეტავ თუ ჰკვნდათ, ანდა აკვი ამბი უფლება? იცის კონდომ, ვისი და რისი ბრალია ესა... მალაზიაში ვეღარ შეხვალ ზაშით — ზავთმიანს დაინახავენ თუ არა, კეკლუცი გოგონებიც კი ასე მიმართავენ: ბაკართველო, მანდარინი და ყვავილები ხომ არა გაკვს ჩვენთვისო... ერთხელ, ტამპოვის ავტოინსპექციას უფროსი კინაღამ შემოაკედა... ძმის ავტომანქანა კართან ეყენა. კონდო სიმაძრის სტუმრებთან ხვადდა. ინსპექტორები დაუკითხავად შემოვიდნენ ხალში, მანქანის პატრონი იკითხეს, კონდომ უთხრა, აკ არ არისო... ჯინდა თუ არა, შენ ხარ, შენ მართავდი, დაგინახეთო და კინონის ძალით, მავთულხლიდან „კოლხეზნიკეში“ ჩასვეს... კონდო დაჰკვა, რადგან, როცა მართალი ხარ, კაცს შეიძლება ხელი შემოკერა, მერე კი, ამითი დამთავრდა შენი სიმართლე... გაარტეკ? ესე იგი, მართალი ალარა ხარ... მართალი იყავი თუ არ იყავი, ეს უკვე ისტორიაა... ეს მერე გაიარკვევა... ახლა კი, კეთილი ინებეთ!... კონდო „კოლხეზნიკეში“ იყდა და ჩუმად ტირიდა, ტუჩებს იკვნდა. როცა ავტოინსპექციის უფროსმა ამხანაგმა ზუბინმა მემანდარინე უწოდა, უცბად გაიწია და ერთ-ერთი მილიციელის ოპერატიულობა რომ არა, სილას გაუწვდდა... მერე შეამოწმეს, ნასვამობა დაუმტკიცეს (ვითომც თვითონ კარ სჯერდდ), ოზუთმეტი დღე-ღამით დაუპირეს დაპატიმრება „წვრილმანი ხულიგნობისათვის“, მაგრამ მწერლის მოწმობამ გადაარჩინა... თუმცა სბუთიც საგულდაგულოდ შეამოწმეს — ამგვარი გარეკნობის კაცს — თმაგრძელს, ჯალარას, ჯინსებიანს, მწერლობიხა რა გეტყობოთ, ხოლოს ბოდიში მოუხადეს, სამთვრალე ბეკვით დაუფასტურეს და სათანადო დოკუმენტები თბილისის ავტოინსპექციას გადაუგზავნეს, სადაც ძმას ავტომობილი კინაღამ გაუკიდეს... ნეტავ სხვა ვინმე რას იზამდა კონდოს ადგილზე? იზამდა კი რამეს? არის რაიმე გამოსავალი? იქნება არის და იგი ვერ მიმხვდარა... დრო დიდი და იქნებ შემდეგში სხვანირადაც მოიქცეს... არადა, კონდომ იცის, ვინ არიან ამაში დამნაშავეები... ისინი ამ ბოლო დროს ალარა ჩანან ჩვენი ქვეყნის შორეული ქალაქების ბაზრებში, თუმცა... ისინი კონდოს თანამემამულენი არიან და რა შუაშია სხვა?

...კონდომ კოიუბეის გადასახვევში სწრაფად შეუხვია და ქირაკარი ალოლნის სახლს მიადგა, სადაც პურ-მარილი გაეშლათ.

— ბიჭო, კონდო, შენდედ ვინ ჩამოვიდა, ბიჭო! — სიხარულით ალარა ალოლნმა და უკვე კარგად ნასვამი ლერი დაანახა...

●

— კონდო, ძმაო, მაგარი ბინა გაკვს, ვერაფერს იტყვი კაცი, — გალეიძებისთანავე თქვა ლერიმ.

— იცი რითია გალესილ-დაბურული?

— ნეტვინ!

— არა.

— წითლით!

— გამოცანა გერგება...

— ეეჰ!

— როდის წამოხვედი?

— ორი დღეა...

— ჩემთან შეიარე?

— არა...

— ჰო, მომილოცავს მანქანა... მთავრობაში უკვე პატივს გცემენ...

— შენ ისეკ ისე ულრენ ყველას და ყველაფერს?

— რაო, ამ რამდენიმე თვეში ხომ არ შეეცვლებოდი? ქამელეონი ხომ არა ვარ...

— ეეჰაღ, კარგად შეგიხსენეთ ფაუნა...

— კონდო, ალოლნს ვერ ეტყვე, შოფრად ანდა სპეშე გააფორმებინოს ჩემი თავი...

— აკ ალოლნის გარდა, „ბაზეინი“ რომ არის, არ იცი?

— ვიცი... თბილისშიკე მითხრეს...

— მერე?

— მე თავი გამანებოს... შენ უკვე „ადგეკვანა“?

— ჰო...

— მოგთმინე?

— ჰო.

— წინათ არავის უთმენდი... უკვე მომავლია გეშინია, დიდი კაცი ხდები, დიდი მწერალი...

— მორჩი...

— ცნობილი ალალკაზრდა მწერალი, კონდო...

— კარგი ერთი დ...

— ეგრე ბეკდავენ, ძმაო, შენზე ყველგან... შენი უკანასკნელი ფოტო კი მართლა მომეწონა... ეი, ერთადერთიც რომ მოგეგერბენინა — საფეიქლთან ხაში თითი მიგიდეთ, მაშინ უკვე...

— ლერი, ხაში არ გინდა?

— ლერი წამოკდა:

— აკ... ამ... ხაში? ხაიდან? მართლა?

— წამო, ადექი... დამბმარე ელემენტსა და ბუდანაკეკ გაგუპროთ...

— ეგენი ვიღა არიან?

— ვაფა და უშანგი...

— ვაფა უკვე გამაცინეს... კარგი ბიჭია... „ხაზენინ“ არ უყვარს?

— ვაფამ გითხრა?

— არა... შენ რა, კრეტინი ხომ არ გგონივარ, ყაზბეგის კომკავშორის რაიკომის პირველ მდივანს ვაკრობაში რომ უკრავ თავს...

— ბკვეანი ხარ, მაგრამ სიტყვა „ჭესელი“ რომ დაგავიწყდა?

— ვაკრობის „ჭესელი“ უნდა მეთქვა?

— ჰო.

— ჭესელი ჭესლად მაგრამ ხაში არ დაგვავიწყდეს...

— ეოტა გუნება გამომაეეთდა...

— ჩემი ჩამოხვლა გაგეხარდა?

— ნადდად...

— ხაიგაკებზე მანადერებ?

— დახამტვრევი მანქანა არა მაქვს...

— რამდენი ჩვენი ძმაკაცი გააფუტა და გაადუნწა მანქანამ... სულ არ იყვლი ტრამალებში?

— ვიფლი, ოღონდ... შენი დახამტვრეკი მანქანა არ შემიძენია...

— რას ეუბამ... რადგან ჩამოვედი...

— გიტარა ჩამოიტანე?

— კეი.

—რამდენი ხნით ჩამოხვედი?

— ხანამ შენ აკ იქნები...

— ერიბაა... რითი ვინდა იცხოვრო?

— ვიხუელდგმელლო?

— რამდენი თანხმოვანია მაგ სიტყვაში?

— „მწვრთნელი“... აკ უფრო ბეკრია...

— ეგ უკვე ძველია... თანაც ბაადერას ხუმრობაა... მართლა, როგორ არის კახელი?

— რა უგარს... დამოგზაურობს, ლექსებს წერს, კინოდრამატურგობს, მხახიობობაც დაიწყო... ეგ მალე ალბათ...

— რატომ არ წამოიყვანე?

— უნდა დავბოლმოო...

— მართლა წამოგყვებოდა, ხომ იცი მაგისი ხასიათი... ხვამს?

— ვაკ, ახა მაგ როგორ?

— მაგრად ხვამს?

— ბეკრსა ხვამს, მაგრამ მაგრად...

— შენ თავი გაანებე?

— ჰო... ვცდილობ... გუშინდელი დღიდან... შენა?

— არა ვხვამ...

— თუმცა სულ დამავიწყდა, რომანზე მუშაობ და თან ახალგაზრდა მწერალი ხარ...

— ეე, ლერი, რა გეშველებათ ხელმოცარულ ხალხს...

— მუსიკოსებს...

— მუსიკოსებს.

— ჯონდო, რა იქნება მეც მიშუამდგომლეთ... და.... გგონია, მე ვერსად წავალ შემოქმედიით მივლინებაში და ვერაფერს დავწერ?

— დაწერ?

— მუსიკან, რა თქმა უნდა...

— ლერი, რად ჩამობხედდი? — სერიოზულად ჭკოთხა ჯონდომ და კარი გამოიხურა.

ლერი დადარდიანდა:

— ამისი დედა ვატირე, გამიჩამახეს საქმე ამ ნაოსავებმა... ყველაზე დიდი ბერები ეგენი მყავს. ბიჭო, ჩამოვლენ, ჩამოთოთხეებიან ჩვენს სახლში, მოიმართვებიან, მარიგებენ — საქმე ნაბე, ახე როდემდე უნდა იარო, მოგაწყობთ სადმეო... როგორც შენ შეგიბამეს ტვინი... თუმცა შენ მაინც მაჯობ...

— გშურს?

— მიხარია!

— ვდარდობ, რომ ჯერ-ჯერობით ვერაფერით გეხმარები...

— სანამ აკ იქნები, მეც მამყოფე და ეგ იქნება ყველაზე დიდი დახმარება...

— მართლა ბიჭო?

— ჰო.

— დასცხე ხელი...

— ახა!

●

სახაზეში ნივრისა და ხორცის ბუდი იდგა.

ვაფა, უშანგი, იაგო და გივი კუთხის მაგიდას უსხდნენ.

ჯონდომ ყველას გააცნო ლერი:

— ეს ჩემი ძმაკაცია, ერთი ხაწყალი ჭარბოლელია, ორი უმაღლესი დაამთავრა, პროფესიით მაინც მუსიკოსია, თუმცა ვერ უგებენ, მსმელი, ყოფილი ჩხუბისთავი და...

— მაგარი ვინმე ყოფილა, — წამოიძახა უშანგამ, წამოდგა და ორი ბოქა მიაწოდა ლერის...

ჯონდომ ყველის ნაგერს დაავლო ხელი. ვაფამ ჩახჩურჩულა:

— ვაჩე გვეპატიება, — ამომიარეთო...

— არა ძმაო, თავი გამანებე...

— რა იყო?

— ავალო თუ არა, ცხვარი უნდა დაკლას, პურ-მარილი გაიხლეს...

— მერე? რა ხკობს მაგას?

— მე ჩემი დარდი მაქვს...

— მოგიყვება რასმე.

— ეგრე არ მინდა... ეგ სხვა ამბავია...

— ახა მეტი რა არის, მაგათი ცხოვრება ეგრეთია...

ლერი ჩაერია მათ ხაუბარში:

— ჯონდო, მწერალო, მეგობარო, თუ ეგრე არ გინდა, მაშინ ადექი, ცხვარში წაბრძანდი, ფაფუბი დაიმხე, კომბალი გაიდე და მაიდა!

— ჰოო, ყაზბეგივითა, — გაიცინა იაგომ.

ლერიმ მბარი ოუბა იაგოს:

— ზუსტად ყაზბეგივით... მაშ რომ დადიხარ და ღობე-ყორეს ეფები, ის კი არ არის!

ჯონდო ფიქრობდა ჩამოუყრაწო მაგდას და ლერის შეიკვნეტდა:

— აბა რომელ ნაწარმოებს გამახსენებ, რომელც მეცხვარეების ცხოვრებაზეა?

...გიგო ბადაზვილმა შემოალო კარი, უშანგიმ დაუძახა:

— აბა აქეთ მობრძანდი!.. რომელი თავით გამოხვედი დღეს სახლიდან, შორიდანვე მითხარ... თუ სამარქაფო გიდგია, მაშინ ერთი ჭიქა კი გეკუთვნის... მოდი, დაგვილიე....

— არა, რას ამბობ, პური მინდა შეეკამო, გზას ვადგევარ.

— ჰო, იმიტომაც არა ვთქვი, ეს სამარქაფო თავი რად დაუდგია-მეთქი, — გაიგრძელა უშანგიმ, — ხაით მიდიხარ?

— ბაჯიგანზე...

ვაეამ ხელი წაკარა ჯონდოს:

— ხომ არ წაპეკვებოდით, მშვენიერი შემთხვევაა.

ლერიმ ეურები ცქვიტა:

— ჯონდო, წავიდეთ... გავიარ-გამოვიაროთ... რა არის ბაჯიგანი?

— ყიზლარის ზამთრის საძოვრების ერთ-ერთი მასივია, — აუხსნა გიგი წიკლაურმა.

— ვინ მოდიხართ? — წამოდგა ვაეა.

— საქმე გვაქვს, ვეტავენ...

— „ბაზეინის“ გეშინაოთ?

— კაცო, „ბაზეინი“ უფროსია და პატივი უნდა ვცეთ, ახა მაშ როგორ იქნება?

...თბილი წვიმა სცრდა.

— ესეთ თბილ წვიმას პირველად ვხედავ, — თქვა ლერიმ.

— თბილს, მე მგონი — გრძნობ და არა ხედავ, — განუმარტა ჯონდომ.

— ვგრძნობ, ეგრეა, — დაეთანხმა ლერი.

ხახაშეში დამლაგებელი ტრიალებდა. „როგორ მგავს ყველა დამლაგებელი ერთმანეთს, მწერლებიც რომ...“ — გაიფიქრა ჯონდომ. — ეს ქალი და რკინიგზის სადგურში მობუზღუნე დამლაგებელი ტყუპებივით ერთნაირები იყვნენ... მაშინ, გარეთ, ოცდათუთმეტი გრადუსი ყინვა იყო. — ჯონდო სწრაფად შეეარდა სადგურში და სალაროსთან გამოგრძელებულ რიგში ჩადგა... ადრე მუდამ ანერვიულებდა რიგში დგომა, ახლა შინისკენ მიმეგზავრებოდა და დამლაგებლის ცოცხი რომ მოხვდა ფეხებზე, იმანაც კი არ გაიბრაზა... დამლაგებელი ილანძღებოდა: ადამიანებს მიიმუნებივით უყვართ მზესუმზარა, — ნეტავ რა საჭმელიათ. — ქალი ნახვაში იყო. ჯონდომ დარბაზს გახედა. დამლაგებელი მართალი აღმოჩნდა — უკლებლივ ყველა (ყველა და არა „თითქმის ყველა“, რას იზამ, ასეც ხდება ხანდახან) მზესუმზარას აკანკუნებდა... კედლის საათზე ორი მტრედი იჯდა... ეტყობა ღუღუნებდნენ, მათი ხმა არ ისმოდა. მერე ერთი მათგანი იატაკზე დაფრინდა, დამლაგებლის მიერ მოხეტქილ ნაგავში შეერია, მზესუმზარის ჩენჩოებს დაუწყო კენკვა. დამლაგებელმა შენიშნა, გვერდულად, მიპარვით გიემართა მტრედისკენ, მოუახლოდა, ცოცხი მოუქნია მთელი ძალით, ვერ მისწვდა, ფეხები ეხლანდელ და ნაგავში მოადინა ზღართანაც... დარბაზში მჯდომი მზესუმზარის მქმედები ორად გაიყვნენ — ერთნი იცინოდნენ, მეორენი კი — ხერიოზული, კატასტროფული გამომეტყველებით წამოცვივდნენ და სადგურის უფროსის ძაგებას მოპკუნენ, რა უნდათ მტრედებს რკინიგზის სადგურში, უფრო მეტიც — მოსაცდელ დარბაზში, სულ რომ არაფერი, ფრინველებში თავზე ასკინტავენ მგზავრებსო... ჯონდოს ამეამად ნაღდად უნარი და ოდა, დამლაგებლის უნებებლად გადარჩენა, სითბოს შეფარებული ტრედები და დანარჩენი სხვადასხვა ჯარიანი და გამომეტყველების მგზავრები...

ბიგები ბაჯიგანის მასივიხაკენ დაადგნენ გზას.

ლერი ტრამვლებს გასცქერიოდა:

— ეს გზა საით მიდის?

— ნეფტეკუმბკისენ...

— ეგ რა, ქალაქია?

— ჰო.

— დაღესტნისაა?

— არა.

— ჯონდო, აგრე მოკლედ რატომ მპასუხობ?

ჯონდოს გაეცინა:

— თუ გინდა დაწერილებითაც აგიხსნი — ეგ გზა ჯერ მიგაყენებს ქალაქ სამხრეთ ხუთოკუმბკს, რომელიც დაღესტანს ეკუთვნის. მერე ჩიპრანდებით ქალაქ ზატერჩხნში, რომელიც ხუთოკუმბკიდან არც ისე შორსაა და სტავროპოლის მხარეს ეკუთვნის, იქიდან ოციოდე კილომეტრზეა ქალაქი ნეფტეკუმბკი, მერე ოთხმოცდაათოდიდ კილომეტრზე ქალაქი ბუდიონოვსკია, შემდეგ — ზელენოკუმბკი.... შემდეგ ერთი გზაჯვარედინია, — მარცხნივ თუ წაუხვევ, გეორგიევსკია, მარჯვნივ — მინვოდი...

— ეგენი უკვე ვიცი, — თქვა ლერიმ.

ჯონდომ დუმატა:

— ლერი, დანარჩენი შენ უკვე იცი, მაგრამ, რადგან დაწერილებით გსურს, ბოლომდე ჩაგიყვანა... გეორგიევსკიდან ოცდაჩვიდმეტ კილომეტრზეა პიატიგორსკი, სადაც გადის ბაჭიროსტოვის გზაკეცილი... მერე საათიც გნებავს, მიბრძანდი... დაწერილებით ასეა...

— შენ ბუდიონოვსკის შემდეგ ერთი გზაჯვარედინი ახსენე, მარცხნივ და მარჯვნივ ამახსენი, პირდაპირ გზას რომ დავადგე?

ჯემალ დაგლიანიძე
შემოქმედნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაფეში შებრძანდები და შეიძლება ცოცხალმკვდარი გამოგიტანონ, — დაახრულა ჯონდომ.

გიგო ბადაშვილი სიცილით იხრჩობოდა, რა ხალნნი ყოფილხართო.

...ბაჯიგანის მხარე განსხვავდებოდა ბირუზიკის მასივისაგან. — ბალახი ზოგან მუხლამდე ამოსულიყო, სათიბელებიც მოჩანდა...

...საკენთან გამმდარი, კაცი იჯდა.

გიგომ ველარ აიტანა სიჩუმე და მძღოლს ჰკითხა:

— სადაური კაცი იქნები?

— თიანელი.

— რა გვარისა ხარ?

— არაბული.

— მერე, თიანეთში რა გინდა ხევსურ კაცს? მძღოლს გაეცინა.

— რა იყო? — ჩაიცინა გიგო.

— კაცო, თქვენ ყაზბეგელი ხართ და აქ რა გინდათ?

— მე აქ ვმუშაობ...

— მეცა ვმუშაობდი თიანეთში...

— შენც კარგი ენამოსწრებული ჩანხარ!

„კოლხიზნიკი“ წივილით მიჰქროდა. ლერი ჩუმად იჯდა. ჯონდო მაჩიკინის მაჩვენებლებსა და ელექტროგადაცემის ბოძებზე შემოხვეულ ხუთადახსვა საგნებს (ბაბურავებს, თავიხსელებს, ძაღლებს, ოუნუკის ქილებს, ფიცრებს) ადევნებდა თვალს, შორიდან ჯერ არნახულ სულდგმულს რომ გაგონებდა კაცს... რამდენს დადის ჯონდო და ერთხელაც ვერ შეახწრო თვალი, ვინ არის ამ ბედფრთობის ავტორი... მძღოლების ხელი არ უნდა ეროოს, რადგან მათ ბერივთი ხმაგი გზებზე გამოკრეული ათასნაირი მოწოდებები (რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ მძღოლებისთვის) მაგალითად: „ჩვენ მედგრად უნდა ვებრძოლოთ სარეველებს!“ და ახე შემდეგ ამ საგნების ბოძებზე გაკრაზნი ნაღდად მწუემსების ხელი ურევია, მაგრამ... გუნებაში მერამდენედ დაემარაცვალა მეცხვარე კაცის ცხოვრება: ოქტომბრის დასაწყისში იძერის ცხვარი საქართველოდან, თვენახევრამდე გზას უნდენიან, აპრილის ბოლოსდე ნოღაეთში ბინადრობენ, მერე რაღაც სამი თვით ბრუნდებიან სამშობლოში და საზაფხულოს იალაღებზე იბუდენენ... „რატომ მეცხვარედ?“, — ეს ორი ხიტყვა კარგა ხანია აეკვიატა... ეთქვათ (როგორც უმეტესობას მგონია), მეცხვარედ წასხლას ადამიანს აიძულებს: ნებისყოფის გამოცდის სურვილი, ოჯახური ტრადიცია, ცხვრის სიყვარული, ნაკისრი საკმისაღმი თავდადება, ფული... აქ შეუუკატა ჩამოვალა... ჩვენ გვიყვარს ფული (ბეჯერდება ფული), მაგრამ მახზე საუბარი შედამ გვაღიზიანებს... ვცდილობთ მასზე არ ვიხაუბროთ და მხოლოდ გუნებაში ვაკაროთ... ნუთუ მისი გუნებაში ტარება სჯობია? თუმცა ვინ იცის? იქნებ, ზოგჯერ ძალიანლათი ვიზიზღებთ... რაც წეღან ვახსენეთ, მეცხვარედ წასხლის ყველა მიზეზი რომ ერთად შეკერიბოთ? შეიძლება? იქნებ!... პირველ ხანებში, მწუემსი ჩამოთვლილ მიზეზებიდან ერთის ან რამდენიმეს გამო მიდის ცხვარში, მაგრამ მერე? აი, ეს „მერე“ მთავარი, როცა კაცი საბოლოოდ გადაწყვეტს ბოლომდე დარჩეს ტრამალში, ცხვრთან და... ის დროებითი მწუემსები, რომლებიც გარკვეული მიზნის გამო იერიგვენენ, მხოლოდ რამდენიმე წლით არიან ცხვარში... იძენენ ავტომანქანასა, სასლის ასაშენებელ ფულს მოაგროვებენ, ჩაიცვამენ, დაიბრავენ, ზოგიერთი უმაღლესშიც შეიძლება მოიწყოს... ნაღდი მეცხვარეები არიან ისინი თუ ამგვარი საუბარი, საერთოდ, მკრეხელობა და ცისუელეა?.. ჯონდოსთვის ძნელია ამის გარკვევა, მაგრამ მინც ეეპვება ამგვარი მწუემსის სინაღდეი... რატომ? იმიტომ, რომ რასაც ტრამალებში რამდენიმე წელიწადში შეიცნობ, იმან უნდა ბედნიერება და სიხარულიც მოგიტანოს... იმითი უნდა იცხოვრო... დროებითმა მწუემსებმა იციან ადამიანური, ათასნაირი დროხტარების ფასი... მთ არ ძალუძთ ეს დაივიწყონ... ანდა რატომ უნდა დაივიწყონ? ვინ დაავალდებულებს? მაგ რა ჰკნან? ბოლოს და ბოლოს, — ადამიანია რკინა ხომ არაა? ხომ იყო რამდენიმე წელიწადი ტრამალებში, ახლა ადგეს და სხვა წავიდეს... ბოლოს და ბოლოს ბაბუაც ყოფნა მარადიულად ხომ არ შეიძლება?.. ჯონდო თვითონვე დაიანტერესა ამ ბოლო კითხვამ — შეიძლება ეს ბოლოს მარადიულად, უფრო სწორედ, სიცოცხლის ბოლომდე წუემსად ყოფნა? არა, აქ უამრავი ფუქტორიცაა, რომელთაგანაც ერთ-ერთია მთავარი — დრო... წინათ სხვა დრო იყო, ახლა კი სხვა დროა... ეს ის დროა, რომელსაც ვერავითარი ჯენერი ვერ იპერს და რომლის ძალაც ნაცარტუტად აქცევს ყოველივეს... ჯონდო იქამდე მივიდა, რომ გაიფიქრა, ვერც ერთ კაცს ვერ გაამტკუუნებ, სამი თვით მეცხვარედ მყოფ კაცსაც კი მადლიერებით უნდა შეხედო კაცმაო... მორჩა და გათავდა... ვინაც ეპპვი ეპარება ამაში, თვითონ გაიდოს კომბალი და სცადოს მწუემობა... ჯონდო გაალიზიანა საფიქრალმა. წინათ ეგონა, რომ იპოვიდა კაცს, რომელიც დაბადებიდან, სულით ხორცამდე შეწერილი იქნებოდა ხაქმიანდმი... თუმცა, არიან?..

იპოვა კიდეც, მაგრამ... ვინ არის ის კაცი? იქნებ თვითონვე აიკვიატა ეს ძენნა? მწერლებმა მართლაც ბევრი რამე გამოიგონეს ისეთი, რაც თვითონვე არ უნახავთ, უბრალოდ, უნარიოათ, მერე საკუთარი ნატვრა ფურცლებზე გადაუტანნიათ... და მილიონობით ადამიანი გაუყოლებიათ თავიანთი ნატვრის, ანუ არარსებულ გზებზ, ჯონდომ იცის, რომ ძალზე სახიფათო იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მიერ არასწორად დაწერილი ერთი წინადადებაც კი... ნაგვრამ ბევრი სახიკეთო რამ მოაკვს, მაგრამ მოდან სახიკეთო? ლერი დაბოდმილია იმ მწერლებზე, რომელთა წიგნები სიყმაწვილეში წაიკითხა, მათ „ნაგალობეგ“ სიყვარულს დაუწყო ძებნა და, მიხი თქმისა არ იყოს, — კინაღამ გამოუეეეეჩდა... ლერის აზრით, ამგვარ ტყუილებზე, კაცმა კანონი რომ წაუყენო, შეიძლება პასუხისგებაშიც მიხეკი მწერალი, — თუმცა...

●

ჯონდო სიდედრ-სიმამრთან მიემგზავრებოდა, — ვარაზი მიმყავდა საახალწელოდ... წინა ღამით ცოიმ გადაწყვიტა, — „ბოლოს და ბოლოს ხმა ამოიღო ქმრისგან? მიყენებული ამდენი ტანჯვის წინააღმდეგ“ და ჯონდო კინაღამ გაგიგეთ.. თურმე ცოის უკოვია ბარათი, რომელიც ჯონდოს დაუტოვა თანაკურსელმა გოგონამ: „ჩემო ვირთხა, ფული მჭირდებიო, რომ ამბობდი და გეგონა ვირსად იზოვიდი, მე გიშოვე. — მეგონა შინ იქნებოდი, მაგრამ... ეს ფული გამოიყენე პირველ თებერვალამდე და დამახსოვრე — ნუ გიუვარს ქალის დაცინვა... ძალზე გული კი დამწყდა....“

ახეთი ქალური, გამოცარიელებული, ფარცალალა ტვინით ნააზრევი ბარათის შინაარსი ნადიდად ყველა ქალს გააკაპასებდა (რა თქმა უნდა, ერთის გამლილებით) და ცოი დაეძგერა ჯონდოს: „ოოგორც აქ!.. ის ხომ არა გგონავარ?! მე ქალი ვარ! ბოლოს და ბოლოს, მოთმინებასაც ხაზღვარი აქვს! ყველაფერს თავისი დრო და ადგილი გააჩნია! შენ აქ საყვარლები გყავს? ფულს გაძლევენ?! ავდგები და მშობლებთან წავალ! მეც ადამიანი ვარ! ცხოვრება მსურს! სხვანი ცოლებიI!! შენ სულ ერთობი! მუშობს! წერ! მიდი-მოდიხარ!.. შენ ცხოვრობ, მე კი არა! მე სახლში ვზიეარ! ორ ბავშვსა ვზრდი, დედა ვარ და მეტი არაფერი!.. რას ვხედავ ბაზრისა და მაღაზიების გარდა? აბა ერთხელ თუ მეტყვი: კინო, თეატრის, ანდა — ცირკის, ცირკისაც კი. ცირკის ბილეთი ავიღეთ?! რესტორანზე და კაფეზე უკვე ალარას ვამბობ! ყველაფერი დამავიწყდა! ალარსად დავდივარ! მეც მსურს ცხოვრება ენახო! წლები კი მემატება. ვ-ბე-რდ-ე-ბ-ი! ალარ შემიძლია ღმერთო, როდემდე უნდა მტანჯო ახე?! სამართალი არ არის? კაცებს ვინ მოგცეთ იმისი უფლება. ცოლი შინ გამოკეტოთ და თვითონ დრო ატაროთ?! რომანებს რომ წერ, რა შავი ქვად მინდა?! ორმოცი წლისა რომ ვიქნები, ვიცი, ყველაფერი მეკენბა! რად მინდა, გეკითხები! მე ახლა მსურს ცხოვრება, ახლა! შეიგნე და გაგიგ! ვბერ-დე-ბით!“.

ეს (ცოის ხიტყვათა თუ აზრთა მოკლე შინაარსი) საშინელი ეახახსენებელია. ეს არის საკალეთის (ოღონდ ერთის გამოკლებით) უდიდები, უსაზღვრო სატკივარი და სადარდებელი... ეს არის ქალის კარაფუტტული თავკარიანობის მძიგენით, ხუნამოებით სავსე გუდა. ჯონდომ ერთიდან უპასუხა ცოის, — შენნაირი ქალებით გამოტენილია საავადმყოფოებიი... (ცოი აატირა ამან (ჯონდოს არაადამიანურმა ხიტყვებმა)...

მატარებელი ჯახჯუხით შეჩერდა. ვარაზს ეძინა. ჯონდო ვაგონიდან ჩავიდა. თოვდა. ირგვლივი დაბურულიყო. სუფთა ჰაერმა ისე იმოქმედა ჯონდოზე, კინაღამ ადრე განცდილი სიხარული (სიხარული და მეტი არაფერი... მხოლოდ თვით სიხარული) გიეხარდა, მაგრამ ამან უცბადვე მომყავა ვაგონში გამეფებული შმორის, ხორცის, მწნილის, საკმელის ათასნაირი სხვადასხვაგვარობის სუნი და ხელფასდ გაუთანაბრდა გუნების სასწორი... არც აქეთ და არც იქითა ხასიათზე დადგა და უცბადვე მოეშალა სულ ახლახან მიდწეული წონასწორობა, რადგან ახალ წელს თან მოაქვს, ის შიში ჯონდოს რომ ეზიზღება: შიში ღვინის სმისა, შეზარხოშებისა...

ბაკანზე ხალხი ირეოდა. ამანათებით თავმოდგმული ურიკები დაბრიგინებდნენ. წითელ-ქუდა სადგურის მორიგე რაღაცას ანიშნებდა გამცილებელ გოგოსს და ორივენი იცინოდნენ.

...ადამიანს უყვარს ამგვარი სიცილი, მით უმეტეს, როცა რაღაცა დიდი დღესასწაული მოდის... ადამიანებს უყვართ სიცილი და მუდამ უკვირთ იმ კაცისა, ვისაც შეუძლია იკითხოს: „რა გაცინებენ?“, როგორ სიცილიც ალარ შეიძლება თუ? მაშ რა ჭკნენ, როცა ახალი წელი მოდის, ახალი?!

იმავე ვაგონიდან, ჯონდო რომ ჩამოვიდა, კიდევ ათიოდე ნაბიურევი გამოჩნდა. ისინი საწყალობელი თვალებით შესცქეროდნენ დაკეტილ ფარდულებს, რომელთა ვიტრინებში ლუდით სავსე ბოთლები ეწყო... „მაშ ეს საკმეი? ახალი წელიწადი მოდის და სადგურის უფროსობას, იმის მაგიერ იზრუნის მგზავრთა უკეთესი მომსახურებისათვის, ფარდულები დაუკეტია და კაცს ლუდით ყელის ჩაკოკლონინებაც კი არ ძალუძს“, — ასეთი აზრი გამოთქვეს მგზავრებმა და ხელი ჩაიქნიეს.....

ახალი თარგმანები

დაუვარცხნელი აზრები

უბედურებაა, თუ იმის თავი, ვისაც ტაშს უკრავენ, ტაშისმკვრელთა ხელისგულებს შორის მოხვდება.

ზოგი ლივრეასაც მზაშეკერილს ყიდულობს, ზოგიერთი კი დაკვეთით აკერინებს.

საშინელი საქმეა დინების წინააღმდეგ ცურვა მღვრიე წყალში.

როცა უდანშოებს დავასახლებთ, ოაზისები გაქრება.

მხოლოდ ოქროს გალიების ბინადარი აქვთ განთავისუფლების იმედი.

მგელთან ერთად თუ ერთ ორმოში მოხვდი, ზემოდან ნუ დაუწყებ ცქერას.

მთელი დღე ვერ მოვიგონე სიტყვა „გილოტინი". თავი თავს ეცავდა.

წინა ხაზზე ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მტრები არიან.

წუალი პირამდე თუ მოგადგა, ნუ განიცდი, ხასმელად რომ არ ვარგა.

ეს ქვეყანა რა მშვენიერია-მეთქი, ამის აღიარებას ჩემგან უწინარესად ისინი მოელიან, ვინც სიცოცხლეს მაძულებს.

„ერთი ქალი რას მიზამს, — თქვა საპურისმა, — მე ჯარამხანა მინდა".

წესად დავთქვათ: „დაე სასაფლაოებზე ცოცხლებმაც დაიცვან სიწყნარე, თუკი ამას მკვდრებიც კი ახერხებენ".

მოგონებების მოგონება მუდამ გულს გვიჩუყებს..

არწივმა გუგულის კვერცხიდანაც კი უნდა შეიძლოს გამოჩეკა.

ვინ გვაწყვდის ჩვენი ბედ-იღბლის ქაღალდს? უშველებელი თეთრი ვირთხა თუ კიდევ უფრო ვეებერთელა თუთიყუში? ან არღანს ვინ ატრიალებს? ჩვენ ხომ მარტო მელოდია ვიცით.

ხალხი სასაცილოს სერიოზულად არ ილებს. აბა, წარმოიდგინეთ, მავანი და მავანი კლოუნის თოფ-დამბაჩით გააგორონ, იმან კი სიკვდილი არ ისურვოს და თავი მოკლულად არ აღიაროს.

ბოლომდე! იქ ყველანი ჩამოვალთ.

ხორცისმჭამელნო, სუყველა ბოცვერს ნუ შესჭამთ, თორემ, საცდელი ბოცვრები რომ გამოილევა... თავადაც მოგეხსენებათ, რაც მოხდება მაშინ!

უკბილოებს ბევრი რამის გამოთქმა ეადვილებათ.

გულის ტკივილით იტანჯებოდე და ლირიკოხი არ იყო? რა აზრი აქვს?

ვინც ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზიდან გადაუხვია, იმას ვერ შეაჩერებს წარწერა: „ეს გზა არსად მიგიყვანს".

ენას ეფარებოდა, რომელ ენასაც მთელ ქვეყანას უყოფდა.

ყველაზე ოპტიმისტურად კი ბენ აკიბას უთქვამს: „ყოველივე უკვე იყოო".

მესაფლავისთვისაც კი არ შეიძლება მარტო წარსულით გატაცება.

ადამიანმა რომ იცოდეს, რა დიდია, ზრდა აღარ დასჭირდებოდა.

ყოველი ბოსტნის საფრთხობელაში დაშინების დემონი თვლემს.

ლასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 6, 7.

თარგმნა გურამ გოგიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმრები მძინარის მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

ყველამ როდი იცის, რომ ძალიან ბევრი იცის.

ბევრი დანაშაულის კვალს მომავალში მივყვებართ.

ძნელია საკუთარი უწიგნურობის ბოლომდე ჩაკითხვა.

ნუ ეხვრით მანეკენებს, ისინი მეხსიერებაში ადამიანებად აღდგებიან.

ერთხელ ღამით ხე-ტყის ხაწყობს ჩავუარე და მოდარაჯე ძალმა ყეფა ამიტეხა. მჭერა: კაცობრიობა ისეთ სრულყოფილებას მიაღწევს, რომ ძალს ზუსტად ეცოდინება იმ ხე-ტყის ღირებულება, რის გულისთვისაც იყეფება.

პირდაპირობა მიზნისკენ მიმავალ გზას არ ამოკლებს.

დაწოლის ზემოქმედება მახალაზეა დამოკიდებული. ზოგი რამ მრუდდება, ზოგიც სწორდება.

არარაობას არასოდეს არა სჭირს მიკრობანია.

ის მზად არის, რომ გაბრტყელდეს, ოღონდ მთამ შეამჩნიოს.

მხოლოდ ტაკიმასხარას არ შეუძლია დაუსჯელად კანკალი. ზანზალაკების ყლარუნი გასცემს.

ნამდვილ ვაუკაცს მაშინაც კი იცნობ, როცა ტატველია.

ისტორიაში მოუხდენელი ფაქტებიც გათვალისწინებულია.

ერთგული მეფროზე იყო. როცა ტარი ეკირა, ყურადღებას ვერაფერი აფანტვინებდა, თვით დროშის ფერთა ცვლაც კი.

გულადი ტარანს ხელიდან აცლის ლუკმას.

დიალ დროს კარგა ბლომად შეუძლია პაწაწინა ადამიანების დატევა.

ვიხი ხარჯით ცხოვრობენ ადამიანები სხვათა მოგონებებში?

როდის იბადება პესიმიზმი? ორი სხვადასხვა ოპტიმიზმის შეჯახების ჟამს.

ჯუჯებს ტანის ასაყრელად სხვისი ტყვეობა სჭირდებათ.

ინტელექტუალური პერიფერია აზროვნების აქტივიზაცია ტვინის მოშორებით.

სამწუხაროა, როცა ადამიანები თვითონ თავს ერთსა და იმავეს უსტვენენ.

ხან მიხრა-მოხრა დამშლის შედეგია.

ვინც დუმს, იმას სიტყვას ვერ ჩამოართმევ.

ეს ქვეყანა ალბათ კონუსის ფორმისაა, ყველაზე დიდი ძირი აქვს.

რაც უფრო დაბალზე ეცემი, მით უფრო ნაკლები გტკივა.

პური ყოველნაირ პირს ალებს.

მხოლოდ ყველაზე გულცივ ავაზაკთ აქვთ გაშზადებული ფიცი ადგილები ჭოჭოხეთში

ჯერ იყო სიტყვა. მხოლოდ შემდგომ ჩამოდგა დუშილი.

ჯოხს ორი ბოლო აქვს. ნურაცერთზე ნუ შედგები.

ერთი მცდარი ნაბიჯი, და უკვე სხვის მიზანთან ხარ.

ისე სავსე ვარ ოპტიმიზმით, რომ ერთ ზედმეტ წვეთსაც ველარ დავიტევ.

სადაც გნებავთ, სიტყვა იქ შევა, მაგრამ გამოსვლით ყოველთვის ადვილად ვერ გამოდის.

მჭერა თვით ცხოველთა ევოლუციაც კი. ოდესმე, მაგალითად, რწყილი ღომს გაუტოლდება. ოღონდ ავ ვიცი, რა იქნება ამის მიზეზი — ღომის დაკნინება თუ რწყილის გიგანტიზმი.

მიყვარს მამთა ცხოვრების ბოლოდან კითხვა, ამ კითხვა-კითხვაში რწმენა მბრუნდება ამისა, რომ იმთაგან რომელიმე კვლავ შეიძლებს ადამიანად გახდომას.

უარესი შეიძლება მომხდარიყო, შენი მტერი შეიძლება შენი მეგობარი ყოფილიყო.

სულთა მპყრობელნი მაშინებენ. რას უშვრებიან სხეულთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველები მიცვალებულთა შემოვრის ისეთ ხელოვნებას ფლობდნენ, რომ მიცვალებულთა მნიშვნელობა არ ეკარგებოდათ.

დედა ძალა არარაობისა, არარაა მისი დამ-ლელი.

რომელ მედოლეთათვისაც ტაქტზე მნიშვნელოვანი შედეგია, პირველი დარტყმისთანავე აყრუებენ საზოგადოებას.

ისეთებიც არიან, რომელთაც კაცის მოკვლა ეძნელებათ. ჯერ მისი არაკაცად ქცევა უნდათ.

ეპოქის საუკეთესო საზომია დიაპაზონი დიდსა და უმნიშვნელოს შორის.

არა კაც ჰკლაო, თქვა. და დაუმატა, შენი ხელითაო.

რატომღაც მგონია, რომ ზოგიერთნი მბრძანებელნი თავიანთ ქვეშევრდომთ ხელებს დაკბენდნენ, უკეთუ ტაშისკვრა არ ეკრძალებოდეთ.

ზოგიერთნი სიმართლის დანახვის ნიჭს არიან მოკლებულნი. მაგრამ, სამაგიეროდ, რა გულწრფელად სუნთქავს იმათი ტყუილი!

თუ გამოვაცხადებთ: „წმინდანნი არ არიანო", თვით ათეისტებსაც კი ეწყინებათ.

ხან იმდენი ნაგავი გროვდება, რომ იმის გადაყრა კაცს მფლანგველობა ჰგონია.

ნუ იყვირებ: „მეფე ტატველიაო!", სანამ საჯდომს არ მოგაქცევს.

სოდომიდან გომორაში გადასახლდა.

ეშმაკს არა სძინავს. ვისთანაც მოხვდება.

ვისაც ეკლის გვირგვინი ახურავს, იმან თავი არ უნდა დაბაროს — გვირგვინი ჩამოუვარდება.

ნეკროლოგის ბოლო: არ მომკვდარა! ცხოვრების წესი გამოიცვალა.

ყველა გაბედული ოცნება გვიხდება, დგება ჟამი არაგაბედულთათვის.

ზოგისთვის მეორე სიცოცხლე ჯილდოა, ზოგისთვის — სასჯელი.

იყვირა: „მეფე ტატველიაო!" მაგრამ კარისკაცთ პირში ბურთი ჩაჩარეს: „არ შეიძლებაო!" — „რატომაო?" „რატომაო და, მაგას უნდა, რომ გაცვდესო".

პირდაპირონო, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ მოსახვევებში.

სამოთხეში ალბათ ყველაფერია. ჯოჯოხეთიც კი.

სიზმრები ცხადდაც შეიძლება ნახო. თუ დროდადრო ცალ თვალზე ხელს მიიფარებ.

მისტიკოსია! თავისი არსებობა სჯერა.

ძნელია თავი ამაყად აწეული გქონდეს და ცხვრიც მაღლა არ ასწიო.

პროგრესულ-რელიგიური მოაზროვნე გახლდათ. თანახმა იყო, რომ ადამიანი მიმუნისგან გაჩნდა, მაგრამ ნოეს კიდობანში გადარჩენილი მაიმუნისაგან.

კრეტინს შედეგის დასაწერად ნუ აგულიანებთ. რომ დაწეროს, მერე სად მიდიხართ?

ფილოსოფოსნო, ფილოსოფიურ ქვას ნუ აღმოაჩენთ. ადგებიან და კისერზე ჩამოგკიდებენ.

სიმართლე სადღაც შუაში წევს; უმეტესად საფლავის წარწერა არა აქვს.

ადამიანები ნივთმცოდნეების ხელთა ვართ.

გვერდით მოვარტყი? ჩემი მიზანიც ეგ იყო.

ლაჩარი სატირიკოსი სასაციელია მხოლოდ თვითონ.

ტყუილი, რომელიც სიმართლეში ამხილეს, ამით მხოლოდ თავზედდება.

ხელოვნების დისციპლინა თავისუფლებას მოითხოვს.

ცხოვრება აძულებულს ხდის ადამიანს, რომ ბევრი რამ ნებაყოფლობით აკეთოს.

ნუ ხართ მკაცრნი, მაზოხისტებს ნუ ანეტარებთ.

ძნელი გასარჩევია, ვინ მიმყვება ნებაყოფლობით დინებას.

ზოგიერთების მოწოდება — „ნუ დავბოცავთ ერთმანეთსო", ხან მეცადრად ესმით. ისინი მკვლელობის ჭანსაკუთრებულ უფლებას მოითხოვენ. მხოლოდ თავიანთვის.

ზოგიერთებს ორძირიანი ბედი აქვთ, და ბედს ისინი კონტრაბანდად გადაპყავ-გადმოპყავს.

გულზე ამაყად ჰკიდიათ ფასის ეტიკეტები. რომელ ფასადაც იმათ ვერ იყიდით.

„ადამიანებს გავურბივარ, — ამბობდა ერთი იმათი მეგობარი, — რათა ცუდი არფერი დავმართოო".

განა შეიძლება კაცი ოპტიმისტი არ გახდე? ჩემი მტრები — ისევ და ისევ! — სწორედ ისეთი ღორები გამოდგნენ, როგორც წინასწარ ვფიქრობდი.

„მე ხვალინდელი დღის პოეტი ვარ", — თქვა იმან. „მაგის თაობაზე ზეგ ვილაპარაკოთ", — ვუპასუხე მე.

სიბრძნე თავზე საყრელი უნდა იყოს, ისე ცოტა ვინმე იყენებს.

კაციკამიებთან ნუ ქეიფობ: ვაითუ საინზე აღმოჩნდე.

ვთქვათ, მართლაც გაანგარიე თავით კედელი. მერედა, რა უნდა ქნა მეზობელ საკანში.

ანონიმური წერილი დახაშვებია, ოღონდ თუ დამწერი მართლაც არავინ არის.

რანაირი მდიდარი უნდა იყოს ხახელმწიფო, რომ ნახევარი მოსახლეობისაგან პოლიცია ჩამოაყალიბოს, ხოლო მეორე ნახევარი ციხეებში აცხოვროს თავისი ხარჯით?

„ეპოქა ძილში გამოპარა", — მითხრეს მავანსა და მავანზე. „წყნარ ძილში?" — ვკითხე მე.

შეიძლება ღმერთს პატივსა სცემდე და სულაც არა გჯეროდეს, რომ არსებობს.

საშინელია ეპოქის სუნთქვა, რომელ ეპოქაშიც ვერ სუნთქავ.

რომელი ჩიხიდანაც გამოსვლა შეიძლება, ჩიხი არ არის.

სინდისი ხან საკუთარი ქენჯნიდან ჩნდება.

ცხოვრება იმდენად მძიმეა, რომ დამძიმება აღარ უნდა.

ადამიანის ტვინი ხულ უფრო მძიმდება. პირდაპარ მაკაწკალებს, როცა გავიფიქრებ, რომ სწორედ ტვინს უგრავს ახე ამაყად ადამიანი ვერტიკალურ მდგომარეობაში.

მწამს ადამიანის გენია. დარწმუნებული ვარ რომ ოდესმე უჩინმაჩინობას შევიძლებთ დ ყოველივე უჩინარს დავინახავთ.

მთავარია, რომ ბალლინჯოები ძილში არ შეძვრნენ.

„თავი მაღლა!" — თქვა ჯალათმა და ყულფი ჩამოაცვა.

ტირანის აჭილევსის ქუსლი, როგორც წესი, ჩექმაშია დამალული.

ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება გვიქმნება, რომ უფროსების განკარგულებით ვიღაც-ცხოვრობს ჩვენში.

განმტკიცება უკირთ ქვეყნებს, რომელთა დახაბამი არის მხოლოდ სიტყვები, სიტყვები, სიტყვები.

როგორია ხახელმწიფოს ფუნდამენტი, შეიძლება იმის მიხედვითაც გაირკვეს, თუ როგორ თრთიან მცხოვრებნი.

აი სიუჟეტის ოსტატი! ჩემი ცხოვრების ამბავს ისე მიყვებოდა, რომ თავზარდაცემეული ველოდი: აი დაამთავრებს თუ არა, მეც არსებობას შევწყვეტ-მეთქი.

სამწუხაროა, როცა ხერხემალი მხოლოდ ჯვარზე სწორდება.

ერთი ადამიანის სიცოცხლე ხან მეორის სიკვდილით მთავრდება.

სადაც სიცილი აკრძალულია, იქ ჩვეულებრივ არც ტირილი შეიძლება.

მომავალში ეს ქვეყანა უგასაღებებოდაც იოლას წავა. ძალიან მინდა, რომ ამ ამბითვის გასაღების ჯუჯრუტანიდან მაინც მეცქირა.

მე საზოგადოებრივი ყურადღების ფფეროდან კერძო ცხოვრების ამოღების მომხრე ვარ.

მთელი ცხოვრება შრომაში გადის, სისულელესაც კი „ეთება" უნდა.

უნდა აღგე და შენი ოცნება მტრებს შეეპარო, იქნებ იმის ხორცშესხმაში წაიმტვრიონ კისერი.

ნუ დაიძვრები მკვდარი წერტილიდან ცოცხლების ხარჯზე.

ხან სიმართლე კონტრაბანდად შეიქვთ ისეთ ქვეყნებში, სადაც ის ნაკლებად ფასობს. რა მოგებაა ვითომ?

ვინც ზრდაში ეპოქას გაუსწრო, თავჩაქინდრული დადის.

გეშინოდეთ იმ ბოტანიკოსებისა, რომლებიც ამტკიცებენ, ხე ცნობადია ბოროტების ფესვებს იჩენსო.

აქვთ თუ არა იდეალები იმათ, ვინც ისინი სხვებს წაართვა?

ყალმს ფულს, რომელსაც ყველგან ნამდვილ ფულად იღებენ, აუცილებლად გაუჩნდება კომპლექსი: არავის არ აკვირვებს, ვინაიდან უზადოდ ყალბია.

სიხულელე არასოდეს არ გადადის საზღვარს. საცა მივა, იმის წყალ-ადგილიც იქ არის.

მინახავს იდეალური თეჯირები, რომლებიც თავთავიანთ თავს ეფარებიან.

მომგონია იყავ, ყველა შენს სიზმარს ერთი დეკორაცია აკმარე.

საწყალი დედამიწა, ყველა ჩვენგანის ჩრდილი სულ იმას ეცემა.

ადამიანები ცრურწმენების მონები არიან, თუმცა გამოსყიდვა შეიძლება. უშუალოდ თვითონ მონებს უნდა გადაუხადო.

კიდევ ერთხელ დავიწყოთ თავიდან! ოღონდ ამის წინ როგორ დავამთავროთ?

ის ყოველთვის ლომი ეგონა, მაგრამ ოთხით მოარული რომ დაინახა, მიხვდა, ასე არ ყოფილაო.

ადამიანი ყველაფრის ხაზომიაა, მაგრამ როგორ უფრო მარჯვეა ზომვა — ის ხომ ხან გოლიათია, ხან ჯუჯა!

მსხვერპლი ყოველთვის მონაწილეობს დანაშაულში. და ყოველთვის ნეგატიურად.

სამწუხაროა, რომ ამელი და კაენი სიამის ტყუპები არ იყვნენ.

პიზის კოშკი ტურისტების თვალთახედვით არის გადახრილი.

ჯალთის ჩვეულებრივ ნიღაბი აქვს აფარებული. სამართლიანობისა.

ოქროს კერპი დიდი ხანია მეწველ ძროხად აქცეს.

ღმერთს — ღვთისა, კეისარს — კეისრისაო! საგმირო იყო გაყოფის დროს დახწერება!

ხან ტუუილი ისე გადაეჭდობა ხოლმე სიმართლეს, რომ იმათ შუა დარჩენილ ღრეჩოში მძიმეა ცხოვრება.

სატირიკოსებმა თავიანთი ენა ფილოსოფიურ ქვაზე უნდა ლესონ.

დონ-კიხოტებო, ქარის წისქვილებს მხოლოდ ზერგის ქარის დროს შეუტიეთ!

ათასი ხოდომი რომ აგვეგო, ათი ათასი მართალი კაცი გვეყოლებოდა.

ძნელია თითებშუა იმათი ცქერა, ვინც თვალებზე თითებს გვაფარებს.

მუშტი მავანსა და მავანს მოსარტყმელად რომ დაეღირა, ერთი თითი გვერდზე გაუხტა. და „მე მხოლოდ ხალოკი ვარო!" — დაიკნავლა.

აი წამებული ეს არის — ჯვარზე მიულურსმავი ბკიდია!

თავზე თავის მსხვერპლთა ნაცარი დაიყარა.

რა ფასი აქვს ალიკაპს, რომელს შეგმაც შეიქლება?

ცრუწინასწარმეტყველნი თვითონ ასხამენ ხორცს თავიანთ ნაწინასწარმეტყველებს.

მწამს პროგრესი: აუცილებლად გამოიგონებენ ჯერ კიდევ თავში მოუსვლელი „აზრების საკეთაკვ მანქანებს".

იუმორის მაკსიმალურ გრძნობას მხოლოდ მიცვალებულნი ფლობენ: ისინი ყოველივეს დასცინიან.

ძაღლები ხანდახან ჯაკვებს კუდებივით აჭიცინებენ.

სამოთხეშიც ალბათ უკეთესი ცვლილებები დაიწყო.

მტრის საფლავის ყვავილებს დამათრობელი სუნი აქვს.

ლაჩარიც სიძულვილით ჭშინავს. და თანაც როგორ!

ყველაზე ძნელი პაპანაქების დაწვაა.

არ მიმაჩნია, რომ ერთი სულის მფლობელი „წვრილი მეხაკუთრეა“.

ვინ იცის, რას აღმოაჩენდა კოლუმბი, ამერიკას რომ არ წაეწყვდომოდა.

დროულად გაითვალისწინე, ვიცი გამოჩენის დროს გაიქნია ეშმაკმა კუდი.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო დაბადება მხოლოდ მტრების სიკვდილის შემდგომ!

სილამაზე უსარგებლო რამ არ არის, ის თუნდაც იმითვის არსებობს, რომ სძულდეთ.

როცა წყალი ყელამდე მოგადგება, თავი მაღლა ასწი!

ვიღა არ მოუტყუებია ცხოვრებას? ისიც კი, ვინაც არაფრის თავი არა ჰქონია და თავადი გაუხდია.

სატანა სასტიკი უნდა იყოს. მახარებლებმა ძალიან ცოტა დრო მისცეს.

ზოგიერთი გვარის გახსწვრივ დასმული ჯვარი ბევრს მიმატების ნიშანი ჰგონია.

მხოლოდ კონიუნქტურულ ნაწარმოებებს წერს: ცხოვრებაზე.

კანონის არცოდნა პასუხისმგებლობისგან არ გვათავისუფლებს. სამაგიეროდ ცოდნა — ეგრევე.

უხეიროდ დაჭრილ დესპოტს სხვისი სისხლის ზღვა მოსდის.

კანი გაიძრო, ყვირილით კი იმ დროს ისე ყვიროდა, ვითომ ძალით აძრობდნენ.

ნამდვილი მტერი არასოდეს არ დაგაგდებს.

შეიძლება თუ არა ღვთისმსახურების გაგრძელება, უკეთუ ღვთაება პირს იბრუნებს?

ქონდრისაკენ ურთიერთობა ხერხემალს ამრუდებს.

პირი როცა მოკუმულია, საკითხი მაშინაც კი ღიად რჩება.

ფრთების გახსწორება მომიხდა, ვინაიდან მთის მწვერვალიდან უპარაშუტოდ გადმომაგდეს.

მე სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრე ვარ, მაგრამ ასევე სიკვდილით დაჯილდოების წინააღმდეგი ვარ.

გამორიცხული არ არის, რომ მავანი და მავანი მომავალი დარვინები კიდევ წამოაყენებენ თეზისს, მაღალგანვითარებული არსებანი (რომელთაც ისინი თავიანთ თავს მიაკუთვნებენ) ადამიანებისგან წარმოიშვნენო. სენსაცია ამა ის იქნება!

იყავ ალტრუისტი — პატივი ეცი სხვის ეგოიზმს.

ტირანის მზარეულ ქალს ნუ ეკურკურები, შეიძლება იმის ნახელავი კატლეტებით მოიწამლო.

პირდაპირ უტაქტობაა პროფესიონალი ყონგლიორებისთვის ცეცხლთან თამაშის აკრძალვა.

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მონუმენტი, იმისთვის მერე პოზირებაც კი ძნელია.

ვინც სიზმარშია, არა სძინავს.

მშვენიერია ისეთ ჯუნგლებში ცხოვრება, სადაც ჯუნგლის კანონი არ მოქმედებს.

ადამიანი მოერევა ადამიანს.

ადრე რომ მეცოდნოდა, რაც ახლა ვიცი, ახლა ეს არ მეცოდინებოდა.

სულით ღატაკთ მხოლოდ იაფი ოპტიმიზმი მოსდგამთ, რაც სინამდვილეში ძვირი უჯდებათ სხვებს.

გადარჩენილი ცოცხალი თავი გამარჯვების დიდებული ნადავლია.

მოშინაურებული აფთრებიც ჭამენ მძორს.

ინტელექტუალური სივიწროვე ფართოვდება.

ლომის ხახაში ყოფნა არაფერია, საშინელია მისი პირის გემოს გაზიარება.

მისალმებისას ხელი ჩამოართვით ხოლმე. საპინს ხმარება იმატებს.

როცა დახაცინი არაფერია, სატირიკოსნი იბადებიან.

რეგიონალური მწერალი ვიქნები. ჩვენი დედამიწით შემოვიხაზღვრები.

ნუ ენდობით ადამიანებს. იმათ დიდი საქმეები ხელეწიფებათ.

ადამიანი მარტო არ არის! ვიღაც მაინც თვალს ადევნებს.

ხანდახან მზირს თავი ნათელმხილველი ეგონია.

იამაყეთ ადამიანის მრავალმხრივობით, მაგრამ უკუღმა ნუ გადმოაბრუნებთ.

გზის მაჩვენებლები ჯვრის ზიდვას არ ამსუბუქებენ.

ბევრი ეშმაკი ნაანგელოზარია.

ტაში რომ დაუკრა, ამისთვისაც კი ტაქტის გრძნობა უნდა გქონდეს.

ნუ განამუტგვანებთ მესანგრეებს ადამიანურ კომპლექსებს.

მომავლის საშინელება: ყბედი ძეგლები.

გამოქვაბულისკენ ვეღარ მივბრუნდებით. ძალიან ბევრნი ვართ.

თანავარსკვლავედნიც კი არ არიან ვარსკვლავთა თავისუფალი ასოციაციები.

თვითგადარჩენის ინსტინქტი ხშირად თვითმკვლელობის იმპულსში გადადის.

ისტორიის ორპირ ქარში ადამიანებს სახეები ეღრიცებათ.

უფსკრული კი არა გვყოფს, არამედ დონეთა სხვაობა.

ენდეთ მოაზროვნე ადამიანებს, იმათ ბევრი რამის გაარზრების უფლება არა აქვთ.

იცი თუ არა ,აროლი, რათა შენს თავში შეხვიდე?

ვინც კანონს მუდამ ფეხებზე იკიდებს, იშვიათად რომ მაგრად იდგეს ფეხზე.

რომელი სატირიკოსიც საკუთარი სატირის იარაღს ახლაგვებს, თავს იკლავს.

ცხვარაცა ბელადების ფარა დამეხიზმრა. თითოეულს თავ-თავისი ზანზალაკი ეკერა. უკან კი არც ერთი ცხვარი არ მისდევდა.

ხად ვიპოვნოთ გაბედულება? გაბედულნი იმას არ დაგვითმობენ.

ეპოქის სახის შექმნისას შეიძლება შენი დაკარგო.

როცა სისხლს ცრემლი ეცემა, რა ვარდისფერი ხდება ყველაფერი!

ნერონის ქნარი კამერტონი იყო.

რეპუბლიკებსაც ზოგჯერ ტატველი მეფეები მართავენ.

და როგორ არ ეშინიათ ლაჩრებს გმირთა სახალოობზე წოლა?

რაც დედამიწის ზურგზე ბორკილებია, ერთ მთლიან ჯაჭვს შეადგენს.

დილეტანტები ოსტატს პირველ ბრძოლაში კლავენ. ერთიც ვნახოთ, და რომ ადგეს?

ეჰ, ნეტავი სახელმწიფოს უმაღლესი ღირსება ადამიანური ყოფილიყო.

დაფნის გვირგვინის დადგმა იგივეა, რომ შენი თავის ზომა გასცე.

ზოგიერთმა ეროვნულმა ტრაგედიამ ანტიკტი არ იცის.

დოგმები პროგრესის საწინდარია, იმათი ახსნა-განმარტება საშიშია, მსხვრევა გვიხდება.

ხად არის სიბრძნის საკრძალავი? სადა და, სადაც დაკრძალეს.

მჯერა, რომ ოდესმე ბოლო მოიღება ორგანულ სიცოცხლეს, მაგრამ არა ორგანიზაციულს.

რა პაწაწინები არიან ქონდრისკაცნი გამადიდებელი შუშის ქვეშ!

ფრთხილად გაიხავე საკუთარი სიბრძნე სხვისი სისულელით!

აბა, როგორ მოისვენოს სატირიკოსმა, თუ სიზმარშიც კი აჭლემზე ამხედრებულ კუზიანს ხედავს.

თავლაფდასხმულნო, ფრთხილად მოიქეცით, ადვილი საცნობნი ხართ!

საშინელია გათაფლული ალიკაპი.

„სიმართლე არ არის", — ხშირად ამტკიცებს თვითონ სიმართლე. სიფრთხილის გამო.

რამდენჯერმე ჩემი თავი იმაში დავიჭირე, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლობუსზე გამადიდებელი შუშით ვეძებდი ჩემს თავს.

გაითვალისწინე, შენ შეგიძლია მოგება გახდე სხვის ლატარიაში.

კომპასით იხელმძღვანელე. ისარმა იცის, როცა უნდა აცახცახდეს.

მხოლოდ ყველაზე დიდებს შეუძლიათ, რომ მტერს თავის აწევის ნება დართონ.

მედროშის შეშლილობის პუნქტი: ჭკონია, რომ დროშა თვითონ არის.

პირფერი ჯალათი ყულფს აბოშებს.

ინტელექტის საზღვრები? რუკაზე მოძებნე.

ბოროტებასაც მხოლოდ გაბედნიერება უნდა ჩვენი.

აწამებდნენ. იმის თავში თავიანთ აზრებს ეძებდნენ.

ადამიანები იზრდებიან. დამალვა გაუძნელდებათ.

ბედნიერების კონტინგენტი უკვე არის. არ გვეყოფნის მხოლოდ ბლანკები.

შეცდი კოლექტიურად!

რამდენი უკადავება შეეწმინდა სხვათა და სხვათა სიცოცხლით!

დიდი გრძნობების მომღერალნი ყოველთვის რიდი ახრიზებენ ამ გრძნობათა საკუთარ მეკრდში დატევას.

მხოლოდ სპექტაკლი გვიჩვენებს, რის შექმნა შეუძლია იდეისგან რეჟისორას.

შიგ ქვებს ყრიან, სიღრმეს ისე სწავლობენ.

მტერიც ჩამოკრავს ხოლმე სათანადო ხიმს. რათა გაწუკვიტოს.

არა და არ მინდა დავიჯერო, რომ სიცრუე წიგნის ბეჭდვის შემოღებამდეც არსებობდა.

მოკალაჭის რაგვარ ქმიფარ შემადგენლობას დაჯერდება სახელმწიფო?

ნუ მიაგებ პატივს იმათ, ვინც ის აგუარა.

ეამი კინოლოგთა!

ვინც დღეს დაამტკიცებდა, რომ სპარტაკის შთამომავალია, სახელს გაითქვამდა ანა როგორც მემარცხენეთა ლიდერი, ანამედ როგორც რომის არისტოკრატიის მშვენება.

ერთ ასეთ სურათს შეეფსწარი: სინჯარაში სისხლი დუღდა. ერთ-ერთი ასისტენტი, გვერდით რომ იდგა, გულმოდგინედ იწერდა პაციენტის გვარს.

სამყაროს შესახებ უცოდინარობის გავრცელებასაც მეცნიერული დამუშავება სჭირდება.

რისგან გაჩნდი, ვენტიკაზე დამოკიდებული, რა გახდები — პოლიტიკაზე.

ყოველი რეჟიმი ბოლოს და ბოლოს ძველი რეჟიმი ხდება.

იცვლება კატეგორიული იმპერატივი. უწინ ძახილის ნიშანი კეტსა ჰგავდა, ამჟამად — რაკეტას.

როცა კაციკამიებს მეცნიერების გემოს გაგება უნდათ, მეცნიერებს ენას აჭრიან.

არის ზოგიერთი ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პროკრუსტეს სარეცელზე ისახება.

ვისაც შიშველი სიმართლისა ეშინია, დგას და ტკავს აძრობს იმ სიმართლეს.

ჰუმანიზმი კაცთა მოდგმის სიკვდილს მოესწრება!

იმათ ნუ დაუჯერებთ. კომპასიანი ოდიხევსები არიან.

ადამიანები სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. დედამიწაზე მალე ტევა აღარ იქნება.

ვერც ერთი ეგვიპტური „წართქმის წიგნი“ ვერ ხსნის, რას ნიშნავს თავისუფლებაზე ნანახი სიზმარი.

მჯერა, რომ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულებს — პროგრესის შესახამისი მიღწევების დროს — იმ ვარსკვლავზე გადაასახლებენენ.

კენტავრმა ნალი იპოვნა და თავისი სახლის ზღურბლს მიაჯედა. „სნობი ხარ!“ — უთხრა მეორე კენტავრმა, რომელიც უფრო ცხენურად მსჯელობდა.

ადამიანი ერთი მთლიანია, ოღონდ მოყვასნი თუ სხვაგვარად არ გადაწყვეტენ.

თავის მოკლას გადაწყვეტა, ოღონდ წარღვნას ელის.

რა იშვიათად არის ადამიანი თავისი თავის თანასწორი.

რა არის ადამიანის დანიშნულება? ადამიანობა.

მოწინააღმდეგეს მახვილი მკერდში რომ უგმირა, აბჯრის წკრიალმა მოხიბლა. და სწორედ ამან დაღუპა. ასე იღუპებიან რომანტიკოსები.

„ქვეყანას შიმშილი ემუქრება, მეტისმეტად გამალებით ნთლავდნენ კაციჭამიებს", — დახძინა სატანამ.

სიკეთის გზა უხიფათო როდია. გზის სამსახურს თავი იხე უპირავს, თითქოს ორმხრივ მოძრაობას ვერ ამჩნევდეს.

ბოლო კარტი დაადგა. ეხლა კი საშიშია — ხელები თავისუფალი აქვს.

ო, გაშშვლებულნო, რომელი თქვენგანი წავა სტრიპტიზის შესასრულებლად!

დინებას მიპყვებოდა. მაგრამ კროლით ცურავდა, სახე არ უჩანდა.

ძილში რომ ლაპარაკობენ, ადამიანები ხან მაშინაც კი ცრუობენ.

ანტეოსნო, საფლობს უფრთხილდით!

ზოგიერთნი საათის მექანიზმიან ბომბებს აყენებენ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ დრო დედამიწის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვაა.

მკვდრებიც ჩუმად არიან გარკვეულ დრომდე, რომელი დროც იმათ მაგივრად გამოთქვამს აზრს.

რამდენი ადამიანის ნანგრევია იმ მხარეში! რა გასართობი აქვთ ტურისტებს!

ქონდრისკაცთა უცვლელი საბუთი: „ჩვენ ყველაზე ახლოს ვართ მიწასთან!"

იმ სათავადოში ბზელა, სადაც მისი ბრწყინვალება გარეწარია.

რამდენი ნილაბი უნდა აიფარო, რომ სილაჯი ვერ იგრძნო?

დედამიწა კითხვის ნიშნის ქვეშ დასულა ეტ ტილია.

ხან თვითონ ალიბია სწორედ დანაშაული.

აზრი არასოდეს არ არის თავისუფალი, ის შეზღუდულია მოფიქრალის თვალსაწიერით.

სამარცხვინოა მეხთა ჩაკვდომა მეხამრიდებში.

ხდება, რომ საუფროსო სავარძელს ძალით შეუცურებენ ხოლმე მავანსა და მავანს საჯდომქვეშ.

ძალმომრეობას თავაწეული შეხედი, რომ შუბლზე კაენის დაღი არ ამოგწვან.

ეპოქის პროფილის დასანახავად ცოტა გვერდზე უნდა მიდგე.

მთელ იმედს იმაზე ვამყარებ, რომ ჯუნგლების კანონის გარდა, არსებობს ჯუნგლების უკანონობაც.

არის ისეთი წერტილები, რომლებითაც ფრაზა კი არა, ლაპარაკი მთავრდება.

პერსპექტივის უცნაურობა. კაცი ჩემ წინ მთელ ქვეყანას ნამოეფარა.

ბევრნი დიდი სიამოვნებით მიატოვებდნენ თავიანთ თავს საშიშროების წუთებში!

დაგროვდა წლები. „ეპოქა შეეკმნათ, ჰა?"

მალემრწმენნი — რა მრისხანე სექტაა!

ხატრის მომთხოვნელობაც იზრდება: სულ უფრო კეთილშობილ ავაზაკთა მხილება მინდა.

რა ვქნათ, თუ არც მზის ზემოთ არის რამე ახალი?

ნამდვილი დროშა მაშინაც კი არ გახუნდება, ბევრიც რომ აფრიალონ.

შობა მტკივნეული პროცესია, განსაკუთრებით თუ კაცი თავის თავსა შობს, და თანაც მოწიფულობის ჟამს.

დიდი დონ-კიხოტები შეგნებულად ებრძვიან ქარის წისქვილებს, რათა იმით ჰორიზონტები არ ჩამოფქვან!

გაქცეულ მტერს ფეხებში ნუღა ებლანდები, არ იფიქროს, მამაიმუნებსო.

შევაცქერი ბუნებაში ჯერ კიდევ დარჩენილ მაიმუნებს: „თქვენ ადამიანები ველარ გახდებით. ყველა ვადა გასულია!“

სხვის სამოთხეშიც კი შენი გზით იარე.

ვისაც ოქროს გული გაქვთ, რაც შეიძლება ძვირად გაყიდეთ.

მკვდრადშობილს დიდხანს არ ძალუძს სიკვდილი.

ჯალათს დასჯის შემდეგ ხელების დაბანვა არ უნდოდა. „მართლა და მართლა პილატე ხომ არა ვარ!“ — ყვიროდა აღშფოთებული.

ყველაზე ძნელი საკუთარი სისხლის დინების წინააღმდეგ ცურვაა.

ფროიდი დამესიზმრა. რას უნდა ნიშნავდეს?

ბევრი ტრიუმფალური თაღი შემდგომში ხალხისთვის უღლად გადაქცეულა.

ზოგიერთნი ბოლო ამოხუნთქვამდე უბერავენ რაღაცას.

ტირანებს ადამიანი თვით მის თავში ყავთ გამომწყვდეული.

ლილიპუტების ქვეყანაში ნებადართულია, რომ სახელმწიფოს მეთაურს გამადიდებელი შუშით უცქირონ.

ვისაც გემი დაეღუპა და იძულებულია, რომ თავი გადაირჩინოს, ამერიკის მეორედ აღმოჩენის უფლება აქვს.

პოლიციური სახელმწიფოები მარტო პოლიციელებით როდია დასახლებული.

ცოტა დრო გვრჩება. ნიადაგ მარადისობა გვეშუქრება.

რამდენი კოცონი დაუნთია მსჯავრდადებულთა მგზნებარებას!

სამწუხაროა, რომ მხოლოდ დაღვრილ სისხლსა აქვს ხმა. შურისგებას ღაღადებს.

სიცოცხლის ფასად გვიყიდეს თუ სიკვდილის ფასად, თანაბარი ვალუტაა.

დიდაცაა დედები კი არა, პლუტარქეები შობენ. ნუ გაიგრძელებთ სიცოცხლეს საღათას ძალით. სასწაული არ არსებობს, მაგრამ ერთხელ ხომ მაინც უნდა მოხდეს!

გასწი მოყვასის შესახვედრად, ზურგიდან შემოვლის საშუალებას ნუ მისცემ.

ისტორია იმ ფაქტების კრებულია, რომლებიც არ უნდა მომხდარიყო.

ვინც დეპორტებს ფეხსაცმელს უწმენდს, ისიც პეწსა მატებს იმათ.

სული ალბათ იმიტომ არის უკვდავი, რომ უხილავია.

შიშმა იცის, ადამიანის ხერხემალში რატომაც უყვარს დაბუდება.

ორლესული მახვილი სანდო არ არის, შეიძლება ორივე მხრივ ბლაგვი გამოდგეს.

კაენის მემკვიდრეები ვართო, ამბობენ, რათა თავი ცუდი ჩამომავლობით იმართლონ.

არიან ისეთნიც, რომელთაც ფეხებზე ჭიდიათ ლამე: წყვდიადი თვითონ იმათგან მოდის.

ვინც უფსკრულის თავზე კიდებულა, ჭანაობა უნდა იცოდეს.

„ფეხებში მეგზაანდებოდნენ“, — თქვა ტერორმა იმათზე, ვინც გადათელა.

ვინც თვალსაფრეები აიფარა, უნდა ახსოვდეს, რომ კომპლექტში შედის კიდევ აღვირი და მათრახი.

ყველაფერი ისტორიად იწვნება, და ყველაფერი იმაში იბრწყნება.

ოპტიმიზმით ვარ სავსე. კაცობრიობამ მორალის კანონები დასძლია, ვითომ რატომ ვერ დასძლევს ფიზიკის კანონებს?

სატირიკოსი თუ თვალებს ირონიულად ჭუტავს, კვდება.

მარიონეტები ვნახე, რომელთაც ბაწრის ნაცვლად ჯაჭვი ეჰათ.

ჩინებული ჭაშნაგირი იყო, ლენინის ღვინოს ჭირის ღვინისგან არჩევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსირცხვილოებს, იცოდე, შენი სიხსნით შეეძლიათ გაწირთლება.

საკუთარ თავს ფუჭ ტყვიებს არ ესვრიან.

ძნელი არ არის მიზანში სროლა, როცა მიზანი გაქვს.

გამარჯვებით თრობა ხან ალკოჰოლიზმში გადადის.

გალიაში ჩასმული ბელურა არწივთათვის თავისუფალია.

ჯალათები ჯალათებს უმოყვრდებიან. მაშასადამე, გვარდებიან?

არის ბარიკადები, რომელთა ერთ მხარეს სიცარიელეა.

როცა მოგონებებს ამეღვნენ, ნეგატივები ერთმანეთში არ აურიო.

თქვენ მეკითხებით, ვინ მეძახის ცინიკოსს? ვინ და, ცინიკოსები. უნდათ, რომ ბევრნი იყვნენ.

მედლის მესამე მხარე? მკერდია, რომელზეც ის ჰკიდია.

ჯორებთან ფრთხილად იყავი: როცა უნდათ, ცხენის კეხს იდგამენ, თუ არადა, ვირივით გაქერი იციან.

თუ ხელისუფლების სათავეში ქამელეონია, დაახლოებულნი პირნი წამდაუწუმ ფერს იცვლიან.

სადაც ხაკრავად გიყენებენ, იქ სიმღერის დასასრულს ნუ ელი.

მუდამ პირველ ხაზზე იყავი, რაც შეიძლება შორს საკუთარ ზურგის ვირთხათაგან.

მრავალს გაუთხრია თავის თავის სამარე წყაროს ძებნაში.

სქელკანიანებს აღიზიანებთ ნატიფი ილეზიები.

ადამიანს უყვარს სიცილი. სხვებზე.

რა ძნელია იმის დამალვა, რომ შენ არ არსებობს!

რამდენი უკანასკნელი სიტყვა იბრძვის „ბრძოლაზე“!

ვინც ტყუილუბრალოდ დამწყვარა, თავზე ნაცარს იყრის.

დედამიწა იქნებ სულაც შენიშვნაში ჩამოტანილი ვარსკვლავია, რომელიც ჩვენს თვალს გამოეპარა.

ნუ ენდობი გულს, შენი სისხლი სწყურია.

ადამიანს უკვე აქვს ფრთები, ის კი მაინც ანგელოზს არ არის.

როგორ იზრდებიან ჯუჯები? სიგანეში.

ქვეყნიერება ალბათ სიკარიელის წინაშე შიშის გამო გაჩნდა.

ჩვარს მივაფურთხო? თვითონვე მოიწმენდს.

სიტყვიდან სიტყვისკენ ადამიანი ხან მთელი ცხოვრება მიდის.

ვისაც მორჩილი ენა აქვს, ის ხშირად ჩუმად არის.

„ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებას“, რომელიც თავის დაღუპვას ლამობს.

რაც ჩვენში ჩაიწვა, ჩვეულებრივად ჩვენვე გვაშავებს.

ადამიანებისგან ჩვრების დამზადება? მე ადამიანის ნედლეულის სხვაგვარი გამოყენების მომხრე ვარ.

მარადისობა? დროის ერთეულია.

ააგეთ ხიდები ადამიანიდან ადამიანისკენ. გახახნელი, რასაკვირველია.

შინაგანი მზერით ნუ იყურებით გახალების ბუჟრუტანაში.

ცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია, რომ უანბანონი ყოველგვარ სისაძაგლეს ვერ ჩაიდენენ ანიდან ჰაეშდე.

„ეს ქვეყანა შენ გეკუთვნის!“ — შევუყვირე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგან ჭაბუკს. „მერე რა, — მიპასუხა, — გავყიდი თუ რა!“.

თავის ქვეშაში ნუ ამლაგ, მესხულავეებს სამუშაოს ნუ ართმევ.

ყველაფერზე რომ თვალი დახუჭო, ასი თვალი უნდა გქონდეს.

დიდ მთვარეულთ მთვარე არა სჭირდებათ.

რაც ადამიანმა ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო, ჩრდილი დაუგრძელდა.

ხულის გარდერობისთვისაც არის მოდის ყურნალები.

რაც ირწევა, ყველაფერი აკვნად როდი გამოდგება.

ის ვითომ დიდად მაფასებს? ვიცი. ოცდაათ ვერცხლზე მეტს მოითხოვდა!

ეპოქების არქეოლოგია ქმნის.

უფსკრულში ნახტომისთვის ტრამპლინი არ არის საკმარი.

მეფეები როცა ტოტკლები არიან, ლაქიებიც მკვირცხლად იძრობენ ლივრეებს.

ვისაც თვალი აეხილა, ხან იძულებულია, რომ ბრმად მოგვაჩვენოს თავი.

წინასწარ ვხედავ ასტროლოგიის აღორძინებას, როგორც კი ვარსკვლავებზე ადამიანი დასახლდება.

რაც ისეც უკვე ირწმენა, ზედმეტად მიიჩნევს (ბევრებით სამარილიანადაც) ყოველგვარ ანალიზს.

რომელ ჭარს გავატანოთ სიტყვები?

მისი დუმილი ლაკონიურია.

ჯავშანი კი არ იცავს ჩვენს ხეიულს, არამედ კოსტიუმი.

ჩრდილი? ოპტიმიზმის წყაროა. იმის დასტურია, რომ ირგვლივ სინათლეა.

ეგ მწერალი თავისი იდეების სიღრმიდან მთლად სველი ამოდის.

ვინ იცის, იქნებ დამუხრუჭებული რეფლექსი მაქვს? უკვე ისე დიდხანს ვუნდები ფიქრს.

ადამიანის სხეული ყველაზე გავრცელებული კოსტიუმია მხეცების კარნავალზე.

ხელოვნებაა ინიღბება. ცხოვრებით.

სიტყვები ბოცვრებივით მრავლდებიან და მთელი ქვეყნიერების სიმწვანეს ისინი სჭამენ.

მაშველი წრე ძალის საყელო გამოდგა.

თუთიყუშის ოცნების ზღვარი თავისი თავის განმეორებაა.

ეშმაკის რქებზე შარავანდი უფრო მაგრად დგახ.

ბევრი რამ აბსურდამდე უნდა მივიყვანოთ, დაე იმ ბევრმა რამემ თავისი მშობელი იცნოს.

ადამიანი თავის თავამდე შემოვლით მიდის, როგორც ლოკომოტივი.

ზოგს თავისი სიცოცხლით არ უცხოვრია, სულ სხვისი სიკვდილით ცდილობდა თავის გადარჩენას.

გითხრა, რატომ გარბიან ადამიანები გემიდან, რომელიც არ ძირავს? რატომ და, მიხვდნენ, სადაც მიჰყავს იმ გემს ისინი.

შემოქმედნო, გახსოვდეთ, რომ პანთეონები სასაფლაოებია.

ცალმხრივს უკუღმა ვერ გადმოაბრუნებთ.

ხან მრავალი აზრია საჭირო, რომ ერთი დაიმახსოვრო.

გენიოსების მემუარები ეპოქის სახეს არა ქმნიან.

ეს ჩვენი სიცარიელეა, ქვეყანას რომ აუკაცრიელებს.

ძალის კუდი ცალებად ჭარებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. ჭიანებს.

ეპილებს ნუდა აჩენ, როცა გაბაბანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგონავტები ოქროს ხაწმისში იქნებ ოქროს კერპს გულისხმობდნენ?

ისინი მიზანს უკვე დროულად ვეღარ მიაღწევენ. მიზანი ძალიან შორს დარჩა უკან.

„არ მიყვარს თავისუფლების წყურვილი, — ადიარა მრავალგირნახულმა მონამ, — შეგსწავლიან ბორკილს, და რჩები მარტოდმარტო“.

დანაშაული მრავალგზის დაგმეს. იმის გამო, რომ ცუდად იყო შესრულებული.

ჩემს მოძულეებს ჰგონიათ, რომ სიმართლეს გულახდილად ვეუბნები. სულელები არიან, კი არ ვეუბნები, ვუმალავ, არ მინდა, რომ სიმართლემ განკურნოს ისინი.

„ყველაფერი სტოიკური სიმშვიდით გადაიტანეთ!“ — ყველაზე ხშირად გვირჩევენ — ხაკვირველი ამბავია! — ცინიკოსები.

ვაი იმათ, ვისაც ტაბუ შეეხება!

ვერც ერთი ტორკვემადა ვერ დაუფქვევინებს ადამიანებს იმდენ საიდუმლოს, რამდენსაც დიდების წყურვილი.

ხშირად კლასიკოსთა ისეთ მიამიტურ აფორიზმებს ვკითხულობ, რომ ვიჯერებ იმათ გენიალურობახ.

უწიგნურნი იძულებულნი არიან, რომ გვიკარნახონ.

გაკვალარავეს მოგონებებმა, რომლებიც თვითონ მოიგონა.

რკინის ლობეებსა ჩრდილი გარეთ ეცემა.

ადამიანებმა თავიანთი ძეგლები რომ იცოდნენ, თავს იმათ დაამგვანებდნენ.

წარდგენილია სსრკ სახელმწიფო პრემიაზე

გიორგი გაჩეჩილაძე

გზა სინთეტიზმისაკენ

წინასწარი შენიშვნები

ჩემს წინაშე დევს შოთა ნიშნიანიძის ლექსების ბოლო უზარმაზარი კრებული.

ვიწყებ კითხვას...

თანდათანობით ვამჩნევ, რომ ამ ლექსებს მდინარის მსგავსად კი არ მივყვები დინების მიმართულებით, არამედ სიღრმეში მითრევს ჩასაფლობად.

გადის საათი, ორი, სამი. გადის დღეები და ცნობიერების ზედაპირზე ამ ლექსების ახალი თვისობრიობა იკვეთება: მათ დასახსოვრად არ უჩანთ... არადა შთაბეჭდილებები უკვე იმდენი გროვდება, რომ მათი საწყისი წერტილის მოხელთება ჭირს...

შოთა ნიშნიანიძის პოეტური ფანტაზიის ტევრი კი ისევ მაცდურადაა გადახსნილი...

როგორც იქნა ვხურავ ლექსების უზარმაზარ კრებულს და ვატყობ როგორ შემომპარვია სნობი მკითხველის თვისებები. მიჩვეულვარ პოეზიის მომცრო კრებულებს. თუ ამ კრებულის პოეტური ხარკმელიდან საყაროს რომელიმე კუთხის ხედი, ფერები, ორი-სამი თემა და თანაზიარობით განმსჭვალავი განწყობილება გამოკრთის, ვამაყოფიერდები.

მკითხველი ლაღად გრძნობს თავს ასეთ სამყაროში. ორი-სამი თემით დოზირებულ პოეტურ ინტონაციაში ორიენტაციაც იოლია.

შოთა ნიშნიანიძე სხვა შემთხვევაა...

თავისი პოეტური ენერგიის ამოუწურავობით მკითხველს ის კიდევაც თრგუნავს და კიდევაც ანებივრებს.

პოეტური სამყარო, რომელშიც მას მკითხველი შეჰყავს მხოლოდ მისთვის კუთვნილი სამყაროა. რაც შეიხება მკითხველს, ის მას ესაბერობა არა თანალმობისათვის, არამედ თანამგზავრობისათვის. თუ სად და რომელი მარშრუტით, ამის წინასწარ დაგეგმვა უაზროობაა, რადგანაც ლირიკის ლოგიკის მიხედვით წინასწარ, ეტყობა, ეს არც თავად უწყის.

საჭიროა მისი ამ თვისებურების დამახსოვრება.

ერთადერთი რაც პოეტმა წინასწარ იცის, ისაა, რომ მას აქვს მოგზაურის, უფრო ზუსტად კი, ერთმანეთისაგან დაშორებულ საგნებსა და მოვლენებს შორის მედიუმის თვითშეგრძნება.

საჭიროა ამ თვისების დამახსოვრებაც.

მკითხველს კი შთაბეჭდილება რჩება, რომ შოთა ნიშნიანიძე ისტორიულ სამყაროში სამოგზაუროდ ამზედრებული ფანატიკოსია.

არავინ უწყის, რომელ ისტორიულ ტავერნაში გაათევს ის ღამეს. არავინ უწყის, როდის ამოპყოფს თავს დღევანდელი საქართველოს ლანდშაფტში. არავინ უწყის მსოფლიო პანთეონის რომელ ბინადართან ექნება პაემანი. არავინ უწყის როდის მოგვეცლინება სპირიტული სეანსების ვიზიონერად.

მაგრამ ერთს კი იოლად ხვდება მკითხველი: ჯადოსნური ზღაპრების გმირების მსგავსად შოთა ნიშნიანიძე იმ გზასაყარების უზარმაზარ ლოდებთან ყოფნდება, რომლებზეც გზისა და ბედის თანაზიარობის მაუწყებელი სიტყვები წერია.

ვისაც ჯადოსნური ზღაპრები ახსოვს, მოეხსენება, რომ ზღაპრების გმირები გზაჯვარედინზე დაგდებულ ლოდებთან დგებიან და კითხულობენ მათ მიერ ასარჩევი გზების შესაძლებლობათა ქარაგმას: „ვინც აქეთ წავიდეს ადრე დაბრუნდეს, ვინც აქეთ წავიდეს გვიან დაბრუნდეს, ვინც აქეთ წავიდეს ალარ დაბრუნდეს...“

ლოდი დელფოსის ორაკულივით წინასწარ-

მეტყველებს დროისა და ყოფიერების სამ მოდუსში განსაზიერებულ პერსპექტივას: ადრე, გვიან, ალარ...

შოთა ნიშნავინაძე ამგვარი გზებისა და უფსკრულების დალანდვაზე დაგეშილი პოეტია. მისი აზრები მათთვის თვალის გასწორებაა.

ამგვარი სანაბების ხილვებიდან მას გამოაქვს აურაცხელი სურათის კომპოზიცია, ისტორიული ნიღბების მიმიკა, ეფსტები, ელდა შეწყვეტილი სიზმრებისა...

მის ყურთასმენაზე აღიბეჭდება, გადაგრიალებულ ცეცხლისანთა ფლოქვების ხმა, უფსკრულებში დანთქმული ენებების წივილი, შეწყვეტილი სიმღერა...

შოთა ნიშნავინაძე ამგვარი გზების **უძღები** შვილია, როგორც ავასფერი, **როგორც მფრინავი** ჰოლანდიელი...

აქ შეიძლება სულის მოთქმა...

ფუთის მისნობა

ცნობიერების ზედაპირზე ვგრნებ დალაგდა მინიმუმი მაინც ცნებებისა და სიმბოლოებისა, კრიტიკას რომ შოთა ნიშნავინაძის პოეზიის კონსტრუქციული კარგის წარმოსაჩენად სჭირდება.

ამგვარი კონსტრუქციის გარეშე შ. ნიშნავინაძის ამოფუფრავ თემატურ გადანაცვლებებში ორიენტაცია შეუძლებელია. მისი პოეზიის სამყაროში გაფაქტულ შთაბეჭდილებათა ნამსხვერევები ლამობენ შემოკავშირებული სიტყვების წიაღისაკენ დაბრუნებას.

უძღები შვილის, ავასფერის და მფრინავი ჰოლანდიელის სიმბოლოები აქ ამგვარ კონსტრუქციაზე კრიტიკული განსჯის ასოციაციური ნაყოფია.

რაც შეეხება „გზისა“ და „გზაჯვარედინის“ მეტაფორებს, ისინი შოთა ნიშნავინაძის პოეზიიდან ამოტაცებენებული სახე-სიმბოლოებია.

ამ სახე-სიმბოლოების მაკონსტრუირებელ მნიშვნელობას პოეტის თვითგამოვლენაში მკითხველი უმალვე მიხვდება როგორც კი თუნდაც „აქილევსის ქუსლისა და ფარის“ ქვეშოთ მოხმობილ ნაწყვეტს გაეცნობა.

> გზაზე ადგია ლოდის ნატეხი
> როგორც სასწორი მადლის და ცოდვის,
> ზოგისთვის ძეგლად გამოსადეგი,
> ზოგისთვის მხოლოდ სამარის ლოდი.
> და შეუცნობი იღუმალებით
> შიშნებს წუთი სპედისწერო,
> რათა ცხოვრების გზა გასავლელი
> გამიაღვილოს ან გამიძნელოს.

ისანი, რომლებიც შინაგან კავშირს ვერ ხედავენ ცხოვრებასა და ზღაპრებს შორის, ძალიან ცდებიან. არჩევანის ფილოსოფიის ლოგიკა ზღაპრის გმირსა და ყოველ მოკვდავს ხომ თითქმის ერთნაირ აქვს. ამ არჩევანიდან მომდინარეობს დროის სამივე მოდუსის: წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთფერადად განცდის სასწაულებრივი ყინიც. ეს ერის **ფუთში — მარადისობის, ფეჭეტში — მოფლენის,** სიკვდილში — **უკვდავების** წვდომის განცდა. ამას ფილოსოფოსები „ექსტატიურ ტემპორალობას“ უწოდებენ.

ამ განცდის სარეალიზაციოდ საჭიროა ყველაფრის მიღება „ერთად, ერთბაშად და ერთდროულად“, როგორც ამას ლამობს შოთა ნიშნავინაძის პოეტური მე.

ხელოვნებაში, არსებითად, ეს არის ერთადერთი გზა ხაზგასმა და უხაზგროვას, დროულსა და ზედროულს, წესრიგსა და ქაოსს შორის თანაფარდობის მიხაკვლევად.

„**შენ** სიერცეებმა დაგბინდნდრეს. **შენ** **უკვდავების** ხარ ბინადარი“ — მისნური თვითშეგრძნებით იფუწეებოდა გალაკტიონი:

Ты вечности заложник
У времени в плену —

ალასტერებდა ბ. პასტერნაკი.

რომ სწორედ ამ საიდუმლოების „ალქიმიაზე“ **მიდარაჯებული** **არ** **მალავს** **არც** **შოთა** ნიშნავინაძე:

> საბედისწერო წუთს ვიქენ გრძნებით
> და ხელზე ვისვამ ჭიამაიად.
> წუთო, შეისხი, შეისხი ფრთებად
> ჩემი ჩერჩეული და ლამაია.
> ო, გიცნობ, წუთო, ვარსკვლავთ ნათესაკ,
> წუთო, მეჩიდება შენი მისნობა.
> დავთესავ, წუთო, ფერში დავთესავ
> და სულში გაგზრდი მარადისობად“.

თუ რაშია ამ „წუთის მისნობის საიდუმლოება“, რომლის საჭიროებასაც ახე განიცდის შ. ნიშნავინაძე, ეს უკვე იცის მკითხველმა.

მაგრამ ამ წუთის საიდუმლოების წვდომა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმ სამყაროს საიდუმლოებაში გასარკვევად, რომელსაც მკითხველს თავაზობენ.

ამგვარ უკმარისობასაც თავისი მიზეზები აქვს.

პოეტი სამყაროში

კრიტიკოსების მიერ ახე ულმობლად ექსპლუატირებული „პოეტური სამყაროს“ ცნება, მკითხველს, ძირითადად, მიმპარების ორგვარ სახეობაში გარკვევას მაინც ავალდებულებს:

— რას წარმოადგენს სამყარო პოეტისათვის?

— რას (ვის) წარმოადგენს თავად პოეტი ამ სამყაროში?

პოეტური ინდივიდუალობის შესაბამისად, ცხადია, ამგვარი მიმართებები უამრავ სახეობებად დანაწევრების შესაძლებლობას შეიცავს.

მაგრამ მიუხედავად ამ მიმართებაში შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლებელი მრავალფეროვნებისა, კითხვა იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს სამყარო პოეტისათვის და რას — პოეტი ამ სამყაროში „პოეტური სამყაროს“ სამგვარ მოდიფიკაციას იცნობს.

გავიხსენოთ ადამიანისა და სამყაროს თანაფარდობაში გამოყოლილნი ეს მოდიფიკაციები:

— ადამიანი და სამყარო

— ადამიანი სამყაროში

— ადამიანი სამყაროზე

რომ თვითეული ამ პოზიციათაგან შეიცავს ადამიანისა და სამყაროს თანაფარდობაში შესაძლებელი ვარიანტების ერთმანეთისგან განსხვავებულ კონცეფციებს, ადვილი მისახვედრია. სამწუხაროდ, ჩვენში ნაკლებად ეწევა ანგარიში მხატვრული ცნობიერების განმაზოგადებელ კონტეგსტებს.

არსებობს თეორიები ამგვარი მოდიფიკაციების საფუძველზე არა მხოლოდ ინდივიდუალური შემოქმედების ერთი თვისობრიობის, არამედ ეპოქებისა და მთელი ეროვნული სკოლების თავისებურებათა გაჯერებისა.

ქართული კულტურის თავისებურებას ვინც დაკვირვება, ადვილად შეამჩნევდა, რომ ხალხური პოეზიიდან მოყოლებული, ვეფხისტყაოსნის ჩათვლით — ადამიანისა და სამყაროს თანაფარდობის კონცეფცია, ძირითადად, იაზრება პრინციპით: „ადამიანი სამყაროში“. ცხადია, ეს ცალკე და საგანგებო მსჯელობის თემაა. დასკვნები აქ კულტურის უფრო ანსამბლური ფორმების ანალიზის საფუძველზე კეთდება.

და თუ ახლა შოთა ნიშნიანიძის პოეზიის თავისებურების გამო, ეს გავიხსენეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მეკობეველისათვის უფრო ხელშესახები გაგვეხადა სამყაროსა და პოეტის თანაზიარობის ის მოდუნი, რომლისკენაც მიისწრაფვის ნიშნიანიძე, როგორც პოეტი.

სამყარო, რომელსაც პოეტი ხედავს, არის სამყარო, რომელშიც ის თავად ცხოვრობს, რომელშიც არსებობს, რომელსაც განიცდის, რომელსაც ეხება.

ეს არ არის სამყარო, რომელზეც ის ცხოვრობს.

ეს არც ის სამყაროა, რომელსაც ის უპარისპირდება.

ამ ფაქტორის დამახსოვრება, ვიხაკე შოთა ნიშნიანიძის პოეტიკის თვისობრიობაში გარკვევა სწადდა, აუცილებელია.

„ადამიანი სამყაროში“ — შოთა ნიშნიანიძის მხატვრული, ზნეობრივი და საზრისისეული კონცეფციაა.

მისი თვითგამოვლენის, გნებავთ, თვითგამოხატვის, ვნებავთ ზორცშესხმის, ვნებავთ დავარქვათ ამას მისი არსების გახსნის აუცილებელი პირობა, ყველაფერი ეს სამყაროსეული მოვლენებია, თვითგამოხატვის საბაბად აქ შეიძლება იქცეს ყველაფერი; არსებითი და შემთხვევითი, მარადიული და წარმავალი, საკუთარი და სხვისი.

თუ როგორი მნიშვნელობა ენიჭება ამგვარ კონცეფციებს მისი პოეტური ცნობიერებისა და მსოფლგაგების თვალსაზრისით ამის შესახებ უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი სამყაროში პოეტის ყოფის რაობას, როგორც შოთა ნიშნიანიძის პოეტური თვითშეგრძნების ხასიათს დავაკვირდეთ —

ჩვენში ისეთი ადგილი ვიცი,
ისეთი ვიცი ტყე და გორება,
სადაც ყოველი კუნქული მიწის
დანაღმულია მეტაფორებით.
ერთი ნაბიჯიც ვერ გადამიდგამს
უფათერაკოდ, სულო გრძნეულო,
მეც ამოვხდები ჩემი ტანდაან
და ვეღირდები ცას უსხეულოდ.
ვიცი სული ვარ ცით კუთხეული
და ვარსკვლავთეის ალად ვპარპალებ
ეს წარმავალი ჩემი სხეული
წარუვალობის არი სამარე...
ფოთოლი, სხივი, ნისლის ნაფლეთი,
ფერი თუ სიტყვა ასკერი ნახმარი,
ძველია, მაგრამ მაინც მაფეთებს,
ალმოჩენია თითქოს ახალი.
სიტყვა მაცია ჯაჭვის პერანგად,
მუხის ფოთოლი, მზე და მტევანი
და ცხოვრების გზაც ვერ მივრაგებს
გრძელი იქნება თუ უტეკანი.
ჩავალ სოფელში, ჩავალ დაღლილი
და ცინცახალ ფერებს ვეამბორები,
ამიფეთქდება ფეხქვეშ ნალმიათ
წუთებია თუ მეტაფორები...

მკითხველს ბევრი რამ შეუძლია ამ ლექსში ამოიკითხოს. უპირველეს ყოვლისა კი მან უურადღება უნდა გაამახვილოს დროსა და სივრცეში პოეტის ადგილგადანაცვლებისადმი ინტერესზე.

ეს ლექსი მკითხველს აუწყებს თუ სად, რომელ და როგორ სამყაროში ცხოვრობს, მოძრაობს, მოკმედებს, ფიქრობს, იღწვის პოეტი.

მაგრამ ეს ცოტაა. მას შემდეგ, რაც მკითხველმა უწყის, რომ შოთა ნიშნიანიძე არის „პოეტი სამყაროში“, მან ისიც უწყის, რომ ეს სამყარო მისი თვითგამჭვლის პირობაცაა და მაპროვიციირებელი ასპარეზიც.

საქმე ისაა, რომ ადგილები, სადაც ყოველი „აუწყეთო მიწის დანაღმულია მეტაფორებით“ მიუთითებს არა მხოლოდ ამგვარი ადგილების თვითკმარ მნიშვნელობაზე, მათს თავისთავად ფასეულობაზე. არა.

მათი მნიშვნელობა გაცილებით უფრო ღრმაა და აქტიური.

საქმე ისაა, რომ სამყარო და ის ადგილები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც „დანაღმულია მეტაფორებით“ პოეტმა აქცია თვითგამხმელის იმპულსად, გზად, გამოწვევის ფაქტორად.

ეს არის მისი პოეტიკის ამოსავალი კონცეფცია. შოთა ნიშნიანიძის თვითშემეცნებისა და თვითგამხმელის გზა სამყაროულ მოვლენებზე გადის.

ეს მოვლენები კი ოკეანესავით ამოფეთქვია, უსაზღვრო და ინავდროულად გახსნილი, თუკი არსებობს „ყურნი სმენად და თვალნი სახილველად“.

აქედან — შოთა ნიშნიანიძის ლექსის ხაზგასმულად გამრავალფერადოვნებული თემატიკური ხახიათი.

შოთა ნიშნიანიძე პრინციპულად თემების პოეტია...

და ეს იმიტომ, რომ მისი მთელი პოეტური ეფოლუცია არის რეფლექსია ამა თუ იმ მოვლენაზე, რეფლექსია ამა თუ იმ საგანზე, რეფლექსია ამა თუ იმ შეთხზვევის გამო.

შეთხზვევები, საგნები, მოვლენები, რომლებიც შოთა ნიშნიანიძეს თავისი ლექსის თემის სახპობად აქცია, არსებითად მისი პიროვნული თვითგამხელის სახინჯი ქვებია; სწორედ ქვები და არა ქვა, როგორც ეს შთაგონების საზრდოს მხოლოდ საკუთარ სულში მაძიებელ პოეტს ახასიათებს ხოლმე.

ესაა სწორედ სახინჯი ქვები, მთელი რიყე ამ ქვებისა, — (ზოგი წამახული, ზოგი გლუვი) რომელზეც დროის მდინარეს ადეკნებული პოეტი შიშველი ფეხისგულებით გადარბის, როგორც სისწრაფეში ჩქერებს გადაჯიბრებული ყმაწვილი.

„მე“ და გზა

„გზისა“ და „გზაჯვარედინის“ მეტაფორა, შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში, რომლის აქტუალობის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, სწორედ აქედან მომდინარეობს.

„გზა“ აქ საკუთარი თავის პოვნისა და პიროვნულ შესაძლებლობათა აღმოჩენის იმპულსია. ამიტომ მიელტვის ის გზას.

რაც შეეხება პრინციპულ მრავალთემიანობას, ესეც გზის თავისებურების ნაყოფია.

რატომ?

იმიტომ, რომ „მე“ ცხადია ერთია, მაგრამ გზა — ათასნაირი.

ამის გამო პოეტური „მეც“ ათასნაირი სახეცვლილების დადეთაა აღბეჭდილი. სახეცვლილებათა ამგვარი შესაძლებლობა არჩევანის ფილოსოფიის კანონითაა ნაკარნახევი.

გზა — არჩევანია!

შოთა ნიშნიანიძემ კი იცის, რომ ყველაფერი, რაც არის „გზაზე“ და ყველაფერი, რაც დაკვშირებულია „გზასთან“ შეიძლება იქცეს მისი სულიერი მოძრაობის სტიმულად.

გზა საკუთარი თავის ახალი კუთხიდან — ანუ ხვის შესაძლებლობის შეიცავს. და ეს იმიტომ, რომ გზა პიროვნულ ამპლუთა სახეცვლილების ანბარეზიაა.

ამდენად, გზა საკუთარი მე-ს არაერთჯერადი აღმოჩენის პერსპექტივეა.

ინტერესი გზისადმი აქ საკუთარი მე-სადმი ინტერესის ნაყოფია.

უგზოობიდან გზებმა დამიცა,
მეც მისზერებია რაც კი გზებია,
და ქვეყნად გარდა ჩემი თავისა
სხვა არაფერი არ მძიებნია.
უგზოობისგან გზებმა დამიცა,
მოვსინჯე რაც კი გზა და ფონია,
და ქვეყნად გარდა ჩემი თავისა
სხვა არაფერი არ მიპოვნია.
და არ მასვენებს სურვილი ძებნის,
გზები მიხმობენ, გზებზე ვიზრდები,
და ჩემს ოთახში გაჩრილან გზები,
როგორც კაპარეში დასტა ისრების.

საკუთარი თავის პოვნა ცხადია, იდილია არ არის. ესაა ბრძოლის, ზოგჯერ საკუთარ ორეულთან დუელის, ზოგჯერ გამარჯვების გარდა, დამარცხების სასოწარმკვეთი ოდისეადა.

საკუთარი მე-ს წვდომა, მისი მთლიანობის გარდა, ამ მთლიანობის რღვევის ფენომენებად განფენილობის წვდომაცაა. „მე“ ათასგვარ როლებრივ შესაძლებლობადაა დუბლირებული. აქედან, გოორებისა და სახის და ნიღბის თანაფარფლობის დრამა, რომელიც, შიგადაშიგ, შოთა ნიშნიანიძის პოეზიიდან გამოკრთის.

მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ახლა კი ისევ „გზაზე“ და გზის საშუალებით საკუთარი თავის პოვნის შოთა ნიშნიანიძისეულ ოდისეადას დავუბრუნდეთ.

ეს ოდისეადა ისევ გზის ქრონოტოპთანაა დაკავშირებული. მარშრუტი პოეტური ცნობიერების საწყისებისკენ მიემართება.

საწყისები ისტორიული და კულტუროლოგიური მეხსიერებიდან ამოტივტივებული ხილვებია.

ამ საფეხურიდან შოთა ნიშნიანიძე გარკვეული კულტუროლოგიური მისიის განმასახიერებელი პოეტია.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში მკვეთრად გამოიხატა წყვეტილობის ანუ დისკრეტულობის შეგრძნება კულტურის სისტემაში.

ამ დისკრეტულობის შეგრძნების უპირველესი სიმპტომი კულტურული ტრადიციებიდან მოწყვეტის განცდაა.

„მეხსიერების უნიკალური კინოფირი გაწყვეტილია“. ამ დიაგნოზის ერთ-ერთი პირველი გამმხელი ტარიელ ჩიტაურიაა.

პოეზიის ფონზე მკვეთრად გამოიხატა ან ამ ფირის დაწეწვისა და რესტავრაციის ნაკადი,

ან ორიენტაცია ახალი დროის მოთხოვნების შესაბამვისი უტარდიეთ ფირებზე. ახე დაუპარისპირდნენ ერთმანეთს ნოვატორული და ტრადიციული ანუ კონსერვატორული პოეზია. მაგრამ რაკი ნიასლეს მაშინ აქვს ფასი, როცა ის ძველ ამოცანებს ეხმიანება, ხოლო ძველი ამოცანების აქტუალობა თანამედროვეობაში არათუ გაუქმებულია, არამედ კიდევაც გამძაფრდა — ნათელი ხდება უკიდურესობათა თანხვედრის აუცილებლობის გარდუვალობა.

შოთა ნიშნიანიძე ერთი იმათგანი აღმოჩნდა, რომელმაც წონასწორობის დაუკარგავად გაიარა ამ უკიდურესობათა ბეწვის ხიდზე. ამ წონასწორობის შემანარჩუნებელი საწყისები მან წარსულსა და თანამედროეობას შორის კავშირის უწყვეტობაში აღმოაჩინა.

იმ დროს, როდესაც ზოგიერთ პოეტს ხაბდისწეროდ გაუწყდა „ეგზისიერების კანიფორა" შოთა ნიშნიანიძემ სწორედ ამ ფირის შენარჩუნებაში დაინახა პოეტური თვითდამკვიდრების უტყუარი გარანტია.

მისმა მეფსიერებამ როგორც „ზრავალ დროების მოწმემ" მდინარის დვრინვამ ცნობიერების ზედაპირზე ამოატივტივა შორეული ზმანების ეჭო.

იქ, რიონზე სანაოსთან ბინდის ხიდი
ქანაობდა...
გავდიოდი გალმა მხარეს და ჯადოსნურ
ლერწამს ვიოლიდი,
თურმე ბეწვის ხიდი იყო, მე მეგონა
ბინდის ხიდი.
ვიოლა ქალი ბეოლას სხეპდა
და ვაზს უმაგრებდა ჭიგოს,
მე მეგონა გლეხის ქალი, თურმე
ღვთიშობელი იყო...
ვიოლა შუბლზე ხარს კოცნიდა და
მთესველად ხნულს მისდევდა,
თურმე ქრისტე-ღმერთი იყო, მე მეგონა
გუთნისდევდა.
იქ ერთ ბიჭთან ვეიდაობდი, ხათრს არ
მიტეხავდა ისიც...
თურმე ამირანი იყო, ძმა ბაღრის და
უსუპისი.
ერთი გოგო მომეწონა — ირმის ჯოგს
წველიდა მთაში,
თუ ქალღმერთი ყალი იყო, ბრიყვმა რა
ვიცოდი მაშინ.
კოლხის ქალი მყავდა ძიძად — ამორძალი
ენამწარე,
ნიშა ხარის სიყვარული იმ მხარეში
შემასწავლეს,
დედაჩიტი ბარტყებისთვის ღმერთს
უნთებდა თაფლის სანთლებს,
ჩიტის ლოცვას ყურს ვუგდებდი და იმ
მადლით გავიზარდე.
გზაზე ბერი გადამიდგა... შემომცინა,
„გზასაოდნენ".
— წადი შეიღო, და რაც ნახე, ქართული
ხმით იგალობე.

. . .

— ჩიტო, ჩიტო, ოქროს ჩიტო,
ბავშვებისკენ ფრინდი, ფრინდი,
ბინდის ხიდი მამოვნინე, ზღაპრის ხიდი...
ოქროს ხიდი...

შოთა ნიშნიანიძეს პროგრამეული ხასიათის ბევრი ლექსი აქვს. ეს ლექსიც — „ქართული ზღაპარი", ერთი მათგანია. მინდოდა მისი მოკლედ ციტირება, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ის პროგრამული ხასიათისაა, ვამჯობინებე, მთლიანადვე მოგმობა.

პოეზია მოვლენათა შორის თანაფარდობის აღმოჩენის ხასწაულია. აღმოჩენის თანმხლები გრძნობა გაკვირვებაა. როგორც ცხოვრებაში, ისე პოეზიაში გაკვირვება მოულოდნელობასთან შეფეთების შედეგია. ესაა სტერეოტიპსა და მონოტონურობაში ჩაფლული ცნობიერების უჩვეულო ინფორმაციით დამუტკვნის ელდა. ეს ლექსიც მოულოდნელი ინფორმაციის, როგორც აღმოჩენის ხასწაულის განცდაა.

თავისი ხასიათით ეს აღმოჩენა პრინციპული მნიშვნელობის მქონეა, როგორც თავად შოთა ნიშნიანიძის პოეტური მრწამსის, ისე თანამედროვე ქართული პოეტური ცნობიერების თვალსაზრისით.

მკითხველს, ალბათ, ეს ლექსი მოსწონს და აინტერესებს თავისთავად, მისთვის ლექსის თვითკმარი მნიშვნელობა უფრო არსებითია, ვიდრე ამ ლექსის მომართების ხასიათი თანამედროვე ლიტერატურული პროცესის მსგავს, ოპოზიციურ ან მომეჭიანე პოეტურ პოზიციებთან.

მკითხველისათვის ამ ლექსში განსაკუთრებულად ფასეულია, რომ მის ცნობიერებაში მოვლენარე ან მივიწყებული კულტუროლოგიური წარსული: ბეწვის ხიდის, ღვთიშობლის, ქრისტეს, ამირანის, დალის სახით, ისე ორგანულად, უშეალოდ, ძალდაუტანებლად იქნა გაცოცხლებული.

მკითხველისათვის ფასეულია ისიც, რომ ამ წარსულის განცდას და მისი სიმბოლოების შემოქმედ თანამედროვე ემოციონალობის კონტექსტში ენიჭება არა მექანიკური ან ეკლექტიკური ხასიათი, არამედ თავისებური სულიერი გამოცდილების მნიშვნელობა.

პოეტს მიერ გაცოცხლებული თვითეული სიმბოლოს მიღმა იხსნება გამოცდილებისა და მოქმედების მთელი კონტეფციები.

ეს, ცხადია, ახეა და კარგიცაა, რომ ახეა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲯᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ
ᲒᲖᲐ ᲡᲘᲜᲗᲔᲢᲘᲙᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ კრიტიკოს ყოველივე იმის გარდა, რაც აჭ აღინშნა თავისი, ინტერესები აქვს ამ ლექსებისადმი. საქმე ისაა, რომ პროფესიონალებს კიდევ დამატებითი ინფორმაციები აქვთ ყოველივე იმის შესახებ, რაც ამ ლექსში ითქვა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თუ მკითხველს ლექსი ინტერესებს, როგორც მხოლოდ შედეგი, კრიტიკოსი გულვრილი ვერ დარჩება ამ მხატვრული მეთოდისა პოზიციის მიმართ, რითაც ეს შედეგი იქნა მიღწეული.

ეს ლექსი საინტერესოა არა მხოლოდ თავისთავადობით, თვითკმარობით, არამედ თანამედროვე ლიტერატურული პროცესისადმი მისი მიმართების ხასიათითაც. მოალედ, ეს ლექსი საგულისხმოა, როგორც თავისებური ლიტერატურული ფენომენი. ლიტერატურული პროცესი ლიტერატურული ცნობიერების სარკეა. ამ სარკეში ირეკლება როგორც მხგავსი, ისე ერთმანეთისადმი დაპირისპირებული შემოქმედებითი ფენომენების სურათი. და რაკი პოეტური ფენომენი პოეტის ლიტერატურული ცნობიერებისა და პოზიციის გამოხატულებაა, შოთა ნიშნიანიძის „ქართული ზღაპრიც" საყურადღებოა, არა მხოლოდ იმ მოსაცემების საფუძველზე, რაც ახლახან აღინშნა, არამედ „დამატებითობის პრინციპის" მიხედვითაც.

ოკოზიციური სტილების შორის

თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში გამოიკვეთება რამდენიმე ნაკადი, რომელთა მიმართაც შ. ნიშნიანიძის პოეზია, ისევე, როგორც ხანიშუნიდ შერჩეული ეს ლექსი, აღიქმება როგორც ლიტერატურული ფენომენი, პოზიცია, დაპირისპირება.

ერთი მთავარის შესახებ უკვე ითქვა. კერძოდ, ლიტერატურისა და საერთოდ, კულტურის სისტემაში გაჩენილი დისკრეტულობის ან წყვეტილობის შეგრძნების შესახებ.

მეორე და არა ნაკლებ ფუნდამენტური ტენდენცია, რომელს მიმართავ შოთა ნიშნიანიძის პოეზია, და ეს ლექსიც, აღიქმება როგორც საპირისპირო პოზიცია, ესაა თანამედროვე პოეზიაში გამძაფრებული კონფლიქტი სიტყვასა და საგანს ანუ აღმნშვნელსა და აღნშნულს შორის.

საგნისა და სიტყვის შეუსაბამობით გამოწვეულ დისკომფორტს თანამედროვე პოეზიაში ორგვარი რეციდივი მოჰყვა.

შეიქმნა ოპოზიცია კლასიკური ანუ კონვენციური ლექსისადმი და მოზდავდა ირონიულ-აპრიდიული ნაკადი.

ერთმაც და მეორემაც პოეზიაში განაზტკიცა ანალიტიკზმის აუცილებლობის გრძნობა. უნდოდათ გამოეცხადა სუგესტიური, შთამაგონებელ, უყოყმანოდ გასაზიარებელ ცნებებს.

ირონიულმა პოეზიამ ხელი მიპყო სიტყვასა და საგნის შორის არა მსგავსების შობაზე, აღნიშვნას, არამედ მათი გათიშვის ნათელყოფას. კულტურის სისტემის ღღის წესრიგში დადგა სიტყვისა და საგნის არა თანხვედრის განმტკიცება, არ ძიება ამ თანხვედრისა, არამედ მათი უწონლელი მსგავსების, როგორც ილუზიის გაფანტვის საკითხი.

სიტყვასა და საგნის შორის უფსკრული გაჩნდა. აღმნშვნელისა და აღნიშნულის თანხვედრილობა პოეტსა და სიტყვას შორის, განუწყვეტელი ინტიმის სახედისწერო სიმპატიმი აღმოჩნდა. ეს სიმპატიმი, დროდადრო, გაუცხოვების დრამამდე მიდის.

გავიხსენოთ ოთარ ჭილაძის „სექტემბერი".

მე მთელი ღამე
სიტყვას ვეძებდი,
რომელსაც უნდა გადაევრჩინე.
ის ცალკე იყდა და იცინოდა,
მე კი მიყვარდა და ვბრაზდებოდი
და ვრწმენდებოდი, რომ ვერასოდეს
ვერ მოვნახავდი საჭირო სიტყვას.
და ყველაფერი გადაწყდა უცებ:
მან გაისწორა ლამაზი თმები,
ლამაზი კაბა...
და შემომხედა,
როგორც ტურისტმა ცარიელ კედელს.

ეს პროცესი ჭლიბალურია და ესაა ენობრივი ცნობიერების დეცენტრალიზაციის სიმპტომი, როგორც ჩანს, მას აკისრია გარკვეული კულტუროლოგიური მისიის შესრულებაც.

შოთა ნიშნიანიძე ამგვარი ლიტერატურული ცნობიერებისადმი ოპოზიციურად გაწმსჭვალული პოეტია.

არავითარი დისკომფორტის შეგრძნება აღმნშვნელისა და აღნიშნულის თანაფარდობაში მას არ ახასიათებს.

მაძალებს ბელტი, მზით მოთესილი,
ირმის ცურიები გაკვეცილ სიტყვას
და გაზაფხულის ფიცი ლექსივით
ალქაჯი წვიმა სახეში მირტყამს.

სიტყვა „გაკვეცილია" მაშინ, როდესაც ის, როგორც აღმნშვნელი სავსეა აღნიშნულის მნიშვნელობით. არავითარი ბზარი მათ შორის არ განიცდება. თანხვდება სრულიად. ზეიმობს ჰარმონია.

ცხადია, ეს იდეალური შემთხვევაა პოეზიისათვის. მაგრამ ისიც ცხადია, რომ შოთა ნიშნიანიძე თანამედროვე პოეტია და ყველაზეთვის როდი ახერხებს „გაკვეცილ სიტყვასთან" იქონიოს საქმე.

დროდადრო, თუ რა ხასიათს იძენს ამ ფაქტის გაცნობიერება მის შემოქმედებაში, ამაზე ქვემოთ. მაგრამ მაინ ეოეზიის ამოსავალი კონცეფცია, მისი შინაგანი მოთხოვნილება და მიზნრაფება, რომ სწორედ ამგვარი სიტყვის ძიებაა, ეს ფაქტია.

ყოველივე ამის შემდეგ, რაც ჩვენი ლიტერა-

ტიკული პროცესის თავისებურებებთან დაკავშირებით ითქვა, — დავუბრუნდეთ „ქართულ ზღაპარს".

პოეტური ცნობიერების თვალსაზრისით შოთა ნიშნიანიძის „ქართული ზღაპარი", ისევე როგორც ამ ტიპის მისი მრავალი სხვა ლექსი, მსგავსების აღმოჩენის სიხარულია. ეს უაღრესად სერიოზული და მნიშვნელოვანი ფაქტორია.

როგორც ითქვა „თანამედროვე" პოეზიის ერთი დიდი ნაკადი ადგას მოვლენათა შორის არა მსგავსების აღმოჩენის, არამედ მსგავსების ცნობილი ნიშნების განგვიგვინების გზას. შოთა ნიშნიანიძე კი საგნებს რესტავრაციორის ინფრთხილით აცლის მათი არსების შემნილველ საფარველს და მათ მიღმა დაფულულ შინაგანი არსების ნარჩენის სიხარულთან გვაზიარებს.

ბონდის ხიდში ახე ოქნება აღმოჩენილი „ბეწვის ხიდი", „ელეფის ქალში" — ღვთისმშობელი, გუთნისდედაში — ქრისტე, ერთ ბიეში ამირანი, სოფელელ გოგონაში — დალი.

ცხადია, პოეტური საგნის არსსა და მოჩვენებითობას შორის იდენტიფიკაცია იქოფო იოლი საქმე არ არის. საგანი შეიძლება იმადაც გვეჩვენოს, (და ზშირად ასეეა), რასაც სინამდვილეში არ წარმოადგენს, მაგრამ აღმოჩენა სწორედ მისი არსის წვდომაა.

შოთა ნიშნიანიძის ლექსი ამ სულიერკვეთების დემონსტრაციაა.

მაგრამ აღმოჩენის მიღმა, რომელსაც ამირანი, ქრისტეს, ღვთიშობლის თუ დალის სახით შოთა ნიშნიანიძე მკითხველს თავაზობს, დგას თავად აღმომჩენი ანუ პოეტის მე. ამიტომ მკითხველისათვის სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს იმის მიხვედრაც, რომ პოეტის მიერ შემოთავაზებული ყოველი ახალი ინფორმაცია, ხედვის კუთხე, მოვლენის გაშუქების პოეტური პრინციპი არსებითად, მისი მე-ს თვითძებების, თვითმოუოვნის, თვითაღმოჩენის გამოსხივებაცაა.

დროის უწყვეტობა და ლირიკის ტიპოლოგია

შოთა ნიშნიანიძე ლირიკოსია. მაგრამ მისი ლირიკისათვის ნიშანდობლივია მიდრეკილება ეპიური საწყისებისაკენ. ეკრძოდ, პოეტური ცნობიერების ისეთი შრეებისაკენ, რომლებიც პოეტური ხორცშესხმის ფორმად საჭიროებენ თხრობის მოშენტს. აქედან ბალადის, ოგაკის, ოდის, ჰიმნის, ზოგჯერ სატირაში გაზავებული პოეტური რეფლექსიებიც, რომლებიც უხვადაა მიმობნეული მის პოეზიაში.

შოთა ნიშნიანიძე არსებითად, ნეოკლასიციზტური პრინციპების გამსახიერებელი პოეტია.

რაც შეეხება უანრობრივი მოდიფიკაციების საკითხს მის პოეზიაში, ეს ცალკე თემაა. ამ ამბერად, მას არ შევეხებით.

ამ თავისებურებას ახლა მხოლოდ იმის გამო ვიხსენებ მკითხველისათვის, რომ უფრო ხელშესახებად ვაქცინოთ შოთა ნიშნიანიძის ლირიკის ტიპოლოგია.

ამ ტიპოლოგიაში კი მართლაც ხელშესახებაა არის მისი მიდრეკილება საკუთარი მე-ს მრავალფეროვანების საწყისები დაძებნოს სამყაროს მრავალფეროვნებაში. აქედან — ჟანრობრივი მოდიფიკაციების სიუხვე, ისევე როგორც თემატიკური მრავალფეროვნება.

ლირიკა, ცხადია, სუბიექტური მიმართებების დემონსტრაციაა. მაგრამ ამ მიმართების ობიექტი შოთა ნიშნიანიძისათვის უპირატესად არის არა საკუთარი მე — არამედ გარესამყარო. პიროვნულ ძირებსაც ის ეძებს გარეთ: მითებში, ისტორიაში, წინაპრებში, რეალობაში.

ცხადია, ლირიკულ ლექსად ქცევა ეროველიკე გარეთ არსებულს გარდასახავს სულიერ კუთვნილებად, მაგრამ პოეტური ხედვის დინამიკა შოთა ნიშნიანიძისათვის მიმართულია გარედან შიგნით და არა შიგნიდან გარეთ.

ამგვარი შემოქმედებითი პოზიცია, როგორც პრინციპი ნათლადაა მის მიერ გაცნობიერებული.

მითებში,
სიზმრებში დავეძებ ფესვებს,
ვინა ვარ, საიდან მოვდიოვარ?
გენეალოგიის ბიბლიურ ხეზე
რომელი, რომელი ტოტი ვარ?
ტოტი ვარ — გაფოთლილი სტრიქონი —
ბუნების ძლევინ თუ ტარიგი.
ბუდედ ჩასს ქორონიკონი —
ჩემი დამაგების თარიღი.
კურთხეულ ოყავ, კურთხეულ,
სულ დევის პეშვივით იზრდები,
შენ გამიმრავლე, ბუდეო,
ჩემი სიმღერები — ჩიტები.

„ფესვებთან ძიების" ეს ეინი, თავისთავად, უაღრესად დამფიქრებელი სიმპტომია. დამფიქრებელი ამ მოკლენაში, უწინარეს ყოვლისა, არის ის, რომ „ფესვებთან ძიება" უკანასკნელი პერიოდის ლიტერატურულ ცნობიერებაში გარკვეული ტენდენციის სახით იწუეს გაფორმებას.

როგორც ჩანს საქმე გვაქვს გაცილებით უფრო ზოგად მოვლენასთან, ვიდრე ერთი პოეტის ცნობიერების სპეციფიკასთან.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში ეს ტენდენცია მძაფრად განიცდება: ირ. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, მ. ლებანიძის, ა. კალანდარიძის, მ. მაჭავარიანის, ო. ჭილაძის, ტ. ჭანტურიას, გ. გეგეშეკორის, ჯ. ჩარკვიანის, ე. ყვიტაიშვილის, თ.

ბეკინშვილის, მ. წიკლაურის და სხვათა ანალოგიური ხასიათის ძიებებში.

ცხადია, როგორც მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო. ხშირ შემთხვევებში განსხვავებული წარსულისადმი ამ პოეტების არა მხოლოდ ინტერესის, არამედ ამოცანების ხასიათიც. მაგრამ ფაქტი, თავისთავად, სახეზეა.

აჭ ერთი რამაა სრულიად ნათელი; მას შემდეგ, რაც „საგვარეულო ხისადმი" ინტერესი პოეზიაში იქცევა ერის ისტორიული ცნობიერების სარკედ, — როგორც ტენდენცია, ის უკვე „ისტორიული მეხსიერების" გამძაფრების მაუწყებლად გვევლინება.

ამ მიმართულებით თანამედროვე პოეზიაში მიმდინარე ძვრები აშკარად შეესატყვისება ეროვნულ მითოლოგიაზე ორიენტირებულ თანამედროვე მსოფლიო რომანისტიკას.

უფრო ზემოთ აღინიშნა, რომ შოთა ნიშნიანინძის შემოქმედებითი პოზიციისთვის დამახასიათებელი პრინციპული ოპოზიციურობა კულტურის სისტემაში შესამჩნევი წყვეტილობის გრძნობისადმი.

ახლა კი უნდა ითქვას, რომ ეს ოპოზიციურობა შოთა ნიშნიანინძის შინაგანი წყობის თავისებურება უფროა, ვიდრე ლიტერატურული პოზა.

შოთა ნიშნიანინძე, შინაგანად, მითოლოგიური პოეტია, „დროთა კავშირის რღვევის" სმპტომები მისთვის მეორადი, ცხოვრებისა და ისტორიის დროებითი და წარმავალი მტრიანი უფროა, ვიდრე შინაგანი თავისებურება.

ავანგარდისტ ან რომანტიკულ მხოფლშეგრძნების პოეტისაგან განსხვავებით ის არ ნებდება რიმე მოვლენის, შემოხვევის ან ფაქტის, (თუნდაც მძლავრის) ახსოლუტიზაციის ილუზიას. დრო მისთვის დაურღვეველი, შინაგანი კავშირის მფლობი, უწყვეტი ნაკადია, როგორც კანტინუმი.

ამიტომაც ზოგიერთისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე წყვეტილობის შეგრძნება კულტურის სისტემაში მისთვის შინაგანად მიუღებელი და უცხო ფაქტორია. დროს და კულტურას ის აღიკვამს, როგორც მთლიან და უწყვეტ პროცესს.

ამგვარი ცნობიერება შოთა ნიშნიანინძეს ანიჭებს სრული გარანტიის შეგრძნებას თავისუფალი ეკსკურსებისათვის არა მხოლოდ წარსულში, არამედ დანაწევრებულობის დაღით აღბეჭდილ მომავსეულ ლიტერატურული სკოლების ნამფიფლიელობებზეც.

ამ უკანასკნელის შესახებ უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი. რაც შეეხება ეკსკურსს წარსულისაკენ, უნდა ითქვას, რომ ეს ეკსკურსი მისთვის ასევე ორგანულობის, ძალდატუნებლობის, თავისთავადობის დაღითაა გარემოსილი. კონფლიქტი წარსულსა და თანამედროვეობას, მამებსა და შვილებს შორის მისთვის მოხსნილია დროის კანტინუუმის დიდ ობიექტში გათანაბრების, თანაზიარობის, დიალოგიზაციის საფუძველზე.

მე რა ვიცოდი თუ წინაპარი
მითვალთვალებდა სათოფურიდან,
თუ ჩემს სტრიქონებს, როგორც ნაპრალებს,
ენინღიღილთ ხელში ჩამოუვლიდა,
თუ გადასწვედა ქორონიკონებს
და ისეუპებდა ციხის ბოდლიან,
ლექსს შეტეხავდა ნედლ-ნედლ სტრიქონებს
და სალამურა — სტვირს გამოსცლიდა.
დრო და მანძილზე დგას ნთლის შუქად
მხედარი, ბერი და კირითხურო;
ფარს გამომიწვდის და როგორც რუქას,
ქართლის ცხოვრებას ისე გაითხოვნს.
პატარა ფარზე წვეს ლეგენდებად
ძველი ომები და ისტორია,
ყველა საქმე და შემოქმედება
რითაც ვსუნთქავდით და გვიცხოვრია.

სინთეტიზმის საფუძვლებისა და ამოცანების გაგო

შოთა ნიშნიანინძე პოეზიაში იმ დროს შემოვიდა, როდესაც ქართულ პოეტურ პარნასზე ორხელისუფლებიანობის დროშა ფრიალებდა.

ქართული ნეოკლასიციზმი მშვიდობიანი თანაარსებობისათვის იწვდიდა ხელებს ნეორომანტიზმისაკენ.

მაგრამ ორთავე შემოქმედებით პოზიციას „ნეო" იმიტომაც უძღვის წინ, რომ პირველნდელ სახეზე ორივეს ემჩნეოდათ რეალიზმისა და ისტორიციზმის მწარე გამოცდილების ნაკვალევი.

60-იანი წლების გასწვრივ ამ მიმართულებებს გადახალისების კიდევ ახალი საფეხური დაუდგამ.

70-იან წლებში ისინი შინაგანი რღვევისა და ულმობელი პროფოცირების ატმოსფერომ მოიცვა.

ეს პროცესი დღესაც გრძელდება...

ჯერ იყო და 50-იანი წლების გასწვრივ თვით გალაკტიონმა დაიწყო გადაიარაღება კლასიკური სისადავისაკენ.

60-ინი წლების გარკვეულმა ნაწილმა და შემდეგ 70-წლებმა მთელი ნალმსატყორცნები შემოუფლეგენ ფასეულობათა, როგორც ნეოკლასიციზტურ, ისე ნეორომანტიკიულ ცდადევლებს.

შოთა ნიშნიანინძე ამგვარ ლიტერატურულ პოზიციათა შეჯახებების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

შოთა ნიშნიანინძე მოწოდებით მოძრავი და მოკმედი პოეტია. ასეთი პოეტი შეუძლებელიც იყო ინერტული დარჩენილიყო იმის მიმართ, რაც მისი დროის ლიტერატურულ ცნობიერებაში ხდებოდა.

ახალი თაობის გარკვეულმა ნაწილმა ეერიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიტანა იმ პრინციპებსა და ფასეულობებზე, რომლის ქომაგი, განმასახიერებელი და პოეტური ლადერიც ისა.

ამ ფაქტის მიჩქმალვა და აღუნიშვნობა შეუძლებელია...

ახალი თაობა დროის მოთხოვნების რუპორიცაა.

შოთა ნიშნიანიძემ გამოწვევა მიიღო.

ბრძოლა პოეზიაში, არსებითად, არის ბრძოლა აუდიტორიისათვის. შოთა ნიშნიანიძემ უკვე თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო და არც ერთ ეტაპზე არ დაუკარგავს აუდიტორია. შემოქმედებითი პოზიციები კი არ დაუთმია. იცვლებიან მოდები და პოეტური პოზიციები — უცვლელი რჩება შოთა ნიშნიანიძის ლექსისადმი ინტერესის სიმძაფრე.

რით შეიძლება გვმოვნებისა და მოდების ცვალებადობის თავბრუდამხვევ ატმოსფეროში პოეტმა შეინარჩუნოს მყარი ლიტერატურული პოზიცია?

ცხადია, არა მომიჯნავე ან ოპოზიციური ლიტერატურული სკოლების პრინციპებზე გადაიარაღებთ.

ეს ერთ ყვავილიდან მეორეზე გადამფრენი პეპელობაა. ამგვარი შემოქმედებითი პოზიციის შედეგები, როგორც წესი, არის ეკლექტიზმი, ან პირადენული სახის დაკარგვა ლიტერატურაში.

მეორეს მხრივ, შეუძლებელია პოეტი ანგარიშს არ უწევდეს გემოვნებისა და ინტერესების სახეცვლილების მიზეზებს პოეტურ პარნასზე. განა შეიძლება პოეტი არ ამოწმებდეს და თვალს არ ადევნებდეს ფასეულობების ინდინამიკას და ზოგჯერ ულმობელ ტრანსფორმაციასაც, რომლის დამამკვიდრებლად თავად გვევლინება?

ცხადია, არა.

მაშ პოეტური ინტუიციის რა სახეობას ძალუძს შემოქმედებითი ხომალდი გაადაროს ათასგვარ ქარტეხილებსა და მეჩეჩებს შორის და უფრებლად მიიყვანოს გაჩიარდნებულ ნავსადგურში?

ცხოვრება პოეტური ინტუიციის ერთადერთი სახეობაა; ეტყობა არის მხოლოდ ცხოვრება თანამედროვეობით, ცხოვრება მისი პრობლემებით, ამოცანებით, რომლებიც სავსეა შეკვლებათა გრიმასებითაც, და სტოიკური უდრტვინველობითაც.

არა მოდა და არა განსხვავებული პოზიცია! არამედ ცხოვრება, მარადიული სიცოცხლისა და დაბადების თანმხლები სატკივრითა და სიხარულთა; აი, ცვალებად ლიტერატურულ მეჩეჩებს შორის შოთა ნიშნიანიძის პოეტური ხომალდის გამყვანი ინსტინქტი.

ამ ინსტინქტს შოთა ნიშნიანიძის მრავალგაგება მიჰყავს ცხოვრების, როგორც მუდმივი საბრძოლო ასპარეზის გააზრებამდე. ამ ასპარეზზე „მგლური კანონი“ ბატონობს. ეს კანონი ტოტალურია. „მგლური კანონი“ მძლავრი სასიცოცხლო ინსტინქტების გამოძახილია. ამდენადაა ის ბალადის თემა. იმავე დროს, გამოძღინარე შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებითი პრინციპებიდან, ეს კანონი თვითადმოჩენის სტიმულადაცაა ქცეული.

ჩემმავე ლექსის ბწყარებში დამწყვდეული
ვარ მგლისებრ,
მგელივით მივდი-მოვდიკარ, ძლიეს
ვატრიალებ კისერს, —
მაღიზიანებს მკითხველი, ცნობისმოყვარედ
მიმზერს.
ქეჩოს მგელივით ავიშლი, სათქმელს
ყმოღლით მოვეჩრი. —
ტუჩს გადამიხლეჩს სტრიქონი-მგლის
ალესილი ღოჯი.
ჰაუ, სატკივარს უხდება კბილის გაკვრა და
გესლი,
ვაითუ ჩემი ვიშვიში მხოლოდ გალობად
გესმით.
ხანდახან შიშიც ამიტანს, თავს შევეწყრები
ხისტად:
იქნება ღვთის ხატს ვატარებ და ბუნაგი
ვარ მგლისა?
და ჩემში მგელი ამთქნარებს მგლური
კანონის გამო,
მფხოტნის და მეწყურწყურება, გარეთ
გაეარდნას ლამობს.

თვითშეგრძნების ასეთი ინსტინქტი შეიძლება ჰქონდეს იმ პოეტს, რომელმაც უწყის, რომ პოეზია არსებობს „არა მხოლოდ ტკბილ ხმათათვის“.

აქედან — დასამახსოვრებლად მიიღებელი შტრიხი მკითხველთან ახალი დამოკიდებულების გაჩენისა —

მაღიზიანებს მკითხველი, ცნობისმოყვარედ მიმზერს!

უფრო ზემოთ, მომიჯნავე და ოპოზიციურ პოეტურ ცნობიერებათა შორის შოთა ნიშნიანიძის ორიენტაციის თვისებურება ვახსენე.

რაკი სტტყვამ მოიტანა, იმასაც ვიტყვი, რომ ამ პოეტურ პოზიციათაგან ზოგს სატკივრისათვის სწორედ „კბილის გაკვრა და გესლი“ აქვს მინიეული ამოსავალ კონცეფციად, ზოგს „ვიშვიში“ გაუხდია მუზად, მავანთათვის უზრუნველი გალობის ხმაა პოეზიის საგნად, ვისთვის საკუთარი სული და თვითმხილება და ვისთვის კიდევ რა.

შოთა ნიშნიანიძე არც ერთი მათგანით არ იფარგლება. უფრო ზუსტად, ის ლაღად და თავისუფლად გრძნობს თავს პოეტის ნებისმიერ

გიორგი გაჩიჩილაძე
გზა სინთეტიზმისაკენ

ამპლუაში, — არ „წუნობს არც ერთ კილოს“ პოეზიისას.

მისი ამ თვისების გამო აღინიშნა ისიც, რომ თავისუფალი ექსკურსებისათვის მომიჯნავე და ოპოზიციურ პოეტურ ცნობიერებათა შორის, ის მზადაა.

მან უწყის საკუთარი მე-ს მოუხელთებლობით გამოწვეული სულის დრამა გამოხატული სახისა და ნიღბის გამორიგებელ რღვევაში.

სოციალური როლითა და ფუნქციით გამოგმული სახის ტკივილი შოთა ნიშნიანიძის პოეზიის საგანგებო თემაა.

ეს თემა მასშტაბური რეალიზაციას პოულობს ისეთ ლექსებში, როგორიცაა „ნიღბები“, „პანტომიმის ფილოსოფია“, „ჭინკასთან საუბარი“, „თასსში ერთხელ ხელთ მიპყრია“, „შეშლილი პოეტის მონოლოგი სამი ფაბულით“, „რეალიზეტის ფილოსოფია“ და სხვა.

დროდადრო შეშფოთებულსაც ძალუძს გამოცახადოს —

ნუ მეკითხები ვინაობას — იგი მომპარეს.

ჰქედან შოთა ნიშნიანიძე შეუფერებელად შედის გროტესკის „გადმობრუნებულ სამყაროში“ და თავდაყირა დაუენებულ საგანთა მიმართებებს უსწორებს თვალთამზერას.

ჰქედან სრულიად ნათელია მისი სატირისა და პუბლიცისტური პათოსის ამოსავალი კონცეფციაც,

მაგრამ, ამჯერად, ეს არაა ჩვენი ანალიზის საგანი.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიის ეს ტენდენციები, ამჯერად, სხვა მოსაზრებით იქნა მოხმობილი. კერძოდ, ამ ტენდენციების ერთ ფოკუსში თავმოყრამ პასუხი უნდა მოგვცეს შოთა ნიშნიანიძის შემოქმედების უმთავრეს თვისობრიობაზე.

ესაა კონცეპტუალიზმი.

საქმე ისაა, რომ შოთა ნიშნიანიძე არის მომენტზე ხმენაგამახვილებული პოეტი.

თავისი მასშტაბებით და მნიშვნელობით საგნებისა და მოვლენების შემოსაღებლობით მისი ლექსი-კონცეფციები, ზოგჯერ, იძენენ ეთიკური და ფილოსოფიური განზოგადების იერს. „ხერობის ღამე მ. ბერძენიშვილის ძეგლთან“, „ქართველების გასაგონად“, „საკაძის სამი ცხენი“, „კომუნისტები“ და სხვები მიზნად ისახავენ არა მხოლოდ ეროვნული ცნობიერების გარკვეული ნიშნების პოეტურ ფიქსირებას, არამედ მათთვის პროგრამული მმართველობის მინიეგბასაც.

თუ რამ სადაოა ზოგჯერ პოეტთან, სადაოა სწორედ ეს კონცეფციები.

თუ რა აერის ამ კონცეფციებში სადაო, ამის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი.

რაკი ჩვენი ყურადღების ცენტრში ამჯერად შოთა ნიშნიანიძის პოეზიის საერთო თვისობრიობაა, დავუბრუნდეთ მისი კულტუროლოგიური პროფილის გარკვევის საკითხს.

რა ცნებით შეიძლება იქნას დახასიათებული თანამედროვე კულტურის დანაწევრებულ ფონზე შოთა ნიშნიანიძის მიდრეკილება კონცეპტუალურობისკენ?

სინთეტიზმით და მხოლოდ და მხოლოდ სინთეტიზმით? როდესაც ლიტერატურული პროცესის ფონი დაღარულია ურთიერთსაპირისპირო ნაკადებით, სინთეტურობის განმასახიერებელი შემოქმედებითი პოზიცია საკუთარ მხრებზე ყოველისმომცველობის ტვირთის მისითი იმსჭვალება.

თავისი კულტუროლოგიური ძიებებით, შოთა ნიშნიანიძე, ამგვარი მისიის შესრულებასაკენ ისწრაფვის.

გზა სინთეტურობისაკენ მის პოეზიაში ორი მიმართულებით წარმართა: კულტურულ-შინაარსობრივი და ფორმალ ვერბიფიკაციული.

პირველ შემთხვევაში, მიუხედავად მხატვრული მეთოდის ინდივიდუალობისა შოთა ნიშნიანიძე ბევრადაა დავალებული გალაკტიონ ტაბიძის ტრადიციისაგან.

ჩვენი სუკუნის პოეზიაში მსოფლიო კულტურის ფაქტები გალაკტიონმა აქცია ქართველი კაცის სულიერ კუთვნილებად.

ქართული კულტურის გამოცდილება მან მსოფლიო პრობლემატიკის დონეზე განვავცდევინა.

სინთეტურობის ეს გზა ლიტერატურის ისტორიაში არა ერთხელაა ნაცადიც და შემოწმებულიც.

მაგრამ ეს გზა სანდღისწეროცაა: მეთოდის გარეგნული სიმარტივის მიღმა დაფარულია ეროვნული და მსოფლიო კულტუროლოგიური მასშტაბების სირთულე.

ამ სირთულესთან შეუსაბამო პოეტური ინდივიდის ხელში ეს მეთოდი შეიცავს ეკლექტიზმის საფრთხეს.

შოთა ნიშნიანიძემ ეს მეთოდი მიიღო და იპოვა მისი ხორცშესხმის საკუთარი კუთხეც.

ამ თვალსაზრისით მკითხველს ვურჩევდი გულდასმით წაიკითხოს, უპირველეს ყოვლისა, ლექსი „ელასა-მელასა ანუ ქართული ნადიმი“.

ეს არის ჰუმორსა და ფანტასტიკაში გაბაუებული ხილვა. მითისა და რეალობის წნულში ქართველი კაცი და ქართული სუფრა განფენილია ანტიკური კულტურის თანამზიარე სამყაროსაკენ. ამ კულტურის ყველა კეთილი და ბოროტი სული, ყველა პან-თეონი და პან-დემანი ქართულ სუფრაზე იხსენება თავისი არსების თვალსაზრისით.

მხატვრობისთვის შეჩვეული თვალთამზერისთვის ცნობილია, რომ მრავალფაგურიანი კომპოზიცია საჭიროებს მთლიანობაში აღქმას. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსიდანაც რომელიმე სტროფის, როგორც დეტალის ხაილუსტრაციოდ ციტირება მთლიანის გაუთვალისწინებლად, არ შეიძლება.

ახლა სხვა მაგალითი გავიხსენოთ.

იმავე პოეტური პრინციპისა და მეთოდის საშუალებითაა შესრულებული ლექსი „სავადმყოფოს კედლის აქეთ და იქით".

ეს არის სამყაროს „სხვანაირი ფოკუსით" აღქმის გზა, რომელშიც მოხსნილია დროითი დისტანცია და „ფინჯანში დალეკილ ყავის მირაჟებად" ცხადდებიან მსოფლიო ისტორიის მითად ქცეული პერსონაჟები: ბუდა და ნაპოლეონი, იულიოს კეისარი და პაატა.

ამ პოეტური მეთოდის შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით ეძებნება ხედვის კუთხე ადამიანის ყოფიერების თანმხლებ ისეთ შეგრძნებას, როგორიცაა შიში.

შიში თანაბრად განმსჯველია თემაა, როგორც ადამიანის ფილოსოფიურ-ონტოლოგიისა, ისე ფსიქოლოგიისა და ნეიროზებისა.

სულხან ნახა ორბელიანი „ჩრუნვას" განმარტავდა როგორც „დაცემის შიშს".

ჩრუნვის ფილოსოფიურ-ეთიკურ კატეგორიასთან გადაჯაჭვული შიშის შეგრძნება შოთა ნიშნიანიძემ აქცია პოეტური რეფლექსის საგნად.

თუ ზემოთ მოხმობილ ლექსებში გზა პოეტური სინთეტიზმისაკენ, ძირითადად, კულტუროლოგიურ საწყისებისაკენ იყო მიმართული, ლექსში „ვისი სული გსურს? ანუ სპირტული სეანსები" შოთა ნიშნიანიძე შეეცადა მის მიერ არჩეული მეთოდის სრულყოფას უკვე ვერსიფიკაციული თვალთაზრისითაც.

სათქმელის პედალიზირების თუ ხედვის განსხვავებული კუთხის სარეალიზაციოდ შოთა ნიშნიანიძე ამმოვანებს თანამედროვე ლექსის თითქმის მთელ კლავიატურას: კლასიკური ლექსის რითმული ინტონაციებიდან. თეორი ლექსის გავლით, ვერლიბრამდე.

ამგვარი შემოქმედებითი მეთოდოლოგია შოთა ნიშნიანიძის პოეტური ცნობიერების შედარებით ახალი შტრიხია.

წინ ჯერ კიდევ ამოუწურავი, ჯერ კიდევ უსაზღვრო ჰორიზონტია გახსნილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ბენაშვილი

„დრო ხედავს ახალ გზისკენ გადახრას“...

„იქნებოდა განსაცვიფრებელი, აღმოჩენილიყო, რომ ხანელი იმდენადაა მშვენიერი. რამდენადაც მასში მოიძებება ბუნდოვანი და ბნელი რამ, მაგრამ ალბათ, იმ შემთხვევებში, როდესაც სიბნელე მისი სრულყოფილებიდან, არაჩვეულებრივ სიტყვათა შერჩევიდან, აზრის მოულოდნელი მიმოქცევიდან მომდინარეობს, საქმე სწორედ ასე წარმოიდგინება. ცხადი ერთია: მშვენიერში ყოველთვის ხილული და უხილავი სილამაზე ეხამება ერთმანეთს. ცხადია მეორეც: მშვენიერი არასოდეს გვიბიძავს ისე ძლიერ, როგორც ყურადღების ძაბვითა და ქმნილების „ენის“ სანახევროდ გაგებით“. (ე. ფუბერი). ფფეკრობ, ლია სტურუას პოეზია ამ ეთეტიკური კრიტერიუმებიდან უნდა იქნას გაანალიზებული. აზროვნების განსაკუთრებული ღრმად ინდივიდუალური მანერა აუცილებლობის კარნახით არჩევს თითქოს სწორედ განსაკუთრებულ სიტყვათა მადანს, გულმოდგინენით ახდენს მათ კონსტრუირებას და საჭიროვნო იმპულსებით დატვირთვას. ბუნებრივია, რომ პოეტის შემოქმედებითი პროცესი უკიდურეს ყურადღებასთან და გონების ძალთა მობილიზებასთანაა დაკავშირებული. თავისუფალი ლექსის სტრუქტურა, სხვათაშორის, მოხდენილად ითავსებს უჩვეულო შედეგაციათა ფარულ რიტმსა და ხილვის შინაგან ელასტიკას.

ადამიანები
ყოველ საღამოს კარგავენ ერთმანეთს,
რომ მერე საკვდილამდე ეძებნონ
და მათი კანი, როგორც მერქანი
იკოჭრება და იძენენება...
ადამიანები
ყოველ საღამოს კარგავენ მზეს
და როცა გრძელდება მათი ჩრდილები,
ისინი ურმებს ავსებენ თივით
და ხორცსავსე ცოლებით
და ურიცხვი შვილებით
გადიან მინდორში და ჩამავალ მზეს
ძეგლებივით უდგამენ ზვინებს...
ადამიანები კარგავენ ყველაფერს,
გარდა მზის...

ეროვნული ლექსის ტრადიციებზე ამ ტიპის ლექსების სტრუქტურა (ალბათ მთლიანად მისი პოეზიაც იგულისხმება) ფერწერული პლასტიკის კანონებს ეფუძნება. მათში სიტყვა მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც იგი წარმოადგენს „ფიალს“ იმპრესიათა ალმასაცენტლად — «Это живопись, удлиняющая тела лошадей, приближающихся к финишу на ипподроме» (ო. მანდელშტამი). მათში აღწერილია სწორედ ის, რაშიც იკითხება ბუნებისა და მატერიალური სინამდვილის შეჩერებული ტექსტი:

მე შენ გიყურებ ლომის თვალით,
ჩვენ ვდგავართ ცირკის არენაზე,
შენ მაჯობე ჭკეით და ცეცხლით
და უსასრულოდ მთვინიერებ...
მაგრამ მაინც მიდიხარ რისკზე
და როცა მე ძაღლივით გელაქუცები,
შენ მკერდზე ხორცის ნაჭერს იკიდებ...
მაგრამ შენ რომ შემოგხედო ჭიაზვეულს
თვალით
შენ შეგიძლია ჩამოხვიდე, ჩემი ბალახის
სიმაღლემდე,

ეს ტენდენციები ბუნებრივია, ეს ტენდენციები ბუნებრივია, ეს ტენდენციები ბუნებრივია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მე უმაღლესი ხე მგონია,
და შემამჩნიონ?...

პოეტის ფერწერულ წარმოსახვებში საგნები თუ ე. წ. ვიზუალური პეიზაჟები ჩვეულებრივი. თვალთახედვიასთვის ნიშნეული სახით თოვილის არასოდეს ჩნდება. ისინი გონებისა და აზრის ურთიერთს სპეკტრში ირეკლება და ჩვენს წინაშე თითქოს „დეფორმირებული" კონტურებით ცოცხლდება:

გამომგზავნელი იდგა სახლი,
მაყურო ქუჩიდან ქარის ბოლოში
გადატანილი...

მგელივით უნდო და საშიში,
მსუყე გინებით წამალწილი კედლების
გამო,

იცავდა შაქრის მოგონებას
კარტოფილის ნაფაქვეზენის
მოძალებისაგან...

პოეტური ხატის ანსტრაგირება, მისი შემადგენელ ნაწილებად დაშლა და ამ გზით მისი მდგომარეობისა და ხასიათის ორგანულური წარმოსახვა გონებრივი თვალსაზრისის ფრიად საინტერესო მასშტაბებს ავლენს. პოეტის ამგვარ ძიებებში სახლელია ერთგვარი „ბრძოლა" მთლიანის წარმოსახვისად, აზრით მოპოვებულის განსახახიერებლად. ბუნებრივია მხოლოდ მეტაფორის „დაბმარები" არის შესაძლებელი მოიძიო ფორმადაქმნილი ინტენტების კონკრეტული ნიშანი:

შეუმჩნეველი კაცი იყო, მთელი სიცოცხლე
ქალაქურად მოხრილი მხრებით
ოჯახისა და სამსახურის ჯვარს ატარებდა,
მაგრამ როდესაც მისი შვილების
ფრინველივით გაწეული ყელში ჩამდგარ
წკრიალს

მსუყე შეუამანდს დაასხამდნენ
და კოკონივით ჩაკრობდნენ,
ის გავიდოდა მაშინ სახლიდან,
ხელებს უგონოდ აიქნევდა და ხედ
იქცეოდა,

ხოლო შვილები—ვარსკვლავებად,
მის ტოტებზე ჩამოსხდებოდნენ
და გამეოლავი სიახლოვე იყო მათ
შორის...

ნიშანდობლივია, რომ, ბისა და ვარსკვლავებას პლასტიკური მეტაფორა ერთ კონკრეტულ ამოცანას ისახავს მიზნად, ეცრქოდ მოგვაცეს ხაზოვანი სტრუქტურის შინაგანი ხატი, ჩვეულებრივი პროზაული ყოფიერების გამომრიცხავი, ამაღლებული და პოეტური სიმბოლო. მაშასადამე, რა ხაოკარიც არ უნდა იყოს ფორმა შინაარხი — კონცეფციიდან იქერწყება, რომელიც თითქოს ხამოსელივით ეფინება მის „ხსეულს": ამდენად ჩვენს ცნობიერებას პოეტის ინდივიდუალური სტილსსტიკის ფრიად არაჩვეულებრივ ბალანსთანა აქვს საქმე. მის (სტილს) ხელეწიფება ფორმოსახოს მოქმედება, მოძრაობა, პოზა და ყოველივე ის, რასაც მიანიშნებ ხაზულია ჰქვია. იგი ხასულპტურულია ამ შემთხვევაში. თუმცა ისიც საცნაურია, რომ, მისი ხკულპტურული სახე მხოლოდ გონებრივი განწვალებით მიღწეულ ნაკვთებს ანუ არამატერიალიზებულ ფაქტურას ეფუძნება. ახე რომ, ლექსის თხრობადი ელემენტი მხოლოდ ინტელექტუალური ძაბვის ნაყოფს წარმოადგენს და ბუნებრივია მისი ალმაც მკითხველის ანალოგიურ მიმართებას თხოვს. მახში, პოეტური ხატი მხოლოდ ხაკუთარი ხაშემხრულებლო ხელოვნებით ხდება, მკითხველისათვის საცნაური, რამდენადაც მისი პოეტური ენის ვირტუალური ბუნება, მდიდარია პოლისემიური ხასიათის შეხაძლებელი მნიშვნელობებით. ცალკეული სიტყვები, თუ სიტყვათშეთანხმებანი, ჩვეულებრივი ყოველდღიური ხმარებისაგან „ეაცეთიფლნი", შეიგრძნობიან ახალი და განსაზღვრული მნიშვნელობით — მანამდე დაფარულითა და ინდეფერენტულით:

მეორე დღეს მარტო რჩებოდა.
მაგრამ მისი სალაპარაკოდ განწირული
ყელის უფსკრული

გაცვეთილი სიტყვების ხრეშით
ამოვსებულები, უმწეოდ ღუმდა,
ხოლო მუზის მოლოდინი
ისეთ გაუძლის მარტობად იქცეოდა,
რომ ის ჩართავდა ტელევიზორს
და ათასჯერ ნანახი ფილმის თვლემის
მომგვრელი პერსონაჟი

შემოდიოდა ცარიელ ოთახში,
მისი ჩაის სმის ქარვისფერ ჩრდილს
ეხიზნებოდა

და ქათქათი გაუდიოდა ვერცხლსა და
შაქარს...

პოეტისათვის ორგანულია თხრობისა და აღწერილობის ფრიად ინდივიდუალური მხატვრული კონცეფცია. ყველაზე არსებითი ნიშანი ანუ მისი ეხეთეტიკური ფერშენტი — პოეტური ხასეებისა და ეპიზაჟების ალეგორიული პლასტიკაა. სწორედ იგი იძლევა ხასურველი განცდის იმპულსებს.

მე კი ქუჩაში გამოვდივარ
ხეებზე უფრო უხდება ქალაქს
ასიმეტრიული ფორმის კაკტუსები
და თითქოს ყურებიდან ცვლილ სცოცბები
ამომაცალეს,

ისე ხმაურობს დაწმენდილ ნიკარებში
ზღვის მოქცევა...

და მე ვიცი, რომ მაქვს უფლება
ხმელი ფოთლებით მოფენილ ეზოში
ვიჯდე,

ზღვა მივლიდეს გარშემო, როგორც
ხმელეთს

ბუნამ ბენაშვილი
„ფრო ხედაკმ ახალ გზისაკენ გაადახრას"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საკუთარი სრულყოფილების
შეგრძნების მაძლევდეს,
ხოლო ხეებიდან ბინდივით დიოდეს
ლეღვის შაქარი ოისფერი...

ამ ლირიკულ მონოლოგში პოეტის **განცდილსა თუ განსაცდელ სულიერ მდგომარეობას ვეცნობით, რომელიც სწორედ ალეგორიული პლასტიკის მხატვრული მეთოდითაა „ზერსულებული“. ლირიკულ ემოციათა ემბლემატური აქსესუარები, რაც ამ ლექსში მოიძიება სულიერი პეიზაჟისა და ეკზოტიკური ინტერიერის გასამკვეთრებლადაა თითქოს მომბობილი და ლოგიკურად იწერება ლექსის სტილისტიკურ სტრუქტურაში.**

ლია სტურუას პოეტური ხელოვნება რომანტიკული მსოფლგანცდისა და **მსოფლმხედველობის გამოვლენად წარმოიდგინება. ესთეტიკურ პირობითობებსა** და **კანონიკურ პრინციპებს განრიდებული იგი პოეტური აზროვნების ახალ ფორმათა დამკვიდრებისაკენ ილტვის, რომელნიც ყველაზე უფრო სრულად გამოხატავენ საკუთარ განცდათა ინტენსივობას.**

მე მდის სინათლე და ჭირის ოფლი,
რომელიც ღამის კუბომდე მყოფნის
ქვაბით და ცეცხლით და სუფრის
ვერცხლით
მიჭედილი მაქვს მხრები ყოფაზე
და ყოველ დილას ვიტკეცე კეფას,
ხოლო შიგნში მექეცვა ფვლეფი,
ძნელია იყო ოჯახის ღერი,
მიუხედავად ძლიერი ნების...,

ყოფიერების რომანტიკული განცდა, საკუთარი სულიერი „პეიზაჟების“ ლირიკული გაცხადება, პოეტის ვრძნობად-ემოციურ სამყაროს ცოცხალსა და **უშუალო სახეს ანიჭებს. ბუნებრივია მისი მხატვრული კრედო უშუალოდ ემორჩილება პოეზიის საერთო სისტემას, თუმცა ისიც საგნაურია, რომ მისი ჩარჩოები ერთგვარ განვრცობილ სახეს იღებს და მუსიკალური ხელოვნების ანალოგიით ჰბადებს იმპროვიზაციის მეთოდს.**

მინიშნებათა და **ასოციაციათა სისტემა პოეტს მთელ რიგ ლექსებს რთულად გახაგებსა ხდის. ალბათ ძნელია პოეტის მხატვრულ „ენოდთან“ განდგომის გარეშე სრულყოფილი განცხადერება იმგვარი პოეტური მედიტაციებისა, რომელიც „მაძღარი“ კაცის სიზმარეულ ჩვენებებს წარმოგვიდგენს:**

თეთრი უდაბნოდან გამოდის კაცი,
მდუღარე ცარცი, გაყინული და ქვად
ქცეული,
რომელსაც უჭირავს თეთრი ფუმბები,
ცარიელი ფუმბები
ხოლო მიწაზე ხეების ნაცვლად
იზრდება სკების თეთრი ჩონჩხები
და პირაშქმული ორი თაგვი
თეთრი და შაგი
თაფლის ერთ წვეთში საწყურივარ
თხოოოოენ
და კაცს რომელსაც აფაარეს ცარცის
ნიღაბი,
თვალთაგან მოსდის ცრემლის წყარო,
ჭრილობიდან მარწყვის თუ ალუბლის
წვენი
და ენატრება საკლავის მთები,
სურნელოვანი და სისხლიანი,
ხოლო სიზმარი ისევ ნარინჯისფერ
საწყისს უბრუნდება...

შინაგანი ხილვების რეალური კონტურები, ვითარცა ყოველი სიზმარი სცილდება გარეგან სიმართლეს და თითქოს სამყაროს სურეალისტურ მოდელს წარმოსახავს, უჩვეულო განზომილებებითა და **ფრიალ გონებაგვრეტითი პოეტური ხატებით. მათი სრულყოფილი გააზრებისა** და **ცნებითა ენაზე ამეტყველების შესაძლებლობა მაჭისმალურ სიძნელეებს უკავშირდება:**

საკოსტერტო დარბაზის ოქროვან ღრეში
ჩაბეღილი ვართ ოთხი ლურსმნით —
ოთხი კიდურით,
ღირსეულად და ლამაზად თვლემენ
მამაკაცები
ბრინჯაოს ყალიბში ჩასხმული ცომი,
რომელსაც ქალები გავარვარებულ
ლავას ადარებენ,
როგორც მოითხოვს ერთ დროს მეომარი
ერის ეთიკეტი.
ქალები ერომანეთს ათვალიერებენ:
ხომ შეიძლება, რომელიმე წრეს
გადავიდეს,
მხრებზე შაქარი დაიყაოს
და პირდაპირ ლავიწოს ძვლებზე დაიდგას
თავი,
რომლის ფუძდან ამოიზრდება
იმპულსების წითელი ვარდი...

პოეტის იმპროვიზაციები თითქოს გონების ერთგვარი თამაშია, რომლის ძალისხმევა მსგავსებისა და **ილუზიის ახლებურ კავშირთა საფუძველზე იკრეს ძალას. კომბეკური ილუზიებისა** და **ბუტაფორიების ფონზე სიზმარეული ჩვენებების მაცთური გრძნობები აღმოცენდება — ეს ის მდგომარეობაა, როდესაც მეტაფორები, შედარებები** და **ალეგორიები განსაზღვრავენ ენის პოეტურ სივრცეს.**

თავს უფლებას მივცემ პოეტის სემანტიკური სტრუქტურით უაღრესად გართულებულ რამოდენიმე ლექსზე ჩემეული აზრი გამოვთქვა.

ლია სტურუას პოეტური ოპუსები გარკვეულ ეპიზოდებში განიზიდება ხოლმე აზრთა დისკურსიისაგან და **ძირება თავის სიღრმისეულ თვითშემოზღუდვაში. იგი ერთგვარად ცალკეადება იმ ღირებულებათაგან, რომელთაც ტრადიციულად „ზეიერობაში“ მოიყვანდა მხატვრული სიტყვა (ესრეიოდ ბუნებრიობა, სიმართლე, სიამოვნება) და თავისი საკუთარი სივრცით**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამკვიდრებს უცნო განზომილებებთან ზიარებისა და გრაციოზული მეელოსის უარყოფის პოეტიკას. ამგვარად, ლექსალური შესაძლებლობა ერთგვარად იკეტება და უბრალდება საკუთარ თავს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოეტური სიტყვის მთელი შინაარსი, მხოლოდ საკუთარი ფორმის გაცხადებაზე დაიყვანება. ამდენად, მკითხველის ცნობიერების ლექსთან დამაკავშირებელი ყოველი ძაფი „მდის“ მოუხელთებელ, განუმეორებელ, წამიერ დროს ახსოლუტური მნიშვნელობის წერტილთან — წერის უბრალო აქტთან. სწორედ იმ მომენტში, როდესაც ენა, ვითარცა განკრცობილი სიტყვა უნდა იქცეს შემეცნების ობიექტად, იგი ჩვენ წარმოგვიდგება განსხვავებული თვისებით — ვითარცა მდუმარე, ქაღალდის სიჭთქალიზე მზრარველად გამოუვანილი სიტყვა, სადაც მას არც ხმოვანება შეიძლება ჰქონდეს და არც მოსაუბრე მყავდეს, სადაც მას თითქოს არაფერზე შეუძლია ლაპარაკი — თუ არა, მხოლოდ საკუთარ თავზე, არაფრის გაკეთება — თუ არ საკუთარი ყოფიერების განცდით ტკბობა.

ამგვარი შთაბეჭდილება ბუნებრივია გარკვეულ არგუმენტაციას ითხოვს. აი რამოდენიმე ნიმუშთაგან ერთ-ერთი:

ტკივილი იყო ბასრი, ფერადი,
თითქოს მოკვეთეს ისასმანს
ვარდისფერი და მკვრივი მკერდი,
ის მთელი დღე იდო მიწაზე
და შემზარავად გავდა ადამიანს...
თვალის ფსკერიდან ამოვარდნილი
ორი გუგა, შავი, ბეცი, უზარმაზარი,
დიდხანს გიწევდა მზის მაგიერობას
მერე მოვიდა სიმშვიდე ჭვრეტის,
და ტკივილი სევდით შეცვალა,
უგონო ენება-დახვეწილი
განწყობილებით,
ფერემის ბლიკი, თვალისმომჭრელი,
ჩაალრობინა აბრეშუმის ნახევარტონებს...
შენც შეეჩვიე და განიკუნს ჩუმ
ნეტარებას
როიალის მკაცრ სამკუთხედში
შეპარული სიმრგვალის ნიკი,
მაწანწალა ძაღლის თვალები
და ზოგჯერ ღამე, მტანჯველი ფიქრი
ოასმანის ღვთაებრივ სულზე...

რა თქმა უნდა მე ვუშვებ შესაძლებლობას, რომ ციტატებული ლექსი განსხვავებული რაკურსით შევიმეცნოთ და მასში პოეტის „აიშის ინდივიდუალურმა მოდელირების ნაშნები ამოვიცნოთ— ურთულეს ასოციაციებთან წილნაყარია და ამგვარად განსახილველი. მაგრამ, ისიც ხომ ნათელია, რომ პოეტს წარმოსახვათა ფრაგმენტები არ არის გონიერ „საფუძველზე“ ამოზრდილი და თვით პოეტურ „სიმართლესთან“ მიახლოებული.

ჩვენ კარგად გვეცმის, რომ პოეზია (ისევე როგორც საერთოდ ხელოვნება) სიმართლისა და გამონაგონის ფაქტზ მიჯნათა შორის „ოთრის“... იგი — გამონაგონია და იმავ დროს არ არის მთლად გამონაგონი, იგი — სიმართლეა და იმავ დროს არ არის მთლად სიმართლე. მხოლოდ ამ ზღვარზე იბადება მისგან აღერული სიამოვნებაც.

ამგვარად საჭიროა „გამოსახულება“ ემსგავსებოდეს განზოგადოებულ ნაკვთებში განსახოვნებულ სინამდვილეს. საგანთა თუ სუბიექტურ განცდათა შინაგანი არსის გადმოცემა, რა თქმა უნდა შემოქმედის ინდივიდუალური კრძნობად-ემოციური სიბრტყიდან ირეკლება, მისი სულიერი ერთადერთობის წიაღიდან იღებს სათავეს. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ მისთვის არ უნდა იყოს განურჩეველი, თუ რა გზით მიაღწევს აღქმულ მიზანს. ჩემი აზრით არ უნდა იყოს „თეთკური“ მკითხველის წინაშე პოეტის ემოციური აღსილობის ამგვარი „დამორგუნველი“ გადახსნა:

ქალი წარმოთქვამს,
რომ მე არ მაქვს იმის უფლება,
ჩემი უცნაური და გაუგებარი
და ფარშევანგივით შეფერილი სახეებით
ხალხს თავბრუ დავასხა,
რომ ჩემი სისხლისფრად შეღებილი
ტუჩებით და ფრჩხილებით
და უმაღლესი, გაწყვეტამდე მისული
ბგერებით
გამოვწვეი სული გვალეს და ნაყოფის
მოლოდინში
ბედნიერად განაბული ადამიანები
დავაბერწო უმსგავსო ხვატით...

გუდწრფელად რომ განვაცხადო, ამ ტიპის მეტაფაციებში თითქოს ვგრძნობ სათქმელის მნიშვნელოვან იმპულსებს, პოეტის შთაგონებით ქმნილ გამოვლენათა შინაგან გულისფიეთქვას, ე. ი. რაღაც შთამბეჭდავსა და ძლიერს, მაგრამ სამწუხაროდ მიჭირს ეს გრძნობა ესთეტიკური ეზოცის რანგში გავიაზრო და ლირიკულ ინფორმაციათა ხარისხში წარმოვიდგინო. რატომღაც მეჩვენება, რომ შინაგანი მონოლოგის ამგვარი სტრუქტურა არ უნდა იყოს ორგანიული თვით მხოლოდ თავის თავთან მოსაუბრე და ფიქრებთან „დამეგობრებული“ ადამიანისათვისაც კი.

არაგისთვისაა საიდუმლო, რომ პოეტური ქმნილება, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა „ავტორის ხელის ნარკვევ“ (და იპოვის მკითხველის გულწრფელ თანადგომას), თუკი ხელოვნის უფაკაზესი ეზოეტიკური სმენა შეძლებს სამყაროს მრავალმხრივნობიდან მოიხელთოს მხოლოდ ერთი, მისი სულის მოძრაობის ყველა-

ბუბუა ბენაშვილი

„ᲛᲐᲠᲗ ᲮᲘᲓᲐᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲗ ᲒᲐᲖᲘᲡᲐᲔᲜ ᲒᲐᲛᲐᲮᲐᲠᲐᲡ“...

ზე თანხმიერი მანგი და მის გარეგან, შემოხვევით ნაკვთებს განრიდებულმა, გადმოსცეს მისი იდუმალი თრთოლვა.

გარეგან და შემოხვევით ნაკვთებად მე მესახება პოეტის ზოგჯერ ზედმეტად გაბაცება არაბუნებრივი და გონებაკვეკრეის გზით მიღწეული ასოციაციებით, რომელთა უტრირებული არაჩვეულებრივობა ღლის და აღიზიანებს მკითხველს გონებას და ერთგვარად ნიეტჩლურად განაწყობს ამ ნიჭიერი პოეტის ცალეული ლექსების მიმართ.

ეჭნებ, სწორედ ესა აქვს მხედველობაში პოეტს, როდესაც შინაგანი გულისტკივილითა და შეუფალობის ვრაციოზული ეეს ტით „ოგერიებს" მისი პოეზიის „თანხმოვნების სიჯარბისა" თუ „რიყის ქვასავით მგორავ" თვისებითა მიმართ გულგრილად განწყობილ მკითხველს თუ პროფესიონალ ოპონენტებს:

შენ კი ლოკოკინას ნიკარასავით
სულ იოლად ჩაგიმსხვრევენ თავდაცვის
ჯაშანს,
რომ მერე ქვა გესროლონ, ან ნემსებით
დაგჩხვლიტონ,
მე შენ ვეტყვი, გაქცევა შეგიძლია,
ან ყვირილი, ან ხელის შებრუნება!

ამიტომ დაჯეკი და იფიქრე,
თუ გინდა, წოგნების გაცრეცილი ყუები
შემოიკვლ ღობესავით,
ოღონდ ღია ფანჯარაში ნუ იტყვი,
რომ დღეანდელი საღამო ისეთი
ტკბილია,

როგორც რძეში ჩამხობილი
მარწყვის ჟოუანტელი,
რადგან სანამ ფანჯრის დაკეტვას
მოასწრებდე,
შურდულს გესვრიან ჩიტივით,
და თავსაც გიიმართლებენ:
— ჩვენ კიდევ რა, ჩვენ ასეთები
გვსმენია,
მაგრამ შვილებს გაგვიგიჟეებსო!

პოეტის ამ ლექსში გაცსადებული პოზიცია შორეული ასოციაციები ეხმიანება რილეს ბრწყინვალე „წერილებს ახალგაზრდა პოეტისადმი", რომელშიაც იგი ამგვარი შეგონებით აცნობიერებს ლიტერატურული ქმნილებისა და კრიტიკული აზრის ურთიერთდამოკიდებულებას: „მაგრამ მე თქვენ ერთი თხოვნით მოგმართავთ, რაც შეიძლება ცოტა იკითხეთ ესთეტიკური და კრიტიკული თხზულებები — ეს ყოველივე ერთი რომელიმე ლიტერატურული პარტიის შეხედულებებია, უკვე დიდი ხნის გაკვავებული და თავისი უსიცოცხლო გარიდებით ყოველგვარ აზრს მოკლებული, ანდა იგი ხატვების გაბედული თამაშია, რომლებიშიაც დღეს ერთი იდეა ზეობს, ხოლო ხვალ სულ სხვა.

ხელოვნების ქმნილებანი ყოველთვის უსაზღვროდ მარტანი არიან". ბუნებრივია, გენიალური პოეტის ეს კონციფციია ბეშმარიტების [illegible] ელემენტს უდაოდ შეიცავს. თუმცა მისი ერთმნიშვნელოვანი გაზრება სრულ წარმოდგენას ვერ შეგვაქმნის ერთიანი ლიტერატურული ცხოვრების მთლიან და განუყოფელ სურათზე.

რაოდენ სახიათოვნოა, რომ ლია სტრუას პოეზიის უმნიშვნელოვანეს ნიშნეეთა წარმოდგენა, კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებს იმ მაღალ ესთეტიკურ განცდას, რაც ამ ლექსების გაცნობიერებასთან არის ხოლმე დაკავშირებული. მორალური და ეთიკური ძალთაკავთა წარმოადგენს მისი უკეთეს ლექსთა ლეიტმოტივს, ისინი გვანცვიფრებენ უკიდურესი თავშეკავებით, თითქმის ეზოთეური სიმშრალითაც კი. ამ ტიპის ლექსები არახოდის არ ახვევენ მკითხველს საკუთარ გრძნობებსა და განცდებს. შესაძლებელია რომ სწორედ ძალა ამ გრძნობებისა, მნიშვნელოვნება ამ განცდებისა იქცევინან ამ ძალერ და ღრმა ზემოქმედების ფაქტორებად, რომელნიც ამ უადრესად თავისებური მანერის პოეტს განუმეორებელ იერს ანიჭებს. განძარცვული რიტორიკისა და არაფრისმომქელი მრავალსიტყვაობისაგან, იგი ბუღწრფელი უშუალობით გადაშლის ჩვენს წინაშე, მაღალი შთაგონებით ქმნილ ლირიკულ გაწყობილებებს, რომელნიც, საკმაოდ ხშირად მოკალაკეობრივი პასუხისმგებლობით არიან აღბეჭდილნი:

კვდება პოეტი
უმწეო ბავშვი და ჯარისკაცი
კვდებიან მასში,
რადგან მის ხალს აღუკვეთეს
პოეზია და თავისუფლება
. . . .
რა იოლია
ბათქაშგადამსკდარი ოთხკუთხეი ციდან
მზის ჩამოგდება,
სისხლის და რწმენის ნაკუწებისაგან
შეკრული მზის,
რომელიც მერე ათას სხეულში
განიფთდება:
და ალიონზე
ნერვებისა და კუნთებისაგან
მოწნული ბავშვი
ფორთოხლის ხეებს გამოაბამს
პოეზიის დროშას ისიფრის
რომელსაც ჰქვია ბაბლო ნერუდა.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ლია სტრუა თავისი თოთის ყველაზე რთული პოეტია. ვფიქრობ, თვით ყველაზე უფრო დახვეწილი და „ფახელენტებული" მკითხველისათვისაც კი არ არის ადვილი მის პოეტურ სამყაროსთან შეთვისება და მითუმეტეს მისი გაშიფნაგნება. მაგრამ სხვა მის თანამედროვეთან შედარებით იგი ერთგულია საკუთარი პოეტური ფორმებისა. ერთგულო, ამ სიტყვის პირველ-ქმნილი უხიწოვნის ღრმა გაგებით. თავისუფალი ლექსი, რომელიც მავანთა და მავანთა „ხე-

ლში“ „უპასუხისმგებლო თავისუფლების“ ნიმუშად გარდაიქმნა, ლია სტურუას ხაზრონელ სტრუქტურის ორგანიულად მოერგო. ალბათ ამიტომაცაა, რომ იგი არახლდეს წარმომდგარა ჩვენს წინაშე პოეტ-ექსპერიმენტატორად. იგი თავისი მცირე მოცულობის პოეტური კრებულებით ჰქმნიდა თითქოს იმ ერთადერთ, მხოლოდ ხახურველ ატმოსფეროს, რომელიც ეკითხისმოფიელ გავლენას ახდენდა მასზე და მის შემოქმედებით პრინციპებზე:

...თითქოს ხედ ვიქეე და ამ ფიქრებმა
ყვითლად შეღება ჩემი ტოტები...

„ომისათვის, რომ ადამიანენ შენში ცოდნა, უნდა შეაღწიო საგანში და ჩასწვდე მის კანონზომიერებას, რამეთუ ადამიანს აქვს საკუთარი გულისმიერი ცოდნა, ხოლო ციხკვეშეთის საგნებს — მისი კანონები... როდესაც :— სანგრძლივი დროის განმავლობაში გონებას თვალი დაეურნდობა საგანთა ბუნების იდუმალებას, ერთ მშვენიერ დღეს, ისინი, თავისი ყოველმხრივი სისავსით — ვითარცა ნათლით მოსილნი, თავიანი ფარული არსით... თავისი გამოვლენით გადაიხსნებიან ჩვენი სულის წინაშე...“ (ჩუუ-ხი „დიადი სწავლება“).

XX საუკუნის გამოცდილებამ აიძულა ადამიანები დაფიქრებულიყვნენ საგანთა ურთიერთკავშირების საერთო ხასიათზე, მოეგონებინა მათთვის ბუნებასთან თანადგომის დიადი იდეა.

ჭ. ჰეხე თავის ერთ-ერთ რომანში იძლევა ცნობიერების განსხვავებული ორიენტაციის ამგვარ მაგალითს: „ამასთან ერთად ისინი თავის წინაშე აყენებდნენ იმავე მიზანს, რომელსაც ესწრ: ფოდნენ მიეღწიათ მომავალი ათასწლეულების მეცნიერებასა და ტექნიკას, ანუ ბუნების ლ-ძალვას, შესაძლებლობას მის კანონთა მართლსა, მაგრამ ამ მიზნისაკენ ისინი სრულიად სხვა გზებით მიემართებოდნენ. ისინი თავიანთ თავს არ ანცალკევებდნენ ბუნებისაგან და არ ცდილობდნენ ძალით შეეჭრილიყვნენ მის საიდუმლოებებში, ისინი არახლდეს უპირისპირებოდნენ ბუნებას და არ იყვნენ მისდამი მტრულად განწყობილნი, პირიქით, რჩებოდნენ მის ნაწილად, ყოველთვის უყვარდათ იგი კრძალული სიყვარულით“.

ამგვარი რემინისცენციები წარმოშვა ჩემში მამუკა წოკლაურის პოეზიასთან ზიარებამ. მასში ხასურველი ძალით გამჰიანდა ქართული პოეზიისათვის ფრიად ნიშნეული სიყვარული ბუნებისა, მისი იდუმალებათა გაცნობიერების და მასთან სისხლხორცეული შერწყმის ხამანდაფიდელი ლტოლვა.

ტრადიციის მძლავრი ფესვებიდან ამოზრდილი მისი ლექსი, განსაკუთრებული ვნებიანობით ცდილობს ახლის აღმოჩენას, ამოცნობასა და გამოვლენას იმისას, რაც „არხებობს“, მაგრამ რაც ცნობიერების მიღმა მიმალული. ბუნებასთან აქტიური მიმართების პირობა — ერთ მიზანს ისახავს, შეიმეცნოს იგი და მისი საუფლებით უკეთ გაიცნობიეროს საკუთარი თავი. ამ მნიშვნელოვანი ხათქმელითაა ალბეგდილი პოეტის სტრიქონები:

ზოგჯერ მგონია, — რაც დღეს არსებობს,
რასაც კი ჩემთან ავშირი აქვს,
სუყველფერი
ჩემი ფრთებია — მოტეხილი,
ჩემი ნიჩბებია — გადამსხვრეული,
ჩემი ხეობაა — ამოშშრალი.
ხოლო იგი, რაც უძლეველია,
რაც არ ფნება და არ იყინება,
რაც არ ნებდება დროის მუხლუხებს
და რასაც ეცილები არ ეკიდება —
იმ მერცხლებს გაჰყვა,
ჭერზე ბუდე რომ მოუშალეს.

პოეტის სულიერი სამყარო გულწრფელი სინანულით იკრძს შემოდგომის გამაოგნებელი ფერებით გაზავებულ შთაბეჭდილებათა წყებას, რომელ»» დაღლილ ფერადოვნებაშიაც ერთ დროს განცდილი სიამის ანარეკლილა ელანდება, — სიზზრად განცდილი ბავშვობის სახით რომ ხახიერდება მის ცნობიერებაში:

მოწამულულ წყალში ფელაღმა წევს ჭრელი
კალმახი,
მიატივტივებს ჩემი სისხლი დახოცილ
ზღაპრებს...

ბუნებისა და მასში განცდილი თუ ჩაძირული ბავშვობის ხატა მამუკა წოკლაურის პოეზიის უმთავრეს საგანს წარმოადგენს. რეტროსპექტული აზროვნება მყარ გრძნობად-ემოციურსა თუ მხატვრულ საფუძველს უქმნის მის პოეტურ ფიქრს. მისმა მხატვრულმა სისტემამ ბედნიერად აირეკლა პრინციპი კავშირისა — ერთი მეორეში, და არა ერთი და მეორე (ანუ წარსული და დღევანდელობა). მისი ლექსებისათვის ნიშანდობლივია გარე სამყაროს იმგვარი ხილვა, როდესაც თვალსწიერი ვრცელი დროის აღმოსაკენ მიიმართება და მხოლოდ ამ საფუძველზე ყალიბდება საკუთარი მსოფლმხედველობრივი სისტემა. ჩემთვის სწორედ ამ ხაზროვნო სისტემას განასახიერებს სტრიქონები:

აქ უნდა ვიდგე —
მეხით გადათხრილ ჭიუხებთან,
სეტყვით დაცხრილულ ჭიუხებთან,
წვიმით ჩარეცხილ ნაპრალებთან,
ამ კლდის შრეებში უნდა იწვალონ
და გზები ძგნონ ჩემმა ფესვებმა,
სხეოგან ვერ წვალ — მე ამ ფესვებს ვერ
გავეყრები

. . . . . .

აქ უნდა ვიდგე —
და ეს სურვილი კი არ არის, ანდა გმირობა
ბედისწერაა... — ბრძანებაა ჩემი ფესვების.

ბუბუ ბენაშვილი

„ დრო ხდდამს ახალ გზისკენ გადახრას“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარ ფესვებთან შენივთებით და ამ გზით არსებობის უფრო ბუნებრივ ანუ მაღალ ფორმებთან ზიარებით, პოეტი თითქოს შინაგანი მოწოდების რეალიზაციას უახლოვდება. თითქოს სწორედ ამაშია მისთვის მიზეური ცხოვრების ერთადერთი საფუძველი. ამდენად, ხდება შერწყმა თუ დამკვიდრება საკრალური მნიშვნელობის გარემოსთან. ცხოვრების წარმავლობას და ცვალებადობას, აქ უპირისპირდება ადამიანის შინაგან არსებაში აღბეჭდილი ღირებულებანი, მოვალეობისა და რწმენის ურღვევი კანონი.

აქ უნდა ვიდგე ურთხმელივით, ღვინის
ჭაგვივით
და ჩემი ქამი ქართან ბრძოლამ უნდა
დაფუწოს.
აქ უნდა ვიდგე არჩევით და ჩემი
სიცოცხლე
მონადირის და მგლის მზერაზე უნდა
ეკიდოს.

შინაგანი დრამატიზმით შეფერილ სტროფებში ლირიკული გმირის მღელვარე სულიერი ძვრები — რაღაც მნიშვნელოვანთან განშორებულისა და ბოლომდე გაუცნობიერებელი სინანდვილისაკენ გზად შემდგარი ადამიანის განცდები წარმოისახება. მღელვარებით აღბეჭდილი მისი სულიერი ცხოვრებისათვის, თითქოს არც პირადი ბედნიერებისაკენ ლტოლვა და არც უბრალო ცნობისმოყვარეობაა ფიზიკურ არსებობასთან დამაკავშირებელი. აქ უფრო სხვა და ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მომენტი ილანდება. მე მეჩვენება, რომ მიუხედავად ღრმატკივილიანი განწყობილებისა. მისი ღრმა რწმენით, ყოველივე აქაური, ჩვენი თვალთახედვის სივრცეში განფენილი — თუმცა ახე წარმავალი და ქრობადი, საჭიროებს ჩვენს — ყველაზე უფრო წარმავალთა თავს. ერთხელ მონიეტნელ უზენეის შესაძლებლობას არ ეგების ზურგშექცევა და ღალატი. ამ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, ეროვნული სულისკვეთების მაღალი შეგრძნებითაა გათანგული პოეტის მხატვრული სიტყვა:

წინაპრთა ათასფენოვანი აკლდამა —
სიცოცხლის ახალ ნაკადებზე გადაჯაჭვული —
განუწყვეტელი განახლება უძლეველ ხისა—
აი, რისთვის ღირს კოღო ლოდები,
აი, რისთვის ღირს რომ ფესვებით
გსრუტონ ლექსებმა,
აი, რისთვის ღირს ჩაუგებლად იქნონ
ხმალი.

პოეტის რთულ წარმოსახვებში ბუნების ქმნილებები გარდასახვის იმგვარ ხარისხს აღწევენ, რომ იქმნება მყარი შთაბეჭდილება მათი დაფარული არსის იმგვარი შესაძლებელი არსებობისა. პოეტის ფანტაზიით ქმნილი ბუნების ფარული ნიღბები მკითხველის გონებრივ შესაძლებლობებს საგანთა ახლებური გაგნცდის საინტერესო ვარიაციებს გადაუშლის და რაც მნიშვნელოვანია საკუთარ განწყობილებათა ფრიად ხატოვან ილუსტრაციებს წარმოსახავს. ლირიკული მონოლოგის ეს ფორმა არ არის ახალი ქართული პოეზიისათვის, თუმცა გაუღწრფელად უნდა თქვას, რომ მახში პოეტის ბუნებასთან მინარეთების ახლებური წახნაგი ჩნდება — კერძოდ ბუნება, არა როგორც გაჭვავებული სილამაზე, არამედ როგორც სიცოცხლის გაგრძელება, მის ლირიკულ ფიქრებში ათრთოლებული მოძრაობისა და სიმშვიდის ბუნებრივი და საოცრად არახელოვნური მოდელირება ბუნებასთან შერწყმის იმგვარ შთამბეჭდავ სურათებად წარმოჩნდება:

შემოდგომაა და ზარებივით, —
სპილენძის ყვითელ ზარებივით, —
ჰკიდია სივრცეს არაგვის მთები.
და ზარებიდან გადმოსული დიდი სიჩუმე
იბნევა ყველგან.
მე ის სიჩუმე ყვითელ საღებავს მისცამს
სახეზე,
ხელებს მიეპრს და შირიმის ქვებით
ამოშენებულ, მტოვებულ სახლში
შეეკვავარ.

ბუნების იდუმალი მოძრაობა ფარულ ამპულებს გადასცემს თითქოს პოეტის სმენაფაქციურ არსებას. ეს ისიც, ვითარცა ცოცხალი გამოძახილი სივრცეში განფენილი კიბნანის, ენებათადელვის ამალლებული რეგიტანტი „ყვეტა“ საკუთარ სევდიან ეპიზოდებს. იგი ერთი, მარტოსული პიროვნების მდგომარეობის გამოხატულება როდია. ეს კიბანი ზოგადზნაშენელოვანი გრაფიკული ხორცშესხმა ბუნების ძალთა მარადიული მოძრაობისა — იმ იდუმალი ძალისა, რომელიც აღმოაცენებს ხოლმე უსუსტეს ბალახსა და აგაუგუნებს ხოლმე ყოველს წამლეკავ ქარიშხალს. იგი უბრალოდ რომ ვთქვათ, სიცოცხლის სუნთქვით გაოცებული პიროვნების საკუთარ თავში ჩაბარებისა და იქ მოძიებული „საფიქრალთან“ შერწყმის სურვილია, რომელიც მრავალსა და მრავალ ადამიანურ საბეკრის განსახიერებს. შესაძლებელია, ამიტომაც ჩნდება ხოლმე პოეტის მედიტაციებში შინაგანი უკმარისობისა და წარსულთან მიბარებენის ნოსტალგიური ტკივილები. დაკარგულ ფესვთა ძიების ენება, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი აზრის მატარებელია, და არამც და არამც ერთმნიშვნელოვან საზრისამდე არ დაიყვანება. ჩემთვის შორსმიმავალ ფიქრებთანაა დაკავშირებული პოეტის ღრმა დრამატიზმით აღბეჭდილი სტროფები:

რაღაცას ზუსტად ამბობენ, როცა
გაყვითლდებიან, გაჩუმდებიან
და შემოდგომის მღუმარე წვიმებს
შეუდგებიან ოქტომბრის მთებზ.
როცა სერებზე ტრიალებენ რკინის ქარხნი,
როცა ხეებზე სრიალებენ რკინის ზვავები
და შიშველ კლდეებს

შიშველივე მთავრე დაჰყურებს...
რას, რას ამბობენ, რას ღრიალებენ,
რაზე წვიან ცა და ღრუბლები...
უნდა დავაგდოთ გზაზე ეს კითხვა
და ლაგამივით ახლა სხვამ ღეკოს,
რომ რკინის მჭიდე და მწარე გემო
სხვამ დაიგუბოს,
ვიდრე ჩვენსავით არ გაიღიმებს
და ის ღიმილი
არ გაიშლება მწარე ყვავილად.

პოეტის დრამატული განწყობილებათა წიაღლან შთენილი თავისი მნიშვნელოვანი სისავნით ამოიმარჯება ხოლმე სამშობლოს გარდასული მძიმე დღეების წარუხოცელი სევდა. ქართული პოეზიისათვის ამ მარადიული თემას, მის ლექსებში ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეთმობა. ბუნებრივია, ახლის მაძიებელი პოეტის გონებამ, მისთვის ჩვეული გულმოდგინებით სცადა ამ ტრადიციული ხათმელის განსხვავებული ამეტყველება. გაზნიდა სხვათა და სხვათა გათელილი გზიდან და თუნდაც საკუთარი ბილიკის გაკვალვა, ბუნებრივია, მისთვის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა.

მაინც რა არის თავისთავადი და საკუთარი სამშობლოზე ნაფიქრი და ხორცშესხმული ნაფეკალმში. უპირველეს ყოვლისა მინიმუმამდე დაეკანონი პათეთიურობა. მისი პოეტური აზროვნებისათვის დამახასიათებელი სახეობრივი ორნამენტაციის ხიზუტტე და ეფოციათა ერკვგარი „ხელმაჭირნობა", ამ, ბოლოსდაბოლოს, ალარცოუ ადვილად „მოსათვინიერებელ" ნაგანს ფიქრისას თავისებურ ხიბლსა და რაღაც ახალთან შეერის გაწცდას ანიშებენ. ლირიკულ აღსარებათა დიდი ციკლი, ბუნვნეთ შეპყრობილი პოეტის გულწრფელი ცდაა აგრძნობინოს და გადასდოს მკითხველს თუნდაც იმ ერთადერთი ცრემლის ძალა, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის. და სამშობლოს წარსულის მხოლოდ მისეული განცდიდან იღებს ნათავეს.

ამ სურვილის მიღმა სიყვარულისა და რწმენის ურღვევი კავშირი მოიხილება, რომელთა მეყარ საფუძველზედაც ამოიზიდება პოეტის უდაოდ შეამბეჭდავ განცდათა ვარიაციები, საინტერესო ისიცაა, რომ წარსულის განმახახირებელი საგნობრივ დეტალებსა თუ მთლიან ანტურაჟს არც თუ გაკვავებენ და ფუნქციადაკარგული სახე გაიჩინაან. დროსთან ჭიდლით დაღლილ და თითქოს გაფერმკრთალებულ გარეგნობაში ფარული ძალმოსილებით ფეთქავს ამაკი პირველდელობისა და მათში სამუდამოდ დადფმებული დღეების სიმძაფრე. და კიდევ ის, რომ, პოეტი, ვითარცა სამშობლოს მარადიული მეცხოვნე დროის უურცეს განზომილებაში წარმოიდგენს საკუთარ თავს. იგი ინ მძიმე ჭარტეხილთა უშუალო მონაწილეა „ზდება", რომელთაც გულწრფელი სევდაღა დასტოვეს თანამედროვის გულში. „ისტორიზმის" ეს ახლებური განცდა ორგანულად ეგზისოვება პოეტის განწყობილებათა პატრიოტულ სულისკვეთებას. ამ ტიპის არაერთი ლექსი, მძლავრი გამომხატველია წარსულთან შეერთი გამოწვეული ვნებათაღელვისა:

შენ ახლა ორწყლის კარებთან ჰკვდები
და ოკანასკნელ ბრძანებას ჰკითე:
— არ გამიყვანოთ ბრძოლის ველიდან!..
სხვა სხვაა,
ფოტოაპარატებით
და გოაცებით გიმზერენ სხვები...
ჩვენ რა ვქნათ,
ვისაც შენი ხმა გვესმის
და ცივი მაჯა გვიჭირავს შენი!..

და მაინც პოეტის ხაზზოვნო სივრცეს ლირიკულ მონოლოგებში ათრთოლებული საკუთარი ცხოვრების დღეთა გამოძახილი ანიეებს განუეეორებელ იერს. თანამედროვე ახალგაზრდა კაცის ტკივილები და უალრესად მოკრძალებული სიბარული მათში გამმიანებულნი. ფიქრებს ხოლმდე მინებებული, იგი საკუთარი სულის იმგვარ მოძრაობას წარმოაჩენს მკითხველის წინაშე, რომელთა ბუნებრივი ძალმოსილება და გაცსადების აღსარებამდე მისული გულწრფელითა, ფრიად მნიშვნელოვანი მიღწევებით აგვრგვანებს პოეტის „ლოდთა კოდვას". ამ ხასიათის ლექსებში, არც თუ იშვიათად მოძალებული მელანქოლიას ელეგანტური აზრობრივი ორნამენტაციები ანიეებენ უალრესად პლასტიკურსა და ესთეტიკურად გაწონასწორებული განწყობილების სახეს. იქმნება საკმაოდ მყარი შთაბეჭდილება იმისა, რომ არაფერია მასში იმგვარი, რომელი განცდა და წარმოდგენაც ხელოვნურ ძალისხმევას ითხოვდეს. პოეტის მთელი რიგი მედიტაციები ცხოვრების ფარული პერიპეტიათა წარმოსახვასაც ელტვის, რამეთუ მათგან უკუქცევა შინაგანი სიმპრთლისაგან განრიდების ტალღასა იქნებოდა:

დიდი ქალაქის გარეუბანში —
დაუძინარი ხმაურის პირას —
დიდი ზღვის პირას დგას ჩემი სახლი.
მე უკვე მოყვარს ეს ხმაური —
მას ბალახივით ურევია ჩემი ბავშვების
სიცილ-კისკისი,
მას სინათლესავით ურევია აქ ცხოვრების
ცხრამეტი წელი,
მას ყვავილივით ურევია მზეკალთის თმები.
მას იმედივით ურევია ჩემი მეგობრების
ტანჯული ხმა...

ქალაქის განცდას და მასთან დაკავშირებულ ემოციურ ძაბვას პოეტი განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოგვიდგენს. ეს სიმძაფრე ცხოვრების ახლებური წესისა და მისი ანალიტიკური განსჯის გამოცდილებიდან იღებს ნათავეს.

ბურამ ფანაშვილი

„დრო ხელდაგს ახალ გზისკენ გადახრას"...

ცხოვრების განსხვავებულ წესთან და წარსულის იდეალურ მსოფლშეგრძნებასთან სისხლხორცეულად ნაზიარებისათვის, ბუნებრივია ძნელზე-ძნელი გამხდარა გარდასული „სიზმართა“ დავიწყება. ადამტაციის რთული პროცესი და შინაგანი „გაწმენდების“ მღელვარე დღეები, პოეტურ სტრიქონებად დაკრისტალებული და ამგვარად წარმოდგენილია ჩვენს წინაშე:

მიიხვეტება ქუჩებიდან ბარაკებისკენ
და იყინება გიგანტური ცხოველის ტანი...
ქვესანელისაკენ ჩაუუდებულ ძაბში — მეტროში
ტალახივით იღვრება ხალხი...
თთასში ერთხელ კა მეესება ფიქვის ტოტებით,
ვიღაც მანჯღრეს და მეუბნება:
ნუღარ დაიგმე ყვავილებს
და გუდწრფელ სიმღერებს,
ისინი ჩაჭრნენ
გადაიწვა მწვანე ღვთაება და ნუღარ,
ნუღარ ატრაილებ ჩამრთველს — ყველ სევდას...

თითქოს მისი სულიერი წყობის ბუნებრივი საყრდენი შეიცვალა. ცხოვრების მყარი, ტრადიციის მიერ გამოძერწილი მორალურ-ეთიკური ნიშანსგანტი გაიბზარა და არაგონიერ ფორმად გარდაიქმნა. აზრი დაკარგა ამ პირველქმნილმა უბრალოებამ, რასაც ბუნებასთან სიახლოვე აყალიბებს ხოლმე ადამიანში. და რაც მთავარია, შეუდარებლად გაფერმკრთალდა და მხოლოდ რატორიკულ სამკაულადღა იქცა ერ-ოვნული სულისკვეთების განცდა. პოეტის ღრმა რწმენით, ბუნებრივ გრძნობათა სიღრმე და მშვენიერება უმოწყალოდ ითრგუნება ქალაქის ნიველირებული სულიერი ატმოსფეროს წიაღში.

რომანტიკული მსოფლგანცდის ამგვარი გამოვლინებები ფრიად მნიშვნელოვანი ფიქრის მასალას იძლევა და ღრმაზაროვან სიტყვად გაიმეორ:

ქარს ვით გაუძლებს ამ გამომპალ, უძარღვო
ღღეში —
თბილ და ორთქლიან ამაზნანაში ნაშდები
ტანი...
ვით შეუძლია მაგ შენს წყლიან სისხლს
წითლად შეღებოს ქვა და მაბეიონ...
რა გაალვიძებს თვალებს ძილისგან
დაპაობებულს?..
მე გეკითხები — მარილს გაყრი ღია
ნაპრეკვში
და კვერცხისმდებელ ედალივით
აკაკანებულ
ღღეს გიგდებ გარეთ, მაგრამ ამაოდ!..
უძლეველია შენი სიმთვრალე,
უძლეველია შენი სიბნელე.
უძლეველია ეა საზარელი მაგ თაფლით
სავსე ჯამში ჩაცქერა.

მძიმედ განსაცდელი სინამდვილიდან დაძრული სულის ბრილობები ისევ წარსულის ნაღვლვთა უნეტარეს წიაღში ჩაბრუნებისაკენ. მასში მოძიებული წმინდა შთაბეჭდილებებით ინკურნება. კვლავ დგება ღვთიერივ პირველსაწყისთან მიახლოების, დაკარგულის მწვავე განცდისა:

ჩემი უძილო ღამეებიდან
ერთი ბილიკი გადის სხივივით
და დედულეთში, პაპაჩემის სახლს
უერთდება,
როგორც წისქვილის წყლის ლურჯი მოლი...
იქ მიტოვებულ სახლში კვლავ ცხოვრობს
ჩემი ბავშობა.

დროისა და სივრცის გადამლახავი ცოცხალი პოეტური წარმოსახვანი ფერწერული სახეების უჩვეულო განლაგებით აღწევენ სახურველ შთაბეჭდილებას. მათში ამეტყველებული განცდები, მიუხედავად სიტყვათა მაქსიმალური შემჭიდროებისა, არასოდეს სტოვებენ უკმარობის არასახურველ შეგრძნებას:

მე აქ ცხრაფეტი წლისა მოვედი
დ, დიდხანს, დიდხანს წასელა აქედან
წასელა კი არა გაქცევა იყო —
ზეიმი იყო ავტობუსის სარკმელთან ჯდომა
და არაგვ-არაგვ მიმავალი გზით
გამგზავრება
ჩემი სოფლისკენ...

პოეტის თემატური რეპერტუარის არც თუ მნიშვნელოვან და არც თუ ამკარად გამოკვეთილ რკალს შეადგენს სატრფიალო-სამიჯნურო (პირობითად) ხასიათის ლექსები. ძალზედ ლოგიკურიცაა ალბათ მამუკა წოკლიერის სულიერი წყობის შემოქმედებისათვის ამ უნაზესი გრძნობის ფრიად თავშეკავებული და ძუნწი ემოციური ხალებავებით წარმოსახვა. მისი „ასკეტური“ მსოფლმხედველობისათვის არაორგანიული იქნებოდა ინტიმურ „გრძნობათა მთელი სისავსით საუბარაოზე გამოტანა და მკითხველის წინაშე მისი განცდა. უნაპირო კიეშნი ალბეჭდილი პოეტური მეედტაციების ფონზე, რომელსაც სკეპსისის ჩრდილი მიაცილებს ხოლმე ყველგან, საოცრად არაბუნებრივი იქნებოდა სიყვარულის ამაღლებულ-ზეიმური ჰანგები.

ქალის სახე მის პოეზიაში მხოლოდ შორეულ და მკრთალ სილუეტად ილანდება, რომელსაც მხოლოდ აზრობრივი გამოსახვება გააჩნია. მისი ფარული იდუმალება მხოლოდ გამოძახილის სახით თუ ხმიანდება პოეტის სევდიან სტრიქონებში:

მე ახლა ეუმზერ
პირველყოფილი სიმარტივით ზეკას და
მაკერა:
ის მხოლოდ შენი სიცილისთვის იყო
მოსული.

ან:

ის სიყვარული —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალქათე თეთრი ყვავილი
მწარე ნაყოფად რატომ უნდა
გარდაქმნილიყო.

ქალისადმი მიმართული სულიერი მოძრაობით გამოგატანილი სევდა, რაოდენ შინაგანად განცდილიც არ უნდა იყოს მასთვის, მხოლოდ მკრთალ კონტურებს ჰჩენს. ამგვარი ლექსები, თითქოს ერთ მიზანს ისახავენ, გამოაცლინონ ადამიანთა ურთიერთობაში ღრმად ჩამარხული მშვენიერების წარუვალობა და მისი მარად ფეიქვავი განცდის ტკივილიანი გამოძახილი. საინტერესო ისიცაა, რომ სიმძიმილით გამსჭვალული პოეტური ფიქრი, მხოლოდ წამიერ გაღვივებასავით თუ მიაპკურობს მზერას სიყვარულის შორეულ ობიექტს.

ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო კავკაზის ერთი ასეთი მოგონება — „ბოტანიკელის მსოფლიოში ცნობილმა მკვლევარმა ისაო იუკიომ, მცოდნემ წარსულისა და დღეკანდელის, დასავლეთის და აღმოსავლეთის ხელოვნებისა — ერთხელ სთქვა, რომ იაპონური ხელოვნების თავისებურება შეიძლება ერთი პოეტური ფრაზით გადმოიცეს: „როდესაც უყურებ, თოვლს, მთავრე, ან ყვავილებს, არ შეიძლება არ იფიქრო სიყვარულზე, როდესაც ტკბები თოვლის სილამაზით — ერთი ხატვით როდესაც შეძლო ხარ წელიწადის ოთხი დროის სილამაზით, განიცდი სისავსეს ამ სილამაზით, სწორედ მაშინ მოგეტანება იგი (სიყვარული) — გინდა მასთან ერთად გაიყო ნიბორული. სილამაზის განცდა ადამიანებთან სიყვარულისა და თანგანცდის მწვავე გრძნობას აღვიძებს". იაპონელი მწერლის ეს მოგონება ჩემმა ფრიად საინტერესო ფსიქოლოგიური მომენტის კონსტატაციაა, რომელიც თითქოს უხმლავი ძაფებით მაკავშირებს მამუკა წოლაურის პოეტურ წარმოსახვათა ფარულ ლოგიკასთან. მათშიც, ოდნავ შეცვლილი რაკურსით და განწყობილებათა უფრო ჩამუქებული თვალთახედვით, სწორედ ზემოდაღნიშნული საკრალური სიმბოლიკის ფონზე კრთება სევდიანი სიყვარულის მოტივი:

ეს, შრება ჩვენი ნაკვალევი,
გაფრინდა თოვლი —
თეთრი ღრუბელი —
გაყოვნთილი შენი სიცილით.

ან:

აი, ის ყვითელმიანი გოგო
ჩემი პირველი სიყვარულია
გადატეხილი ტოტის სევდა —
ზამთრის ნისლიდან ამოსული თოჯის
ყვავილი —
მოლიპულ გზაზე გაკრული თოვლი.

და კიდევ:

თეთრი ყვავილი
მოწყვეტილი შენი ტანიდან,
და სხვა.

ადვილი შესაძლებელია ყვავილისა და ადამიანის სიყვარულთან ასოციერება (რაც არ არის ზოგადად პოეზიისათვის უცხო რამ) სხვა აზრობრივი იმპულსებით იყოს განპირობებული. მაგრამ თვით ეს მომენტიც ფრიად სიმპატიურია და რაღაც ზოგად კანონზომიერების ხაზოვნებაზე წარმოდგენებსა.

სილამაზის განცდას პოეტის უმრავლეს ლექსებში უკიდურესი დრამატიზმით აღმეფდილი ფიქრთა დინება ენაცვლება, ხოლო სიყვარულისა და თანგანცდის გრძნობას, რაც სილამაზეს ხდევდა თან, ბავშვობის მყუდრო ნავსაყუდელისაკენ ლტოლვა პოეტის ტკივილები წარსულის უნეტარეს სიზმრებში იბრუნებენ სულს.

და როგორც ძველი ტაძრის კედლები
მოხატულია ჩემი სული ა, იმ დღეებით.

და კიდევ:

მოგონებები — შორეული სინათლეები
დრომ ხანძრებივით რომ ვერ გადათელა.

და ბოლოს:

მე ბევრჯერ მოვალ, რადგან ჯაჭვი, რითაც
ვაბიჯარ,
არცა ცვდება და არცა წყდება, —
მხოლოდ გრძელდება...

პოეტის ეს სიტყვები, ღვთაებრივნი თავის შინაგანი იმპულსებით, ბუნებრივად ერწყმიან სკეპსიოს მტანჯველი გრძნობით გამსჭვალულ განწყობილებებს, და თითქოს ერთგვარად აწონასწორებს „მოჭანცებულ" სულიერ ენერგიას.

ფრიად საინტერესოა პოეტის მიერ სტილურ „ორნამენტაციათა" გამოყენების პრინციპი, უპირველეს ყოვლისა კი მის შინაგან სტრუქტურაში აღმოჩენილ სიახლეთა დამკვიდრების ცდები. მათში თითქოს დარდეულია პოეტური ფრაზეოლოგიის ტრადიციული და ამდენად კანონიკური წარმოსახვის წესი. პირობითი — პოეტური ენისაგან განირიდება და სასაუბრო მეტყველების უბრალოებასთან ზიარება მის ლექსებს პრინციპალად ინდივიდუალურ ხასიათს ანიჭებს. სიტყვათხმარების თავისთავადობა. ამ შემთხვევაში მაჭსიმალიზმს აღწევს. ამგვარი თამაში —ექსპერიმენტი" ერთი ფრიად საინტერესო შედეგით აღინიშნება, კერძოდ, საგნისა თუ მოვლენის ზოგადი იდეა იდევნება დროისა და სივრცის განსაზღვრული კოლორიტით. განპირობებული მათივე ინდივიდუალური ასპექტით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ობიექტურსა და იდეალურად „მიჩნეულ" მხატვრულ სტილს ენაცვლება პოეტის თვალთახედვითა და ტემპერამენტით აღბეჭდილი ინდივიდუალური მანერა. პოეტის „ხელოვნების" სპეციფიკურ ნიშნად საგანთა სტატიკური და დროისმილმეფირი იდეის გადეფრმკრთალება და უშუალო აღქმისმიერი შეფერილობა იაზ-

გურამ ბენაშვილი
„დრო ხედავს ახალ გზისკენ გადახრას"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება. რა უჩვეულო აზრობრივ-ემოციური ორსაბმენტებითაა წარმოსახული კლდის ჩვეულებრივი ლოდის არაჩვეულებრივი, სევდით აღსავსე არსებობის განცდა:

...აღარაევნ აგიტანს მაღლა
და აღარაევნ დაგანახვებს შორეულ
სიზმრებს —
თოვლიან სერებს — ლურჯ საბაქვეშ
გატრუნულ მუხლებს.
აღარ გაგიდებს რქებს ხარჯიანი და
არწივიս ხმა
არ ჩაგიერბობა ტანში სოლივით.
ეგდე ეგრე და წყალს ჩასცქერე...
მაგრამ მე რატომ...
თავს რად დამბრუნავს შენი სევდა,
მე რად დამშხეიის შიშველ ხმაღივით.

ან ნოვაციათა სტილურ გამოვლენას წარმოადგენს სწორედ რთული მეტაფორების, პარალელების, შედარებებისა თუ აწვიათი ეპითეტების ძიების დაუოკებელი პათოსი. თითქოს ტრადიციული პოეტური ტროპი შლის კანონიკურ „ასზღვრებს“ და ინდივიდუალური პოეტური სიმეტაფორებითა და განზომილებებით იცვლება. ჩემთვის უჩვეულო და იმავე დროს მხატვრული ხიბლთითაა აღბეჭდილი ამგვარი „აღმოჩენები“:

და ხეობაში წოსკვილები — ყრმობის
დღეები
ყრია დაბოცილ ფრინველებივით.

ან:

ჭიუხის თავზე ბრმა დათვივით მიდის
ღრუბელი

და კიდევ:

როგორც მგზავრები გაორთქლილ მინებს,
ხელისგულს ვუსვამ გარდასული დღეებს...

და სხვ.

და ბოლოს, პოეტის მხატვრული ინტუიცია თითქოს ხსნის წინაღმდეგობას სიგნის გრძნობად ფორმებსა და მის შინაგან არსს შორის და მათ ჭეშმარიტ ბუნებაში შეღწევით გამოწვეულ გოაცესას მკითხველსაც გადასდებს. მის ხილვებში შერწყმული ელეგანტურობა და უბრალოება მნიშვნელოვანწყლად განაპირობებს იმ ხიბლს, რაც მათ სრულყოფილ გაცნობიერებას ახლავს ხოლმე.

მე შემთხვევით არ მიხსენებია გაცნობიერება, რადგან მამეკა წიკლაურის ლრმადფიქრიანი და უჩვეულო მხატვრულ „სამოხელეში“ ამმიანებული პოეტური სტრიქონები მკითხველისაგან „ითხოვენ“ მთელი არსებით მისკენ მიბრუნებას და უაღრესად სერიოზული ვრცელი მონოლოგების მხლოდ ამგვარი სახით განცდას. ახეთია მის პოეტურ სამყაროსთან მიახლების ერთად-ერთი გზა. ამიტომაცაა იგი მნიშვნელოვანი და გამსაკუთრებული.

„უნდა გკონდეს გამბედაობა დაენდო შენს შთაგონებას, უნდა იყო დარწმუნებული, რომ მოულოდნელი აზრი, რომელიც გეფლეთა, გონიერია, რომ ფორმა, რომელიც ბუნებრივად გეჩვენებათ, მიუხედავად თავისი სიახლისა, აქვს უფლება არსებობისა“. გეორგ ბრანდესს ეს სტატეტები შინაგანი სიმართლითაა აღსავსე.

გულწრფელად უნდა განვაცხადო, დაახლოებით ამგვარი აზრი მეუფლება, როდესაც გურამ პეტრიაშვილის მხატვრულ შემოქმედებას გავაანალიზებ. რადგან ლრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ამ — „უცნაური“ სამყაროს მფლობელი, მნიშვნელოვან ან მართალ საქმეს შეჭიდებული შემოქმედია, რომელიც მხოლოდ შინაგან საჯროვნო იმპულსებსაა დაუორადებული, და გულმოდგინედ წარმოსახავს მხოლოდ იმას, რასაც საკუთარი მხატვრული ინტუიცია და გემოვნება ჩაკარნახობს.

მე, რა თქმა უნდა, იგი სიბავშვო მწერლად არ მიმაჩნია, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ მისი ლირიკული ლექსები, არც ერთი ასაკის ყურადღებას არ სწუხობს და ყველასადმი კეთილგანწყობილებას ამჟღავნებს.

ახლა კი, ამგვარი შესავლის შემდეგ, თავს უფლებას მივცემ ჩემეული, ჩემი ასაკისათვის „განკუთვნილი“ გურამ პეტრიაშვილი დავნახო და მისი პოეზიის იმ გამოლინებებზე გამოვთქვა ჩემი მოსაზრებანი, რომლებშიაც მისი თაობის ვნებები ამოვიცანი, განუმეორებელი ტკივილებია და სიხარულით.

მთელი დღე ვიდგე საქანელასთან
ვაქანავებდე პატარა ბავშვებს.
სალამოს იქვე ჩამეძინოს
დიდი ხის ძირში...
და მთვარის შუქმა
დაღლილ მკლავებზე
ნელა და მშვიდად გადამიაროს.

აი, მისი პოეზიისა და მისი სულიერი კონსტატაციის უმნიშვნელოვანესი ზნეობრივი ხატი, რომლის ერთგულება უდიდეს ბედნიერებასა და კმაყოფილებას ანიჭებს. სხვათაშორის, მოლიანად მისი მშვენიერი პოეტური ხილვების ნერვი ბავშვის წარმოსახვის ძალიდან იღებს სათავეს, რომელიც ყველაფერს განასულიერებს და ყველაფერს გარდასახავს და ამგვარი „შინაგანი სიბრძნით“ აღბეჭდილი ალვიძებს მკითხველის გონებას. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურ წარმოსახვათა დახვეწილი და უცოდველი მოჩვენებითობის შეგრძნება არასოდეს სტოვებს მკითხველს, მისთვის ისიც ცხადი ხდება, რომ ამ ხილვებში დაყურსული გრძნობებს, შეუძლიათ დაგვანახონ ჩვენი თვალისათვის მიუღწეველი და სმენისათვის მოუხელთებელი რამ. პოეტის ფანტაზიას ხელოვნიფება ჩვენს თვალთახედვას მოაშოროს ნისლის სქელი ფარდა და ისე მომპრთოს ჩვენი გრძნობები, რომ შეეძლოთ ჩვენს გარემომცველ სგანთა და მოვლენათა არსში წვდომა, მისი გააზრება. პირადად ჩემთვის საოცრად

ტევადი აზრითაა ნიშნეული პოეტის ფიქრისეული ახეთი ფრაგმენტი:

გაზაფხულია, აივანზე კოხტა ატმის ხე
აყვავებულია ხის ყუთში მდგარი.
შეეცქერ სპრალოს...
მას ხომ ფესვებით არ უგრძვნია
დედამიწის გამოღვიძების თრთოლვა საამო
და მზოლოდ სხეთია მიბაძეთ ყვავილ.

ბურამ პეტროიაშვილის ლექსებში მე დავინახე სიტყვასა და საგანს, სიტყვასა და მოვლენას შორის გაფერმკრთალებული კავშირის აღდგენისა და აღორძინების მნიშვნელოვანი ცდები. ამ არც თუ ადვილი მიზნის აღსასრულებლად, იგი პოეტური ხატის უნივერსალურ შესაძლებლობებს მიენდო, რომლის ძალისხმევამაც ახსტრაქტულის კონკრეტულში გარდასახვის შესაძლებლობები გადახსნა. ჩვენს წინაშე დროდადრო ამოიმართება ხოლმე საგნის ახალი რეალობის განცდა, რომელიც არასოდეს ქცეულა ადრე ჩვენი გრძნობითი აღქმის მოხაპოვრად. ამ რეალობაში ერთმანეთს ერწყმიან სახილველ-აღსაქმელი ობიექტი და მასზე პროეცირებული გრძნობა:

დილაადრიან ნაწვიმარ ბაღს
ვუყურებ ფანჯრიდან
და თვალს ვარიდებ ბაღის ერთ კუთხეს.
იქ მოწყენილი და ფიქრიანი
დგას პატარა ხე ალებლისა,
პირველად რომ დაკრიფეს გუშინ.

პოეტის ამ ლირიკულ იმპრესიასთან ზიარებიმ ჩემთვის კვლავ მიხაწვდომი გახადა, სამწუხაროდ დავიწყებული ბუნებრივი და გულწრფელი მიმართება გარემომცველ სამყაროსთან და იგი თითქოს პირველქმნილი უბიწოების საოცრად შთამბეჭდავი სურათით აღბეჭდა. სულის სიღრმეში დაფარული გრძნობად ახსტრაქციას თითქოს სინათლე და კონკრეტულობა მიენიჭა და გამოფხიზლების მშვენიერ განცდას ეზიარა.

აქვს პოეტს ერთი არაფრით გამოსარჩევი ლექსი, რომელშაც დიდი სიკეთე და თანაგანცდის სიინტერესო მასწავლებები გადახსნა ჩემს წინაშე. მასში წარმოსახული პოეტური ხატი რაღაც მნიშვნელოვანსა და კონკრეტულს აღვიძებს და იმავ დროს თითქოს გულმოწყალედ გიბრძენკავს დაკარგულ ადამიანს სილამაზეს:

ღამით ქალაქში ნაწვიმარი ელავს ასფალტი,
მხიარული ქალაქშიელები სადღაც მირბიან
და კანთებულ ვიტრინაში, დიდ დოლებს
შეა
ზის მარტოდმარტო სათამაშო პატარა
დათვი,
რომელიც ბევრი ფიქრის შემდეგ
აღარ იყიდეს...

ამ სტატიური სახილველიდან ამოზრდილ მარტოობის სევდაში პოეტის გრძნობად-ემოციური შესაძლებლობათა „უცნაური“ გამოვლინებანი კრთის, რომლის ჭეშმარიტ ღირებულებას ხოლოდ მისი შინაგანი სიმართლე განსაზღვრავს. პოეტური სახის ლოგიკა ამ შემთხვევაში არ საჭიროებდა დამატებითი სცენებისა და ლირიკული განწყობილებების მოშველიებას, რადგან სწორედ ლექტურულ გარემოწერილობაშია მასში გაცხადებული კაეშნის სიმძაფრე.

პოეტის ლექსებში წარმოსახული მარტოობის ატმოსფერო ყოველთვის არ არის საკვარელი არსების დაკარგვით გამოწვეული ადამიანის მარტოსულობის ჩივილი. ზოგჯერ (და საკმაოდ ხშირადაც) ეს არის მარტოობის სევდა ზვიმისა, რომელიც ღამე ფართოოთლებიან ხეს ეცემა, ან მარტოობა ჩიტისა, რომელმაც ხმა დაკარგა და „ლარავისთვისაა საჭირო. ბუნებას არ გააჩნია გრძნობები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ცოცხლობს და ჭქმნის განწყობილებათა უსასრულო ატმოსფეროს, რომელიც ხმლოდ სილამაზით ტკბობას კი არ გულისხმობს, არამედ მასზე განხორციელებული აზრის ხელშესახებ წარმორენასა და პოეტურ განცდას:

არასოდეს დამავიწყდება
მატარებლის სწრაფი ფანჯრიდან
მე დავინახე თუ მარტოდმარტო
როგორ იდგა ღრუბლიან დღეში
მზესუმზირა თავჩაქინდრული.

განწყობილებისა და პოეტური სახის უჩვეულობა, ასე მკვეთრად იმიტომ წარმოსახებება ლექსში, რომ მას საგანი და სივრცე ჭქმნის, რომელშიაც ეს საგანი არსებობს.

პოეტის მხატვრული აზროვნების სტრუქტურა თითქოს ხსნის დისტანციის შეგრძნებას, ერთმანეთთან აერთებს შეუთავსებელ განზომილებებს; კერძოს ზოგადთან, ერთიერთს ერთიანთან, კონკრეტულს ახსტრაქტულთან და ხოლოს პეიზაჟის სასურველ დეტალს განწყობილებასთან. მინიმალური საშუალებებით და ფორმის მაქსიმალური შემჭიდროებით იგი მკოთხველში უბრალოების ფრიად მაღალ განცდას ბმადებს. მინდა გავიხსენო პოეტის ერთი ლექსი:

მართლა თუ სჯერათ ამ ასტრონომებს,
რომ თავიანთ ტელესკოპებში ვარსკვლავს
ხედავენ?
ჭრიჭინებით სავსე ბელულნი
თუ არ წევნარ ზაფხოვლის ღამით
და არ ოგონებ. შენს სახეზე
ქალის თმების პირველ შეხებას, —
განა ვარსკვლავს ვარსკვლავი ჰქვია?

თითქოს არაფერი უშლის ხელს პოეტური აზრის ბუნებრივ მოძრაობას, ღრმად განცდილ თავისთავადობას და საგანთა თვითგამოვლენას. აზრის დასრულებული ფორმა, ბუნებრივი, ნათქვამია და სიტყვების მიღმაა წარმოსადგ-

---

ბურამ ბენაშვილი

„დრო ხედავს ახალ გზისკენ გადახრას“...

ენა. ამ შემთხვევაში მთავარი მინაშნების ხელოვნებაა, რომელიც სამყაროს განცდის თავისებური ნაშთს იძლევა.

მთელ რიგ ლექსებში წარმოსახული პოეტური ხილვები, თავის „ალეგოგიურობით" თითქოს ამსგრევენ ჩვეულ ასოციაციათა ჯაჭვს, აგდებენ ეს მკითხველის ცნობიერებას ჩვეულებრივობის რიტმიდან და კონვენციონალური სამყაროს მიერ ნაკარნახევი საჯაროვნო ინერციიდან.

ბუნებრივია, რომ გასვლა კონვენციონალური სამყაროდან — ნაღდი ბუნების სამყაროში, აზროვნების სტრუქტურის ცვალებადობასაც გულისხმობს. იგი (აზრი) მოძრაობს არა ჩვეულებრივი წესების სრული დაცვით, არამედ უფრო საკუთარი კანონებით. მისთვის გონების შეუჩერებელი მდინარების განცდაა თითქოს მთავარი და არსებითი, და არა სხვა რამ:

> რად გვიყვარს იცი
> ეს უცნაური სამკაული ჩვენი სახლებისა?
> ალვენები იმ დროიდან შემორჩა ქალაქს
> როცა ჩიტივით შეგვეძლო ფრენა
> ან ავედან გავდიოდით პირდაპირ ცაში

ძველი იალონელები ფიქრობდნენ, რომ ადამიანი მაშინ დაადგა ხელოვნების ღვთაებრივ გზას, როდესაც ის უსარგებლოს შეუმჩნეველ სარგებელს ხსნეგდა. „ლაკის ხეს სჭრიან იმისათვის, რომ ის სასარგებლოა — ფიქრობენ ისინი — ყველამ იცის, რა სასარგებლო იყო სასარგებლო, მაგრამ არავინ იცის რა სასარგებლოა იყო უსარგებლო" — გონების ამგვარი განწყობა, ბუნებრივია პოეზიაზეც პროცირდებოდა. ამ „რთულად" გასაცნობიერებელი სიკეთის გამოსახვებანი გურამ პატრიაშვილის პოეზიის გონებისათვის საამოდ სახილველსა ხდის. აი, მის ერთ პოეტურ მედიტაციაში წარმოსახული ნათელი მშვენიერებისა:

> როცა ზაფხულის თბილი წვიმები
> გადაივლიან,
> როცა იფიქრებ ყველამ დაგტოვა
> შორი ბაღიდან აფრენილ ფოთოლს
> შენს ალვანზე მოტანას ქარი.

ამგვარი განწყობილებებით პოეტს საოცარი მოწიწებით შეპყავს მკითხველი დიდი სიკეთის უჩვეულო სიუფლოში და მის ცნობისწადლით ალსავსე მზერას აყოვნებს მხლოდ იმაზე, რაზეც იგი ადრე არ შეჩერებულა.

დაინახო და იგრძნო შენი განუყოფლობა გარესამყაროსთან, ისწრაფო მასთან შესაერთებლად და მხლოდ ამ გზით მიაღწიო შინაგან ჰარმონიას — ამ ნათელი აზრით შთაგონებული პოეტი სხვასაც უშუალელი გულმოდგინებით უნაწილებს ამ ღრმადგანცდილი სიმართლიდან უხვად მომდინარე სხივებს:

> ნუ გეშინიათ დიდი ქუხილის
> და ჩვენ ცოდვათა სამგვეიერად
> ცეცხლის წვიმებს ნუ ელით ციდან.
> სასჯელად ჩვენ ისიც გვეყოფა,
> რომ ჩაგვიფრენენ მერცხლები ველერდით
> და ჩვენს მხრებზე დასასვენებლად
> აღარასოდეს ჩამოსხდებიან.

გურამ პეტრიაშვილის პოეტური ფიქრი ერთ ფრად საკმარობორატო საკითხსაც დასტრიალებს — ეს არის მორალურ-ზნეობრივი ინდივიერენციზმის ხელშესახები განცდა და ადამიანის უნიკერსალური ცნების გაფერმრთალების საშიშროება. დიბპარმონიული საწყისი ადამიანის ცნების შეერწყა თითქოს. გარეგანში გაცხადებული შინაგანი რეალეა პოეტს გულისტკივილითა და შეუფერადებელი სიმართლითა აქვს წარმოდგენილი. გაქვავებული და ზოგჯერ აზრდაცლილი ეთიკური და მორალური რეგლამენტაციებით შემოზღუდული, ადამიანი თითქოს ჩკარგავს გარესამყაროს თავისუფალი ალქმისა და მისით ტკბობის ღვთაებრივ უნარს:

> იქ, გარეთ, ცის ქვეშ იპოვა კაცმა
> ერთადერთი ღირებული ჭეშმარიტება
> და გულით ნაპოვნ ჭეშმარიტებას
> ეერქვა სიმართლე.
> დადიოდა ქვეყნად კეთილი ფილოსოფოსი
> და ძლიერ ჰგავდა იმ მეძაღლებს,
> გაბოიადამდე ბნელ ქალაქში რომ დაჰყავს
> ტრამვაი
> და ვაგონებით, როგორც მინის დიდი
> ყუთებით,
> დაავლს სინათლე.

პროზაული ყოფის უსაშველოდ გრძელ დღეებს, საოცრად ხანმოკლე, თითქოს წამიერი პოეტური გასხივოსნებანი აჭცევენ ხოლმე ასატანსა და აზრიანს. პოეტის ლექსები, მკითხველში სწორედ ამ უცნაურ „ფეთქებათა" ჯიუტი სურვილით არიან დამუშაკებული. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, ვითარცა ადამიანის უსაზღვრო მეტრფე, იგი ბავშვური გულწრფელობით განიცდის მისი ლექსიდან მომდინარე სიკეთის თესლის „უნაზეს ყვავილად" გარდასახვის სიხარულს.

ბოლოსა და ბოლოს გურამ პეტრიაშვილის პოეზია უკიდურესად უბრალო, უსაზღვრად თავისუფალი და საოცრად ცოცხალი პოეზიაა, რომელიც შინაგანი სიმაცარითაცა ადღეგდილი.

მისი პოეზიის ურრმად ალმართული და ამაყად მზრარალი „ხე" ფოთლებმოსილია არა ნატურალისტური სიმეტრიის წვრილმან კანონთა მიხედვით, არამედ, და ეს ფრიად მნიშვნელოვანია, მხლოდ ხელოვნების მაღალი სიმართლისა და შინაგანი უტყუარი ძახილის გათვალისწინებით.

რა დიდი ფიქრითაა მოპოვებული სიტყვათა წამიერი გაელვება — „მშვენიერი ყოველთვის საოცარია" (შ. ბოდლერი)

წიგნი სიბრძნისა და სათნოებისა

ჩინეთი აღმოსავლეთის იმ ქვეყნების რიგს განეკუთვნება, რომლებმაც ჩვენს პლანეტაზე უძველესი ცივილიზაციები შექმნეს და თანამედროვე მსოფლიო კულტურის მასაზრდოებელ დიდ მდინარეებს წარმოადგენენ: მდინარეები აქ თუმცა გადაკანონილი მნიშვნელობით ვახსენეთ. ისინი ხალხთა ინტელექტუალური განვითარების ხანგრძლივ პროცესში უდიდეს როლს ასრულებდნენ პირდაპირი მნიშვნელობითაც და თავიანთ ნაპირებზე აერთიანებდნენ ხალხთა ტომებსა და ჯალაქებს, რამეთუ მარტოოდენ ბიოლოგიური თვალსაზრისითაც — სადაც წყალი არ არის, არც სიცოცხლეა. ახლო დედამიწაზე მდინარეებია: ეგვიპტისათვის — ნილოსი, შუამდინარეთისათვის — ტიგროსი და ევფრატი, ინდოეთისათვის — ჰინდი და განგა და სხვ.

ჩინეთის ეთნო-კულტურული სამყაროს უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაშლილ სამმდინარეთში ჩამოყალიბდა. ეს მდინარეებია: ხუანხე (ჩინეთის ჩრდილო ნაწილი), იანძძიანი (ცენტრალური ნაწილი) და სიძიანი (სამხრეთი ნაწილი), მათ ნაპირებზე ისტორიის ლეგენდარული პერიოდიდან ჰყვაოდა მრავალათასწლოვანი დიდჩინური კულტურა, რომლის განვითარების საფეხურება პიეროგლიფურ ჩუქურთმებზია ჩასურათხატებული. ჩინეთი იმოდენაა განვითარების სივრცითი და დროითი ფაქტორით, რომ ეს ქვეყანა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელით აღინიშნებოდა იმის დამოკიდებული, თუ რომელ ხანაში რომელი სამეფო მძლავრობდა. ამრიგად, ჩინეთში იყო მრავალი ჩინეთი თავისი ისტორიული სახელწოდებებით: შანი, ჯოუ, ხანი, ცინი, ჯუნგო და სხვ. ქართული სიტყვა „ჩინეთი" („ჩინი") ცინის სამეფოს სახელწოდებიდან მომდინარეობს.

მეცნიერებისა და ხელოვნების ბევრი დარგის ყვავილობისა და მწიფობის მშვიდობიან ხანას მრავალჯერ მოსწრებია ჩინეთი ურთიერთდამრბევი შინაომების ინტერვალებში. უძღებადამთანა სისხლიან წყურვილს და ბოროტკმედებით გონდაბინდულობას სულიერად კურნავდა ლაო-ძისა და კონფუციუს მძლავრი რელიგიურ-ეთიკური მოძღვრებანი ინდურ ბუდაიზმთან ერთად.

უკვე პირველი საუკუნიდან მათმატიკაში ახარულებდნენ ურთიერთს ამოკანებს და ოპერაციებს აწარმოებდნენ უარყოფით რიცხვებზე. ასტრონომმა ჯან-ხენმა (I-II სს.) შექმნა ცის გლობუსი და მასზე აღნიშნა 2500 ვარსკლავი. მანვე გამოიგონა პირველი სეისმოგრაფიული ხელსაწყო, რომელიც აღნიშნავდა როგორც მიწის შიდა ბიძგებს, ასევე მიწისძვრის არესა და გავრცელების მიმართულებასაც... ამავე პერიოდში შექმნეს ჩინელებმა პირველი ფარმაკოლოგიური სახელმძღვანელო „ზენ-ცაოს" სახელწოდებით.

პრეისტორიული ჩინური ქვების უფორმო დუმილი ქანდაკებისა და არქიტექტურის ჯადო-ენაზე ალაპარაკდა ჯერ კიდევ კაცობრობის ისტორიის გარიჟრაჟზე. საწერი ქაღალდისა და ტუშის გამოგონებათა სამშობლოში უნატიფესად დაიხვეწა ნაციონალური ნიშნით აღბეჭდილი ფერწერა და საგანთა არსში იდუმალად განმჭვარეტი ლვთაებრივი პოეზია.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ქართულ ენაზე ძალზე ცოტა (ან თითქმის არაფერია) თარგმნილი ჩინური ლიტერატურულ-ფილოსოფიური ( ) ტექსტებიდან. შაგრამ ეს არცაა გასაკვირი. რადგან ევროპულმა მეცნიერებამ მაღალი ჩინური კედლების შიგნით ჩაბედა მხოლოდ მე-20 საუკუნის ოციან წლებში დაიწყო.

ჭართული მთარგმნელობითი ლიტერატურაში ერთ-ერთი დიდადმნიშვნელოვანი ფაქტი იყო ე. წ. ტანის ეპოქის (მე-9 ს.) უდიდესი პოეტის ბო ძიოუ-ის თარგმანი ქართულ ენაზე, რომელის უბადლო ლირიკა ეზვითი ოსტატობითა და მადალნიჭიერებით შეასრულო თამაზ ჩხენკელმა. ამ თარგმანმა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ბევრ ახალგაზრდა ქართველ პოეტზე და ზოგმა მათგანმა არაერთხელ სცადა ჩინურ-იაპონური და ვიეტნამური ლირიკის თარგმნა ქართულად მეცნიერულ აპparatებზე დაყრდნობით (რუსულ-გერმანული აპparatებები), რადგან, სამწუხაროდ, ჩინური ენის საცალიტერატ, მგონი, ჯერჯერობით ჩვენ არ გვყავს.

ჩინური კულტურისადმი არა მხოლოდ უბრალო დაინტერესების, არამედ დიდი სიყვარულის ნაყოფიცაა ლერი ალიმინაკის მიერ ქართულად თარგმნილი ეი ძინ-ის ფილოსოფიურ-მოძღვრებითი ხასიათის პოეტური თხზულება „დაო დე ძინი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი გამოსაკვეყნებლად მოამზადა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ, ხოლო დასტამბა გამოქვეყნდა „ხაზგზოთა საქართველოს“. წიგნს დართული აქვს ლ. ალიმონავის ვრცელი და ანალიტიკური სახელოთის გამოკვლევა; წარმოდგენილია ლაო-ძის თხზულების თარგმანი და ახლავს ახეთე ვრცელი განმარტებანი.

წიგნის თავფურცელი მოკლე ინფორმაციის სახით გვაუწყებს, რომ „ძველი ჩინური ფილოსოფიური თხზულება „დაო დე ძინი“ ანუ „წიგნი გზისა და სათნოებისა“ პირველი ჩინურ პოეტურ ქმნილებად არის აღიარებული, ხოლო მისი შემოქმედი — ბრძენთაბრძენი ლაო-ძი (VI ს. ძვ. წ.) — ერთ-ერთ უდიდეს ფილოსოფოსად მსოფლიო აზროვნების ისტორიაში. შემთხვევით არ უწოდებიათ ამ წიგნისთვის გადმოპარქვავებული პირამიდის წვერი. ოცდაზუთი საუკუნის წინათ მასზე აღმოცენდა ერთ-ერთი უდიდესი მოძღვრება ჩინეთისა — დაოსიზმი. მანვე დაუდო სათავე ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ბელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობას არა მარტო ჩინეთში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ლაო-ძის თხზულება პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე“.

სხვა ადგილას მკლეკვარ-მთარგმნელი „დაო-დე ძინს“ უწოდებს „სიბრძნეს სიკეთისა და სათნოებისა“. რაგომ ხდება ასე? არის „დაო“ და „დე“, რაგაც საფუძველი დაუდო ჩინურ რელიგიურ-ეთიკურ მოძღვრებას — დაოსიზმს? ლ. ალიმონავს ამის გასარკვევად მოხმობილი აქვს უამრავი ლიტერატურა და სხვადასხვა მეცნიერული მოსაზრებანი, რომელთა საფუძველითა გაანალიზების ნიადაგზე მას, როგორც მთარგმნელს და მკვლევარს. საკუთარი პოზიცია უპირავს და, ამდენად, მიუხედავად კვლევითი ნაშრომის სიდიდისა და ცოტტებია სიუხვისა, ფუტკ კომპილაციის საშიშროება არსად იგრძნობა. „დაო დე ძინის“ პირველი გამოცემა უსაოეოდ საჭიროებდა ვრცელსა და საფუძვლიან გამოკვლევას, მით უმეტეს, რომ თხზულება დაოსა და დეზე დღესაც გულმოდგინე შესწავლის ობიექტია მსოფლიო მეცნიერებაში.

რა არის დაო?

ფილოსოფია ფდიდან თავის არსებობისა მუდამ ეძიებდა მსოფლიოს, სამყაროს პირველ საწყისსა და შემოქმედს, მიზეზთა პირველ მიზეზს, ხოლოდ სამყაროს უხილავ მამძრავებელს, საგანთა არქეს. ამ ძიების მსრივ რამდენადმე გამიჯნულია ანტიკური ფილოსოფია და აღმოსავლური რელიგიური მოძღვრებანი ერთმანეთისგან, მაგრამ ამავე დროს მიახლოებულია — რის თაობაზეც ორიოდ სიტყვას ქვემოთ მოგახსენებთ.

ლ. ალიმონავი ზოგად სქემებსა და ნახაზებში მიმოიხილავს ლაო-ძიდე არსებულ კოსმოგონიურ შეხედულებებს და ჩინურ კოსმოლოგიას.

ძველ ჩინელთა წარმოდგენით, ხუთი ელემენტი, ხუთი სტიქია მოქმედებს სამყაროს ფორმად-ქმნადობის პროცესში. ეს სტიქონია: წყალი, ხე, ცეცხლი, მიწა, ლითონი. როგორც ვხედავთ, ეს ოკეანეა, რაც ოთხი ელემენტი ადრეულ ბერძნულ ფილოსოფიაში და რაიც ე. წ. „ბუნებრივყველო მატერიალიზმია“ სახელრქმეული (თალესის წყალი, პერაკლიტეს ცეცხლი, ანაქსიმენის ჰაერი, ემპედოკლეს მიწა).

ჩინური ხუთი სტქიის ურთიერთკავშირის სითბო-სიცივის წინააღმდეგობრივი თვისება უდევს საფუძვლად, ისე, რომ „წყალმადი წარმოიშვა თბობადისგან, ხოლო თბობადი — წყალმადისგან. წყლისგან წარმოიქმნა ხე, ხისგან — ცეცხლი, ცეცხლისგან — მიწა, მიწისგან — ლითონი. ლითონი ისევ სითხედ გარდაიქცევა. ამნაირად სტქიებს, როგორც წრეს, არა აქვს დასაწყისი; მაგრამ ამთა წყალობით იშვა ხუთი ჰაერი, აღმოცენდა წლის ოთხი დრო“.

ამ ელემენტთა სიმრავლეს უკავშირდება ცნება პირველი დასახამისა, რაგდენ საგანთა სიმრავლეს ერთი დასახამი (არქე) უნდა გაიჩნდეს. დასახამი ერთადერთია და სამყაროოელი არსებობის მიზეზი. იგი არ განისაზღვრება სტატვებით, იგი განუსაზღვრელია, ყოველის დასახამი დაუსახამია. „ხუთი სტქია ერთარსია თბობადისა და წყალმადისა. თბობადი და წყალმადი ერთარსია პირველი დასახამისა. დასახამი კი დაუსახამია. ხუთ სტქიის დაბადებამ ჩაუყარა საფუძველი ქვეყნად ყოველივეს შექმნას. სტქიათა ერთიანი და მთლიანი ბუნება დაუსახამოს არსია“. (გვ. 21-22).

უსილავი პირველი — დასახამისა და ხილული სამყაროს არსებობა ჩინურ აზროვნებაში არ მოიაზრება ადამიანისა და ამდენადვე რელიგიურ-ეთიკური ფაქტის გარეშე.

„სამყაროს ეს ხურათი, ადამიანის ზნეობრივ სამყაროში გადატანილი, ასე წარმოგვიდგება: ადამიანის პირველი დასახამი მის გონიერებაში ძევს. ადამიანური საქმენი არსა საგანთა გამოსატანია, ანუ ახეთივე არსია ზნეობრიობის სამყაროში, როგორც ნივთები ფიზიკურ სამყაროში“.

ყოველივე ამას ემატება სიბრძნისა და ბრძენის ცნებაც. ყველაზე სრულყოფილად ბრძენი ქვრეტს პირველ დასახამს, აღიქვამს მისგან ნაკარნახევ ზნეობრივ იმპულსებს. „ამ მიზეზთა გამო ყოველად-ბრძენი მოძრაობაშიც და უძრაობაშიც უმალელი სრულქმნის მწვერვალზე დგას; მდუმარებასა და სიმშვიდეშიც შეხანიშნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად ბეერტს და შინაგანად ხედავს ყოველივე ცვალებას ცისკვეშეთში". (გვ. 20).

ამის საფუძველზე ლაო-ძის მოძღვრებაში გამოიკვეთება თავისებური თეზა პრძენის ხელმწიფებისა.

„ამ ეპოქაში, როცა „დაო დე ძინი" იქმნებოდა, ჯერ კიდევ ძლიერი იყო ძველჩინური რელიგიურ-მისტიკური და რელიგიური წარმოდგენები. ისინი თავიანთი პარადოქსალური ბუნების გამო, დიდ გამოძახილს პოულობდნენ ლაო-ძის, კონფუცის, მო-ძის, ჯუან-ძისა და სხვათა ნააზრევში". ახე, რომ ლაო-ძის დაოსიზმი ცარიელ ადგილზე არ გაჩენილა და იგი, გარკვეული თვალსაზრისით, თავისებური დაგვირგვინებაა ჩინეთის წინაშეკვე აღმოცენებული რელიგიურ მოძღვრებათა ჯაჭვისა. ეს შეიგნება აგრეთვე სამყაროს პირველდასაბამის აღმნიშვნელ დაოს — ლაო-ძისეულ ფილოსოფიურ-რელიგიურ არქეს.

„ცნება დაო ჩინურ აზროვნებაში ლაო-ძამდეც არსებობდა. მას იყენებდა თითქმის ყველა ჩინელი ფილოსოფოსი, მათ შორის კონფუცეც, მაგრამ ამ ცნებაში სხვადასხვა აზრს დებდნენ. ლაო-ძამ სრულიად ახალი და ადგილზეკვეული მნიშვნელობა მიანება ეს დაოს. როგორც სინოლოგები გადმოგვცემენ, ეს ცნება ჯერაც ბოლამდე გაუსნილი და დაუდგენელია მეცნიერებაში" (გვ. 58).

მართლაც, ლ. ალიმონაკის მიერ გათვალისწინებული ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურიდან დაო სხვადასხვა კვლევარიან საკმაო სხვადასხვაგვარობით განიმარტება და ახეკი სხვადასხვა კუთხით განმარტავს მას თვით ამ წიგნს მოარგებელ-მკვლევარიც. მაგ. ერთგან ვკითხულობთ: „დაო არა მარტო გზის და ეთიკურ განსაზღვრებას — „სათნოებას" აღნიშნავს, არამედ აზროვნების კანონსაც — ლოგიკას" ან „დაო უადგილოა ყოველ არსთა წინაპრისა, მაგრამ არავინ უწყის, საიდან იშვა იგი. დაო გვეცხადება როგორც უკიბოვნო, არასახიერი დასაბამი, ბუნებამდელი არსი, წარმომშობი ყოფიერებისა. სამყაროს ეს მარადიული და უცვლელი პირველსაწყისი, უდაბადესი და ყოველისდამტევი დასაბამი მხოლოდ თვითმოძრაობის საკუთარ კანონებს ემორჩილება..."

„ლაო-ძის დაოს ჩინელები განსხილავენ როგორც ლოგოსსაც, სამყაროულ გზასაც, ღმერთსაც, სამყაროს პირველმიზეზსაც, სულიერ პოტენციალსაც, წმინდა და ტრანსცენდენტალურ ყოფიერებასაც"; „დაო შემოქმედი ყოველი არსისა" და ა. შ.

ამავე დროს მთარგმნელი გვთავაზობს მრავალი ავტორიტეტული კვლევარის მოსაზრებებს და გამოაქვს თავისი შემაჯამებელი დასკვნები.

საკმაო სხვადასხვაგვარობით განიმარტება დაო თვით ლაო-ძის თხზულებაში, სადაც ვეკურდნობით ლ. ალიმონაკისეულ თარგმანს:

„დაო რომ გვეხილა:
დაო არ იქნებოდა უცვლელი.
სახელი რომ გვეგზომა:
სახელი არ იქნებოდა უცვლელი".
„ამ დასაბამს დაფარული ჰქვია.
დაფარული დაფარულისა:
ბუნე ყოველივე საიდუმლოსა" (ლეკსი I);
ან:
„დაო ცარიელია.
ცარიელია, მაგრამ ამოვლინებისას:
ამოუღეველია.
ო, რა ღრმაა, და დაფარული!
დაო მამაა ყოველი არსისა.
დაო აუტბოვებს მოძრაობას.
დაო აწესრიგებს ქაოსს" (IV).

სხვა ადგილას კი დაო მდედრეული ნიშნით განისაზღვრება:

„უკვდავია სული უწმინდესი.
იგი მდედრია დაფარულისა.
მარადიული ბუნე დასადებისა.
საშო, საიდანაც იშვის:
დასაბამია ცისა და მიწის" (VI).

მაგალითები შორს წაგვიყვანდა. მოკლედ ვიტყვით: დაოს დაუსრულებლივ განმარტავს როგორც თვით ლაო-ძი, ახეკი ლაო-ძის მკვლევარები. რა არის ამის მიზეზი? შევეცადოთ ამ მიზეზის გარკვევას ლ. ალიმონაკის მიერ ციტირებული ერთ-ერთი მკვლევარის მაგალითზე.

„დაო დე ძინის" რუსულ ენაზე მთარგმნელი დ. კონანი წერს: „ლაო-ძის მიერ განვითარებული მეტაფიზიკური სისტემა წარმოდგენს თანმიმდევრულ და მთლიან მოძღვრებას ერთიან უმაღლეს არხებაზე, მსგავსად ბერძნული ფილოსოფიისა, სადამდეც იგი თავის აყვავების ხანაში ამაღლდა. მაგრამ ლაო-ძის უპირატესობა ის არის, რომ მან ერთმა, საკუთარი გონების ძალით, განავითარა მოძღვრება, რა წერტილამდეც ბერძნული ფილოსოფია მხოლოდ ერთიანი ძალითა და იხტორიული განვითარებით მივიდა".

მაგრამ განა შეიძლება ლაო-ძის მოძღვრება ანტიკურ აზროვნებას ტოლფასად შევუპირისპირთ, როგორც ერთი ფილოსოფია მეორეს? ლაო-ძის დაოსიზმი ხომ რელიგიური მოძღვრებაა, ანტიკური აზროვნება კი ფილოსოფიაა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ლაო-ძისთვის დაო, როგორც ეშეზარიტება, არაა კვლევის ობიექტი. იგი უკვე აქსიომატურადაა მოცემული. ბერძნული ფილოსოფიისთვის კი ეშეზარიტება კვლევის, ძიების, გონებისეული ლოგიკის გზით შემეცნენა. საცა ხაგანი კვლევის ობიექტია — იქ ფილოსოფია, ხოლო საცა ხაგანი დოგმაა — იქ რელიგია.

შემდეგ: რადგანაც ლაო-ძის დაო ფილოსო-

ფიური კვლევის ობიექტი არ არის, ის არც ფილოსოფიური კაბეგორიითაა განსაზღვრული. ამიტომ ლაო-ძისეული დაოს — როგორც პირველსაწყისის, როგორც რაღაც ბუნდოვანპასტრაქტულად არსებულის დახასიათება შეიძლება გაუთავებლად. დაოსზეშმი მხოლოდ ზოგადი ფილოსოფიური მარცვალია ძველ ხალხთა აზროვნებისა და სწორედ ამიტომაა, ლაო-ძის დაო მკვლევართათვის ხან პერაკლიტეს ლოგოსია, ხან — ანაქსიგორას მსოფლიო გონი, ხან — პლატონის იდეა, ხან — ინდური მსოფლიო სული და ასე შემდეგ, დაუსრულებლივ.

კიდევ მეტიც: თუ დაოს ნაირნაირ განმარტებებს ძალიან გამოვეკიდებით, მაშინ ლაო-ძის მოძღვრება დაოზე შეიძლება წმინდა მატერიალისტურ მოძღვრებებსაც კი შევადაროთ. ასე მაგალითად: დიდი ბერძენი მატერიალისტის დემოკრიტეს მოძღვრებაში საგანთა არსებობისა და განსაზღვრებისთვის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სიცარიელის ცნებას: საგანი ვერ იარსებებს სიცარიელის გარეშე, რადგან არსებობისას იგი ცარიელ ადგილს იკავებს. სიცარიელე საგნის არსებობის პირობაა. ამავე დროს საგანი მოძრაობს (მოძრაობს თვალსაჩინოს უსიცარიელ ატომებიც). საგანი ვერც მოძრაობას შეძლებდა სიცარიელის გარეშე, რადგან მოძრაობის გზაზე მას შედან უნდა ეპოოს ცარიელი ადგილი. დემოკრიტეს მატერიალისტურ მოძღვრებაში საგანთა არსებობისა და მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი პირობა სიცარიელეა. დემოკრიტე მატერიალისტია, მაგრამ ახლა მოვუსმინოთ მეტაფიზიკოს ლაო-ძის:

„დაო ცარიელია.
იგი ცარიელია, მაგრამ ამოუღეველია.
რაც უფრო სავსეა სიცარიელით:
მით მეტს მოძრაობს.
რაც მეტს მოძრაობს —
მით უფრო იესებს სიცარიელით“.

დაო კი (მოცემულ შემთხვევაში დაო — სიცარიელე), საგანთა არსებობისა და მოძრაობის მიზეზია. აქ კიდევ ბევრი სპეციალური მოტანა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ეს მაგალითიც კმარა.

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ლაო-ძის მოძღვრება რელიგიურ-სოციალურ-ეთიკური ერთიანობაა და რომ „მან ერთმა, საკუთარი გონების ძალით, განავითარა“ ეს ერთიანობა, ამგვარი რამ მარტო ლაო-ძისათვის როდია დამახასიათებელი. ეს საერთოდ ახასიათებს აღმოსავლურ რელიგიებს, სადაც ღმერთი და ადამიანური მორალი განუყოფელ კავშირშია მუდამ.

როცა ანტიკური ფილოსოფიას ვადარებთ მთელ აღმოსავლურ რელიგიებს, მაშინაც მეცნიერული სიფრთხილეა საჭირო; არაფერია ერთი კაცის — ლაო-ძის მოძღვრება შეადარო მთელ ანტიკურ ფილოსოფიურ სისტემებს, რომელთა ბალკანურზე აღმოცენებულმა უნივერსალურმა კულტურამ თავისი დიალექტიკური, ევოლიერების აქტივობით დასაბამი დაუდო ახალ ევროპიულ ცივილიზაციას, რომელის მსგავსი რამ არამცთუ ლაო-ძის კონსერვატიულ დაოსზეშმი არ შეეძლო, არამედ — მთელი აღმოსავლეთის ყველა რელიგიურ მოძღვრებას, ერთად ალებულს (რომ შესაძლებლად — გაკეთებდა კიდეც). აღმოსავლურმა მოძღვრებებმა კულტურის განვითარება წარსულში ჩაპკეტა და ევროპული აზრი დღემდე ადვიძებს მას ის დასაბამული ძალისგან.

რა თქმა უნდა, არც ანტიკური ფილოსოფია გაჩენილია ცარიელ ადგილას და ბევრ რამეში დაეხესხა აღმოსავლეთს, მაგრამ მათი ურთიერთშედარებისას ზზრაად დიდ სპეციალისტებსაც კი ავიწყდებათ, რომ ანტიკური ფილოსოფია იწყება სწორედ აქ, სადაც მთავრდება აღმოსავლური რელიგია. არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს აღმოსავლური რელიგიებს ფილოსოფიური ელემენტები არ გააჩნდეს ან პირიქით — რელიგიური ელემენტები ანტიკურ ფილოსოფიას.

აღმოსავლური რელიგიური დოკტრინები წმინდა ფილოსოფიურ პლანში რომ მოვაქციოთ, მაშინ ფილოსოფიას შეემატება ახალი სახელები მაგ: ფილოსოფოსი ბუდა, ფილოსოფოსი მამადი, ფილოსოფოსი ქრისტე და სხვ.

რაც შეეხება ლაო-ძის, მისი მოძღვრების ფილოსოფიური წილი უფრო მისსავე ეთიკაზე მოდის, ამიტომ, სხვადასხვა მკვლევართა საკმაოდ განსხვავებულ შეხედულებებს რომ მიმინიხილავს, ლ. ალეიმოსაკი ზავნებით სწორად ასკვნის: „ამ მოძღვრებაში ფილოსოფია ემორჩილება რელიგიას, ხოლო ბანსკა — რწმენას. დაოსზეში რელიგიური ფილოსოფიაა, ანუ ფილოსოფიური რელიგია. ამ მოძღვრებაში რელიგიური ტენშმორიტება დოს მისტიკურ აღიარებაში ძევს, ხოლო ფილოსოფიური ტენშმორიტება — მის ეთიკურ აღიარებაში“.

რა არის დე?

თუ დაო არის უზენაესი აბსოლუტი, უსაზღვრო და უსაღლესი ენერგია, დე ხილული გამოხატაულებაა მისი. უსაბრო და უფორმო დაო სახიერი და ფორმადაქცეული დეა. თუ დაო თავისთავში თავისგანვე არსებობს და თავისივე არსებობის მიზეზი თვითონვეა, დე არ არსებობს დამოუკიდებლად და მისი არსებობა დაოსგანაა განპირობებული. პროტაგორეული რიცხვითი ნიშნით დე შეიძლება ასე გამოიხატოს. თუ დაო ერთია (ერთადერთი), დე არის ერთი და კიდევ რაღაც სხვა, ანუ ორი, ანუ ჯერ კიდევ ბუნდოვანი და უცნობი რაღაც. რიცხვითი ნიშნები სამი კი მას სახიერ ფორმას ანიჭებს, რიცხვითი სამით დე სრულია, ანუ განსხვეულებული დაოა. ლაო-ძი ამ რიცხვით გამოხატულებას ასე გამოთქვამს:

„დო ზომა ერთი.
ერთი ზომა ორს.
ორი ზომა სამს.
სამი — ყოველ არსს“.

თუ დო ფუვლელია და უხილავი, დე ბილელი და ცვალებადი სამყაროა. ანუ წარმავალი სახიერებაა. „დო ზომს ყოველივეს, მაგრამ ეს ყოველივე ზომილიდ დეს მეშფეთი ვლინდება სახედ“. „თუკი დო ხუბსტანციური ბუნებისაა, დე მისი მუდმივი და განუყოფადი გამოვლინებაა, მისი უეცლებელი და არსებული ოვისება და კანონზომიერებაა“.

დო არის ის, რაც არა ჩანს, დე კი არის ის, რაც დათხვან ჩანს; როგორც მაგალითად არა ჩანს ადამიანის აზრი და ფიქრი (აზრის, ფიქრის ფიზიკური ხილვა შეუძლებელია), მაგრამ ჩანს ის რაც აზრისა და ფიქრისგან იშვა, მაგ.: მანქანა, სახლი და სხვა. დაახლოებით ასეთი ურთიერთკავშირია დოსა და დეს შორის. ლაო-ძის ერთ-ერთ ლექსში დოსა და დეს ურთიერთობა ასეა გამოხატული:

„დო ზომს ყოველ არსს.
დე კვებავს ყოველ არსს,
ხორცქმნის და მფარველობს მათ
ზრდის და ამწიფებს მათ;
სრულქმნის და წინამძღვრობს მათ;
მზრუნველობს და თანალმობს მათ“.

ზემოთ გაკვრით ვახსენეთ, რომ ლაო-ძი თავის მოძღვრებას დოსა და დეზე ეთიკურ ტერმინებში განიხილავს. ეთიკა კიდევ არ არსებობს ადამიანის გარეშე. ადამიანი დეს ნაწილია და მის ეთიკურ-ზნეობრივი სრულყოფა მის წილ დეში ხორციელდება. სათნოებრივი სრულქმნილების გზით მავალმა ადამიანმა უნდა უარყოს წარმავალი დე, მდუმარე ჭვრეტით მიაგნოს დოს და დაემორჩილოს მას. მაგრამ ამიხთვის საჭიროა, ჯერ იგი დაუბრუნდეს დედაუნების ბავშვურ, უწყვინარ პირველსწყისს, ჩვილის უდრტვინველ მდგომარეობას, რომელსაც ადამიანები მოსწყვნენ დროთა განმავლობაში და რამაც წარმოშვა ყოველგვარი ბოროტება და ოფები მოეკვანთა ზორის. ამის გამო თანდათან გაჩნდა არასასურველი, უვარგისი სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, სიკეთე (ბოროტების გამო), სამართლიანობა (უსამართლობის გამო), ერთისადმი სიყვარული (მეორისადმი სიძულვილის გამო) და ა. შ. ამიტომ ადამიანი უნდა დაუბრუნდეს ბუნებით პირველ საწყისს, ეშშრეტ დეს, სადაც არ არის არც სიკეთე და არც ბოროტება, არიაქედ არის საყოველთაო სიყვარული მოეკვანთა ზორის, სრული მშვიდობა და ზომიერება. ეს არის ლაო-ძის მოძღვრებაში ე. წ. ბუნებითობის კანონი.

მაგრამ ვის შეუძლია გაიაროს ბუნებითობის ეს გზა? — მას, ვინც შეიცნო დე და მორჩილებს დოს, ე. ი. ვინც ზურგი აქცია წარმავალს და ეზიარა წარუვალს. ვინ არის იგი? იგი ბრძენია. მაგრამ ბრძენი არ ყოდგებს, იმიტომაც, რომ ბრძენი. არას იქმს და ისე მოქმედებს, ამიტომაცაა სათნო. ხელმწიფეა, მაგრამ არ მბრძანებელობს, ამიტომაცაა მბრძანებელი.

ბრძენი და ხელმწიფე თითქმის გაუთიშავი კომპოზიტია ლაო-ძის მოძღვრებაში, მას სწამს, რომ დაოსადმი (უზენესი ზეშმარტებისადმი) სათნოებრივი მორჩილება ხელმწიფე-ბრძენმა უნდა განახორციელოს ამა ქვეყნად —თავად მორჩილმა და სათნომ, რამეთუ ოდენ მას ძალუძს დოს არსის ჭვრეტა და ამდენად დეს შეცნობაც (ახეკე პლატონის „იდეალურ სახელმწიფოსაც“ მეფე-ფილოსოფოსი უნდა მართავდეს).

ყოველივე ის, რაც ზემოთ სქემატურად ითქვა, იშვიათი სიბრძნისეული სიღრმითა და ყოველის დამტკიცე პარადოქსული ფორმულებით აქვს გადმოცემული ლაო-ძის თავის პოეტურ-ფილოსოფიურ „დო და ძიში“. მარილაკ და, ალბათ, იშვიათია ბრძენი მთელს ძველ ალმოსავლეთში, რომელსაც ეხოდენ მეირე წიგნაკის სახით ამოდენა განძი დაეტოვებინოს კაცობრიობისათვის და, რაღა თქმა უნდა, ძალზე სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ ლ. ალიმონაკის თარგმანში სრულიად შეიგრძნობა ჩინელი ბრძენკაცის ცახავი ღრმა და მზეხავი ნათელი აზრთა მოფენა. თარგმანის სტილი ლაკონი, ძალდაუდანებელი. ფრაზა მსუბუქი, ბუნებრივი და გამჭვირვალეა. თარგმნილი გათავისუფლებულია ყალბი სტილიზაციისაგან და მთელი მისი მთარგმნელობითი ოსტატობა მზოლოდ დედნისეული აზრის სწორად გადმოცემის უანგარო სამსახურს ეთმობა, თუმცაღა ლაო-ძის მოძღვრება პოეტური ფორმითაა გადმოცემული და პოეტური სტილიზაციის გახაკანსაც იძლეოდა.

ბუნებრივად აღწევს მკითხველის აღქმამდე ჩვენთვის ცოტა არ იყოს უცნაური და ანეკე უცნაურად გამოთქმული ბრძენული და პოეტური ფორმულები ლაო-ძისა:

„ჰქმენ და: ირწმუნე,
ჰქმენ და!
არ დაეუფლო ქმნილს.
აღძარ და:
არ დაეუფლო აღძრულს.
იხელმწიფდ და:
უარყავ ხელმწიფება“.

მოძღვრება დოსა და დეზე ადამიანურ სათნოებას ემყარება. კაცთა შორის ამ უმაღლეს სათნოებას ფლობს ბრძენი, ანუ ხელმწიფე, რომელიც დოს მორჩილებს. ხელმწიფე (ბრძენი) დოს დდეას განახორციელებს დეში, ე. ი აჭ ყოფნაში, ამა ქვეყნად. როგორია იგი (ხელმწიფე ბრძენი)?

გიგლა სარიშვილი
წიგნი სიბრძნისა და სათნოებისა

„კეთილია ხელმწიფე:
ვინაც დუმს და არას ითხოვს ხალხისგან“.
ხოლო პირველთ:
„უკეთესია ხელმწიფე:
ვინაც სიყვარულსა და დიდებას მოითხოვს
ხალხისგან.

ზღვაგია ხელმწიფე:
ვის წინაშეც ძრწის ხალხი.
გულბოროტია ხელმწიფე:
ვინაც ეზიზღებათ“.
ხელმწიფე, რა თქმა უნდა, მოიაზრება ხალხ-ხელმწიფეობრივი საქმიანობისა და მოღვაწეობის ერთიანობაში:
„სამართლიანობა საფუძველია ხელმწიფებისა.
ვერაგობა საფუძველია ომისა.
ხელმწიფებას უმოქმედობით ეეუფლებით“.
ანუ:
„რაც მეტია აკრძალვა:
მით მეტია სიღარიბე.
რაც მეტია იარაღი:
მით მეტია ამბოხი“.
„რაც მეტია კანონი და ბრძანება!
მით მეტია ქურდი და ავაზაკი“.
ლაო-ძის „უმოქმედობის“ პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, ძალმომრეობის საწინააღმდეგო ცნებაა:
„ყოველად ბრძენი ძლიერია და:
სძაგს ძალმომრეობა“.
„ვინაც მორჩილებით გასცემს:
დაეუფლება.
ვინაც ქედმაღლობით ეუფლება:
დაკარგავს“.
ხელმწიფეობა და ხალხის ურთიერთობის სიბრძნეს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად გამოთქვამს ლაო-ძი. მაგრამ დედააზრი მუდამ ერთია: ხელმწიფე ძლიერია არა ძმლავრობით, არამედ სათნოებითა და თვინიერებით:
„ვინც ძლიერია და მზეკობარი:
კვდება.
ვინც ძლიერია და თვინიერი:
ცოცხლობს“.
ანუ:
„ვინც სიკედილით ემუქრება ხალხს:
ბუნება სჯის“.
მაგალითებს რომ შორს გავუვეთ, ამ პატარა წიგნის ერთიანად გადმოწერა მოგვიხდებოდა. „დაო დე ძინის“ ყოველი სტრიქონი სიბრძნის ბაღში მოწეული მწიფე მტევანია, სულის ხალხნინ ღვინოდ დასაწური. აზრისეული უძირო სიღრმე საკვირველი უბრალოებითაა გადმოცემული და სიტყვა ისე მსუბუქია, თითქოსდა ვეება ტვირთს ბეღურას ფრთები ეზიდება. ჩვენ თითო-ოროლა ციტატა უფრო იმისთვის დავიმოწმეთ, რომ ოდნავ მაინც გვეჩვენებინა, თუ როგორ იგრძნობა სიტყვათა ეს ბუნებრივი ძალდატანებლობა ქართულ თარგმანში.

ლერი ალიმონაკს დიდი შრომა და რუდუნება გაუწევია ამ წიგნის გამოსაცემად და მოსამზადებელ პერიოდს, ეტყობა, წლებიც შესწირა. სამაგიეროდ, შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. ქართული „დაო დე ძინი“ ფაქტურად მეცნიერული გამოცემაა და ბარემდა აქვე იმასაც ვიტყვი, რომ თუ ამ პირველ გამოცემაში ამოდენა ანალიზი აუცილებელი იყო, მეორე (ან მესამე) გამოცემაში ეს, ჩემი აზრით, უკვე ზედმეტი იქნება, რადგან დიდი ჩინელის მოცულობით ამ პატარა წიგნს ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა და კომენტარი სწორედ რომ ჩინურ კედლად არტყია გარს და მკითხველს დიდხანს ალოდინებს გარეთ.

ამდენად, ვფიქრობ, ამ წიგნის მეორე გამოცემა, რომელიც უფრო ლიტერატურული ხასიათის იქნება და ფართო მკითხველი საზოგადოებისკენ გაიგენებს გზას, აუცილებელია. ამას იმსახურებს ლაო-ძის „დაო დე ძინიც“ და მისი ქართული თარგმანიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი დიდი მოაზროვნის შესახებ

კომუნისტური იდეოლოგიის შესწავლა, აუცილებლად მოითხოვს მარქსამდელი სოციალისტური თეორიების შესწავლას. ცნობილია, რომ მარქსიზმის ერთ-ერთი წყარო უტოპიური სოციალიზმია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ფრანგმა განმანათლებლებმა, მათ შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ჟან-ჟაკ რუსოს, ამიტომ რუსოს მოძღვრების მარქსიზმ-ლენინიზმის შუქზე განხილვას უსათუოდ დადებითი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ ახლახანს გამოცემული აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის წიგნი — «сущность руссоизма».

წიგნში განხილულია ჟ. ჟ. რუსოს როლი და ადგილი კაცობრიობის კულტურის განვითარების ისტორიაში.

სარეცენზიო წიგნში ნათლად არის ნაჩვენები, რომ რუსოს შეხედულებების მთავარი და გადამწყვეტი მხარე არის პროგრესული სოციალ-პოლიტიკური იდეები. წიგნის ავტორი ღრმად, მეცნიერულად გააანალიზებს არა მარტო რუსოს სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს, არამედ მის ფილოსოფიურ, ეთიკურ, ესთეტიკური და პედაგოგიურ მოძღვრების არსს.

ჩვენი აზრით, სავსებით სწორად მოიქცა ავტორი, როცა რუსოს მოღვაწეობის ცენტრალური იდეები განიხილა მის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასა და მეთოდოლოგიასთან მჭიდრო კავშირში. რუსოს ფილოსოფია, ისე როგორც საერთოდ რუსოიზმი, წინააღმდეგობრივი, არათანმიმდევრული და დუალისტურია.

რუსოს მიხედვით, ერთის მხრივ, არსებობს მატერია, რომელიც არავის არ შეუქმნია, ობიექტურია და ადამიანის შეგრძნებების საშუალებით შეიძლება აისახოს.

«Все, что я сознаю вне себя и что действует на мои чувства, я называю материей» («Эмиль и о воспитании», М., 1938, стр. 265).

მეორე მხრივ, მატერიასთან ერთად არსებობს სული, გონი, ცნობიერება, რომელიც წარმოიშვა მატერიისაგან დამოუკიდებლად. სული არსებობს როგორც მსოფლიო ნებისყოფა, როგორც მსოფლიო გონება, რომელიც თავს იჩენს ბუნებასა და საზოგადოებაში. და იგი საგანთა გასულდგმულების წყაროა, უკვდავი და მარადიული, ადამიანი მოკვდავი სხეულისა და უკვდავი სულისაგან შედგება.

რუსოს შემეცნების თეორია, გნოსეოლოგია სენსუალისტურია. ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია სენსუალიზმის ორი სახე: მატერიალისტური და იდეალისტური. მართალია რუსოს არ დაუწერია სპეციალური ფილოსოფიური ტრაქტატი სენსუალიზმის შესახებ, მაგრამ მთელი მისი შემოქმედება გაჟღენთილია მატერიალისტური სენსუალიზმის პრინციპებით. ადამიანის შეგრძნებები, რუსოს მიხედვით, ცოდნის საფუძველია, ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული საგნებთან და მოვლენებთან და ამიტომ ადამიანის ბუნებრივ თვისებებს წარმოადგენენ. ჭეშმარიტ ცოდნას მხოლოდ შეგრძნებები იძლევიან, მაგრამ შეგრძნებები პასიურია. შეგრძნებები თითქოს ფოტოაპარატის როლს ასრულებენ. რუსო რაციონალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს, იგი თითშავს ერთმანეთისაგან აზროვნებასა და შეგრძნებებს. შეგრძნებები აზროვნებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. რუსოს არ ესმის პრაქტიკა, როგორც შემეცნების საფუძველი, კრიტერიუმი და მიზანი. ასეთია რუსოს ფილოსოფიის ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური მხარე. რაც შეეხება რუსოს მეთოდოლოგიას, იგი ძირითადად მეტაფიზიკური, რომლის თავისებურება იმაშია, რომ მრავალ დიალექტიკურ ეტიმენტს შეიცავს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

რუსო უარყოფს მოძრაობას, როგორც მატერიის არსებობის წესს, მატერიის შინაგან ამბოლუტურ აგრეხებულს. მატერია, რუსოს აზრით, ბუნებრივ მდგომარეობაში უძრავია, იგი მოძრაობაში მოდის მხოლოდ გარეგანი ძალის ზემოქმედებით.

რუსოს ფილოსოფიური შეხედულებებიდან გამომდინარეობს მისი რელიგიური იდეები. რუსო დეისტია, რომლის მიხედვით ღმერთი არ არის პერსონიფიცირებული, იგი არსებობს პიროვნებაში, არსებობს მსოფლიო სულის, გონების სახით, იგი სიკეთის წყაროა და არა-

ვითარ მონაწილეობას არ ღებულობს ბუნებისა და საზოგადოების არსებობა-განვითარებაში. კაცმა რომ თქვას, რუსოს დღეში რელიგიის უარყოფას სრულიად არ ნიშნავს რელიგიის წინააღმდეგი კი არ არის, სიერთოდ, არამედ წინააღმდეგია ძველად არსებული ტლანქი, უხეში, ექსპლუატატორთა სამსახურში მყოფი რელიგიისა. რუსო განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებს ქრისტიანული რელიგიის დოგმებს, რომლებიც რუსოს პროგრესულ შეხედულებებს უპირისპირდება. რუსო მოითხოვდა ისეთი რელიგიის შექმნას, რომელიც მისი იდეების შესაბამისი იქნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსოს დღეში გახდა საფრანგეთის 1789 წ. ბურჟუაზიული რევოლუციის, განსაკუთრებით იაკობინელთა დიქტატურის ერთ-ერთი იდეოლოგიური იარაღი.

რა წინამძღვრები გააჩნია სამოკლაქო საზოგადოებას, სახელმწიფოს წარმოშობას (აქვე უნდა თქვას, რომ რუსო ირიგავებს საზოგადოებასა და სახელმწიფოს ცნებებს? ამ კითხვას რუსო პასუხობს: ჯერ არსებობდა ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობა, როცა ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორია, არ იყო კერძო საკუთრება. ბუნების საგნები, მიწის ნაყოფი ყველას ეკუთვნოდა, ბუნება და მიწა კი არავის. ამასთან ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანთა შორის კავშირურთიერთობა ძალზე მკრთალი, არამყბიერი იყო, აქ უმთავრესად ინდივიდუალიზმი იყო გაბატონებული.

მაგრამ ბუნებრივი მდგომარეობის დროს, ადამიანს, განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან, ერთი მეტად თავისებური და მნიშვნელოვანი თვისება გააჩნდა. ეს იყო გაუმჯობესების, დახელოვნების, გაწაფვის, ახლის გამოგონების ბუნებრივი უნარი. ეს უნარი, უწინარეს ყოვლისა, თავს იჩენს შრომის იარაღებისა და შრომის ჩვეულების გაუმჯობესებაში, ახალი იარაღისა და ახალი შრომის წესის აღმოჩენაში. პირველყოფილი ადამიანების აღნიშნული ბუნებრივი უნარის განხორციელება, (ამის გამო, რომ ადამიანები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, ურთიერთდამოკიდებულებაში არ იყვნენ), იშვიათად, შემთხვევით, ცალკეულ პიროვნებათა მიერ ხდებოდა. ამიტომ ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობის დროს, რუსოს აზრით, პროგრესი არ იყო. შრომის იარაღების და შრომის ახალი წესების გაუმჯობესებამ და აღმოჩენამ თანდათან მასიური ხასიათი მიიღო. ამან კი გამოიწვია ადამიანთა შორის მჭიდრო კავშირურთიერთობის, ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავება და გაფართოება. ეს ბარემოება გახდა მიზეზი საკუთარ შრომაზე დამყარებული წვრილი კერძო საკუთრების წარმოშობისა, რომელიც თანაბრად იყო განაწილებული ადამიანთა შორის და მთელ ადამიანებზე. ამასთან ერთად, წვრილი კერძო საკუთრების წარმოშობამ, ადამიანთა შორის უთანასწორობის სამოკლაკქო საზოგადოების წარმოშობის საფუძველიც გახდა. რუსოს მოძღვრება თანასწორობის თავისუფლებისა და კერძო საკუთრების წარმოშობის შესახებ, როგორც ნაშრომის ავტორი ცხადყოფს, წინააღმდეგობების შემცველია. ერთის მხრივ, რუსო კერძო საკუთრების წინააღმდეგია, იგი პირდაპირ წერს, რომ პირველი ადამიანი, რომელმაც მიწის გარკვეული ნაკვეთი შემოღობა და დაიკავა, კაცობრიობის მტერია. მეორე მხრივ, წვრილი, საკუთარ შრომაზე დამყარებული, კერძო საკუთრება, რომელიც თანაბრად არის განაწილებული თავისუფალ, თანასწორ ადამიანთა შორის, რუსოს საზოგადოებრივი ურთიერთობის, პიროვნების არსებობის აუცილებელ პირობად მიაჩნია. ზოგიერთი ბურჟუაზიული იდეოლოგი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს რუსო კერძო საკუთრების პაოლოგტია. რუსო მართლაც არ არის კერძო საკუთრების წინააღმდეგი, საერთოდ იგი მხოლოდ მსხვილი კერძო საკუთრების წინააღმდეგია. რუსოს დამამტკიცი მსხვილი ფეოდალური საკუთრების ეკსპლუატატორული ბუნება, რომელიც მშრომელთა უბედურების, სიღატაკის, ჩაგვრის უთანასწორობის წყარო, მაშასადამე ერთის მხრივ წვრილი, საკუთარ შრომაზე დამყარებული, კერძო საკუთრების წარმოშობა და მასზე დაფუძნებული უთანასწორობა პროგრესი იყო მაგრამ, მეორე მხრივ, წვრილ მესაკუთრეობასთან მსხვილი კერძო საკუთრების არსებობა რეგრესია.

სახელმწიფო დაწესებულებების პირველნელი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ დაეცვა ადამიანთა თანასწორობა, თავისუფლება, წვრილი საკუთრება, მაგრამ სინამდვილეში ეს დაწესებულებები თავის წინააღმდეგობად იქცნენ. ხალხებმა სახელმწიფო შექმნეს, რათა თავიანთი თავისუფლება დაეცვათ. მტარვალის, დესპოტის წინაშე ყველა თანასწორია, სახელმწიფო ყველა არარაობას წარმოადგენს. აქ არის უთანასწორობის უკიდურესი საფეხური, საბოლოო წერტილი წრეს ამთავრებს და იმ წერტილს ეხება, საიდანაც ჩვენ გამოვედით: აქ ყველა კერძო ადამიანი თანასწორია სწორედ იმიტომ, რომ არაფერს არ წარმოადგენს და ჭეშვერდმომ ხმა კანონი არ აქვთ, გარდა ბრძანებულთა ნების ყოფისა. მაგრამ მტარვალი ბატონია, სანამ ხელი ძალა უჭირავს და ამიტომ, თუ იგი ძალით განდევნეს, მას არ შეუძლია ძალის წინააღმდეგ იჩივლოს; მას ძალა აკავებდა, იგი ძალამ დაამხო. ყოველივე თავის მართებულები ბუნებრივი ჭეში მიდის. ამრიგად უთანასწორობა ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლასლა თანასწორობად იქცა, მაგრამ არა ადამიანთა ძველ ბუნებრივ თანასწორობად. არამედ „საზოგადოებრივი“ ხელშეკრულების“ უმაღლეს თანასწორობად. დამორგუნველი ითრგუნებიან. ესაა უარეფოს უარყოფა. (იხ. ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1933 წ. გვ. 110-111). რუსოს ნაწერებში, წერს ფ. ენგელსი, გვხვდება არა მარტო აზრთა განვითარება, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ბაგის მარჭვის მიერ „კაპიტალში“ გამოთქმულ აზრებს, არამედ მთელი რიგ დიალექტიკურ გამოთქმებს, რომელთაგან მარქსი ხმარობს.

რუსოს მოძღვრება თანასწორობის, უთანასწორობის, საკუთრების შესახებ იყო ახალი ფეოდალური საზოგადოების რევოლუცია და მის წიაღში ჩასახული ბურჟუაზიის ეპოქის მოთხოვნილებებისა. ახალგაზრდა ბურჟუაზიული კლასი, რომელის განვითარებას ხელს უშლიდა ფეოდალური საკუთრება და პოლიტიკური ძალაუფლება, დაბეჯითებით მოითხოვდა და იბრძოდა ფეოდალიზმის კაპიტალიზმად გარდაქმნისათვის. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა ბურჟუაზიის ამ ბრძოლას მხარს უჭერდა და ზურგს უმაგრებდა ჩაგრული მშრომელი მასები: მუშები, ლეგენი, ხელოსნები, წვრილი მეფლეგნეები და სხვ.

რუსომ აღნიშნული გარემოება ყველაზე ადრე შეიგნო და მეტად ნიჭიერად, გაბედულად, ორიგინალურად, თუმცა არათანმიმდევრულად და წინააღმდეგობრივად, ახასა თავის ნაწარმოებებში.

რუსოს აზრით, უთანასწორობის ორი ფორმა არსებობს: 1) ბუნებრივი, ფიზიკური, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა შორის განსხვავება არსებობს ასაკის, ჯანმრთელობის, ჭკუა-გონების მიხედვით, რომელიც სრულიად არ იწვევს ადამიანთა შორის ჩაგვრას, ექსპლუატაციას. 2) პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური, რომელიც უთანასწორობის, მდიდრების და ღარიბების არსებობის, ჩაგვრის, ექსპლუატაციის საფუძველია.

ბუნებრივი, ფიზიკური თანასწორობა, რუსოს აზრით, დასაბამიდან არსებობს, იგი ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობის, თავისუფლების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია, ამიტომ იგი მარადიფია. რაც შეეხება პოლიტიკის თანასწორობას, იგი ისტორიული კატეგორიაა, ისტორიის გარკვეულ საფუძველზე წარმოიშვა და, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად მოისპობა. თანასწორობის რუსოსეული თეორია, კ. მარქსის გამოთქმით, არის მომავალი ბურჟუაზიული საზოგადოების თავისებური სურათი, სადაც ახასიათა იმდროინდელი საზოგადოების მოწინავე კლასების ზოგადი ინტერესი მოთხოვნა.

თანასწორობის, თავისუფლების, უთანასწორობის შესახებ რუსოს პროგრესულმა შეხედულებებმა გარკვეული დადებითი როლი ითამაშეს საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციაში. ხარეცენზიო წიგნის ავტორი სწორედ იმას ცდილობს, რომ გვიჩვენოს რუსოს თეორიის მეცნიერული შინაარსის პროგრესული მხარე. რუსო, რომელის აზროვნება გაპირობებული იყო ეპოქით, ვერ ხედავდა და არც შეეძლო დაენახა წვრილი კერძო საკუთრების ბუნებრივი ბუნება, რომელიც აუცილებლად მადებს მსხვილ ბურჟუაზიულ საკუთრებას და მისი ზეგაბლენით განაპაგებასაც განიცდის. სიმდიდრე, ამბობდა რუსო, სიღარიბეს ემეყარება, რუსო ისეთი საზოგადოების მომხრეა, სადაც არ იქნებოდა არც მდიდრები და არც ღარიბები. ეს ბეშმარიტად პროგრესული აზრია, რომელიც, ენგელსის გამოთქმით (პროლეტარული ალიტაციისათვის გამოდგება.

რუსოს სოციალ-პოლიტიკური შეხედულებათა გადმოცემა არ იქნება სრული თუ არ გაიარკვა რუსოს თეორიის არსი საზოგადოების სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ.

საზოგადოება, სახელმწიფო, „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ ნაიდაგზე წარმოიშვა. ეს თეორია ძველია, მაგრამ რუსომ ამ ძველ თეორიას, ეპოქის მოთხოვნილების საფუძველზე, გარკვეული მოდერნიზაცია გაუკეთა.

ძირითადი აზრი ამ თეორიისა ის არის, რომ საზოგადოება, სახელმწიფო ადამიანთა შეგნებული, გონიერი, ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე აღმოცენდა. მაშასადამე, გამოდის, რომ ამ მთავარია შეგნება, გონება. „გონება მართავს ქვეყანას“: ჯერდან ჩანს, რომ რუსოს შეხედულება ისტორიაზე, ისე როგორც მარქსამდელი საზოგადოებრივი თეორიები იდეალისტურია. მიუხედავად ამისა, „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ თეორიიდან ზზრად პრაკტიკულ-რევოლუციური დასკვნები ჭქონდათ.

როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, რუსო და ყველა ფრანგი განმანათლებელი გონებას მიმართავდნენ, როგორც ყოველივე არსებულის ერთად-ერთ მაჯალს. ფეოდალური საზოგადოება არაგონიერია, იგი უნდა შეიცვალოს ბურჟუაზიული საზოგადოებით, ესაა რევოლუციის მიზანი. მაგრამ როცა საფრანგეთის 1789 წ. რევოლუციამ ეს ე. წ. გონიერი საზოგადოების თეორია განაზორციელა, აღმოჩნდა, რომ რევოლუციის მიერ პირველი მიზნის განხორციელებისათვის შექმნილი ახალი დაწესებულებანი. „რომელიც უხათუოდ გონიერი იყო წინანდელთან შედარებით) სრულიადაც ანხოლუტური, მარადიფოად გონიერნი არ არიან.

აპრმენ ბუჯაბიძე
ფრანგი დიდი მოაზროვნის შესახებ

ამრიგად, დაასკვნის ფ. ენგელსი, გონების სამეფოს სრული მარცხი განიცადა. თავის პოლიტიკურ გონებაზე ამედგაცოცხლებულმა ბურჟუაზიამ თავი შეიყარა ჭერ დირექტორის გარყვნილებას, ხოლო ბოლოს ნაპოლეონის დიპლომატზმს (იხ. ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი", 1933 წ. გვ. 214.)

რუსოს სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა ერთ-ერთი პროგრესული მხარე არის ის, რომ რუსო იურიდიული კანონების ბუნებრივ და ლვთაებრივ წარმოშობას უარყოფს. რადგან კანონები ადამიანნი ბუნებრივი მდგომარეობის დროს არ არსებობდენ. თავდაპირველად ეს კანონები ხალხის ინტერესებს გამოხატავდენ, მაგრამ ხელისუფლების უზურპაციის შემოხვევაში იურიდიული კანონები დისპოტის ნებისყოფის გამომხატველად იქცევიან. ხალხმა რომ თავისი უფლებები აღადგინოს ახალი სახელმწიფო ასოციაცია უნდა შექმნას, რომელიც საერთო ძალით დაიცავს და დაიფარავს ამ ასოციაციის ყოველ წევრს. ამასთან დაკავშირებით სანინტერესოა ძალიან მოკლედ გავეცნოთ ე. წ. გაუცხოების, განსხვავებების საკითხის რუსოსეულ კონცეფციას.

რუსოს მიხედვით, სახელმწიფოში, საზოგადოებაში თითოეული მოქალაქე უკავშირდება მეორეს, ისე რომ ისინი არ კარგავენ თავიანთ ინდივიდუალობას. პირადი თავისუფლება ყველა ცალკე ადამიანის უფლებაა მაგრამ, ამასთან, მას უფლება აქვს ნებაყოფლობით შეიდგეს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში, რაც წარმოადგენს პირადი თავისუფლების გარკვეულ გაუცხოებას, განსხვავებას საზოგადოების მთლიანობის, ერთიანობის სასარგებლოდ. ასეთი მთლიანობა, ერთიანობა კი კარგი ნიადაგია თითოეული ადამიანის სამოქალაქო თავისუფლებისათვის. რუსო მოითხოვს ხალხის სუვერენობას და არა პიროვნების ბატონობას. ხალხის ბატონობა სრულიად არ გამორიცხავს ინდივიდუალური თავისუფლებას. განსხვავება, გაუცხოება იმას კი არ ნიშნავს, რომ ადამიანი პირად თავისუფლებაზე უარს ამბობს, არამედ იმას, რომ საკუთარ ნებისყოფას, თავისუფლებას უმორჩილებს საერთო, საზოგადოებრივ მთლიანობის, ერთიანობის თავისუფლებას.

რუსოიზმი არ ამოიწურება სოციალ-პოლიტიკური მოძღვრებით. რუსო არა მარტო დიდი სოციოლოგი, ფილოსოფოსი იყო, არამედ დიდი ლიტერატორი, ეხითეტიკის, ეთიკის, პედაგოგიკის გამოჩენილი თეორეტიკოსი.

რუსო, წერს ბ. ჯიბლაძე, 18 საუკ. მოეწერაგნელ ლიტერატურაში ეპოქალური მოვლენის წარმოადგენდა, რომელმაც თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებში პირველმა აღიმაღლა ხმა დესპოტიზმის წინააღმდეგ და ჰუმანიზმის დასაცავად. რუსოს რომანებს დღესაც არ დაუკარგავს ესთეტიკური, მორალურ-ეთიკური, პოლიტიკური მნიშვნელობა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელ მსოფლიო ლიტერატურაში რუსო იყო ერთ-ერთი ძლიერი ლიტერატორი, რომლის ნაწარმოებების ღირსება, სხვათა შორის, პროგრესული იდეურობით ხასიათდება. რუსოს მოდგაწეობის ეს მხარე სარეცენზიო წიგნში ღრმად და ვრცლად არის წარმოდგენილი.

რუსოს ესთეტიკური შეხედულების ძირითადი პრინციპი ისაა. აღნიშნავს ავტორი, რომ ლიტერატურა, ხელოვნება საამხანაგრებიც ფუნქციას უნდა ასრულებდეს, იგი უნდა აღვიძებდეს პატრიოტიზმს, სამართლიანობას, ხალხთა შორის სათნოებას, თანასწორობას, მშვიდობას. ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი **ამოცანაა მხატვრულად გააშუქოს გმირის შინაგანი ბუნება,** დადებითი გმირის მოდგაწეობა საზოგადოების, მშრომელთა სახარგებლოდ. თავის რომანებში რუსო გვიჩვენებს ადამიანთა სიკეთის და ძმაგების ბოროტებას, რომელიც თანდაყოლილი თვისებები კი არ არის, არამედ გარემოს ზემოქმედების ნაყოფია, ლიტერატურული ნაწარმოებები, უმთავრესად დადებით გმირს უნდა გვიხატავდეს.

სარეცენზიო წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსოს პედაგოგიურ შეხედულებათა ღრმა მეცნიერულ ანალიზს. რუსო დარწმუნებული იყო იმაში, რომ საზოგადოების პარგრესი, სხვათა შორის, ბავშვის, მომავალი თაობის სწორ აღზრდაზეა დამოკიდებული. ეკსპლუატაციურული კლასები კი ცდილობდნენ უნებისყოფო, მლიქვნელი ადამიანები აღზრდიან, რომლებიც ყურმოჭრილი მონები იქნებიდნენ; ამიტომ გაბატონებული იყო, უმთავრესად, ე. წ. ავტორიტარული აღზრდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი სასტიკი დიქტატორი უნდა იყოს, მოწაფე კი — მონა — რუსო მოითხოვდა ბავშვის ბუნებრივ აღზრდას, — ბუნების კანონზომიერებათა მიხედვით.

რუსოს აზრით, არსებობს აღზრდის სამი სახე და მასწავლებელთა სამი ტიპი. ესენია: ბუნება, ადამიანები და საგნები, ისინი ერთობლივ მონაწილეობას ღებულობენ აღზრდაში. ბუნება შინაგანად ავითარებს ადამიანის უნარს და ორგანოებს. ადამიანები ეხმარებიან ბუნებრივი მონაცემების გამოყენებაში; საგნები და მოყვლეული კი ადამიანს გამოცდილებას ანიჭებენ. აღზრდის პირველი სახე, ე. ი. ბუნებრივი აღზრდა, აბსოლუტურად არაა დამოკიდებული ადამიანებზე; აღზრდის მეორე ფორმა მთლიანად ადამიანებზეა დამოკიდებული, მესამე კი მხოლოდ ნაწილობრივად არის ადამიანებზე დამოკიდებული. აღზრდელის მთავარი დანიშნულებაა აღზარდოს ნამდვილი ადამიანი, — ყველა მისი დადებითი თვისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით. აღზრდა და სწავლება განუყოფელია. სწავლების ძირითადი ამოცანაა — ვასწავლოთ, ფენომენის ყოველისა, მეცნიერება ადამიანის მოვალეობის შესახებ. ეს ისეთი მეცნიერებაა, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს არა სწავლება, არამედ ხელმძღვანელობა, არა მასწავლებელი, არამედ ხელმძღვანელი. რუსოს ყველა მსჯელობა აღზრდის შესახებ, წერს ავტორი, რომლებიც გამოთქმულია „ემილის“ მეორე წიგნში, დაიყვანება იმაზე, რომ გონებრივი აღზრდის საფუძველი უნდა იყოს ბუნებრივი აღზრდა. ბავშვი აღზრდის პროცესში იზოლირებული უნდა იყოს საზოგადოების გამბრწყინველი გავლენისაგან.

აუცილებელია, აღნიშნავს რუსო, ბავშვებს ჩავუნერგოთ შრომისადმი სიყვარული. დიდი უბედურებაა საზოგადოებისათვის უსაქმურობა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ მათი გაკეთებთ საშუალებით დიდ ეფექტს არ მოიტანს. საჭიროა ბავშვობიდანვე ჩაენერგოს სიზარმაცისადმი, უსაქმურობისადმი სიძულველი, რაც უსათუოდ ხელს შეუწყობს შრომიმოყვარე, კეთილშობილი ადამიანის ჩამოყალიბებას.

აღზრდა ბავშვობიდანვე უნდა დაიწყოს, რუსო აკრიტიკებს ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსის ლოკის დებულებებს, რომ საჭიროა ჯერ შესწავლილი იქნეს ბავშვის სული, შემდეგ კი სხეული, რუსოს მიაჩნია, რომ საჭიროა პირიქით მოვიქცეთ. რუსოს ამ დებულებას მხარს უჭერდა დიდი ჩეხი პედაგოგი კომენსკი, რომელიც პირდაპირ წერდა, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა გარესამყაროს შესწავლა დავიწყოთ ობიექტურად არსებული კონკრეტული საგნებით და არა აბსტრაქტული ცნებებით.

რუსოს პედაგოგიურ თეორიაში ჭეშმარიტების მარცვლებთან ერთად, უზვად მოიპოვება პარადოქსული და უტოპიური დებულებები (გვ. 58).

საინტერესო აზრები აქვს გამოთქმული რუსოს ქალზე, მშვენიერებაზე, სიყვარულზე და ოჯახზე.

ქალსა და მამაკაცს შორის, წერს რუსო, ბიოლოგიურად, სხეულის აგებულების მიხედვით არავითარი არსებითი განსხვავება არაა. განსხვავებაა მხოლოდ სქესობრივი თვალსაზრისით, ამასთან, სოციალურ სფეროშიც მათ შორის გარკვეული განსხვავებაა. შვილების აღზრდელად. საზოგადოებისათვის უფილეტელია ქალი ქალად დარჩეს თავისი სილამაზით, ქალურობით, სინაზით, მამზიდველობით.

ოჯახი იქმნება ქალისა და მამაკაცის თანხმობით შეუღლების საფუძველზე და საზოგადოებას ემსახურება, იგი სამშობლოს პატარა უჯრედია, ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანი ისაა, რომ იგი ბავშვთა აღზრდის პირველადი კერაა, შეუფლებელია საზოგადოება, სახელმწიფო ოჯახის გარეშე.

სიყვარულის ორი სახე არსებობს: 1) შვილების, სამშობლოს, მოყვასის სიყვარული და 2) სქესობრივი სიყვარული. სიყვარულის ორთავე სახე, სახოლოდ, სამშობლოს სიყვარულს ემსახურება.

ნაშრომში მეცნიერულად გაანალიზებულია რუსოს დრამატიული, პოეტური და მემუარული ნაწარმოებები.

დასასრულს, ავტორი წერს: რუსოიზმი მთელი მომდინარეობაა ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკის, ლიტერატურის და პედაგოგიის ისტორიაში. მისი დადებითი გავლენა განიცადეს ისეთმა დიდმა მოღვაწეებმა, როგორიც იყვნენ კანტი, გოეთე, ლ. ტოლსტოი, სტენდალი და სხვები. რუსოიზმის არსი მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ იგი მომართულია ფეოდალურ-მონარქისტული წყობილების, მის ჩამორჩენილ, ანტიმეცნიერული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, არამედ საერთოდ ექსპლუატატორთა, როგორც ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგაც.

რუსოიზმის პროგრესული იდეები მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მარქსამდელი სოციალისტური აზროვნების განვითარებაში.

წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს იმათ ვინც დაინტერესებულია კულტურის ისტორიით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინე მერაბიშვილი

ხელოვნება

მხატვრული კადრების აღზრდის კერა

თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელს არსებობის 50 წელი შეუსრულდა. იგი დაარსდა 1933 წელს მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის ბაზაზე, სასწავლებელი 1951 წლიდან ატარებს იაკობ ნიკოლაძის სახელს და უკვე ნახევარი საუკუნეა უანგაროდ ემსახურება მხატვრული კადრების აღზრდის პასუხსაგებ და კეთილშობილურ საქმეს.

დაარსებიდან დღემდე სასწავლებელში აღზარდნენ სახელოვანი მხატვრები.

პირველ პედაგოგიურ კომპორატას ამშვენებდნენ საქართველოს სახვითი ხელოვნების ისეთი კორიფეები, როგორიცაა: მ. თოიძე და ი. შარლემანი, ა. ციმაკურიძე, ვ. შერაბილოვი, ბ. შებეევი და არა ერთი გამოჩენილი მხატვარი, რომელთა ღვაწლი თაობიდან თაობას გადაეცემა და ჰქმნის ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებლის სასწავლო-შემოქმედებით სახეს, სადაც ტრადიცია, ძველი თაობის პედაგოგთა სულისკვეთებისა, დღესაც არ შენელებულა და სრულად ხმარდება ახალგაზრდა მხატვართა პროფესიული დოსტატების საქმეს.

სასწავლებლის დღევანდელი პედაგოგიური კოლექტივი რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ჟანი მემმარიაშვილის მეთაურობით, ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუწყოს ნიჭიერი ახალგაზრდობის შემოქმედებითი პოტენციალის სრულად წარმოჩენას, მათი შესაძლებლობების გაღვივებას, რაც ახე საჭიროა და სათუთი მისახედი სწორედ სწავლების საწყის ეტაპაზე, როცა მიზანდასახული და სწორი ორიენტირი სასურველ შედეგს იძლევა, ხოლო მცირე უზუსტობაც კი შეიძლება გამოუსწორებელ შეცდომად გადაიქცეს.

პედაგოგიური კოლექტივის ერთობლივი, ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის შედეგია სასწავლებლის სადიპლომო ნამუშევრების შესრულების სათანადო პროფესიული დონე, თემატიკის მრავალფეროვნება, და თითოეული დიპლომანტის მაღალი პასუხისმგებლობა, სასწავლებელში ოთხი წლის სწავლების შესაბამებლად. ამიტომ სუფთა ეტიუდებიდან ამაღლებული და ხაზეიმო ატმოსფერო სასწავლებელში დიპლომების დაცვის დღეებში, მითუმეტეს წელს, როცა სასწავლებელს საიუბილეო თარიღი აქვს.

სასწავლებლის ხელმძღვანელი დღეზე ოპტიმიზმით საუბრობს მხატვარი ჟანი მემმარიაშვილი: „პირველ რიგში ჩაფიქრებულია შენობის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია და რემონტი. ჩვენი ვალია — აღნიშნა მან — ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ ნიჭიერი ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებას არა მარტო მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივის დახმარებით, არამედ კეთილმოწყობილი სამუშაო პირობებითაც, განახლებული ინვენტარით და სასწავლო ხელსაწყოებით“.

ჟ. მემმარიაშვილი მადლიერების გრძნობით საუბრობს სასწავლებლის პედაგოგთა მაღალპროფესიულ დონეზე. თითოეულის დადებით, ადამიანურ თვისებებზე, იმ მზრუნველ ატმოსფეროზე, მომავალ შემოქმედნი ხელოვნებისადმი უანგარო მსახურებას და სიყვარულს რომ ალვიებს.

„ჩვენი სურვილია — დასძენს ჟ. მემმარიაშვილი — მოსწავლეებში, უპირველესად, ადამიანური, მოკალკულირებული თვისებები გაღვივთიაროთ. მივცეთ მათ ნიჭს „გზა ფართო“, რათა ყოველი მათგანი ცდილობდეს გაამშვენიეროს თავისი შემოქმედებით ის გარემო, სადაც მოუწევს მოღვაწეობა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ“.

კონტიგენტის შერჩევა სასწავლებელში უმთავრესად სამხატვრო ხელოვნან ხდება, მაგრამ ნიჭიერ ახალგაზრდებს წინასწარი მომზადების გარეშე აქვთ შესაძლებლობა ჩაბარონ მისაღები გამოცდები და ისწავლონ სასწავლებელში.

აკადემიურად ეხმაურება სასწავლებლის კოლექტივი განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ სასწავლო რეფორმებს. ეკთვალისწინებენ მრავალი სასიკეთო ღონისძიება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შემდგომი ამაღლებისათვის.

დიდი ყურადღება ექცევა პროფესიულ მომზადებას ფერწერის, გრაფიკის და ქანდაკების განყოფილებებზე მოსწავლეები სწავლობენ სახვითი ხელოვნების უმთავრეს კანონებს. ინტენსიურად მუშაობენ, როგორც სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლებელში, ასევე პლენერზე. აწყობენ ნამუშევართა გამოფენებს, მონაწილეობენ გამოფენათა განხილვებში, ეკიბრებიან სხვა სასწავლებლებს, მონაწილეობენ კონკურსებში, სუფევს დინამიური-შემოქმედებითი ატმოსფერო.

სასწავლებლის ხშირი სტუმრებია ჩვენი სახვითი ხელოვნების მრავალი სახელოვანი წარმომადგენელი. თავად სასწავლებლის ალსაზრდელებიც არა ერთხელ სწვევიან გამოჩენილ ქართველ მხატვართა სახლ-მუზეუმებს თუ სახელოსნოებს. იმართება საქმიანი საუბრები, საინტერესო აზრთა გაცვლა, რაც ერთგვარად ამდიდრებს სასწავლებლის შემოქმედებით ცხოვრებას, ეხმარება პედაგოგიურ კოლექტივს სწორ ორიენტირებაში.

ი. ნიკოლაძის სასწავლებლის შეკრული მონოლითური კოლექტივი, ერთსულოვნად იღწვის, რათა თითოეული ახალგაზრდაში გაალვივოს მშვენიერების, ჰარმონიის მძაფრი შეგრძნება, შეაკვარის თითოეულს სახვითი ხელოვნების ესა თუ ის დარგი, ჩაუნერგოს დიდი შრომისმოყვარეობა, რომლის გარეშეც არავითარი ფასეული არ შეიქმნება.

სადიპლომო ნამუშევრები, პედაგოგთა ხელმძღვანობუნ, საინტერესო და განსხვავებული შემოქმედებითი შესაძლებლობების 60 ახალგაზრდა ფერმწერმა და მოქანდაკემ წარადგინა. თითოეული მათგანის შემოქმედებითი განცხადება სწავლების გარკვეული ეტაპის ბოლოს განსხვავებულ სახეერ შთაბეჭდილებას ჰგმნის. თუ ერთნი ფორმის ზუსტ მოდელირებას ესწრაფვიან, მეორენი ფერწერულ ამოცანათა გადაწყვეტის სხვადასხვა გზას ირჩევენ და ორივე შემთხვევაში მყარი აკადემიური საფუძველი კარგად მოჩანს. სასწავლებელში მიღებული პროფესიული წვრთნა ის აუცილებელი წინაპირობაა, რის გარეშეც ვერავითარ მნიშვნელოვან ზღუდეს ვერ გადალახავს ახალგაზრდა მხატვარი. ამ მიზნის განხორციელებას ენერგიას არ აკლებენ სასწავლებლის პედაგოგები, და უმთავრესად სადიპლომო ნამუშევართა ხელმძღვანელები — ივანე ვეფხვაძე, მიხეილ გაბუნია, ზურაბ გაბუნია, აკაკი ჭაბუნიაძე, თინათინ კინწურაშვილი, რომელთა მონაწილეობა, თითოეული ნამუშევრის საბოლოო სახის მიღებაში, მნიშვნელოვანია. ეს ფასეულია ის უნარი, როცა პედაგოგის ჩარეცა სადიპლომო ნამუშევრის სრულყოფილი სახის მისაღებად, არ სცილდება ზომიერების საზღვრებს და მოსწავლის შესაძლებლობებს მაქსიმალურად წარმოაჩენს. არის შემთხვევებიც, როცა მოსწავლე სწავლის პერიოდში პედაგოგის გავლენის ქვეშ ექცევა.

სადიპლომო ნამუშევრები მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩევიან. ახალგაზრდებს იტაცებს თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებები. მრავლად იყო წარმოდგენილი პორტრეტი. მიუხედავად დიდი ნაირფეროვნებისა პორტრეტების შესრულებაში წარმოჩნდა მყარი აკადემიური ცოდნა. ყურადღებას იმსახურებდა დიალოგისაებური ქეთინო ჯაფარიძის — „მარინა გელოვანის“ და უშანგი იბოლაძის „ბაბუას“ პორტრეტები. ამ ნამუშევრებში საინტერესო კომპოზიციურ აგებებთან ერთად კარგად შეიგრძნობა პორტრეტირებულთა ფსიქოლოგიური დახასიათება. ნაზი ფერწერული მონახმი დომინირებდა ეკა კაკაბაძის და მზია ქურციკიძის „გოგონების პორტრეტებში“. მუხიკოსი გოგონას საინტერესო სახე შექმნია თეა ბოკაოელმა რიულ კომპოზიციურ პორტრეტში „ფლეიტისტი“. დამახასიათებელი ნაკვთებია ხაზგასმული გოსა ზირაკაშვილის „ალეხის პორტრეტში“. კლასიკური პრინციპების კარგი ცოდნა გამოამჟღავნა ვლადიმერ ვახინაშვილმა „მალეტრო“.

ფერწერის კურსდამთავრებულთა ნატურმორტებში საგნების ფაქტურის და ფორმის მკაფიოდ გადმოცემას კარგად გაართვეს თავი მათიკო მამალაძემ, ავთენდილ გულისაშვილმა, მაია მოსეშვილმა, რედოლფ ბუდაკიანმა. სოხო თათარაშვილმა, ნაილეკ შუბითიძემ, ბესიკ გიგაურმა, ია ღოღობერიძემ. თუ კახა მამულაშვილის ტილო „ნატურმორტი თევზებით“ გააზრებულია, როგორც კომპოზიციურად მყარად შეკრული საგნების ობიექტური კონსტატაცია, ლევან ბუნუკაურის „ნატურმორტი ტუეში“ მიმზიდველია პოეტური ლაკონურობით, გადაწყვეტის სიახლით. ნატურმორტის და ეანრული სცენის რიული ფურცუმა ფერწერულ კომპოზიციაში „ბაზარი“. მიუხედავად ფორიუესი მოცემულობისა, მედეა ჯიმშელეიშვილმა შეძლებისდაგვარად დამაჯერებლად წარმოსახა ხვავიანი ბაზრის ატმოსფერო.

ორიგინალური ხედვით და სიღრმისეული ფერწერულობით გამოირჩევა ჯარჯი ბუნდაძის კომპოზიცია „ცხვრების გადადენა“. გვიხმობს ემოციური, ზოგჯერ მძაფრად ექპანსიური და მღელვარე პასტოზური მონაცემი. ხუნდაძე ხუფთა ფერების ჰარმონიზაციით, ერთიანები ტონალური რეგისტრის ფარგლებში ძერწავს მძლავრ დინამიურ ფორმებს, რომელთა ძალოვანი ჟღერებებით დატვირთული მოქნილი პლასტები ცენტრისაკენ მიემართებიან და ერთიგვარ ოდუმალ გამაერთიანებელ წრეხრუნვას ემორჩილებიან. საერთო ქუფრი ქოლორიტი ციცაზოლოვანი ლაქებით

ირინე მერაბიშვილი
მხატვრული კადრების ალზრდის კერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკიაფებული, რაც ამძაფრებს სურათის აღქმას და მიმზიდველს ხდის ვიზუალურად.

ეფემერული საწყისი ჭარბობს მაკა წულეიკიანის საინტერესო კომპოზიციაში „ზოოპარკში". თანმხმერია ფერითი გაპრიება, სადაც პასტელური ტონები მსუყე ფენებად ლაგდება და ხავსებით ესადგება სურათის აზრობრივ დაბეგრთვას. კარგ პროფესიულ ცოდნას ამელვნებს ხვიარა ხიდაშელი სურათში „რეცხავრაკორები". შრომის თემა დამჯერებლად წარმოსახეს დიპლომანტებმა ირინე ქურთიშვილმა „ბაბზე", ეთერი გოგიაშვილმა „ფეჩაიები", ნათია დოლიძემ „მთიბავები", ქეთი ამაშუკელმა „თევზების გამყიდველი", მიხეილ ალადაშვილმა „პურის ცხობა". ალექსანდრე ავეტიანმა „ნავთობზა", მანანა ხუციშვილმა „ყანაში".

ფოთლოვანი პეიზაჟის ფონზე იშლება ზაზა ფანჯარაძის კომპოზიცია „მეურმე". ზაზა ლეონიანიძეს თბილისის თემა აღელვებს, მის „წვიმიან პეიზაჟში" სიყვარულითაა გადმოცემული თბილისური აივნებიანი კოპწია სახლების, ვიწრო ქუჩების უნიკალური სილამაზე. თბილისის კოლორიტია გაცოცხლებული თეიმურაზ ხარაბაძის „ძველ თბილისში". ასევე ქალაქური პეიზაჟი იშლება ნინო წერეთლის კომპოზიციაში „ქალაქი ღვიძებს". მრავალპლანანი რთული კომპოზიცია „თბილისობა" წარმოადგინა ზაზა ხუციაშვილმა, სადაც კარგადაა კომპონირებული ხალხმრავალი მოედანი ქალაქის პეიზაჟთან.

უანრულობის ელემენტები ჭარბობს ნინო არჩვაძის ტილოზე. „სამზარეულოში", ზეინაბ ყვინჩიანის „ბუხართან", ბესიკ მჭედლიშვილის „სახელოსნოში", ლელა ქომეთიანის „ყოჩივარდების გამყიდველში".

სოფლის მონაკვეთის განწყობაა ონსის ჩიკვაიძის „მარანში". სპორტული თემის თავისებური გადაწყვეტა შემოგვთავაზეს გივი ჯუღელმა „მშვილდოსნებსა" და გია აფციაურმა „ფოდი". მაგორული ინტონაციები დომინირებს ნონა ბედიანის ტილოზე „ფილა". მშვიდი და დიდებული სილამაზით დაჯაჭურებს გაწლილი მდინარის კალაპოტს ტანისის ციხე, თორნიკე ამბროკაძის ამავე სახელწოდების ნაშუშეკარში. შესრულების სიძლიერე და კარგი გემოვნება შეიგრძნობა ზაზა სვანაშვილის ტილოზე „ცხენების ბანაობა".

მოკანდაკეთა სადიპლომო ნამუშევრები, გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა, პლასტელინში იყო შესრულებული. თვალსაჩინოა ქედაგიძე აკაკი ბაკაბინაძის წვლილი ნამუშევართა პროფესიულად სრულყოფაში. მახიერი ფორმების მკვეთრი დაპირისპირებითაა ნაქერწი არბოლაშვილის „კახეთი", სადაც პირამიდისებური გაჯრები მამაკაცის ფიგურას მეტ მდგრადობას ანიჭებს. ახალგაზრდა კაცის ფიგურა ბუნებრივად ეყრდნობა ჯაჭვს ლობეს მამუკა მაისურაძის ქანდაკებაში „სტუდენტი". ლეონ თვალჭრელიძემ ხალხური მოძღვრული „გუდასტვირი" გამოძერწა, სპორტსმენების ფიგურები შექმნეს გელა დალაქიშვილმა, ოთარ ჯაფარაშვილმა და კახა ხოკოლავამ.

ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვითაა ქიშვარდი ბაკრაძის კომპოზიცია „წიქარა". იგი პირდაპირ თაბაშირში შეიქმნა და ავტორას ხასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მოეხედავად ტექნიკური სირთულეებისა იგი ერთ-ერთი საუკეთესოა ექსპოზიციაში. კარგადაა მიგნებული ძლიერი ხარის და პატარა ხუსტი ბიჭის კონტრასტი. ფორმტალურად გაიაზრებს მამაკაცის ფიგურას კომპოზიციაში „მექანეს" ზაზა თუშურაშვილი. ფორმათა ნაზი მოდელირებით [illegible]ირჩევა ალექსანდრე რამინაშვილი „დასვენება" და გიორგი ირემაშვილის „ტყის მეგობარი". აქ ადამიანის შიშველი სხეულის სილამაზეა განსაკუთრებით მინიშნებული.

მსუბუქი იუმორით გვხიბლავს გოჩა ობგაძის „გურული ბლეხი", შემოქმედებით პროცესსი ასახა გოჩა კუბლაშვილმა ახალგაზრდა ფერმწერი სკულპტურულ კომპოზიციაში „მხატვარი". ორიგინალურადაა ადებული გოჩა ედიშერაშვილის „მეხრე". კომპოზიციაში ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფორმები სიმეტრიულადაა დაპირისპირებული.

სასწავლებლის სადიპლომო ნამუშევრებზე მსჯელობისას ჩვენ განგებ არ შევჩერდით მათ ნაკლოვან მხარეებზე, თუმცა ყოველ მათგანში ჯერ კიდევ მრავალი კომპონენტის დახვეწა და ჭეროვნად შესრულებაა საჭირო. ამიტომაც იყო სადიპლომო კომისიის თავმჯდომარემ, სამხატვრო აკადემიის პროფესორმა ოთარ ჯაფარიძემ მიულია რა ყურსდამთვრებულებს სასწავლებლის დასრულება, და თითოეულს უსურვა სწავლის გაგრძელება და ცოდნის შემდგომი სრულყოფა.

ი. ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელს დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა, კვლავაც შეიძენენ მისი ალსაზრდელები აუცილებელ პროფესიულ განათლებას, კვლავაც ჭარხდებიან სადიპლომო კომისიის წინაშე, შემდგომ წარმატებით დასრულებენ სასწავლებელს და გაიფანტებიან სხვადასხვა მხარეს და წამყვანი ყოველ მათგანს სასწავლებელში ჩანერგილი უსაზღვრო სიყვარული მაღალი ხელოვნებისა.

„მამლილისშვილობას აღზრდა სჭირდებაო" — უთქვამს იაკობ გოგებაშვილს. ი. ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი სიამაყით ატარებს დიდი ქართველი მოკანდაკის სახელს და ჩვენს ქვეყანას კვლავაც აღუზრდის განათლებულ მამულიშვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ბეჟუაშვილი

დემოკრატი გერმანელი მწერლები და ახალგაზრდობა

1945 წლის მაისში ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ გერმანიაში, სახელდობრ მის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც დაიკავა წითელმა არმიამ, დაიწყო ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების პროცესი. მის შინაარსს განსაზღვრავდნენ პოტსდამის ხელშეკრულებაში ფიქსირებული „4 დ“-ს პრინციპები, რაც ნიშნავდა ქვეყნის დემილიტარიზაციას, დეკარტელიზაციას, დენაციფიკაციასა და დემოკრატიზაციას. ეს უკანასკნელი თავის თავში გულისხმობდა კულტურულ რევოლუციას, რაც მოახსენებდა გერმანელი ხალხის სულიერი კულტურის განახლებას, ფაშისტურ-შოვინისტური და მილიტარისტული იდეების აღმოფხვრას მათ შეგნებიდან.

ომის შემდგომ პერიოდში აღმოსავლეთ გერმანიაში ქვეყნის დემოკრატიულმა ძალებმა ბრძოლა დაიწყეს ნაციზისაგან მოტყუებული და დანაშაულის გზაზე დამდგარი მოზარდი თაობის ერთიანი, ანტიფაშისტური დემოკრატიული ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის. 1946 წელს ასეთ ორგანიზაციად იქცა თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირი (თგკ), რომელმაც თავს იდო დანარჩენი, პესიმისტურად, უნდობლად და ამაოიურად განწყობილი გერმანიის მოზარდი თაობის ჰუმანიზმისა და დემოკრატიის იდეალებზე ხელახალი აღზრდის მეტად საპასუხისმგებელი მისია.

კულტურული რევოლუციის განხორციელებას, ისევე როგორც ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების ერთიან პროცესს, სათავეში ჩაუდგა გერმანიის მუშათა კლასის პროგრესულ-დემოკრატიული ნაწილი, მისი ნაცადი ავანგარდის — გერმანიის კომპარტიის მეთაურობით. მან თავისი პოზიცია ერის სულიერ-კულტურული განახლების საკითხში გამოხატა 1946 წლის თებერვალში მიღებულ „გერმანიის კულტურული განახლების პროგრამაში“. მისი მთავარი დედააზრი ის იყო, რომ აქამდე დევნილი და შევიწროვებული დემოკრატიული კულტურა ქცეულიყო გაბატონებულ კულტურად.

ფაშიზმის დამარცხების შემდეგ დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ტენდენციებს მრავალი გერმანელი მწერალი და კულტურის მოღვაწე უჭერდა მხარს, რაც თავის მხრივ მათ შემოქმედებაში აისახებოდა. ბევრი მათგანი თავის დროზე არ შეურიგდა ფაშიზმს, მიატოვეს ჰიტლერული გერმანია და ემიგრაციაში განაგრძეს ანტიფაშისტური მოღვაწეობა, როგორც კალმით, ისე პრაქტიკული საქმეებით. ნაციზმის კრახის შემდეგ მათი შემოქმედება გარკვეულ ჰუმანისტურ მემკვიდრეობად არსებობდა ომისშემდგომი გერმანიის მოზარდი თაობის დემოკრატიული ხელისკეთებით აღზრდისათვის. ამ მემკვიდრეობას ერწყმოდა და ავსებდა კომუნისტი და სოციალ-დემოკრატი მწერლებისა და კულტურის მოღვაწეთა შემოქმედება. მათ შორის აღსანიშნავია ვ. ბრედელი, ა. ზეგერსი, კ. ბარტელი, ე. ვაინერტი, ი. ბეჭერი, ფრ. ვოლფი, ლ. აისლერი და სხვ. ამ მოღვაწეთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო გერმანიის ომისშემდგომ მოზარდ თაობაში გამოემუშავებინათ ხალი და სწორი წარმოდგენა საბჭოთა ქვეყნისა და მისი ხალხების შესახებ, ალმოეფხვრათ მათი შეგნებიდან ანტისოვეტიზმი, განევითარებინათ საბჭოთა ახალგაზრდობასთან და მის ავანგარდთან, — ლენინურ კომკავშირთან, — მეგობრობისა და ძმობის შეგნება.

ახალგაზრდობის კავშირს დამოუკიდებლად, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, არ შეეძლო, ობიექტურად ღრმა ცოდნისა და გამოცდილების უქონლობის გამო, კულტურულ-საგანმანათლებელო მუშაობის გაძღოლა ახალგაზრდობის მეტად ჭრელ მასაში. საჭირო იყო მათთვის ქვეყნის დემოკრატიული ძალების დასმარება, პირველ რიგში კი ლიტერატურისა და კულტურის პროგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესული წარმომადგენლებისა. ახალგაზრდობისთვის მათ უნდა გაეცნოთ და გაეზიარებინათ თავიანთი ცოდნა, გამოცდილება. ვის შეეძლო სხვას, თუ არა მხატვრული სიტყვის ოსტატებს, ახალგაზრდების თვალში წარმოეჩინათ მიტტერიული ომის ხაზინდელებანი, და მის მიერ ევროპისა და თვით გერმანელი ხალხებისათვის დაბოვებული ნაკვალევი მემკვიდრეობა.

ანტიფაშისტი მწერლების მემკვიდრეობასთან გაცნობა-დაახლოების უველაზე კმენდი ფორმად იქცა მხატვრულ-ლიტერატურული ნაღამოების მოწყობა. გერმანელი ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი აქ პირველად გაეცნო ბ. ბაინეს, მ. გორკის, ჩ. დიკენსის, ი. გოეთეს, ნ. ჩერნიშევსკის და სხვათა ფილოსოფიურ-ლიტერატურულ ზოგად-საკაცობრიო შემოქმედებას. ამ შეხვედრებზე გერმანელი ანტიფაშისტი ახალგაზრდები ხშირად მიმართავდნენ ი. ბეხერის, ე. ვაინერის, კ. ბარტელისა და სხვათა შემოქმედებას, რომელთაც აზროვნების დემოკრატიულად გარდაქმნის დიდი ძალა გააჩნდათ. ახალგაზრდებს განსაკუთრებით აზიდავდა ე. ვაინერის ნაწარმოები „ბაღონ უსუპოვის სტუმართა წიგნი", რომლის დასკვნით ნაწილში ავტორი დიდი სიმპათიით მსჯელობდა ხაბეოთა ქვეკანაზე, მკაცრად აკრიტიკებდა ანტიხოვეტიზმს, კ. ბარტელი თავის ნაწარმოებებში „ოლემა ადამიანზე" და „ლენინის ღიმილში" უმღეროდა სოციალიზმის მიღწევებს ხაბეოთში, ჩვენი ხალხის გამარჯვების ფაშიზმზე, რაც მს მსოფლიო ცივილიზაციის ხსნად მიიჩნდა. ე. ვაინერი ლექსში „სამარადისო მეგობრობისაკენ" თავის ნორჩ მეგობეკებს უხმიდენდა პირველ სოციალისტურ ქვეკანასთან 'მეგობრობისაკენ. ეს ოპერი ნიღაბს ხდიდა ანტიკომუნიზმის კლაკნილ სახითაც. ე. ვაინერის პოეზიაში ნაჩვენებია აგრეთვე რევოლუციური ძალები და მისი სასიკეთო შედეგები გერმანიაში, ხაბეოთა ადამიანების უუნგარო დამპარება გერმანიის ანტიფაშისტური ძალებისადმი და სხვ. თვით ფრ. ვოლფი, კ. ბარტელი, ე. ვაინერი და სხვები ხშირად გამოდიოდნენ ახალგაზრდობის კავშირის მიერ მოწყობილ ღონისძიებებზე, სადაც ისინი ახალგაზრდობას უუსნიდნენ ნაციისტური რეჟიმისა და მისი იდეოლოგიის მავნე ბუნებას, მათ კატასტროფულ შედეგებს ქვეყნისათვის და შექმნილი კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთ ალტერნატივად სახავდნენ ქვეყნის ანტიფაშისტური, დემოკრატიული და ჰუმანისტური სულისკვეთებით განვითარებას. ლიტერატურულ ნაღამოებზე გერმანელი ახალგაზრდები იხილავდნენ ისეთ ნაწარმოებებსაც, რომლებიც სასტიკად იდეოქნიდნა ნაციზმის წლებში, მათ შორის იმართებოდა ცხოველი დისკუსიები იმის შესახებ, თუ რა იყო გმირობა, დემოკრატია, თავისუფლება, მეგობრობა, ინტერნაციონალიზმი და სხვ. ხაბოლოო ჯამში მხატვრულ-ლიტერატურულმა ნაღამოებმა დიდად შეუწყეს ხელი ომის შემდგომი გერმანიის მოზარდი თაობის დემოკრატიული და ჰუმანისტური სულისკვეთებით აღზრდაზა და განვითარებას. მრავალი ახალგაზრდისათვის აქ მიღებული ცოდნა ახლებური აზროვნების განუყოფელ ნაწილად იქცა.

მრავალი წლის შემდეგ გერმანიის მოსახლეობის ფართო წრეებს კვლავ მიეცათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ხაბეოურ კულტურას, რომელმაც არსებითი როლი შეასრულა გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილის იდეურ-კულტურულ აღორძინებაში. ნ. ოსტროვსკის რომანმა „როგორ იწრთობოდა ფოლადი" თავის ორიგინალში მოაქცია ათეულ ათასობით ახალგაზრდა გერმანელი, შეხმინა მათ მამაცობა, მომავლის წრფნა, და იმედი. ფართოდ თარგმნებოდა მ. გორკის ნაწარმოებები. ისინი შეიტანეს ხასკოლო პროგრამებში და ამით მოზარდ თაობას შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდნენ პროლეტარული მწერლის მსოფლმხედველობას. 1947 წელს გამოიცა ნ. ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ?", რომელიც იმ პერიოდისათვის მრავალ საკირბორბალო ახალ გაზრდულ ხაკთხზე იძლეოდა ნათელ პასუხს. ჯერ კიდევ ნაციისტური, მაგრამ უკვე საგრძნობლად შერეულიო, იდეების გავლენის ქვეშ მყოფ გერმანელებ ახალგაზრდებში მ. გორკის, ნ. ჩერნიშევსკის, ლ. ტოლსტოის, ნ ოსტროვსკის და სხვათა ნაწარმოებები აწრთობდა კლასობრივ შეგნებულთას, ათვითცნობიერებდა სოციალისტიო წყობილების რეალობაში, ეზმარებოდა მათ საბეოთა სინამდვილეზე ახალი შეხედულებების გამოშუშავებაში.

თვით გერმანელი დემოკრატი მწერლებიც ფართოდ უეერდნენ მხარს რუსი და ხაბეოთა კლასიკოსების გერმანულ ენაზე თარგმანსა და გამოცემას. მაგალითად ვ, ბრეედლის უუშალო ინიციატივით დაარსდა პეტერბენკენის გამოცემლობა ქ. ზეერნიზში, რომელიც სისტემატურად გამოსცემდა ხაბეოთა კლასიკოსების შედევრებს.

1948 წლის ივნისში ლაიფციგში შედგა ახალგაზრდობის კავშირის ჭკეთისტებისა და მწერლების ერთობლივი კონფერენცია. აქ ორი მთავარი საკითხი იდგა, ერთი, „ახალგაზრდა თაობა და მწერლები", რომელშედაც მოხსენება გაკეთა თგაკ-ს ცენტრალური ხაბჭოს თავმჯდომარემ ერიხ მონეკერმა და მეორე, „მწერალი და ორფლიანი გეგმა", რომლის შესახებაც იმსჯელა მწერალმა ფრიდრიხ ვოლფმა. კონფერენციის დევიზი „ჩვენი წიგნის გმირი უნდა იყეს მშრომელი ადამიანი" მოწმობდა, რომ კონფერენციის მიზანი იყო ერთიანეკთთან დაეახლოებინა ახალგაზრდა მუშები და მწერლები. მწერლებსა და ახალგაზრდა ავტორებს მხლოდ მშრომელ ახალგაზრდობასთან მჭიდრო ურთიერთობის ნიადაგზე შეეძლო ღრმად გასცნობოდნენ და გაეანალიზებინათ მათი ყოველდღიური პრობლემები, გადაემუშავებინათ ისინი მხატვრულად და ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდებისათვის შეექმნათ მაგალითის მიმცემი ხუთეული. ე. ჰონეკერმა აღნიშნა, რომ გერმანელ ახალგაზრდობას იმ პერიოდში ძლიერ ესაჭიროებოდა სპეციალ კლასიკოსი პროზაიკოსი ნ. ოსტროვსკი. ოთელიერ თავისი სამშობლოს ძლიერ დიეზარა განსაცდელის ჟამს და იგი შესანიშნავი სახელმძღვანელო ეწერებოდა ჩვენთვისო. მწერლებს უნდა გაეფარეოიერნანთ და გაეღერძავებინათ ახალგაზრდების შრომითი მიღწევების მხატვრული წარმოსახვა ქვეყნად ახალი სოციალიზმიერი წყობილების დამკვიდრების შესატყვისად. ამ პერიოდში ზოგიერთ მწერალს, მხატვროსა და დრამატურგს მიაჩნდა, რომ ფაშიზმის ეპოქაში გაზრდილმა გერმანელმა ახალგაზრდობამ თმის შემდგომ წლებში საბოლოოდ დაკარგა მომავლის რწმენა, რომ მათი ძირითადი მასა დეპრესიერებულია, გზააბნეულია და დანაშაულის გზას ადგანაო. ისინი არავითარი კონტაქტები დამყარებას არ ცდილობენენ გერმანელ ახალგაზრდებთან, ვინაიდან მათთან შრომა და გარჯა უნაყოფოდ მიაჩნდათ. ზოგი მათგანი ხანგაგებული აზეიადებდა ახალგაზრდებს შორის უთანხმოებას, მათ კონფლიქტს უფროსს თაობასთან, მათ ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ხელისუფლების ახალ ორგანოებთან. საბერო იყო სწორედ ამ მწერლებისა და კულტურის მოღვაწეთა შემობრუნება პირით ახალგაზრდობისაკენ, რომ ისინი უფრო ღრმად შეეჭიდნენ ენერგიულ ბრძოლაში ბოლშევიკურ სამყაროში, შეექმნათ ქვეყნის დემოკრატიულად განაბლების მოსურნე ახალგაზრდებისათვის სამაგალითო ნაწარმოებები.

ამავე პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა ავტორები, რომელთა შესახებ გერმანელმა ახალგაზრდობამ მეტად მცირე რამ იცოდა. ბევრმა მათგანმა საკუთარ მხრებზე ზიდა ფაშიზმის ძმიმე ხვეღრი, ამიტომ ომის დამთავრებისთანავე ისინი მეტაღად დადგნენ დემოკრატიული ძალების მხარეზე. ლიაიციგის კონფერენციის შემდეგ ფართო ნაკადად იწყო გამოსვლა ახალგაზრდა მწერლებისა და ავტორების ანტიფაშისტურ-დემოკრატიული სულისკვეთებით გაჟღენთილმა ნაწარმოებებმა. კონფერენციაზე მწერლებმა შეიმუშავეს მომავალში ახალგაზრდობასთან მუშაობის გეგმები. მწერლების ახალგაზრდებთან დაახლოების ძირითად ფორმად უნდა ქცეულიყო საავტორო საათების მოწყობა წარმოება-დაწესებულებებში. ამით ახალგაზრდა მწერლებს საუკეთესო საშუალება ეძლიოდათ ღრმად გასცნობოდნენ და შემდეგ მხატვრულად აღეწერათ მუშა ახალგაზრდების შრომითი რიტმი. ამის შესახებ ე. ჰონეკერმა განაცხადა, რომ წიგნების მთავარ გმირად უნდა ეჭცეათ შრომა, უფრო სწორად ადამიანი, რომელიც შრომის პროცესში იხდებოდა.

საავტორო საათების მოწყობა მიზნად ისახავდა ხაში ხერხოწყალი ამოცანის ერთდროულად გადაჭრას, — პირველი, სრულიყო თვალ-ის იდეურ-კულტურული მუშაობა ახალგაზრდებს შორის, მეორე გამოეცალნენებინა და მოემზადებინა საკუთარი რიგებიდან პოტენციური ახალგაზრდა ავტორები, მესამე, მძლავრი იმპულსი მიეცა კულტურის სფეროს მოღვაწეებებისათვის, რათა მეზღრო კონტაკტში შესულიყვნენ ქვეყნის დემოკრატიულად განაბლების საქმიანობაში ჩაბმულ ახალგაზრდოსახსონ. საავტორო საათებზე დისკუსიები ეხებოდა ახალ ნაწარმოებებში დასმულ საჭიროროტა საკითხებს, მათთან თვით ავტორთა პოზიციის საფუძვლიან გაჩეკვებს. საავტორო საათებზე მოსული მუშა ახალგაზრდობა სწორედ ის სოციალური გარემო იყო, რომელიც ყველაზე უკეთ არჩევდა საკუთარი ცხოვრებიდან წამოჩენილ და ახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებში არეულნი საკითხებს ავკარგიანობას. მშრომელი ახალგაზრდების მიერ გაკეთებული შენიშვნები ახალგაზრდა მწერლებისა და ავტორებისადმი. უტყუარი პირველი რეცენზია იყო, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა დაძლეულიყო ნაკლოვანებანი ახალგაზრდა ავტორებისა. გარდა ამისა, ახეთ ღონა, ეეშმარტად კრიტიკულ ატმოსფეროში ბმადებოდა და ინრთობოდა მეგობრული ურთიერთობა მწერლებსა და მუშა ახალგაზრდებს შორის, რაც ეხოდენ აუცილებელი იყო ახალგაზრდობის ეაგზრის მომავალში სოციალისტურ ორგანიზაციად განვითარებისათვის.

ამ პერიოდში ახალგაზრდობის მოთხოვნებს ფართოდ ეხმაურებოდნენ ისეთი პროგრესული მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ ვილი ბრეედელი, ვალტერ დემელი, ფრიც ერპენბეკი, კარლ გრიუნბერგი, იან კოლოდიეი, ლუდვიგ ტურეეი, ფრ. ვოლფი, ეგონ �eრი და სხვები. ეს მწერალთა ის ჯგუფი იყო, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა ანტიფაშისტურ ახალგაზრდობასთან და მის ორგანიზაციასთან მთელი კულტურული რევოლუციის მანძილზე. ისინი ეხმაურებოდნენ ახალგაზრდებს პრაკტიკულად, ცოდნით, გამოცდილებით, ახალგაზრდებს აკავშირებდნენ კულტურასა და ხელოვნების სხვადასხვა ეანრის წარმომადგენლებთან, რომლებიც ჰკამდე განზე იდგნენ ახალგაზრდობისაგან და ვერ ნახულობდნენ სწორ გზებს მათთან ურთიერთობისათვის. ზოგმა მწერალმა ივალდებული უშუალოდ ეთანაშრომოდა ახალგაზრდობასთან ფაბრიკებსა და კარხნებში. მაგალითად, ცნობილმა მწერალმა კურტ ბარტელმა (ეუსა) გადაწყვიტა ერთი თვის მანძილზე ემუშავა მაკს ბუტეს მეტალურგიულ კარხანაში ახალგაზრდობის კავშირის ხაკარხნო ჯგუფებთან ერთად. ლუდვიგ ტურეეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეკსებს კითხულობდა სხვადასხვა საწარმოებში მომუშავე ქალაქელებისა და ჯაბუკების წინაშე. ბ. მარხვიაც სხვა ცნობილ ავტორებთან ერთად ახალგაზრდებს ეხმარებოდა კულტურული ბასიათის ღონისძიებების ჩატარებაში. ვ. დემელაშ, ს. ბერმლინმა, ფრ. ვოლფმა და ბევრმა სხვამ მრავალი ახალი სიმღერა, ლექსი, საგუნდო დეკლამაცია და პიესა მიაწოდა ახალგაზრდობის კავშირის ადგილობრივ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს საწარმოებში. აღსანიშნავია, რომ 1946-1949 წლებში გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში დაისტამბა და გამოიცა დემოკრატიკ გერმანელი მწერლების 78 წიგნი, საერთო ტირაჟით 2 029 000 ცალი.

1949 წლის ზაფხულში ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურმა საბჭომ გამოაქვეყნა „ლიტერერი კულტურის მოღვაწეებისადმი". მისმა შინაარსმა ხაზოგადოებას დაანახა ურთიერთობის თანმიმდევრული განვითარება ლიტერატურის, კულტურის მუშაკებსა და ახალგაზრდობის კავშირის წევრებს შორის. ხელოვნების ბევრი საკვეანოდ ცნობილი მოღვაწე კონკრეტული საქმეებით გამოეხმაურა გერმანელი ახალგაზრდობის ამ მოწოდებას. მათ შორის იყვნენ „კულტურბუნდის" თავმჯდომარე პოეტი იოჰანეს ბეხერი, კომედიური თეატრის დირიორი ვალტერ ფელზენშტაინი. ახალგაზრდა მწერალ სტეფან ჰერმლინს ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური საბჭოსაგან დავალა მოემზადებინა სპეციალური შრომა გერმანელი ახალგაზრდობის მონაწილეობაზე წინაადმდეგობის მოძრაობაში. მასში უნდა ასახულიყო ახალგაზრდა გერმანელი ანტიფაშისტების ღ. ბედაც მათ ადრე არავითარი, ან ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენები ჰქონდათ.

1949 წლის 9 ოქტომბერს შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რეპუბლიკა. ამავე დროს დარმანის, ჰ. კაპელეს, ბ. ტეშის, კ. ნიდერკირხნის, გ. ვალტერის, რ. ბრაიჰაიდის, რ. არნდტის და სხვათა გმირული სახეები. ეს იყო ახალგაზრდა გერმანელი ანტიფაშისტების ნაციზმთან თავდადებული ბრძოლის მხატვრული გადმოცემის პირველი ცდა. ს. ბერმლინის ნაწარმოებთა მეოხებით მრავალმა გერმანელმა ახალგაზრდამ პირველად გიგაო გერმანიის მუშათა კლასის და მისი რევოლუციური ახალგაზრდობის ფაშიზმთან ბრძოლის ბევრი გმირული ეპიზოდი, რაზესრულდა ანტიფაშისტურ-დემოკრატიული რევოლუცია და ჩვეეანაში ბრძოლა დაიწყო სოციალიზმის საფუძვლების დამკვიდრებისათვის 50-იანი წლების მიწურულსვე დასრულდა კულტურული რევოლუციის ანტიფაშისტურ-დემოკრატიული ეტაპი და ქვეეანის დემოკრატიულმა ძალებმა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის სათავეში გააჩაღეს მუშათა უშუალოდ სოციალისტური კულტურის დამკვიდრებისათვის. გდრ-ში. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა სხვა რთულ საკითხებთან ერთად ნორმალური გადაჭრა. 50-იანი წლების შემდეგ ახალგაზრდობის ორგანიზაცია გდრ-ში განვითარდა სამდვილ, დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარე და ანტიფაშისტურ კავშირად, რომელიც 60-იან წლებში გდრ-ის თანდათანობით სოციალისტურ ქვეყნად განვითარების კვალობაზე, ახეკე გარდაქმენა გერმანელი ახალგაზრდობის სოციალისტურ ორგანიზაციად. ამ დიდ ისტორიულ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს გერმანიის მუშათა კლასმა. მისი ავანგარდის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიით სათავეში, მათ ირგვლივ შემოკრებილმა და გაერთიანებულმა გერმანული ლიტერატურისა და კულტურის პროგრესულ-დემოკრატიულ წარმომადგენელთა თავდადებულმა და ენერგიულმა საქმიანობამ.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზა — 72-26-30, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, ბაკორეკტორი — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 4. 06. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.07. 84 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.-საგ. თანაბარი 15.85. შეკვ. № 1239. უე 08088. ტირაჟი 57.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 11/109

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ